

დაცვა

პერდასაცავისა

წიგნი ეძღვნება მათ, ვინც პოლიტიკური
ეკონომია მასწავლა და სამართლიანობისკენ
სწრაფვა ჩამინერგა:

ნათანიელ ბრენდენს, უოლტერ ი. გრაინდერს,
ჰენრი ჰაზლიტს, ბენჯამინ კლაინს, აინ რენდს,
ჯერი უოლოზსა და განსაკუთრებით – მიურეი ნ.
როთბარს.

WALTER BLOCK

DEFENDING THE UNDEFENDABLE

Ludwig von Mises Institute
Auburn, Alabama

უოლტერ ბლოკი

დაცვა

პერდასაცავისა



უ. ბლოკი

დაცვა ვერდასაცავისა, თბილისი 2023

ინგლისურიდან თარგმანი: ანინა ტეფნაძე

რედაქტორი: ჰერმან საბო, ალექსანდრე რაქვიაშვილი

ლიტერატურული რედაქტორი: გიორგი ჭაუჭიძე, დიანა ყასუმაშვილი

„36 წიგნის“ პროექტის ავტორები მადლობას უხდიან გამოცემა

„სოციუმს“ და ალექსანდრე კურიავს წიგნის ილუსტრაციების

გამოყენების უფლების გადმოცემისთვის.

ISBN 978-9941-8-5567-2

„36 წიგნი“ არის საგანმანათლებლო პროექტი, რომლის მიზანია

ავსტრიული ეკონომიკური სკოლისა და ლიბერტარიანიზმის

წარმომადგენლების 36 ცნობილი ნაშრომის თარგმნა და

გავრცელება.

პროექტის ავტორები: ალექსანდრე რაქვიაშვილი და ჰერმან საბო

MISES
INSTITUTE



სარჩევი

წინასიტყვაობა	9
მოსაზრება	12
შესავალი	13
ნაწილი პირველი. სექსი	19
1. მეძავი	21
2. სუტენიორი	26
3. მამრი შოვინისტი ღორი	29
ნაწილი მეორე. მადიცინა	43
4. ნარკორეალიზატორი	45
5. ნარკომანი	51
ნაწილი მესამე. სიტყვის თავისუფლება	57
6. შანტაჟისტი	59
7. ცილისმწამებელი	65
8. აკადემიური თავისუფლების უარყოფელი	68
9. ედვერთაიზერი	72
10. ადამიანი, რომელიც გადაჭედულ თეატრში ყვირის „ხანძარია!“	85
ნაწილი მეოთხე. არალეგალურად გამოცხადებულები	89
11. ულიცენზიო ტაქსისტი	91
12. ბილეთების გადამყიდველი	99
13. უნამუსო პოლიციელი	106
ნაწილი მეხუთე. ფინანსები	113
14. ყალბი ფულის მჭრელი	115
15. ძუნწი	128

16. მემკვიდრე	133
17. მევახშე	136
18. არაქველმოქმედი	143
ნაწილი მეექვსე. პიზნაისი და ვაჭრობა	151
19. ბუზლუნა, ნუნურაქი მოხუცი	153
20. ბარაკების გამქირავებელი	160
21. გეტოს ვაჭარი	169
22. სპეკულანტი	178
23. იმპორტიორი	182
24. შუამავალი	194
25. მოგების მაძიებელი	199
ნაწილი მეშვიდე. ეკოლოგია	211
26. წიაღისეულის ღია წესით მომპოვებელი	213
27. დამნაგვიანებელი	218
28. „ნაგავი პროდუქციის“ მწარმოებლები	225
ნაწილი მერვე. შრომის ბაზარი	235
29. გაქსუებული კაპიტალისტი დამსაქმებელი	237
30. შტრაიკბრეხერი	248
31. ბეჯითი მუშა	252
32. არასრულწლოვანთა დამქირავებელი	258

წინასიტყვაობა

უკვე მრავალი წელია, თავისუფალი ბაზრის ეკონომისტები გვაჩვენებენ, როგორ ხეირობს ბაზრის აქტივობით საზოგადოება ისე, რომ ხანდახან თავადაც არ იცის ამის შესახებ. ადამ სმითის დროიდან მოყოლებული, მრავალმა მოაზროვნემ დაგვიმტკიცა, როგორ შეუძლიათ მხოლოდ პირადი მოგებით მოტივირებულ მენარმეებსა თუ ბიზნესმენებს მათდაუნებურად მოუტანონ უზარმაზარი სიკეთე საზოგადოებას. საკუთარი მოგების გაზრდისა და დანაკარგების შემცირების სურვილით მოქმედი ბიზნესმენები პოულობენ გზას, თუ როგორ დააკმაყოფილონ მომხმარებლების გადაუდებელი მოთხოვნები ყველაზე ხარჯთეფექტიანად. კერძო საქმიანობის უპირატესობა და ეფექტიანობა თეორიულად მრავალჯერაა დამტკიცებული, ბოლო წლებში კი ამ ეფექტიანობის სულ უფრო და უფრო მეტ ხელშესახებ მაგალითს ვხედავთ. თუმცა აქამდე ეკონომისტების ინტერესები, მათი პედანტიზმის გამო, უმეტესად ისეთ „პატივსაცემ“ ინდუსტრიებს უტრიალებდა, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, ნავთობი, უძრავი ქონება, საჰაერო მიმოსვლა და ასე შემდეგ. პროფესორ უოლტერ ბლოკამდე არცერთ ეკონომისტს არ გამოუჩენია იმდენი სითამამე, რომ ათობით შეფარული, გაკიცხული, არასწორად გაგებული პროფესიებისა თუ საქმიანობების ეკონომიკური და მორალური სტატუსი განეხილა. ამ საქმიანობებში ჩართულ ადამიანებს ავტორი „ეკონომიკის განტევების ვაცებს“ უწოდებს.

ლოგიკისა და გამჭრიახი გონების დამსახურებით, პროფესორი ბლოკი განტევების ვაცების რეაბილიტაციას ახდენს და ისეთი პირების ეკონომიკურ სარგებლიანობაში გვარწმუნებს, როგორებიც არიან: სუტენიორი, შანტაჟისტი, ბარაკების მეპატრონე და სხვა. გარდა ამ სალანძღავი საქმიანობების გამართლებისა, „დაცვა ვერდასაცავისა“ იმ პრინციპსაც ცხადყოფს, რომ თავისუფალი ბაზრის პირობებ-

ში ნებისმიერი ადამიანის მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ სერვისს ერთნაირი ბუნება აქვს. ერთი შეხედვით უჩვეულო სფეროებზე ადამ სმითის პრინციპების გადმოტანა და ექსტრემალური მაგალითების განხილვა თავისუფალი ბაზრის მორალურობასა და ქმედითუნარიანობას ბევრად უკეთ წარმოგვიდგენს, ვიდრე ეკონომიკის რესპექტაბელური სფეროების და საქმიანობის შესახებ დაწერილი ტომები. ჩვენი თეორიული ცოდნა სწორედ ექსტრემალური მაგალითების ახსნითა და დამტკიცებით გამოიცდება.

ბლოკის მიერ განხილული შემთხვევები ერთგვარად შოკისმომგვრელიცაა. ერთმანეთზე უფრო პროვოკაციული სიტუაციების ანალიზით, რომელმაც მგრძნობიარე მკითხველზე ელდის ეფექტი უნდა გამოიწვიოს, პროფესორი ბლოკი მკითხველს აიძულებს ტექსტის გააზრებამდე გაჩენილი პროტესტის გრძნობა გადალახოს, დაფიქრდეს და ახალი თვალთ შეხედოს, როგორც ეკონომიკის თეორიას, ისე თავისუფალი ბაზრის დადებით მხარეებსა და მოქმედების მექანიზმებს. იმ შემთხვევაში, თუკი თავისუფალი ბაზრის აქამდეც გჯეროდათ, მოემზადეთ, რომ თავისუფალი ეკონომიკის სრულიად ახლებურ, ბევრად ღრმა ცოდნას შეიძენთ და მის პრინციპებს ლოგიკურად ჩასწვდებით. ეს წიგნი მკითხველთა უმრავლესობისთვის ამაღელვებელი და შოკისმომგვრელი იქნება, როგორც აღვნიშნეთ, მათთვისაც კი, ვინც სრულადაა დარწმუნებული თავისუფალი ბაზრის სიკეთეებში.

„კარგი“, – შეიძლება თქვას ზოგიერთმა მკითხველმა, – „გეთანხმებით, რომ ეს ადამიანები ღირებულ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან, მაგრამ რა აუცილებელია, მათ გმირები ვუწოდოთ? რატომ არის სუტენიორი ან თვითმარქვია ექიმი იმაზე უფრო „ჰეროიკული“ და, შესაბამისად, მორალურიც, ვიდრე „წესიერი“ მენარმეები: სურსათით მოვაჭრე, მკერავი, ლითონის მწარმოებელი და ასე შემდეგ?“

ამ კითხვაში შეფარვით იკითხება ის ტოტალური უპატივცემულობა, რომელიც ბლოკისეული „განტევების ვაცების“ მიმართ არსებობს. სურსათის გამყიდველს, ლითონის მწარმოებელსა და სხვებს შეუძლიათ შეფერხებების გარეშე მართონ საკუთარი ბიზნესი და, შესაბამისად, საზოგადოების წევრებისაგან პატივისცემა და აღიარება დაიმსახურონ. რაც შეეხებათ განტევების ვაცებს, მათი ეკონომიკური საქმიანობა არა მხოლოდ არაღიარებულია, არამედ ისინი

საზოგადოების თითქმის ყველა წევრისაგან უნივერსალურ ღვარძლს, კრიტიკასა და სიძულვილს აწყდებიან. ამას ემატება სახელმწიფოს აკრძალვები და შეზღუდვები, რომელთაც თითქმის ყველა ქვეყანაში შეხვდებით. საზოგადოებისაგან და მთავრობისგან ერთნაირად გაკიცხულები, სოციალური განდევნილები და კანონგარეშე პირები მაინც აგრძელებენ მუშაობას და აგრესიისა და ლეგალური წინააღმდეგობის ფონზე ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას. გმირებად კი ისინი თავად საზოგადოებისა და სახელმწიფო მანქანის წინააღმდეგობამ აქცია.

მათ ნამდვილად შეგვიძლია ვუწოდოთ გმირები, მაგრამ არა – წმინდანები. როცა ავტორი შტრაიკბრეხერს, მევახშეს, სუტენიორსა და სხვებს გმირის მორალურ სტატუსს ანიჭებს, ის არ გულისხმობს, რომ მათი საქმიანობები, თავისი არსით, სხვებისაზე უფრო მორალურია. ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც მევახშე, არალეგალური სანარმოს მფლობელი თუ ბარაკების მეპატრონე ნებისმიერ სხვა პროფესიის წარმომადგენელთან თანაბარ პირობებში აღმოჩნდება, გმირის სტატუსის საჭიროებაც გაქრება. პროფესორი ბლოკისთვის გმირის წოდება მხოლოდ იმ უსამართლო პირობებზეა დაფუძნებული, რომელშიც ეს „განტყევების ვაცები“ საქმიანობენ. ამ წიგნის ბედნიერი პარადოქსი ისაა, რომ თუ ავტორის რჩევას მივყევით და ამ გვერდებზე აღწერილ ადამიანებს ზიზღით არ მოვიხსენიებთ, მათ საქმიანობას კი როგორც ერთ ჩვეულებრივ პროფესიას, ისე შევხედავთ, გმირის სტატუსის საჭიროებაც ბუნებრივად გაქრება. ასე რომ, თუ მევახშის ან სუტენიორის გმირად მოხსენიება არ მოგწონთ, ერთადერთი გზა, რომ მათ ეს სტატუსი ჩამოართვათ, ხალხის მიერ მათთვის დადებული ბორკილების ახსნაა.

მიურეი ნ. როთბარდი

მოსაზრება

ამ წიგნის წაკითხვა იმ შოკური თერაპიის თავიდან გავლას ჰგავდა, რომლის დახმარებითაც ან უკვე გარდაცვლილმა **ლუდვიგ ფონ მი-ზესმა** 50 წლის წინ თავისუფალი ბაზრის მთავარ პრინციპებს მაზიარა.

დროდადრო ეჭვი მეპარებოდა ხოლმე და ვფიქრობდი, რომ „ეს უკვე მეტისმეტია“, მაგრამ ბოლოს შენი სიტყვების ჭეშმარიტებაში ვრწმუნდებოდი. შეიძლება ეს წიგნი ზოგისთვის ზედმეტად მწარე წამალივით აღმოჩნდეს, რომლის გემო გეზიზღება, მაგრამ საბოლოოდ ჯანმრთელობის აღდგენაში გეხმარება. ეკონომიკის რეალურად გააზრება წინასწარი წარმოდგენებისა და ცრურწმენებისაგან თავის დახსნას მოითხოვს. ეკონომიკური ცდომილებები ყველაზე ხშირად სხვა საქმიანობების შესახებ უსაფუძვლო წარმოდგენებს ეფუძნება ხოლმე და ამ სტერეოტიპების მსხვერველთ შენ არაჩვეულებრივ საქმეს აკეთებ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეს პოზიცია სულაც არ იყოს პოპულარული.

ფ. ა. ფონ ჰაიეკი,
ნობელის პრემიის ლაურეატი,
ნაციონალური ეკონომიკის ინსტიტუტი,
ზალცბურგის უნივერსიტეტი

შესავალი

ამ წიგნში წარმოდგენილ ადამიანებს უმეტესად ბოროტმოქმედებად აღიქვამენ, მათ საქმიანობას კი საზიანოს უწოდებენ. ხშირად საზოგადოება საკუთარ თავსაც კი ძრახავს ასეთი გულისამრევი ინდივიდების შექმნისთვის. თუმცა ამ წიგნის ძალისხმევა შემდეგი სამი მოსაზრების ახსნისკენ იქნება მიმართული:

- მათ არანაირ ძალადობაში არ მიუძღვით ბრალი;
- მათ აბსოლუტურად ყველა სცენარში სიკეთე მოაქვთ საზოგადოებისთვის;
- თუ მათ საქმიანობას ავეუკრძალავთ, ამით წაგებული დაგვრჩებით.

ამ წიგნის მთავარი მამოძრავებელი ძალა ლიბერტარიანიზმია. ამ ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპი კი ისაა, რომ არ შეიძლება არააგრესორების მიმართ აგრესიის გამოჩენა. აგრესიაში არ იგულისხმება ინიციატივა, შეკამათება, კონკურენცია, გაცხარება ან ანტაგონიზმი. აგრესიაში იგულისხმება ისეთი ტიპის ძალადობა, როგორიცაა მკვლელობა, გაუპატიურება, ძარცვა და გატაცება. ლიბერტარიანიზმი პაციფიზმს არ ნიშნავს. ის არ უარყოფს ძალის გამოყენებას თავდაცვის მიზნით ან თუნდაც ძალადობის საპასუხოდ. ლიბერტარიული ფილოსოფია მხოლოდ ძალადობის წამოწყებას გმობს – აგრესიის გამოყენებას არამოძალადე ადამიანის ან მისი საკუთრების მიმართ.

ამ მსოფლმხედველობაში არაფერია გაუგონარი ან წინააღმდეგობრივი, ადამიანთა უმრავლესობა მას მთელი გულით დაუჭერდა მხარს. მართლაც, ეს ჩანაფიქრი უდევს საფუძვლად დასავლურ ცივილიზაციას, ასახულია კანონში, კონსტიტუციასა თუ დაუნერგლ წესებში.

ლიბერტარიანიზმის უნიკალურობა არა მის საბაზისო პრინციპში, არამედ იმ დაჟინებულობასა და ერთგვარ „მანიაკურ“ ფორმაშია, რომლითაც ამ პრინციპს ვიყენებთ. მაგალითად, ადამიანთა დიდი ნაწილი ზემოთ აღწერილ პრინციპსა და საგადასახადო სისტემას შორის წინააღმდეგობას ვერ ხედავს. ლიბერტარიანელებისთვის კი ეს წინააღმდეგობა ნათელია.

გადასახადების ამოღება ითვალისწინებს აგრესიის გამოყენებას იმ არააგრესიული მოქალაქეების მიმართ, რომლებიც გადახდაზე უარს ამბობენ და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ გადასახადების სანაცვლოდ მთავრობა საქონელსა და სერვისებს გვთავაზობს. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ე. წ. „ვაჭრობა“ (გადასახადი სახელმწიფო სერვისების სანაცვლოდ) არანებაყოფლობითია. მოქალაქეს მასზე უარის თქმა არ შეუძლია. ასევე უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ მოქალაქეების დიდი ნაწილი მხარს უჭერს გადასახადების არსებობას. აგრესიის წამოწყება, მაშინაც კი, თუ მას უმრავლესობა ემხრობა, არალეგიტიმურია. ლიბერტარიანიზმი აგრესიას ამ ნაწილში ისევე გმობს, როგორც სხვა ნებისმიერ სფეროში წარმოშობილ ძალადობას.

კიდევ ერთი განსხვავება ლიბერტარიანელებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის ისაა, თუ როგორ ხედავს ეს ორი ჯგუფი ამ მოსაზრების (რომ „ძალადობის წამოწყება ბოროტებაა“) მეორე მხარეს. ლიბერტარიანელების აზრით, პოლიტიკური თეორიის ფარგლებში, ნებისმიერი რამ, რაც არ იწვევს ძალადობის ინიცირებას, ბოროტება არაა. რაც არ იწვევს ძალადობას, არც დასჯადი ბოროტებაა და არც უკანონოად უნდა მიიჩნეოდეს. სწორედ ესაა ჩემი არგუმენტის პირველი ნაწილი. ე.წ. „ბოროტმოქმედები“ სულაც არ არიან ბოროტმოქმედები, რადგან ისინი მშვიდობიან მოქალაქეებზე არ ძალადობენ.

როგორც კი გავაცნობიერებთ, რომ საზოგადოების „ნაძირალათა გალერეაში“ არავინ სჩადის რაიმე ძალადობრივ ბოროტებას, რთულია, არგუმენტის მეორე ნაწილს არ დაეთანხმო: იმ ადამიანთა სრულ შემადგენლობას, რომლებზეც ვსაუბრობთ, მთელი საზოგადოებისთვის სიკეთე მოაქვს. ეს ადამიანები აგრესორები არ არიან. ისინი არავის არაფერს აიძულებენ. თუ საზოგადოების სხვა წევრებს მათთან საქმის დაჭერა უნევთ, ეს კომუნიკაცია სრულიად ნებაყოფლობითია. ადამიანები მათთან მოხალისეობრივ ტრანზაქციებში

იმიტომ ერთვებიან, რომ სანაცვლოდ რაიმე სარგებელს იღებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბოროტმოქმედებს“ გარკვეული სიკეთე მოაქვთ.

მესამე მტკიცებულება მეორედან გამომდინარეობს. თუ ვამბობთ, რომ ნებაყოფლობითი ვაჭრობა (ერთადერთი ფორმა, რომელზეც გარიყულებს ხელი მიუწვდებათ) ყველა მხარისათვის სასარგებლოა, ამ ვაჭრობის აკრძალვა ყველა მხარეს უნდა ვნებდეს. მეტიც, ჩემი აზრით, ამ აქტივობების აკრძალვა მხოლოდ ვაჭრობის პოტენციურ მხარეებს კი არა, მესამე პირებსაც შეიძლება ვნებდეთ. ერთი ზოგადი მაგალითი ჰეროინის გამყიდველის საქმიანობის შეზღუდვაა. ამ ქმედებით არა მხოლოდ გამყიდველი და კლიენტი ზარალდება, არამედ მთელი საზოგადოება, რადგან იმატებს კრიმინალი, პოლიციაში იზრდება კორუფცია და, ზოგ შემთხვევაში, კანონისა და წესრიგის სრულად ჩამოშლას ვიღებთ.

ჩემი პოზიციის მთავარი ბირთვი ისაა, რომ მკაფიო განსხვავება არსებობს აგრესიის ნამოწყებასა და ყველა იმ აქტს შორის, რომელიც არ გვსიამოვნებს, მაგრამ არაძალადობრივია. მხოლოდ აგრესიული ძალადობა არღვევს ადამიანის უფლებებს. ძალადობისგან თავშეკავება საზოგადოების ფუნდამენტურ წესად უნდა მოვიაზროთ. ამ წიგნში განხილული ადამიანები, მიუხედავად მათი ცუდი რეპუტაციისა, არავის უფლებებს არ არღვევენ, შესაბამისად, მათზე სამართლებრივი სანქციები არ უნდა ვრცელდებოდეს. ჩემი რწმენით, ისინი განტყვევების ვაცები არიან – თავდასხმის ხილული სამიზნეები და თუ გვინდა, რომ სამართლიანობამ იზეიმოს, ისინი უნდა დავიცვათ.

ეს წიგნი ბაზრის დასაცავადაც გამოდგება. ის გამოყოფს თავისუფალი საბაზრო სისტემის იმ მონაწილეებს, რომლებსაც კრიტიკოსები ყველაზე მეტად ლანძღავენ. ამ ექსტრემალურ მაგალითებში თუ მოვახერხეთ თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის ორმხრივი სარგებლიანობისა და პროდუქტიულობის დამტკიცება, ეს ფაქტი ზოგადი ბაზრის დასაცავ არგუმენტებს კიდევ უფრო განამტკიცებს.

თუმცა მნიშვნელოვანია თავიდანვე განვმარტოთ, რომ ამ წიგნში ბაზრის მორალური კუთხით შეფასებას არ ვცდილობთ. არავინ ამტკიცებს, რომ ბაზარი მორალურ-ეკონომიკური ინსტიტუტია. ჩვენ განვიხილავთ მოგება-წაგებაზე დაფუძნებულ ბიზნესს, რომელმაც კაცობრიობას სერვისებისა და საქონლის აქამდე არნახული მრავალფეროვნება მოუტანა. ნაწილმა საკუთარ თავზე გამოსცადა მისი

სიკეთე, ნაწილს კი, ვისაც არ გაუმართლა, შურით გული უსკდება. კაცობრიობის გემოვნების, სურვილებისა და მიდრეკილებების დაკმაყოფილების ბაზარზე უკეთესი საშუალება დღემდე არ მოუგონიათ. მეორე მხრივ, სწორედ ეს ბაზარი წარმოშობს ისეთ სერვისებს, – გემბლინგი, პროსტიტუცია, პორნოგრაფია, ნარკოტიკები, ალკოჰოლი, სიგარეტი, სვინგერების კლუბები – რომელთა მორალური სტატუსიც, რბილად რომ ვთქვათ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ხშირად უმრავლესობისათვის სრულიად ამორალურადაა მიჩნეული.

შესაბამისად, თავისუფალი წარმოების სისტემა თავისთავად არც მორალურია და არც ამორალური. მისი მორალურობა ვაჭრობაში ჩართული ადამიანების მიზნებზეა დამოკიდებული და რაკი ეს მიზნები შესაძლოა იყოს როგორც კეთილშობილური, ასევე გარყვნილი, ბაზრის სტატუსიც ამის მიხედვით იცვლება, ზოგ შემთხვევაში მორალურია, ზოგ შემთხვევაში კი – ამორალური.

ამგვარად, ბაზარი ჰგავს ცეცხლს, იარაღს, დანას, საბეჭდ მანქანას – უზომოდ ეფექტიან საშუალებას, როგორც კარგი, ასევე ცუდი განზრახვებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი ბაზრის დახმარებით ღირსშესანიშნავი შედეგების მიღება შეგვიძლია, მედალს მეორე მხარეც აქვს.

მაშინ რატომღა ვცდილობთ ბაზრის ზოგიერთი აქტორის ამორალური აქტივობების დაცვას? ამ კითხვაზე პასუხი ლიბერტარიანიზმის ფილოსოფიიდან გამომდინარეობს, რომელიც მხოლოდ ერთ მთავარ პრობლემას უტრიალებს, ერთ კითხვას სვამს: რა შემთხვევაშია ძალადობა გამართლებული? ამ კითხვის პასუხია, რომ ძალადობა გამართლებულია ან მხოლოდ თავდაცვის მიზნით, ან წარსულში მომხდარი აგრესიის საპასუხოდ. ეს სხვა ბევრ რამესთან ერთად იმასაც ნიშნავს, რომ მთავრობა არასწორად მოქმედებს, როცა აჯარიმებს, სჯის, ციხეში სვამს და ზოგ შემთხვევაში სიცოცხლეს უსპობს იმ ადამიანებს, რომლებიც ამორალურად იქცევიან, მაგრამ არ ძალადობენ ან არ ემუქრებიან ვინმეს (ან მათ ქონებას) ფიზიკური აგრესიით. ლიბერტარიანიზმი არაა ცხოვრების ფილოსოფია. ის არ მოგვითხრობს, როგორ უნდა იცხოვროს კაცობრიობამ. ის არ აწესებს საზღვრებს კარგსა და ცუდს, მორალურსა და ამორალურს, მისაღებსა და მიუღებელს შორის.

მეძავების, პორნოგრაფერებისა და ა. შ. დასაცავად არგუმენტი

ერთადერთია: რადგან ეს ადამიანები მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ ფიზიკური ძალადობის ინიციატორები არ არიან, ლიბერტარიანული პრინციპების თანახმად, მათაც არ უნდა გამოსცადონ ძალადობა სახელმწიფოს ან საზოგადოების მხრიდან, არ უნდა დაისაჯონ პატიმრობით ან ნებისმიერი სხვა ძალადობრივი ფორმით. თუმცა არც ისე უნდა აღვიქვათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობები მორალურად, მისაღებად ან სამაგალითოდ მიიჩნევა ლიბერტარიანელთათვის.

ნაწილი პირველი

სექსი



1.

მეძავი

პროსტიტუციის შემზღუდველი კანონების თუ რელიგიური და სხვა ჯგუფების უწყვეტი თავდასხმების მიუხედავად, მეძავები მაინც განაგრძობენ საზოგადოებასთან ვაჭრობას. ხოლო ის ფაქტი, რომ ამგვარი სამართლებრივი და სოციალური წინააღმდეგობების მიუხედავად მომხმარებლები მაინც მიმართავენ მეძავებს, მხოლოდ ამტკიცებს ამ მომსახურების ღირებულებას.

მეძავი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც პირი, რომელიც გასამრჯელოს სანაცვლოდ ნებაყოფლობით ვაჭრობს სექსუალური მომსახურებით. რეალურად, ამ განმარტების საკვანძო ნაწილი „ნებაყოფლობითი ვაჭრობა“-ა. ნორმან როკველის მიერ რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთი ჟურნალის გარეკანზე შესრულებული ნამუშევარი ამ საქმიანობის დეტალებს თუ არა, არსს მაინც გვიჩვენებს. ამ გარეკანზე გამოსახულია მერძევე და მეფუნთუშე, რომლებიც საკუთარ

სატვირთო მანქანებს უდგანან გვერდით და მაღიანად შეექცევიან ფუნთუშასა და რძეს – ორივე კმაყოფილია საკუთარი „ნებაყოფლობითი ვაჭრობის“ შედეგით.

კლიენტი-მეძავისა და მერძვე-მეფუნთუშეს ეპიზოდებს შორის კავშირის დანახვა საკმარისი წარმოსახვის უნარის არმქონე ადამიანებს გაუჭირდებათ, თუმცა ორივე შემთხვევაში, ორი ადამიანი ნებაყოფლობით ხვდება ერთმანეთს საერთო კმაყოფილების მიღების განზრახვით. ძალადობა ანდა ტყუილი არცერთ შემთხვევაში არ გამოყენებულა. რა თქმა უნდა, მეძავის კლიენტმა შეიძლება მოგვიანებით გადაწყვიტოს, რომ მიღებული მომსახურება არ ყოფილა გადახდილი ფასის შესაბამისი. ანდა, მეძავმა შეიძლება იგრძნოს, რომ გადახდილი თანხა სრულად არ ანაზღაურებს განეულ მომსახურებას. მსგავსი უკმაყოფილებები რძითა და ფუნთუშით ვაჭრობის შემთხვევაშიც შეიძლება გაჩნდეს. რძე შეიძლება ამჟავებული, ხოლო ფუნთუშა ცუდად გამომცხვარი ყოფილიყო. თუმცა ეს სინანულები პოსტ-ფაქტუმ ხდება და ტრანზაქციების „ნებაყოფლობით“ ხასიათს ვერ შეცვლის. გარიგებაში მონაწილე თითოეული მხარის თანხმობის გარეშე ვაჭრობა უბრალოდ ვერ შედგებოდა.

არიან ისეთებიც, მათ შორის ქალთა უფლებებისთვის მებრძოლები, რომლებიც ღარიბი, ფეხქვეშ გათელილი მეძავის ხატს დასტირიან და ასეთ ცხოვრებას დამამცირებლად და ექსპლუატაციურად აღიქვამენ. თუმცა მეძავი სექსით ვაჭრობას დამამცირებელ საქმიანობად არ აღიქვამს. ამ საქმიანობის დადებითი მხარეების (მოკლე სამუშაო საათები, მაღალი ანაზღაურება) და უარყოფითი მხარეების (პოლიციის მხრიდან ზეწოლა, სუტენიორისთვის გადასახდელი წილი, არასახარბიელო სამუშაო პირობები) გათვალისწინებით, მეძავი მაინც საკუთარ პროფესიას ანიჭებს უპირატესობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ამ საქმიანობას უბრალოდ აღარ განაგრძობდა.

ცხადია, მეძავები უამრავ პრობლემას ეჩეხებიან, რაც „ბედნიერი მეძავის“ ხატს ეჭვქვეშ აყენებს. არსებობენ ნარკოდამოკიდებული მეძავები; ისინი, ვისაც სუტენიორები სცემენ; რომლებიც საროსკიპოებში საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ არიან. თუმცა ამ ბინძურ ასპექტებს პროსტიტუციასთან, როგორც კარიერასთან, ცოტა თუ აქვს საერთო. არსებობენ ექთნები და ექიმები, რომლებსაც იტაცებენ, რათა სამართლებრივად დევნილ პირებს გაუწიონ სამედიცინო დახ-

მარება, არსებობენ ნარკოდამოკიდებული დურგლები, ბუღალტრები, რომლებსაც ყაჩაღები სცემენ. თუმცა გაგვიჭირდებოდა იმ დასკვნის გაკეთება, რომ ეს პროფესიები დამამცირებელი, ექსპლუატაციური ან საეჭვოა. მეძავის ცხოვრება იმდენად კარგი ან ცუდია, რამდენადაც თავად მოისურვებს. ის ამ პროფესიაში ნებაყოფლობით შედის, ხდება მეძავი და ამ საქმიანობისათვის თავის დანებება ნებისმიერ დროს შეუძლია.

მაშ, რატომ ვებრძვით პროსტიტუციას? ეს მუხტი აშკარად არ მოდის მომხმარებლისგან – ის ხომ ნებაყოფლობითი მონაწილეა. თუ მომხმარებელი გადაწყვეტს, რომ მეძავის დაფინანსება მისთვის აღარაა ხელსაყრელი, შეუძლია შეწყვიტოს მომსახურების შეძენა. პროსტიტუციის აკრძალვა არც თავად მეძავების ინიციატივაა. ისინი ნებაყოფლობით ერთვებიან ამ საქმიანობაში და ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეწყვიტონ, თუ ამის სურვილი გაუჩნდებათ.

პროსტიტუციის აკრძალვის ინიციატივა „მესამე პირებისგან“ მოდის, რომლებიც ვაჭრობაში პირდაპირ არ არიან ჩართულნი. მათი მოტივები განსხვავდება ჯგუფის, ადგილისა და ეპოქის მიხედვით. ერთადერთი რაც ამ ადამიანებს აერთიანებთ ისაა, რომ თამაშგარე პირები არიან – არც არაფერს ყიდნიან და არც არაფერს ყიდულობენ. მივანიჭოთ თამაშგარე პირებს უფლება გადაწყვიტონ ამა თუ იმ საქმიანობის ბედი, იგივეა, მესამე პირი წყვეტდეს მერძევესა და მეფუნთუშეს შორის ვაჭრობის დეტალებს, მის ავკარგიანობასა და სარგებელს, რაც ყველა ჩვენგანისთვის აბსურდულად ჟღერს. მაშ, რატომ ვექცევით ამ ორ შემთხვევას განსხვავებულად? წარმოიდგინეთ, არსებობდეს „ზრდილობიანად მჭამელთა“ ლიგა, რომელიც ცდილობს გაავრცელოს დოქტრინა, რომ ფუნთუშისა და რძის ერთად მიერთმევა ბოროტებაა. რომც შეგვეძლოს იმის დემონსტრირება, რომ რძიანი ფუნთუშის სანინალმდეგო ლიგასა და პროსტიტუციის სანინალმდეგო ლიგას ინტელექტუალური საფუძველი ერთნაირი აქვთ – ანუ ერთნაირად უსაფუძვლოა – ამ ორი დოქტრინის მიმართ საზოგადოების რეაქცია მაინც განსხვავებული იქნებოდა. რძისა და საკონდიტრო ნაწარმის ერთად ჭამის აკრძალვა მხოლოდ სიცილის გამოიწვევდა, თუმცა პროსტიტუციის აკრძალვას სრულიად სამართლიანად მიიჩნევდნენ. პროსტიტუციის საკითხის ინტელექტუალურად აღქმას რალაც მექანიზმი უწევს მედგარ წინააღმდეგობას.

რატომ არაა პროსტიტუცია ლეგალური? მიუხედავად იმისა, რომ ლეგალიზაციის საწინააღმდეგო არგუმენტები უშინაარსოა, ისინი არასოდეს შეურაცხია ინტელექტუალურ საზოგადოებას ფარისევ-ლურად.

მთავარი განსხვავება სექსუალური ხასიათის ვაჭრობასა და სხვა სახის ვაჭრობას შორის დამყარებულია, ან დაკავშირებულია მაინც სირცხვილთან, რომელსაც ვგრძნობთ ან გვაგრძნობინებენ „სექსის ყიდვისას“ – „ნამდვილი კაცი“ სექსში ფულს არ იხდის.

ქვემოთ მოცემული ანეკდოტი ამ აზრს შესანიშნავად გამოხატავს. სიმპათიური კაცი ლამაზ „პატიოსან“ ქალს ეკითხება, ექნებოდა თუ არა მასთან სექსი 100 000\$-ად. ქალი თავიდან ამ წინადადე-ბით შეძრწუნდება, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ იმ აზრამდე მიდის, რომ პროსტიტუციის „ბოროტი“ ბუნების მიუხედავად, ამ ფულის დახარჯვა ქველმოქმედებასა და კარგ საქმეებში შეუძლია, თან მამაკაციც მომხიბვლელია – არც შიშს აღძრავს და არც ზიზღს. „დიახ“, – უპასუხებს ქალი მორცხვად. „და 20\$ რომ შემოგთავა-ზოთ?“ – ახალი კითხვით მიმართავს კაცი. „როგორ ბედავ! შენ მე ვინ გგონივარ?“ – აღშფოთდება ქალი და კაცს სილას აწნავს. „ვინც ხართ უკვე გავიგე, ახლა უბრალოდ ფასს ვარკვევთ“, – უპასუხებს კაცი. ამ ბოლო ფრაზაში გამოხატული დამოკიდებულება მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია იმ ზიზღისა, რომელსაც ამ ტიპის საქმეებში ჩართული ინდივიდები საზოგადოებისგან გრძნობენ.

იმ დამოკიდებულების შესაცვლელად, რომ სექსში ფულის გა-დახდა დამამცირებელია, ორი გზა არსებობს: შეგიძლიათ პირდა-პირ დაუპირისპირდეთ ამ აზრს (თუმცა მათ, ვისაც პროსტიტუცია ბოროტება ჰგონია, ამით ვერ გადავარწმუნებთ) ან მათთვის გასაგებ ენაზე ავუხსნათ, რომ, ყველანი ყოველთვის რაღაცის სანაცვლოდ ვიღებთ სექსს – შესაბამისად, მაინცდამაინც პროფესიონალ მეძავსა და მის კლიენტს შორის ურთიერთობას არ უნდა ჩავაცივდეთ.

კონკრეტულად რას ვგულისხმობთ იმაში, რომ სექსუალურ აქტივობაში ჩაბმა აუცილებლად მოიცავს ვაჭრობის პროცესს? დასაწყისისთვის, ჩვენს პოტენციურ პარტნიორებს რაიმე უნდა შევთავაზოთ, რომ ჩვენთან სექსს დათანხმდნენ. პროსტიტუციაში გასამრჯელო ფულის სახით გაიცემა, სხვა შემთხვევაში კი ვაჭრობა შეიძლება ასეთი ხილული არ იყოს. პარტნიორის მოძებნისა და შერჩე-

ვის პროცესი პროსტიტუციის მოდელისგან დიდად არ განსხვავდება. ორივე მხარე ერთმანეთისგან რალაცას ელის: მამაკაცებისგან, რომ ისინი დაფარავენ კინოს ბილეთების, სადილის, ყვავილების და ა. შ. ღირებულებას, ხოლო ქალისგან, რომ ამ ქმედებებს სექსუალური მომსახურებით უპასუხებს. ოჯახის ის მოდელი, სადაც კაცს – ფინანსების შემოტანის, ქალს კი სახლის მოვლის, სიმყუდროვის შექმნისა და სექსუალური ფუნქციები აკისრია, პროსტიტუციის მოდელს საკმაოდ ჰგავს.

რეალურად, ადამიანთა შორის ნებისმიერი ნებაყოფლობითი ურთიერთობა, როგორიც არ უნდა იყოს ის – ინტელექტუალური თუ სასიყვარულო – ვაჭრობაზეა დამყარებული. რომანტიკული სიყვარულისა თუ ქორწინების შემთხვევაში ვალუტა არის სითბო, მხარდაჭერა, სიკეთე და ა. შ. შეიძლება ვაჭრობის პროცესი ბედნიერების მომტანი იყოს და პარტნიორებსაც სიამოვნებას ანიჭებდეთ რაიმეს სანაცვლოდ რამის გაცემა. თუმცა მიუხედავად იმისა, რა ემოციებს აღგვიძრავს პროცესი, ეს მაინც ვაჭრობაა. თავიდანვე ცხადია, რომ თუ სითბო, ყურადღება, სიკეთე გაიცემა, გასამრჯელოც მოითხოვება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ორი „არამერკანტილური“ პოეტი ვერაფერს მიიღებს ერთმანეთისგან, მათი ურთიერთობაც დასრულდება.

თუ არსებობს ვაჭრობა, არსებობს ანაზღაურებაც. თუ არსებობს სქესობრივი ურთიერთობა გადასახადის ან სხვა სახის სარგებლის სანაცვლოდ, არსებობს პროსტიტუციაც – ამ სიტყვის განმარტების თანახმად. ქორწინება პროსტიტუციასთან არაერთ მოაზროვნეს დაუკავშირებია. თუმცა არა მხოლოდ ქორწინება – ყველა ტიპის ურთიერთობა, იმის მიუხედავად, მოიცავს თუ არა სექსს, პროსტიტუციას. იმის ნაცვლად, რომ ეს ურთიერთობები პროსტიტუციასთან მსგავსების გამო დავგმოთ, სჯობს პროსტიტუცია ადამიანთა შორის ინტერაქციის ერთ-ერთ ფორმად მივიჩნიოთ.

არც ერთ ურთიერთობას არ უნდა ვენიანადმდგებოდეთ: არც ქორწინებას, არც მეგობრობას და არც პროსტიტუციას.

სუტენიორი კი მჭირდება,
მაგრამ თქვენმა რეზიუმემ
დიდად ვერ მომხიბლა...



2.

სუტენიორი

სუტენიორებს უხსოვარი დროიდან მეძავეებზე მოძალადე პარაზიტებივით ექცეოდნენ, თუმცა სამართლიანი ვერდიქტის გამოსატანად, სუტენიორის რეალური ფუნქცია გვაქვს გასარკვევი.

პირველ რიგში, აუცილებელია, გავარკვიოთ ჭეშმარიტია თუ არა მტკიცება, რომ სუტენიორები მეძავეებს ცემისა და მუქარის ხარჯზე იქვემდებარებენ და ამუშავენ. ზოგიერთი სუტენიორი ასეც იქცევა, მაგრამ ამართლებს კი ეს ამ პროფესიის, როგორც ასეთის, დაგმობას? საერთოდაც, განა არსებობს რომელიმე პროფესია, რომელსაც თუნდაც ერთი არაპატიოსანი წარმომადგენელი არ ჰყავს? ხომ არსებობენ მშენებლები, სანტექნიკოსები, მუსიკოსები, მღვდლები, ექიმები ან ადვოკატები, რომელთაც სხვათა უფლებები შეუღალავთ? მაგრამ ამით ეს პროფესიები თავისთავად დასაძრახნი ხომ არ გამხდარან.

ასევე უნდა განვიხილოთ სუტენიორობის შემთხვევაც. ერთი, ან თუნდაც ყველა, სუტენიორის ქცევა არ შეიძლება გამოვიყენოთ პროფესიის დასაგმობად, თუ მსგავსი ქცევა პროფესიის სავალდებულო ნაწილი არაა. მაგალითად, გამოსასყიდის სანაცვლოდ მცირეწლოვანი ბავშვების გატაცების პროფესია თავისთავად ბოროტი პროფესიაა, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი გამტაცებელი შეიძლება, კეთილ საქმეებსაც აკეთებდეს, მაგალითად, გამოსასყიდის ნაწილს ქველმოქმედებაში ხარჯავდეს. სულ ყველა გამტაცებელიც რომ ასე იქცეოდეს, თავად ეს პროფესია, გამტაცებლობა, ამით არ გაკეთილშობილდება. პროფესიის ბოროტებას მისი სავალდებულო შემადგენელი ნაწილები განსაზღვრავს. თუ სუტენიორობის განმსაზღვრელი ქცევა თავისთავად ბოროტია, მაშინ პროფესიაც ასეთი ყოფილა. შესაბამისად, სუტენიორობის შესაფასებლად, ზოგიერთი სუტენიორის მიერ ჩადენილი ნებისმიერი ბოროტი გარე ქმედება უნდა უგულებელვყოთ, ვინაიდან ამ ქცევებს თავად პროფესიასთან საერთო არაფერი აქვთ.

სუტენიორის, როგორც ასეთის, ფუნქცია ბროკერის ფუნქციას ჰგავს. როგორც ბროკერები მართავენ უძრავ ქონებას, დაზღვევას, სავალუტო ბირჟის აქციებს, ინვესტიციებს, ბუნებრივ წიაღისეულს და ა. შ. სუტენიორიც ორი მხარის ერთმანეთთან ისე დაკავშირებას ცდილობს, რომ ამ ტრანზაქციის ჯამური ფასი იმაზე ნაკლები იყოს, ვიდრე მისი ჩარევის გარეშე იქნებოდა. ბროკერთან საქმის დამჭერი თითოეული პირი სარგებლობს ბროკერით, წინააღმდეგ შემთხვევაში მის სერვისს სულაც არ გამოიყენებდნენ. ასევეა სუტენიორის შემთხვევაშიც. მომხმარებელი თავს არიდებს ფუჭ ან უსარგებლო ძიებაში დროის ხარჯვას. უფრო მარტივია სუტენიორს დაურეკო და პირდაპირ მეძავთან შეხვედრაზე შეუთანხმდე, ვიდრე დამოუკიდებლად სცადო მეძავის პოვნა. მომხმარებელი იმაშიც დარწმუნებული იქნება, რომ მასთან რეკომენდებული მეძავი მივა.

თავის მხრივ, მეძავიც იღებს სარგებელს. ის ზოგავს დროს, რომელსაც სხვაგვარად მომხმარებლის ძიებაში დახარჯავდა. სუტენიორი მეძავს იცავს როგორც არასასურველი მომხმარებლებისაგან, ასევე პოლიციის, ანუ იმ პროფესიის წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც მეძავთათვის ზრდასრულ მომხმარებლებთან ნებაყოფლობით ვაჭრობაში ხელის შეშლა საკუთარ საქმედ გაუხდიათ.

სუტენიორის მიერ დაორგანიზებული შეხვედრები მეძავისთვის ფიზიკურად ბევრად უსაფრთხოა, ვიდრე ქუჩაში ან ბარებში შემთხვევით ნაპოვნი კონტაქტები.

სუტენიორი იმაზე მეტად არ ექსპლუატირებს მეძავს, ვიდრე გაყიდვების აგენტი – მენარმეს, რომელიც ამ უკანასკნელის ბიზნესის მის მაგივრად ზრდის, ან აგენტი – მსახიობს, რომელიც მას ახალი როლების მოძიების სანაცვლოდ შემოსავლების გარკვეულ პროცენტს უხდის. ამ მაგალითებში დამსაქმებელი (მსახიობი და მენარმე) დასაქმებულის სერვისების გამოყენებით იმაზე მეტს იძენს, ვიდრე დასაქმებულის დაქირავება უჯდება. ასე რომ არ იყოს, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობა არც შედგებოდა. მეძავის ურთიერთობა სუტენიორთან (დამსაქმებლისა დასაქმებულთან) ასეთივე ურთიერთსარგებლოიანობის პრინციპზე დგას.

პროფესიონალი სუტენიორი ბროკერობის, შუამავლობის აუცილებელ ფუნქციას ასრულებს. ამ საქმეში ის, სხვა თუ არაფერი, უფრო ღირსეულიც კია, ვიდრე ბევრი სხვა შუამავალი, მაგალითად, ბანკირი, სადაზღვევო აგენტი, ანდაც საფონდო ბირჟის ბროკერი. ეს უკანასკნელები ხშირად მოძალადე მთავრობასა და ფედერალურ კანონებს იყენებენ საკუთარი კონკურენტების თავიდან მოსაშორებლად მაშინ, როდესაც სუტენიორი ვერასოდეს გამოიყენებს კანონს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გასამყარებლად.



3.

მამრი უოპინისტი ლორი

ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობა განსხვავებული პროგრამების ერთობლიობაა და განსხვავებული მიზნების მქონე მრავალფეროვანი ჯგუფებისგან შედგება. შორსმჭვრეტელმა გონმა ქალთა განთავისუფლების ზოგიერთი მიზანი, მოტივაცია თუ პროგრამები შეიძლება მოიწონოს, ზოგიც კი – უარყოს. სისულელე იქნებოდა ამ მოძრაობის განსხვავებული ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ერთ ქვაბში მოხარშვა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთად არიან შეფუთულები. ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ხედვები ოთხ ძირითად კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე განვიხილოთ:

ძალადობრივი ქცევა ქალთა წინააღმდეგ

მკვლევლობას თუ არ ჩათვლით, ყველაზე ძალადობრივი ქცევა, რასაც ქალების წინააღმდეგ ჩადიან, გაუპატიურებაა. თუმცა პატრიარქალურ საზოგადოებაში გაუპატიურება ყოველთვის უკანონოდ არაა მიჩნეული, მაგალითად, როდესაც მსგავსი რამ ცოლ-ქმარს შორის ხდება¹. იმის მიუხედავად, რომ ქორწინების „სინმინდის“ ფარგლებს მიღმა გაუპატიურება უკანონოა, კანონის დამოკიდებულება უკეთესის სურვილს აჩენს. ჯერ ერთი, თუ მსხვერპლსა და მოძალადეს გაუპატიურებამდეც ჰქონდათ რაიმე კავშირი ერთმანეთთან, სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუპატიურება არც ყოფილა. მეორე – გაუპატიურების დასამტკიცებლად, არც ისე დიდი ხნის წინ, ბევრ შტატში აუცილებელი იყო, რომ დანაშაულს მოწმეც ჰყოლოდა. მესამე – თუ მოძალადის მეგობრები დაიფიცებენ, რომ მსხვერპლთან სექსუალური კავშირი მათაც ჰქონდათ, მსხვერპლი „ამორალურ პიროვნებად“ ხასიათდება და, ამ შემთხვევაში, ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა ფაქტობრივად შეუძლებელია. თუ მსხვერპლი მეძავია, განაჩენის გამოტანა ანალოგიურადვე რთულდება. მეძავის გაუპატიურების შეუძლებლობის სამართლებრივი არგუმენტი იმ უაღრესად აბდაუბდა ხედვას ეყრდნობა, რომ შეუძლებელია ადამიანს იმის გაკეთება აიძულო, რასაც სხვა დროს ნებაყოფლობით აკეთებს.

ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინიციატივაა გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულისათვის უფრო მძიმე სასჯელის დაწესება, მსხვერპლისათვის კი ზარალის ანაზღაურება. აქამდე, პოლიტიკურ სპექტრზე შედარებით მოზომილი პოზიციის მქონე ხალხი, ისევე, როგორც დღევანდელი ფემინისტების უმეტესობა (მაგალითად, ამერიკელი ლიბერალები, მემარცხენეები), მოძალადეებისათვის უფრო მსუბუქ სასჯელებსა და, ზოგადად, კრიმინალებისათვის „თავზე ხელის გადასმას“ მოითხოვდნენ. მათი აზრით, თითოეული დანაშაული, გაუპატიურების ჩათვლით, ძირითადად სიღარიბით, ოჯახის ნგრევით, რეკრეაციული დაწესებულებების ნაკლებობითა და ა. შ. არის გამოწვეული. მათ მიერ შემოთავაზებული „გამოსავალიც“

¹ აფრიკისა და აზიის ქვეყნების ნაწილში ცოლის გაუპატიურება დღემდე დასჯადი არაა – რედაქტორის შენიშვნა.

პირდაპირ ამ შეხედულებიდან ამოდიოდა: მეტი კეთილდღეობა, მეტი სკვერები და სათამაშო მოედნები არაპრივილეგირებულთათვის, ფსიქოლოგიური კონსულტაცია, თერაპია და ა. შ. ამ მოთხოვნებთან შედარებით, ფემინისტების დაჟინება, რომ მოძალადეთათვის სას-ჯელი გამკაცრდეს, სუფთა ჰაერის ჩასუნთქვას ჰგავს.

მართალია, გაუპატიურება, მთავრობის დამოკიდებულების მხრივ, ქალთა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებათა შორის ყვე-ლაზე თვალშისაცემი შემთხვევაა, მაგრამ სხვა შემთხვევებიც არ უნდა დავივიწყოთ. დაფიქრდით, რას გულისხმობს პროსტიტუციის ამკრძალავი კანონი. ეს კანონი კრძალავს ზრდასრულ ადამიანთა შორის ნებაყოფლობით ვაჭრობას. ის მავნებლურია, ვინაიდან ქალებს ხელს უშლის „პატიოსანი“ შემოსავალი ჰქონდეთ. თუ მთავრობის ანტიქალური მიკერძოება ჯერ კიდევ არაა საკმარისად ცხადი, ისიც გაითვალისწინეთ, რომ როდესაც პროსტიტუცია გამყიდველის-თვისაც და მყიდველისთვისაც თანაბრად არაკანონიერია, მამაკაცს (მყიდველი) თითქმის არასოდეს აპატიმრებენ, ქალისაგან (გამყიდ-ველი) განსხვავებით.

აბორტიც ერთ-ერთი მსგავსი შემთხვევაა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია, აბორტი მაინც დამაბრკოლე-ბელი კანონებითაა შეზღუდული. აბორტის სრულად აკრძალვაც და აბორტის თანამედროვე კონტროლიც საკუთარი თავის ფლობის დიად მორალურ პრინციპს უარყოფს, შესაბამისად, უკან, მონობისკენ გადადგმული ნაბიჯია. იმ მდგომარეობისკენ, რომელშიც ადამიანსა და თავისივე სხეულის ფლობას შორის აღმართულია ბარიკადები. თუ ქალი საკუთარ სხეულს ფლობს, მაშინ საკუთარ საშვილოსნოსაც ფლობს და მხოლოდ მას აქვს ერთადერთი და აბსოლუტური უფლება განსაზღვროს, იყოლიოს თუ არა შვილი.

ქალთა იძულების ის გზები, რომელთაც მთავრობა მხარს უჭერს ან თავადაც აქტიურად აწარმოებს, შესაშურად მრავალფეროვანია. მაგალითად, ძალიან ცოტა ხნის წინ ქალებს, კაცებისაგან განსხ-ვავებით, საკუთრების ფლობისა თუ კონტრაქტებში მონაწილე-ობის უფლებები არ ჰქონდათ. დღემდეა შემორჩენილი კანონები, რომლებიც დაოჯახებულ ქალს (მაგრამ არა დაოჯახებულ კაცს) უკრძალავს მეუღლის ნებართვის გარეშე ქონების გაყიდვასა თუ სამენარმეო საქმიანობაში ჩართვას. ზოგიერთ უნივერსიტეტში

ქალების მისაღებად უფრო მკაცრი მოთხოვნებია, ვიდრე კაცების. საჯარო სკოლების სამარცხვინო სისტემა ბიჭებს აიძულებს „კაცურ“ საქმიანობას (სპორტი და დურგლობა), ხოლო გოგონებს – „ქალურს“ (მზარეულობა და ხელსაქმე).

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ზემოთ ნახსენებ პრობლემებს ორი რამ აქვთ საერთო: ისინი ქალების წინააღმდეგ გამოყენებული აგრესიული ძალაა და ყველა მათგანი სახელმწიფო ინსტრუმენტებთანაა პირდაპირ დაკავშირებული. მიუხედავად საყოველთაოდ გავრცელებული წარმოდგენებისა, ეს შეფასება ისევე ვრცელდება დანარჩენ მაგალითებზე, როგორც გაუპატიურებასა და პროსტიტუციაზე. რას ნიშნავს იმის თქმა, რომ ქალს არ გააჩნია აბორტის, საკუთრების ფლობის, ან ბიზნესის წამოწყების უფლება, თუ არა იმას, რომ ამ საქმიანობით დაკავებული ქალი სახელმწიფოს მხრიდან, ჯარიმითა თუ ციხეში ჩაყუდებით შეიზღუდება.

ცხადია, დისკრიმინაცია ხელენიფება სახელმწიფოსაც და ინდივიდსაც. თუმცა მხოლოდ სახელმწიფო (და არა კერძო დისკრიმინაცია) ლახავს ქალთა უფლებებს. როდესაც ინდივიდი იქცევა დისკრიმინაციულად, ამას საკუთარი რესურსებითა და სახელით აკეთებს. ხოლო როცა სახელმწიფო ზღუდავს ვისამე უფლებებს, ამას მთლიანი საზოგადოებისგან აკრეფილი რესურსებითა და მისი თითოეული წევრის სახელით სწადის. ეს კი კრიტიკულად მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

თუ კერძო საწარმო იქცევა დისკრიმინაციულად, მაგალითად კინოთეატრი, ის საკუთარ თავს შემოსავლის დაკარგვისა და გაკოტრების საშიშროების წინაშე აყენებს. დისკრიმინაციის მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ აღარ დააფინანსონ ეს დაწესებულება, აღარ იყვნენ მისი მუდმივი კლიენტები. თუმცა სახელმწიფოს შემთხვევაში, ხალხს ეს ბერკეტი არ გააჩნია და გაკოტრების რისკიც არ არსებობს. მაშინაც კი, როდესაც ხალხი ეწინააღმდეგება დისკრიმინაციას ისეთ სახელმწიფო ინსტიტუტში, რომლის დაფინანსების შეწყვეტაც შეუძლიათ, (მაგალითად, სტუდენტებს სახელმწიფო უნივერსიტეტში) სახელმწიფოს სხვა ალტერნატივებიც გააჩნია. მაგალითად, შეუძლია არამდგრადი შემოსავლები გადასახადებით აანაზღაუროს, გადასახადები კი ძალადობის მუქარით იკრიბება.

ქუჩაში მომხდარი ქმედება, უბრალო ჩქმეტაც კი, პირდაპირ კავ-

შირშია სახელმწიფო აპარატთან. შეადარეთ რა ხდება, როდესაც სექსუალურ შევიწროებას ადგილი აქვს კერძო საკუთრების ფარგლებში (მაღაზიაში) და რა ხდება, როდესაც იგივე ხდება გარეთ (იმავე მაღაზიიდან ერთ კვარტალში). როდესაც მსგავსი ხულიგნობა კერძო სექტორში ხდება, ამ პრობლემის მოგვარებაში მოგება-წაგების თავისუფალი სამეწარმეო სისტემა მთელი მასშტაბით ერთვება. კერძო მეწარმის ინტერესშია მისსავე საკუთრებაში მსგავსი ქმედებების აღმოფხვრა და პრევენცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებლებს დაკარგავს. რეალურად, ერთგვარი კონკურენციაცაა მაღაზიათა მფლობელებს შორის, თუ ვინ მოახერხებს მომხმარებლებისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას. ის, ვინც ამ ანტიხულიგნურ კონკურენციაში გაიმარჯვებს, გაცილებით დიდ სარგებელსაც ნახავს. დამარცხებული კი, რომელმაც პრობლემა ან უგულებელყო, ან არაეფექტიანად შეებრძოლა, დიდ ზარალს იგემებს. ცხადია, ეს იმის გარანტია არაა, რომ ჩქმეტები და მსგავსი შეურაცხყოფელი ქმედებები სრულად აღმოიფხვრება. მსგავსი შემთხვევები ყოველთვის მოხდება მანამ, სანამ ადამიანები მორალურად არასრულყოფილები დაგრჩებით. თუმცა თავისუფალი სისტემა მოგება-ზარალის სტიმულებით აქეზებს მათ, ვისაც ყველაზე ეფექტიანად შეუძლია სიტუაციის მართვა.

აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რატომ ვანყდებით მსგავსი შევიწროების მაგალითებს უფრო ხშირად სახელმწიფო სტრუქტურებში, ვიდრე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე: კერძო სექტორი, შემოსავლის დაკარგვის შიშით სწრაფად და ეფექტიანად რეაგირებს ნებისმიერ შევიწროებაზე, რომელმაც შესაძლოა თუნდაც მცირე დისკომფორტი შეუქმნას მომხმარებელს და, შესაბამისად, დაკარგოს ის. სახელმწიფო სტრუქტურებში კი მსგავსი დაინტერესება არ არსებობს – არც არავინ კოტრდება და არც არავის შემოსავალს ემუქრება საფრთხე. თვით პოლიციელიც კი, რომელსაც აკისრია მსგავს შემთხვევებზე პასუხისმგებლობა, კონკრეტულ შემთხვევაზე არაეფექტიანი რეაგირებისას ფინანსურად არ ზარალდება, რადგან მისი ხელფასი არ არის პირდაპირ კავშირში შესრულებულ სამუშაოსთან.

არაძალადობრივი ქცევა ქალთა წინააღმდეგ

კიდევ უფრო რომ დავკონკრეტდეთ, ქალთა წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი ქმედება ძალადობრივი არცაა. მაგალითად, სტვენა, მზერის გაყოლება, გამასხარავება, „ჩანამოკება“, არასასურველი ფლირტი და ა. შ. (რა თქმა უნდა, ხშირად რთულიცაა იმის წინასწარ თქმა, ფლირტი სასურველი იქნება თუ არა). გაიხსენეთ ქალებსა და კაცებს შორის ხშირად განმეორებადი სექსუალური ქვეტექსტის მქონე სიტყვა-პასუხი. ბევრი ადამიანისათვის, განსაკუთრებით, ქალთა მოძრაობაში მყოფთათვის, რეალური განსხვავება არ არსებობს სექსუალური ხასიათის ტექსტებსა და ძალადობრივ ქმედებებს შორის. განსხვავება კი კრიტიკულია. შესაძლოა, ბევრი ქალისათვის ორივე შემთხვევა ნივთივით მოპყრობად აღიქმებოდეს, მაგრამ ერთი ფიზიკური ხელყოფის აქტია, მეორე კი – არა.

სხვა სახის ქმედებებიც ხვდება ამავე კატეგორიაში, მაგალითად, სექსუალური ვულგარიზმების გამოყენება („ჩური“ ან „მაგარი ბაგაჟიკი“), ორმაგ სტანდარტიანი ზნე-ჩვეულებების დაცვა, ეტიკეტის ზოგიერთი წესი, მხოლოდ ბიჭების გონებრივი შესაძლებლობების ნაქეზება, „კაცურ“ ათლეტურ აქტივობებში მონაწილე ქალების საზოგადოებრივი ათვალწუნება, „სექსისტური“ რეკლამები და პიედესტალები, რომლებზეც ქალებს შემოასკუბებენ ხოლმე.

ამ და სხვა შეურაცხყოფელი, თუმცა არაძალადობრივი ქცევებისა და დამოკიდებულებების შესახებ ორი მნიშვნელოვანი რამ უნდა ითქვას:

I. მსგავსი არაძალადობრივი ქმედებები სამართლებრივი გზით ვერ აიკრძალება. ასეთი მცდელობა მხოლოდ სხვა ინდივიდების უფლებათა მასობრივ შელახვას გამოიწვევს. სიტყვის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას, თქვას ის, რაც მოეპრიანება, თუნდაც გასაკიცხი და თავხედური რამ.

II. მეორე მოსაზრება გაცილებით რთულად აღსაქმელი და ნაკლებად თვალსაჩინოა: ეს გასაკიცხი, მაგრამ არაძალადობრივი ქცევები, თავის მხრივ, სცენის მიღმა არსებული სახელმწიფოს ძალადობრივი ქმედებებითაა ნაქეზებული და გამყარებული. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ მინის, სკვერების, ტროტუარების, ქუჩების, ბიზნესების მფლობელობისა და მართვის ფართოდ გავრცელებული სენით. ეს

ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც სავალდებულო საგადასახადო სისტემებზეა დაფუძნებული, შეგვიძლია ლეგიტიმურად ვაკრიტიკოთ. ამ მაგნი საფუძვლის აღმოფხვრითა და თავისუფალი ბაზრის დახმარებით, მასზე დაშენებული არასასურველი, თუმცა კანონიერი ქმედებებიც თავისთავად დაიმსხვრევა.

უკეთ რომ აეხსნათ, რას ვგულისხმობთ, წარმოიდგინეთ მაგალითი, რომელშიც ბოსი მამაკაცი მდივან ქალს ავინროებს, თუმცა არაძალადობრივად. შევადაროთ როგორ განვითარდება მოვლენები, თუ ეს შემთხვევა ხდება ჯერ საჯარო, ხოლო შემდეგ კერძო საკუთრებაში. ყველაფრის კარგად გასაანალიზებლად, უნდა გავიაზროთ ისიც, თუ რას ეძახიან ეკონომისტები „საკომპენსაციო სხვაობებს“. „საკომპენსაციო სხვაობა“ ფულის ის ოდენობაა, რომელიც საჭიროა იმ ფსიქოლოგიური უსიამოვნებების ასანაზღაურებლად, რაც შეიძლება სამუშაო ადგილს ახლდეს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ დასაქმების ორი შესაძლებლობა გაქვთ. პირველი – კონდიციონერიან ოფისში, კარგი ხედით, სასიამოვნო გარემოთი და კარგი თანამშრომლებით. მეორე კი – გაბრაზებული თანამშრომლებით სავესტ ჩამპალ სარდაფში. იმისთვის, რომ თქვენ უფრო ნაკლებად მიმზიდველი სამუშაო ადგილი აირჩიოთ, გარკვეული სახელფასო სხვაობა უნდა არსებობდეს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ამ „სხვაობის“ ზუსტი ოდენობა ადამიანებისთვის ინდივიდუალურია, მაგრამ მაინც არსებობს.

როგორც ჩამპალ სარდაფში ვერ შეიტყუებს ბიზნესი თანამშრომელს „საკომპენსაციო სხვაობის“ გადახდის გარეშე, ზუსტად ისე მოუწევს ქალებისთვის ამ „სხვაობის“ გადახდა ისეთ ოფისებში, სადაც ისინი სექსუალური შევიწროების ქვეშ მოხვდებიან. კერძო სექტორში მომეტებული ხელფასი მფლობელის/უფროსის ჯიბიდან გადაიხდება. შესაბამისად, უფროსს მნიშვნელოვანი ფულადი სტიმული აქვს, რომ უკეთ აკონტროლოს როგორც საკუთარი, ასევე სხვა თანამშრომლების ქცევა.

აი სახელმწიფო ან კორონი-კაპიტალისტურ სამსახურებში ეს სახელფასო სხვაობა ამავე სამსახურის უფროსის ჯიბიდან არ გადაიხდება. ეს ნამატი გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც ძალადობრივად იკრიბება და რომელიც საერთოდ არაა კავშირში კონკრეტული უწყების მუშაობის აკარგიანობასთან. შესაბამისად,

უფროსს სამუშაო გარემოს საკონტროლებლად უფრო ნაკლები მიზნები აქვს. ცხადია, სექსუალური შევიწროების ეს თავისთავად შეურაცხმყოფელი, თუმცა არაძალადობრივი სახე მხოლოდ გადასახადების ძალადობით ამკრეფი სახელმწიფოს ფაქტორის დამსახურებითაა შესაძლებელი. გადასახადები ნებაყოფლობით რომ იხდებოდეს, სამთავრობო ოფისშიც კი, უფროსი გაცილებით დიდი ყურადღებისა და კონტროლის ქვეშ იქნებოდა. თუ მისი ქცევა მის თანამშრომლებს შეურაცხყოფდა, ფულსაც დაკარგავდა. მაგრამ ვინაიდან ზურგს ძალადობრივი გადასახადები უმაგრებს, თანამშრომლები მის კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებულნი.

ანალოგიურად შეადარეთ სიტუაცია, რომელშიც კაცების ჯგუფი უსტვენს, ინვესს და უპატივცემულო, შეურაცხმყოფელ რეპლიკებს ისვრის გამვლელი ქალების მისამართით. ერთი ასეთი ჯგუფი ამას საჯარო ტროტუარსა ან ქუჩაზე აკეთებს, მეორე კი კერძო საკუთრებაში, მაგალითად, რესტორანში ან სავაჭრო ცენტრში.

მაშ, რომელ სიტუაციაში აღმოიფხვრება უფრო მარტივად ეს ლეგალური, თუმცა არასასურველი ქცევა? საჯარო სექტორში ამ ძალადობის აღსაკვეთად ბიზნესმენის ფინანსური ინტერესი არ არსებობს და ვინაიდან მსგავსი ქცევა, დაშვებისვე თანახმად, ლეგალურია, პოლიციას მის შესაჩერებლად არაფრის გაკეთება ძალუძს.

კერძო წარმოების პირობებში კი, ყოველ მენარმეს, რომელიც ქალების (ან ქალთა მიმართ არასათანადო ქცევის მონიწილმდეგე კაცების) დაქირავებას ან მომსახურებას იმედოვნებს, მსგავსი ქცევის აღსაკვეთად ძლიერი ფულადი სტიმული აქვს. სწორედ ამიტომაც არაა დამთხვევა, რომ მსგავსი შევიწროება თითქმის ყოველთვის საჯარო ტროტუარებსა და ქუჩებში ხდება, ხოლო – საკუთარ იმიჯზე მზრუნველ მაღაზიებში, რესტორნებში, სავაჭრო ცენტრებსა ან სხვა მოგებაზე ორიენტირებულ დაწესებულებებში – თითქმის არასდროს.

მამრი შოვინისტი ღორი – გმირის როლში

დეტალურად განვიხილოთ ქალთა გათავისუფლების მომხრეების მიერ დაშვებული ორი სამწუხარო შეცდომა. მამრი შოვინისტი ღორი მხოლოდ იმ წინააღმდეგობისათვის შეგვიძლია მივიჩნიოთ

გმირად, რომელსაც იგი საკუთარი საღი აზრის გამო უწევს ქვემოთ აღწერილ პროგრამებს.

კანონები, რომლებიც მოითხოვენ „თანაბარ ხელფასს თანაბარ მუშაობაში“. შეკითხვა ცხადია: როგორ განვმარტავთ „თანაბარ მუშაობას“? თუ „თანაბარი მუშაობა“ პირდაპირი გაგებით გვესმის, ჩვენ დაქირავებულის პროდუქტიულობის ყველა ასპექტი უნდა ავწონოთ, როგორც მოკლე, ასევე – გრძელვადიანი. მათ შორის, ფსიქიკური განსხვავებები, მომხმარებლებისა და სხვა დაქირავებულთა დისკრიმინაცია, დაქირავებულის უნარი აითვისოს დამქირავებლის სიმპათიები, ანტიპათიები და სხვა ხუმტურები. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს თითოეული კომპონენტი უნდა შეიწონოს, რადგან თანაბარი მუშაობა დამსაქმებლისთვის თანაბარ მომგებიანობას ნიშნავს. თავისუფალი ბაზრის პირობებში, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღებენ თანაბარი უნარების მქონე მუშები თანაბარ ანაზღაურებას. თუ, მაგალითად, ქალს კაცზე ნაკლებს უხდიან, იმის მიუხედავად, რომ ორივე ერთნაირად კარგი თანამშრომელია, შეიქმნება ისეთი პირობები, რომელშიც ორივეს თანაბარი ანაზღაურება გარანტირებული ექნება. როგორ? დამქირავებელს შეეძლება უფრო მეტი მოგების მიღება თუ კაც მუშებს ქალებით შეცვლის. კაც მუშებზე მოთხოვნა შემცირდება, შესაბამისად, შემცირდება მათი ხელფასებიც, ხოლო მოთხოვნა ქალ მუშებზე და მათივე ხელფასები გაიზრდება. თითოეულ ბიზნესმენს, რომელმაც კაცი მუშები ქალებით შეცვალა, კონკურენტული უპირატესობა ექნება იმ ბიზნესებთან, ვინც უარი თქვა იმავეს გაკეთებაზე. მოგების ზრდაზე ორიენტირებული დამქირავებლები უფრო და უფრო მეტს გამოიმუშავენ, ვიდრე დისკრიმინატორი დამქირავებლები. სხვა თანაბარ პირობებში, მოგებაზე დაგეშილებს დისკრიმინატორებთან შედარებით დაბალ ფასებში შეედლებათ ვაჭრობა და, საბოლოოდ, გააკოტრებენ კიდეც კონკურენტებს.

რეალურად კი, თანაბარი მუშაობისათვის თანაბარი ანაზღაურების დამცველებს თანასწორობის ასეთი მკაცრი კრიტერიუმი არ გააჩნიათ. „თანასწორობის“ მათი განმარტება იზომება სკოლაში გატარებული წლებით, თანაბარი უნარებით, თანაბარი დიპლომებით, შესაძლოა, საკვალიფიკაციო ტესტებში თანაბარი ქულებითაც. თუმცა ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ფაქტობრივად იდენტურ ინდივიდებს შეიძლება დამქირავებლისათვის მოგების მოტანის მხრივ უკიდურე-

სად განსხვავებული უნარები გააჩნდეთ. მაგალითად, წარმოდგინეთ განსხვავებული სქესის ორი მუშა, ტესტებში თანაბარი ქულებითა და ერთი და იმავე კოლეჯის დიპლომებით. უტყუარი ფაქტია, რომ ორსულობის შემთხვევაში, ქალი უფრო დიდი ალბათობით დარჩება სახლში და აღზრდის შვილს. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მსგავსი კრიტერიუმის გათვალისწინება სამართლიანია თუ არა. კრიტიკულად მნიშვნელოვანი ისაა, რეალურად ასე მოხდება თუ არა. თუ ქალი სახლში დარჩება და საკუთარ კარიერას ან მუშაობას შეწყვეტს, მისი ფასი დამქირავებლისათვის შემცირდება. ამ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ ქალი და კაცი კანდიდატები სამსახურისათვის იდენტურად კვალიფიციურები იყვნენ, გრძელვადიანად კაცი უფრო პროდუქტიული და, შესაბამისად, დამსაქმებლისათვის უფრო ღირებული იქნება.

პარადოქსულად, ქალებისა და კაცების არათანაბარი პროდუქტიულობის მტკიცებულებათა უმეტესობა ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობიდანვე მოდის. რამდენიმე კვლევა ჩატარდა, რომლებშიც ქალებს და კაცებს ჯგუფურად ცდიდნენ, ჯერ ერთმანეთისაგან იზოლაციაში, ხოლო შემდეგ ერთმანეთთან კონკურენციაში. იზოლაციაში ჩატარებული გამოცდის ზოგიერთ შემთხვევაში, ქალებმა თვალსაჩინოდ აჩვენეს, რომ უფრო მაღალი თანდაყოლილი უნარები გააჩნდათ ვიდრე კაცებს. თუმცა ერთმანეთთან კონკურენციაში კაცებმა ქალებზე უპირობოდ უკეთესი შედეგები „დადეს“. გავმეორდები და ხაზს გავუსვამ, რომ მნიშვნელობა აქვს არა ასეთი შემთხვევების სამართლიანობას, არამედ ეფექტიანობას. საქმიან სამყაროში, ქალები ხშირად ეჯიბრებიან კაცებს. თუ ისინი მუდმივად დაუთმობენ კაცებს და საუკეთესო შედეგს ვერ დადებენ მათთან კონკურენციაში, ისინი დამქირავებლისათვის რეალურად უფრო ნაკლებად სასარგებლონი გახდებიან. თუ ქალებს კაცებთან შედარებით თანაბარი საგამოცდო ქულები აქვთ, ხოლო ამავდროულად მაშინ, როდესაც საქმე მოგების მაქსიმიზაციაზე მიდგება, ისინი კაცებთან ვეღარ კონკურირებენ, „თანაბარი მუშაობისათვის თანაბარი ანაზღაურების“ კანონი ქალთათვის დამლუპველიც კი იქნება.

დამლუპველი იქნება, ვინაიდან მოგების მაქსიმიზაციის სტიმული პირიქით შემოტრიალდება. იმის მაგივრად, რომ ბაზარმა ქალთა დაქირავებისა და კაცების სამსახურიდან გაშვების მყარი ტენდენცია

შექმნას, დამქირაველები ქალების სამსახურიდან გაშვებასა და მათ მაგივრად კაცების დაქირავებას დაიწყებენ. თუ დამქირავებელი იძულებულია ქალებსა და კაცებს თანაბარი ანაზღაურება გადაუხადოს, იმის მიუხედავად ისინი თანაბრად პროდუქტიულები არიან თუ არა, მოგების ზრდის სურვილი დამქირაველებს აიძულებს ქალები კაცებით ჩაანაცვლონ. დამქირაველებს, რომლებიც ფემინისტური ხედვის თანახმად მოიქცევიან და ქალ მუშათა დატოვებას დაიჟინებენ, შეუმცირდებათ მოგება და ბაზრის წილს დაკარგავენ. მხოლოდ ის ბიზნესები გაიხარებს, რომლებიც ქალებს არ იქირავენ.

ხაზი უნდა გაესვას იმ მიდრეკილებას, რომ პროდუქტიულობით კაცების თანასწორ ქალებს თანასწორივე ანაზღაურების მიღება მხოლოდ და მხოლოდ მოგება-ზარალის თავისუფალ ბაზარში შეუძლიათ. მხოლოდ თავისუფალ მენარმეობაში არსებობს ფინანსური სტიმული დაიქირაონ უფრო პროდუქტიული და შედარებით იაფი ქალები, მათი „მდგომარეობის ბოროტად გამოსაყენებლად“ და, შედეგად, ამ ქალების ხელფასების გასაზრდელად.

სახელმწიფო და არაკომერციულ სექტორში კომერციის ეს სტიმულები, როგორც სახელი გვეუბნება, არ არსებობს. მაშინ, დამთხვევა ნამდვილად არაა, რომ ფაქტობრივად ქალთა რეალური ექსპლუატირების ყველა შემთხვევა საჯარო და არაკომერციულ სექტორში ხდება, მაგალითად სკოლებში, უნივერსიტეტებში, ბიბლიოთეკებში, ფონდებში, სოციალურ სამსახურებში და საჯარო სერვისებში. ქალებისათვის საკმარისის არგადახდის ბრალდებები გაცილებით ნაკლებია კერძო სექტორის ისეთ სფეროებში როგორიცაა პროგრამირება, მარკეტინგი ან მედია.

ანტიდისკრიმინაციული კანონები

McSorley's – ასე ჰქვია ბარს ნიუ-იორკში, რომელიც ექსკლუზიურად კაცებს ემსახურებოდა მანამ, სანამ ნიუ-იორკის შტატის ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონის დროშის ფრიალის ქვეშ არ „გაათავისუფლეს“. ეს დანესებულება მისი ისტორიის განმავლობაში პირველად მოემსახურა ქალებს. ეს საქციელი აქეს და ადიდეს, როგორც დიადი პროგრესული ნაბიჯი თავისუფლების, პროგრესისა

და ქალთა ჯგუფების თავისუფლებისაკენ. McSorley's-ს გათავისუფლების უკან მდგომი კანონის ძირითადი ფილოსოფია, როგორც ჩანს, გულისხმობდა, რომ არ შეიძლება პოტენციურ მომხმარებელთა დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე.

თუ ამ ფილოსოფიის არასრულფასოვნება თვალსაჩინო არაა, მას ფარდა შეგვიძლია განზრახ აბსურდამდე დაყვანით ავხადოთ. ამ ფილოსოფიას მკაცრად რომ მივდედეთ, მაგალითად, ჩაითვლებოდა თუ არა პოტენციურ მომხმარებელთა სქესის საფუძველზე დისკრიმინაციად საჯარო სივრცეებში მამაკაცებისთვის ცალკე გამოყოფილი საპირფარეშოები? მამაკაცებისათვის ცალკე საცხოვრებელი ადგილების გამოყოფა? ჰომოსექსუალ კაცებზე რას იტყვით? ხომ არაა შესაძლებელი, მათ ქალების წინააღმდეგ „დისკრიმინაციაში“ დავდოთ ბრალი? და ის ქალები, რომლებიც კაცებზე თხოვდებიან, სხვა ქალების მიმართ დისკრიმინაციულები არ არიან?

ეს მაგალითები, ცხადია, სასაცილოა. თუმცა ანტიდისკრიმინაციული ფილოსოფიის ლოგიკაში მშვენივრად ჯდება. ხოლო, სასაცილოდ მხოლოდ იმიტომ გეჩვენებათ, რომ თავად ეს ფილოსოფიაა სასაცილო.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ნებისმიერი ადამიანური ქმედება გულისხმობს დისკრიმინაციას, ამ მრავალნათრევი სიტყვის ერთადერთი კეთილგონივრული გაგებით: არსებული ალტერნატივებიდან, იმ ერთადერთის გამორჩევასა და ამორჩევას, რომელიც საუკეთესოდ ემსახურება ამრჩევის ინტერესებს. არ არსებობს ადამიანის მიერ ჩადენილი ქცევა, რომელიც ამ განმარტებას ეწინააღმდეგება. ჩვენ დისკრიმინაციას ვენევით, როდესაც ვირჩევთ კბილის პასტას, ვწყვეტთ, რომელი ტრანსპორტით ვისარგებლოთ, ვისთან შევექმნათ ოჯახი და ა. შ. გურმანის ან სომელიეს მიერ გამოყენებული დისკრიმინაცია დისკრიმინაციის ის ერთადერთი ვერსიაა, რომლითაც ყველანი ვხელმძღვანელობთ. შესაბამისად, დისკრიმინაციაზე ნებისმიერი თავდასხმა იმ არჩევანის შეზღუდვას ემსახურება, რომელიც ყველა ინდივიდს გააჩნია.

მაგრამ McSorley's-ში რომ ქალებს არ უშვებდნენ? მათი არჩევანი არ იყო შეზღუდული? არა. ის, რასაც ქალები განიცდიდნენ ამ ბარში, იგივეა, რასაც კაცი განიცდის, როდესაც ქალი უარით უპასუხებს მის ფლირტს. ქალი, რომელიც პაემანზე არ მიჰყვება კაცს, არ არის დამნაშავე ამ კაცის უფლებების შელახვაში, ვინაიდან მისი

უფლებები არც მოიცავს ამ ქალთან ურთიერთობის ქონის უფლებას. ეს ურთიერთობა მხოლოდ შესაძლებლობად არსებობს და არა უფლებად, თუ, რა თქმა უნდა, ეს ქალბატონი მისი მონა არაა. იმავე მხრივ, კაცი, რომელსაც სხვა კაცების გარემოცვაში სურს დაღევა, არაა დამნაშავე ქალთა უფლებების შელახვაში. ვინაიდან ქალთა უფლებები არ მოიაზრებს იმ ხალხთან ერთად სმის უფლებას, რომლებსაც მასთან ერთად დაღევა არ სურთ. მსგავსი მიდგომა მცდარი მხოლოდ მონურ საზოგადოებაშია. მხოლოდ მონურ საზოგადოებაში შეუძლია ბატონს აიძულოს მონა შეასრულოს მისი ბრძანება. თუ ანტიდისკრიმინაციული ძალები წარმატებით მოახერხებენ საკუთარი ფილოსოფიის საზოგადოების უმეტესობაზე გავრცელებას, ისინი ასევე წარმატებით მოახერხებენ იმავე საზოგადოებაზე მონობის ბოროტების გავრცელებას. მხოლოდ ამ ტენდენციების ჯიუტად შეწინააღმდეგებისთვის უნდა გვეჩვენებოდეს მამრი შოვინისტი კაცი გმირად.

ნაწილი მეორე

მედიცინა



4.

ნარკორეალიზატორი

ნარკოტიკების ბოროტი ბიზნესი პასუხისმგებელია მტანჯველ სიკვდილებზე, კრიმინალზე, ძარცვებზე, ძალადობრივ პროსტიტუციაზე და ხშირად – მკვლევობებზეც კი. ნარკომომხმარებელი, როგორც წესი, ცხოვრებისეულადაა განწირული „გადაგდების“ შემდეგაც კი. ნარკოდამოკიდებულების პერიოდში მომხმარებელი ნარკოტიკების უიმედო მონაა და „კიდევ ერთი დოზისთვის“ მზადაა ნებისმიერი სისაძაგლე იკადროს.

მაშ, ნარკორეალიზატორის ავი ბუნების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება რა ნამუსით შეგვიძლია? საერთოდ, როგორ ვუშვებთ, რომ მას შეიძლება კეთილგანწყობით შევხედოთ?

ჩვეულებრივ, ის ბოროტებანი, რაც ჰეროინზე დამოკიდებულებას მიეწერება ხოლმე, რეალურად ნარკოტიკების აკრძალვის შედეგია და არა თავად ადიქციის ბრალი. თუ ნარკოტიკები აკრძალულია, ამ

აკრძალვის ბოროტ შედეგებს ყველაზე მეტად სწორედ ის ადამიანი ამსუბუქებს, ვინც არალეგალურად, მაგრამ მაინც ყიდის ნარკოტიკს.

ჰეროინის აკრძალვის პირდაპირი დამანგრეველი შედეგი მისი ფასის ასტრონომიული ზრდაა. რაიმე პროდუქტის აკრძალვისას, მისი მოყვანის, მოსავლის აღების, მოვლის, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის ჩვეულ ხარჯებს კანონის არიდებისა და წარუმატებელი არიდებისას სასჯელის გადასახადის ღირებულებებიც ემატება. 20-იან წლებში, მშრალი კანონის დროს, იატაკქვეშ გაყიდული ვისკის შემთხვევაში, ეს დამატებითი ხარჯი ჭარბი არ ყოფილა, რადგან კანონის აღსრულება სუსტი იყო, ხოლო კანონს მოსახლეობის ფართო მხარდაჭერა არ ჰქონდა. ჰეროინის შემთხვევაში ფასნამატი გიგანტურია. ანტიჰეროინულ კანონს დიდი მხარდაჭერა აქვს და მოსახლეობა სასჯელებისა და კანონების გამკაცრებას სულ ითხოვს. გეტოებში ბარიგებს¹ და ნარკომანებს ახალგაზრდული და ვიჯილანტე (vigilante)² ჯგუფები საკუთარ სასჯელსაც კი უმატებენ. ამ ჯგუფებს „კანონისა და წესრიგის დაცვის“ ფრაქციის მოჩვენებითი მხარდაჭერაც აქვთ, რაც, თავის მხრივ, პოლიციელების მოქრთამვასაც ართულებს და აძვირებს. პოლიციელებს ეშინიათ, რომ თუ ქრთამზე გამოიჭერენ, საზოგადოება მათ მკაცრად დასჯის.

პოლიციელებისათვის ძვირადღირებული ქრთამების გადახდის გარდა, ბარიგებს საკუთარი თანამშრომლებისათვის მაღალი ხელფასების გადახდაც უწევთ. მაღალი ხელფასები იმ საფრთხეებითაა განპირობებული, რომლებთან გამკლავებაც ამ თანამშრომლებს ქუჩაში ვაჭრობისას, ფარული ტრანსპორტირებისას თუ ნარკოტიკების დამახარისხებელი ქარხნების მუშაობისას მოუწევთ. ბარიგებმა იმ თანამშრომლებსაც უნდა მოუარონ, რომლებიც პოლიტიკოსების, ადვოკატებისა და მოსამართლეების მოქრთამვის გამო დაიჭირეს და მათი სასჯელის შემსუბუქებაზე იზრუნონ.

სწორედ ეს ფაქტორები ზრდის ჰეროინის ფასს. ჰეროინის ამკრძალავი კანონები რომ არ არსებობდეს, მისი ფასი, მაგალითად, მარცვლეული კულტურებისგან კულტურებისგან (ხორბალი, თამბაქო,

¹ სლენგი, რომელიც ნარკორეალიზატორის აღსანიშნავად გამოიყენება – *რედაქტორის შენიშვნა*.

² მოსახლეობის მიერ შექმნილი თვითორგანიზებადი ჯგუფები, რომლებიც დასახლებულ რაიონებში უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ – *რედაქტორის შენიშვნა*.

სოია და ა.შ.) დიდად განსხვავებული არ იქნებოდა. ჰეროინი რომ ლეგალური იყოს, სხვადასხვა შეფასებით, ნარკომანს დღიური დოზა დაახლოებით ერთი პურის ფასი დაუჯდება.

აკრძალვის პირობებში სტაჟიან მომხმარებელს ჰეროინზე დამოკიდებულება დღეში დაახლოებით 100\$ უჯდება. ბაზრის შესახებ ინფორმაციისა და მიწოდების ალტერნატიული წყაროების გათვალისწინებით, ნარკომომხმარებელი საკუთარი დამოკიდებულების დასაკმაყოფილებლად წელიწადში დაახლოებით 35,000\$-ს იხდის. იმედია ნათელია, რომ ყველა იმ ტანჯვის წყარო, რომელსაც პირდაპირ ჰეროინის მიაწერენ ხოლმე, სინამდვილეში ეს უზარმაზარი თანხაა. ტიპური ნარკომანი ძირითადად ახალგაზრდა, გაუნათლებელი და საკუთარი ცხოვრების წესის პატიოსნად დაფინანსების უნარების არმქონეა. თუ მომხმარებელი სამედიცინო და ფსიქიატრიული დახმარების მიღებას არ ცდილობს, დღიური „დოზის“ მისაღებად მას ერთადერთი გზა – კრიმინალურ ცხოვრებაში ჩართვაა რჩება და საბოლოოდ ან პოლიციის საკბილო გახდება, ან ქუჩის ბანდებთან გაუგებრობის მსხვერპლი. მეტიც, კრიმინალი ნარკომანი გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე არანარკომანი კრიმინალი. არანარკომან კრიმინალს ძარცვისათვის ყველაზე ხელსაყრელი დროისა და ადგილის შერჩევა შეუძლია. კრიმინალი ნარკომანი კი დანაშაულს მაშინ სჩადის, როდესაც კიდევ ერთი „დოზა“ სჭირდება. ამ დროს მისი ალქმა და შეგრძნებები ხშირად უკვე ლომკითაა¹ დამახინჯებული.

მოპარული საქონლით მოვაჭრეების სპეციფიკას თუ გავითვალისწინებთ, თვალსაჩინო ხდება, რომ ნარკომანმა საკუთარი ცხოვრების წესის შესანარჩუნებლად უზარმაზარი რაოდენობის დანაშაული უნდა ჩაიდინოს. მოპარული პროდუქციის გამყიდველები (გადამყიდველები) შესყიდვისას პროდუქტის საბაზრო ღირებულების მხოლოდ 20%-ს ან ნაკლებს იხდიან. შესაბამისად, ნარკომანმა ნარკოტიკების საყიდლად წლიური 35,000\$-ის მოსაპოვებლად ამ რაოდენობაზე დაახლოებით 5-ჯერ მეტი უნდა მოიპაროს (თითქმის 200,000\$ წელიწადში). თუ წლიურ 200,000\$-ს, საშუალო შეფასებით, 10,000 ნიუ-იორკელ ნარკომანზე გადავამრავლებთ, მართო ამ ქალაქში ნარკომანების მიერ ჩადენილი დანაშაულების ჯამური „ღირებულება“ 20\$ მილიარდს მიაღწევს.

¹ ალკვეთის სინდრომი – რედაქტორის შენიშვნა.

ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რამდენადაა ეს დანაშაულები არა ჰეროინზე დამოკიდებულების, არამედ ჰეროინის აკრძალვის შედეგი. ფასს ასტრონომიულად სწორედ აკრძალვა ზრდის, ეს კი, თავის მხრივ, ნარკომანს კრიმინალური და ძალადობრივი ცხოვრების გზაზე დადგომას აიძულებს, რაც მისი ან მისი მსხვერპლის სიკვდილით სრულდება ხოლმე.

ამ მოსაზრების განსამტკიცებლად ექიმების ის მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი ჯგუფი განვიხილოთ, რომლებიც ჰეროინზე წვდომის ქონის გამო თავად გახდნენ მომხმარებლები. ვინაიდან მათთვის ჰეროინის წყარო ლეგალურია, მათ მიერ გადახდილი ფასი მავნებლური აკრძალვებით არაა გაზრდილი. მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთი სხვაობის გამო, მათი ცხოვრება „ნორმალური“, შედეგიანი და სავსეა. მათ რომ ჰეროინზე დამოკიდებულების ნაცვლად დიაბეტი ჰქონდეთ და ინსულინი სჭირდებოდეთ, ეკონომიკური თვალსაზრისით ცხოვრება დრამატულად არ შეეცვლებოდათ. ორივე დამოკიდებულების შემთხვევაში ამ ექიმებს მაინც შეეძლებოდათ პროფესიულად ფუნქციონირება, მაგრამ თუ მათ მოულოდნელად ჰეროინის მიწოდების წყარო შეუწყდებოდათ (ან თუ ინსულინს უცაბედად კანონით აკრძალავდნენ), ეს ექიმები ბარიგების მოწყალეებაზე იქნებოდნენ დამოკიდებულნი, ვერც შეძენილი ნარკოტიკების ხარისხს შეამოწმებდნენ და იძულებულნი გახდებოდნენ, მიწოდების შესანარჩუნებლად გადაჭარბებული ფასები ეხადათ. ამ შეცვლილი პირობებით ნარკოდამოკიდებული ექიმების პოზიცია საკმაოდ გართულდებოდა, თუმცა არა – კატასტროფულად, ვინაიდან ამ პროფესიონალებს ცხოვრების არჩეული სტილის შესანარჩუნებლად მაინც შეეძლებოდათ წლიური 35,000\$-ის გადახდა. მაგრამ ამ უპირატესობების უქონელ, სიღარიბეში მცხოვრებ, გაუნათლებელ ნარკომანებს რა ეშველებათ?

ჰეროინის გამყიდველის ფუნქცია, მიუხედავად მისი ამ სფეროში მუშაობის მოტივებისა, ნარკოტიკის ფასის შემცირებაა. ყოველ ჯერზე, როდესაც ინდუსტრიას ჰეროინის რამდენიმე ბარიგა ემატება, ფასი იკლებს. შესაბამისად, ყოველ ჯერზე, როდესაც ჰეროინის ბარიგების რაოდენობა მცირდება (შიშის ან კანონის ძალის გამო), ფასიც იმატებს. რადგან ნარკომანის მდგომარეობაზე ან მის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისმგებლობა არა ჰეროინის გაყიდვას ან მოხმარებას, არამედ აკრძალვით გამონეულ მაღალ ფასს

ეკისრება, გამოდის, რომ ჰეროინის ფასის შემამცირებელი ყოველი ქმედება ამსუბუქებს პრობლემას. თუ პრობლემა ნარკოტიკის მაღალი ფასია, ფასის შემცირება გამოსავლად უნდა მივიჩნიოთ.

ნარკოტიკების ფასის შემცირებაში კრიტიკულ როლს სწორედ ნარკორეალიზატორი ასრულებს, ხოლო ფასების ზრდაზე „კანონისა და წესრიგის“ დამცველები არიან პასუხისმგებელნი, რადგან რეალიზატორების საქმიანობაში ერევიან და მათ ხელს უშლიან. შესაბამისად, რეალური გმირი შეურაცხყოფილი ბარიგა გახლავთ და არა საყოველთაო სიყვარულის ობიექტი – ნარკოტიკებთან ბრძოლის დეპარტამენტის ოფიცერი.

ჰეროინის ლეგალიზაციაზე უარს ცივილიზაციის დეგრადაციისა და პროგრესის შეფერხების შიშის გამო ამბობენ. ხშირად იშველიებენ მაგალითებად მძიმე ნარკოტიკების ბრიტანულ და ჩინურ გამოცდილებას. წესით, ამ დროს თვალწინ უნდა გვიდგებოდეს ნარკოტიკებით ჭკუადაკარგული ხალხით მიმოფენილი ქუჩები. ეს არგუმენტი გულისხმობს, რომ ნებისმიერი რამ, რაც ხელს უშლის პროგრესს, მაგალითად, ჰეროინის ფართო მოხმარება, უნდა აიკრძალოს. თუმცა სხვა რაღაცებიც ხომ არსებობს, რაც აფერხებს პროგრესის უწყვეტობას, თუმცა ამის მიუხედავად, ადამიანთა უმეტესობა მას არც დათმობდა?! მაგალითად – მოცალეობა, უქმად ყოფნა. დასაქმებულებს სამუშაო წლის 90% შვებულებაში ყოფნა რომ შეეძლოთ, „პროგრესი“ ნამდვილად შეფერხდებოდა. მაშ, ხანგრძლივი შვებულებებიც უნდა ავკრძალოთ? ცოტა რთული იქნებოდა. უფრო მეტიც, ჰეროინის არსებული აკრძალვა ნარკოტიკზე წვდომას არ აქრობს. ადრე ნარკოტიკები თუ მხოლოდ გეტოებში იყო ხელმისაწვდომი, დღეს მათი შეძენა მდიდარი გარეუბნების ქუჩის კუთხეებსა და სკოლის ეზოებშიც კია შესაძლებელი.

ნარკოტიკების ჩინურ გამოცდილებას რაც ეხება, ჩინელი ვაჭრები იძულებულნი იყვნენ, რომ „საბრძოლო გემების დიპლომატიის“ ზენოლის გამო ოპიუმით ევაჭრათ. დამოკიდებულების გამომწვევი ნარკოტიკების ლეგალიზაცია ინდივიდებს ვერანაირად აიძულებს, დამოკიდებულნი გახდნენ. პირიქით, ჰეროინის აკრძალვის გასაუქმებელი პოზიციის ძირითადი არგუმენტი ძალადობის აღმოფხვრაა.

ბრიტანული გამოცდილების გახსენებისას (ნარკოტიკები ლეგალურად იყო ხელმისაწვდომი დაბალ ფასად, ექიმის ან ლიცენზირებული

კლინიკის მეშვეობით) არგუმენტი ისაა, რომ იაფი და ხელმისაწვდომი ნარკოტიკის პროგრამის დაწყების შემდეგ ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, თუმცა ეს ზრდა სტატისტიკური არტეფაქტია. ვინაიდან ნარკომანია აკრძალული და დასჯადი სფერო იყო, ადამიანთა დიდი ნაწილი თავსაც იკავებდა ნარკოდამოკიდებულად იდენტიფიცირებისგან, ხოლო როდესაც დამოკიდებულება – ლეგალური, ხოლო იაფფასიანი ნარკოტიკები ხელმისაწვდომი გახდა, ბუნებრივია, სტატისტიკა გაიზარდა. ბრიტანული მთავრობის ჯანდაცვის მომსახურება ნარკოტიკებს მხოლოდ სერტიფიცირებულ ნარკომანებს აძლევდა. მართლაც გასაოცარი იქნებოდა, ამ პირობებში დამოკიდებულთა რეალური რაოდენობა რომ გაზრდილიყო.

აღრიცხულ ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობის ზრდის კიდევ ერთი წყარო გაერთიანებულ სამეფოში თანამეგობრობის ქვეყნებიდან მიგრაციაც გახლდათ. ამ უცაბედ იმიგრაციას შესაძლოა დროებითი პრობლემები გამოენვია, თუმცა ბრიტანული გეგმის ნაკლად ნამდვილად ვერ განვიხილავთ. პირიქით, მიღებული შედეგი პროგრამის შორსმჭვრეტელობისა და პროგრესულობის თვალსაჩინო საბუთია. ნარკომომხმარებელთა რაოდენობის ზრდაში ამ პროგრამის დადანაშაულება იგივეა, რაც ექიმ ქრისტიან ბერნარდის (პირველი ექიმი, რომელმაც გულის გადანერგვის ოპერაცია ჩაატარა) დადანაშაულება სამხრეთ აფრიკელთა შორის გულის ოპერაციის მსურველთა რაოდენობის ზრდაში.

საბოლოოდ, ჰეროინზე დამოკიდებულება შესაძლოა მართლაც უპირობო ბოროტება იყოს, რომელსაც სოციალურად არაფერი ამართლებს, მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამ ბოროტების სააშკარაოზე გამოტანის მცდელობებს მხოლოდ ტაშით უნდა ვეგებებოდეთ. თუმცა ჰეროინისა და სხვა განსაკუთრებით მძიმე ნარკოტიკების არსებული აკრძალვა არავითარ სასარგებლო მიზანს არ ემსახურება. მას მხოლოდ უამრავი ტკივილი და სოციალური ძვრები მოსდევს. ამ მავნებლური კანონის დაცვის მცდელობებში ნარკოტიკებთან მეზრძოლი სამართალდამცავები მხოლოდ ზრდიან ფასებს და ამით ტრაგედიას კიდევ უფრო ამძიმებენ. დიდი პიროვნული რისკის მიუხედავად, ფასების შემცირებისათვის გაწეული შრომით, ჰეროინის ბარიგა მხოლოდ იცავს სიცოცხლეებს და ოდნავ მაინც ამსუბუქებს საყოველთაო ტრაგედიას.



5.

ნარკომანი

ჰეროინზე დამოკიდებულების ბოროტებებზე ცხარე კამათის პარალელურად, კარგი იქნება ამ ძველ ანდაზასაც დავუგდოთ ყური: „მედალს ორი მხარე აქვსო“. თან, ისიც ხომ აღსანიშნავია, რომ როდესაც თითქმის ყველა ადამიანი ერთ აზრზეა და გააფთრებით გმობს რაღაცას (კონკრეტულად კი, ჰეროინზე დამოკიდებულებას), შეგვიძლია დავუშვათ, რომ ამ რაღაცის გასამართლებლად სათქმელი ერთი რამ მაინც იარსებებს. კაცობრიობის ხანგრძლივი და კამათით გაჟღენთილი ისტორიის განმავლობაში, უმრავლესობის აზრი უმრავლეს შემთხვევაში მცდარი იყო ხოლმე.

მეორე მხრივ, ისინიც კი, ვინც უმრავლესობის აზრს იზიარებენ, ამ აზრზე განხორციელებულ იერიშებს კეთილგანწყობითაც კი უნდა ხვდებოდნენ. უტილიტარისტ ჯონ სტიუარტ მილის თანახმად, ცხოვრებისეული ჭეშმარიტებების სწავლის საუკეთესო გზა სანი-

ნააღმდეგო აზრის მოსმენაა. დაე, თქვენი პოზიცია ეჭვქვეშ დააყენონ და დაე, ეს გამოწვევა წარუმატებლად დასრულდეს. მილის აზრით, ეს მეთოდი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თუ ჩვენს პოზიციას არავინ ეწინააღმდეგება, მაშინ ასეთი საწინააღმდეგო პოზიცია თავად უნდა გამოვიგონოთ და მაქსიმალურად დამაჯერებლად წარმოვადგინოთ. შესაბამისად, ჰეროინზე დამოკიდებულების აბსოლუტური ბოროტების მორწმუნეები მონადინებულნი უნდა იყვნენ, ამ აზრის დამადასტურებელი არგუმენტებიც მოისმინონ.

ნარკოდამოკიდებულების ფენომენს ინდივიდუალისტურად, შინაგანი ხედვის კუთხიდან შევხედოთ. ანუ, დავუშვათ, რომ სოციალური ან ინტერპერსონალური პრობლემები – საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ნარკომანის კრიმინალურ აქტივობებში ჩასართავად აუცილებელი პირობები – მოხსნილია. ეს ნარკოტიკების აკრძალვით გამოწვეული კანონის შედეგია და, შესაბამისად, უშუალოდ ნარკოტიკის მოხმარების პრობლემის მიღმაა, გარეგანი ფაქტორია. დამოკიდებულების ის შინაგანი პრობლემები, რომლებსაც ნარკოდამოკიდებულები ეჩეხებიან, სულ სხვა პრობლემებია.

თუ ვისაუბრებთ ნარკომანიის იმ პრობლემებზე, რომელიც სოციუმთან არაფრითაა დაკავშირებული, პირველ ადგილს ის ბრალდება დაიკავებს, რომ დამოკიდებულება სიცოცხლის ხანგრძლივობას ამცირებს. შემცირებული წლების ნაგარაუდები რიცხვი ნარკომანის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ბრალმდებლის პესიმიზმ-ოპტიმიზმის მიხედვით იცვლება და 10-დან 40 წლამდე მერყეობს. ეს შემცირება, ცხადია, სამწუხარო ამბავია, თუმცა ნარკომანიის ეფექტიან კრიტიკას ძნელად თუ წარმოადგენს და ნამდვილად არ ამართლებს ჰეროინის გამოყენების აკრძალვას.

ეს „არგუმენტი“ აკრძალვას იმიტომ ვერ ამართლებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდის გადასაწყვეტია, როგორი ცხოვრება სურს – მისი წარმოსახვით სასიამოვნო აქტივობებით სავსე ხანმოკლე ცხოვრება თუ მსგავსი სიამოვნებების არმქონე, მაგრამ – ხანგრძლივი. ვინაიდან მსგავსი გადაწყვეტილებების შესაფასებელი ობიექტური კრიტერიუმები არ არსებობს, ამ სპექტრზე არსებულ ვერც ერთ გადაწყვეტილებას ვერ შევაფასებთ ირაციონალურად. ვილაცამ შეიძლება ალკოჰოლზე, თამბაქოზე, აზარტულ თამაშებზე, სექსზე, მოგზაურობაზე, ქუჩის გადაკვეთაზე, ცხარე კამათზე ან

დამღლელ ვარჯიშზე უარის თქმით ცხოვრების გახანგრძლივება აირჩიოს ანდა შეუძლია თითოეული ამ აქტივობით დახუნძლული, მაგრამ ხანმოკლე ცხოვრებით იცხოვროს.

დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ წამოჭრილი კიდევ ერთი არგუმენტი იმას ქადაგებს, რომ დამოკიდებულება ნარკომანებს საკუთარი პასუხისმგებლობების შესრულებაში უშლის ხელს. ამ არგუმენტის საილუსტრაციოდ სცენაზე ნარკომანი მამა გამოჰყავთ ხოლმე. ის მუდმივად ჰეროინის კაიფშია და ვერ ასრულებს ოჯახის წინაშე დაკისრებულ ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. დავუშვათ, რომ ასეცაა და ნარკომანი მამა მართლაც უუნაროა. ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ჰეროინის მოხმარება და გაყიდვა აკრძალული უნდა იყოს. უაზრობაა რაიმეს იმ არგუმენტით აკრძალვა, რომ ამით ვიღაცებს ხელი ეშლებათ კონკრეტული სახით ფუნქციონირებაში. რატომ ვზღუდავთ ასეთი პასუხისმგებლობების არმქონე ან ამ პასუხისმგებლობების მაინც წარმატებით შემსრულებელ მოსახლეობას? ამ მიზეზით ჰეროინის აკრძალვა რომ სწორი იყოს, იმავე მიზეზით აზარტული თამაშების, სმის, მონევის, მანქანის ტარების, თვითმფრინავით მგზავრობის და სხვა სახიფათო ან პოტენციურად სახიფათო აქტივობების შეზღუდვაც სწორი იქნებოდა, თუმცა ამ ჩამონათვალის აკრძალვის აბსურდულობაზე ნამდვილად ვთანხმდებით.

მაშ, ჰეროინი ზოგისთვის ლეგალური უნდა იყოს და იმათთვის, ვინც დამოკიდებულების გამო თავს არიდებს ან ვერ ასრულებს საკუთარ პასუხისმგებლობებს – აკრძალული? ცხადია, არა. მაგალითი რომ გავაგრძელოთ, როდესაც კაცს ცოლი მოჰყავს, ვალდებული ხომ არ ხდება, რომ ამიერიდან ყველა პოტენციურად სახიფათო საქმიანობაზე უარი თქვას? ბოლოს და ბოლოს, საქორწინო კონტრაქტი მონური კონტრაქტი ხომ არაა? საქორწინო კონტრაქტი არ ზღუდავს პარტნიორის მონაწილეობას ისეთ აქტივობებში, რომლებიც მეორეს შეიძლება არ მოსწონდეს. პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ხალხს ზოგჯერ ჩოგბურთის თამაშისას არტყამს გული, მაგრამ თავშიც კი არავის მოსდის, პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობის მქონე ადამიანებს სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა ავუკრძალოთ.

ნარკოტიკებზე დამოკიდებულების საწინააღმდეგო კიდევ ერთი არგუმენტი ამტკიცებს, რომ მომხმარებლები ჯგუფურად არაპრო-

დუქტიულები ხდებიან და ამცირებენ მეპ-ს¹ – სწორედ ეს ეკონომიკური კოეფიციენტი ასახავს მთლიანი ქვეყნის კეთილდღეობას. ანუ, არგუმენტის მიხედვით, ნარკომანები ქვეყანას ვნებენ.

ეს არგუმენტი ფარისევლურია, ვინაიდან ქვეყნის კეთილდღეობას უფრო მნიშვნელოვან ცნებად განიხილავს, ვიდრე ნარკო-დამოკიდებულის კეთილდღეობას. ამ არგუმენტის ლოგიკას რომც ვენდოთ, საკუთარი წესებითაც კი არადამაჯერებელია, ვინაიდან მეპ-ისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ერთმანეთთან გაიგივებას ცდილობს. ეს ტოლობა კი ცალსახად მცდარია. მაგალითად, მეპ-ი სახელმწიფოს მიერ გაწეულ ყველა ხარჯს ქვეყნის კეთილდღეობაში წვლილის შემტანად განიხილავს, როდესაც რეალურად ასე არაა. მეპ-ი საერთოდ არ ითვალისწინებს დიასახლისების მიერ სახლებში გაწეულ სამუშაოს. მეტიც, სრულიად არასწორად განმარტავს მოცალეობის ეკონომიკურ სტატუსს, თავისუფალი დროის მნიშვნელობას ადამიანის კეთილდღეობაში. ეკონომიკური კეთილდღეობის ნებისმიერი შეფასება მოცალეობას რაიმე ღირებულებას უნდა აწერდეს, თუმცა მეპ-ი ასე არ იქცევა. მაგალითად, ისეთი სისტემა რომ გამოვიგონოთ და დავნერგოთ ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც საშუალებას მოგვცემს, პირდაპირ გავაორმაგოთ საკუთარი ნაწარმოები სერვისები ან პროდუქცია, მეპ-იც მყისიერად გაორმაგდება, მაგრამ ხალხმა რომ ეს გამოგონება სამუშაო დღის გასანახევრებლად და სტანდარტული წარმოების შესანარჩუნებლად გამოიყენოს, მეპ-ი იოტის ოდენადაც არ შეიცვლება.

მართალია, პეროინზე დამოკიდებულება გაზრდილ მოცალეობას განაპირობებს, რაც მეპ-ის შემცირებასაც გამოიწვევს, მაგრამ მოცალეობის სხვა მიზეზით გამოწვეულ ზრდასაც იგივე ეფექტი ექნებოდა. შესაბამისად, თუ ამ მიზეზით ვგმოთ ნარკოდამოკიდებულებას, ასევე უნდა დავგმოთ სასიამოვნო შვებულებები, პოეტური მსჯელობები და ტყეში სეირნობა. დასაგმობი აქტივობების სია უსასრულო იქნება. არაფერი დასაგმობი არაა იმაში, რომ საკუთარი დოვლათის ზრდა საკუთარივე უქმად ყოფნის პერიოდების ზრდისთვის გამოვიყენოთ, ხოლო შედეგად თუ მეპ-ი შემცირდება, თავშიც ქვა უხლია.

¹ მთლიანი ეროვნული პროდუქტი – ერთი წლის მანძილზე ამა თუ იმ ქვეყნის რეზიდენტების მიერ წარმოებული პროდუქციის და სერვისების საბაზრო ღირებულება. განსხვავდება მშპ-სგან – რედაქტორის შენიშვნა.

საბოლოოდ, არანაირად არაა ცხადი, აუცილებლად ამცირებს თუ არა ნარკოდამოკიდებულება ეკონომიკურ აქტივობას. ნარკოდამოკიდებულთა ქცევის შესახებ არსებული ინფორმაციის უმეტესობა იმ კვლევებიდან მოდის, რომლებშიც უკვე აკრძალული ჰქონიდა გამო, უსაშველოდ გაზრდილი ფასის პირობებში, ნარკოდამოკიდებულები დროის დიდ ნაწილს მოზრდილი თანხის მტანჯველ ძიებაში ხარჯავენ. მათ არ შეუძლიათ ტრადიციული სამსახურების შენარჩუნება, ვინაიდან მათი დროის დიდი ნაწილი ძარცვას, მკვლელობასა თუ პროსტიტუციას მიაქვს. ვინაიდან ამ მომენტში დამოკიდებულებით გამოწვეულ არა სოციალურ, არამედ პიროვნულ პრობლემაზე ვართ კონცენტრირებულნი, ამ ხალხზე დაკვირვებით მიღებული მტკიცებულებები სადისკუსიოდ არარელევანტურია. თუ გვინდა ვნახოთ, როგორ იქცევა ის ნარკომანი, რომელსაც კანონი პროდუქტიულობას არ უზღუდავს, იმ იშვიათ ნარკომანებს უნდა მივუბრუნდეთ, რომელთაც საკმარისად გაუმართლათ და იაფი ჰეროინის სტაბილური წყარო გააჩნიათ.

ასეთი ჯგუფი კი ძირითადად ექიმებისგან შედგება, რომელთაც შეუძლიათ, რეცეპტების გამოწერის ძალაუფლება ნარკოტიკის სტაბილურ წყაროდ გამოიყენონ. ამ მცირე ჯგუფზე დაყრდნობით მიღებული მწირი მტკიცებულებები მიგვანიშნებს, რომ ჰეროინის აკრძალვით გამოწვეული ძალადობისგან თავისუფალ ნარკომომხმარებლებს საკმაოდ ადეკვატურად შეუძლიათ ჩვეულებრივი და პროდუქტიული ცხოვრების წესით ცხოვრება. ეს ექიმები იმდენადვე ადეკვატურ სერვისს გვანვდიან, როგორსაც სხვა ექიმები. ისინი ახერხებენ საკუთარ სფეროში უახლესი განვითარებების შესახებ საქმის კურსში ყოფნას, საკუთარ პაციენტებთან წესიერი ურთიერთობების შენარჩუნებასა და ყველა მნიშვნელოვან ასპექტში სხვა ექიმების მსგავსად ფუნქციონირებას.

ჰეროინი ლეგალურიც რომ იყოს, ნარკომანებს მაინც ექნებოდათ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პერსონალური პრობლემები: აკრძალვის შესაძლო განახლების მუდმივი შიში და ნარკოტიკის მიღების შემდგომი შედარებითი კატატონური მდგომარეობა. ზედოზირების საფრთხეც იარსებებდა, თუმცა ლეგალურობის პირობებში – შემცირებული, ვინაიდან ნარკოტიკის მოხმარება ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მოხდებოდა. შესაძლოა, დრომოჭმული აკრძალვი-

თი დამოკიდებულების ნარჩენი განწყობებიც შემორჩენილიყო და ნარკოდამოკიდებულთა მიმართ ცუდ წინასწარგანწყობაში გამოვლენილიყო.

მთავარი აზრი ის არაა, რომ ნარკომანებს ლეგალიზაციის პირობებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები აღარ ექნებათ. სპეციფიკურ ინტერესებს სპეციფიკური პრობლემები მუდამ ახლავს თან: მევიოლინეებს ყოველთვის ეშინიათ თითების დაზიანების, ხოლო ბალერინებს – ფეხის ტკენის. ჰეროინზე დამოკიდებულება თავისთავადი ბოროტება არაა. ლეგალიზაციის პირობებში ნარკოდამოკიდებულებს მხოლოდ საკუთარი თავისთვის შეეძლება რაიმეს დაშავება. მუდამ იარსებებენ ისეთები, ვისაც ამ თემაზე საკუთარი აზრის გამოთქმა, სხვების განათლება და მოხმარების დაგმობა მოუწდება, თუმცა მოხმარების აკრძალვა მოხმარების მსურველთა უფლებების ცალსახა შელახვაა.

ნაწილი მეორე

სიტყვის
თავისუფლება

**ეს წყეული შანტაჟისტები
ისე მომრავლდნენ,
კაცს კანონი ველარ დაგირღვევია!**



6.

შანტაჟისტი

ერთი შეხედვით, შეკითხვა „შანტაჟი მართლა არ მოსულა?“ რთული საპასუხო არაა. წესით, ამ კითხვაზე ბუნებრივი რეაქცია იქნება „საერთოდ რატომ ისმება ეს შეკითხვა?“-ო. მაგაზე უარესი რა შეიძლება იყოს? შანტაჟისტები ნადირობენ ადამიანების ბნელ, დამალულ საიდუმლოებებზე და მათი გამოაშკარავებითა და გასაჯაროებით იმუქრებიან. ისინი სისხლს უშრობენ საკუთარ მსხვერპლებს და, ხშირად, თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავთ ისინი.

თუმცა მალევე აღმოვაჩენთ, რომ შანტაჟისტის წინააღმდეგ შეკერილი საქმე სერიოზულ ანალიზს ვერ უძლებს. ის გადაუმოწმებელ წინასწარგანწყობებსა და ღრმა ფილოსოფიურ გაუგებრობებზეა დაფუძნებული.

ზუსტად რა არის შანტაჟი? შანტაჟი ვაჭრობის შეთავაზებაა. ჩვეულებისამებრ, ერთი მხარე დუმილს სთავაზობს მეორე მხარეს,

უმეტესად – ფულის სანაცვლოდ. თუ ვაჭრობის შეთავაზებას დათანხმდებიან, შანტაჟისტი დუმილს განაგრძობს, ხოლო დაშანტაჟებული წინასწარ შეთანხმებულ ფასს იხდის. თუ ვაჭრობის შეთავაზებაზე უარს იტყვიან, შანტაჟისტს საკუთარი სიტყვის თავისუფლების გამოყენება და საიდუმლოს გამხელა შეეძლება. უადგილო არც არაფერი მომხდარა. ერთადერთი, რაც ხდება, დუმილის ყიდვის შეთავაზებაა. ამ შეთავაზების უარყოფის შედეგად შანტაჟისტი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ სიტყვის თავისუფლებას იყენებს.

ჭორიკანასა და შანტაჟისტს შორის ერთადერთი განსხვავებაა – თუ გადაუხდი, შანტაჟისტი ლაპარაკისგან თავს შეიკავებს. ამ გაგებით, ჭორობა შანტაჟზე გაცილებით უარესია, შანტაჟისტი მსხვერპლს იმის საშუალებას მაინც უტოვებს, რომ მისი დუმილი იყიდონ. ჭორიკანა კი საიდუმლოს გაფრთხილების გარეშე ამხელს. მსხვერპლს რომ არჩევანი ჰქონდეს, საქმის დაჭერა შანტაჟისტთან უფრო არ ენდომებოდა, ვიდრე ჭორიკანასთან? ამ უკანასკნელთან ყველაფერი წაგებულია, შანტაჟისტთან კი ვაჭრობა შეიძლება ან, მინიმუმ, ჭორის გავრცელებაზე უარეს სიტუაციაში ველარ მოხვდები. შანტაჟისტის მიერ მოთხოვნილი თანხა თუ საიდუმლოზე იაფი ღირს, მესაიდუმლე გადაუხდის კიდევ შანტაჟისტს – ორ ბოროტებას შორის ნაკლებს აირჩევს. შესაბამისად, იხიერებს საიდუმლოს ფასსა და შანტაჟში გადახდილი ფულის სხვაობის ოდენობით. როდესაც შანტაჟისტი საიდუმლოს ფასზე მეტს ითხოვს, მის მოთხოვნას არ შეასრულებენ და ინფორმაცია გასაჯაროვდება. თუმცა ამ შემთხვევაში მსხვერპლი იმაზე ცუდ მდგომარეობაში არ ვარდება, ვიდრე გამოუსწორებელი ჭორიკანას „ყბაში ჩავარდნის“ შემთხვევაში იქნებოდა. ასე თუ შევხედავთ, ჭორიკანასთან შედარებით შანტაჟისტის ბოროტმოქმედად შერაცხვა მართლაც რთულია. ჭორიკანას კი ძირითადად მხოლოდ მსუბუქი უპატივცემულობა და თავხედობა ბრალდება ხოლმე.

შანტაჟისთვის აუცილებელი არაა დუმილის სანაცვლოდ მაინც და მაინც ფულის მოთხოვნა. ეს უბრალოდ ყველაზე ცნობილი ფორმაა. შანტაჟის განმარტება ამ „პროდუქტების“ მოუხმარებლადაც შეგვიძლია. ზოგადი ტერმინებით რომ განვმარტოთ, შანტაჟი კონკრეტული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისეთი ნებისმიერი რალაცის ჩადენის მუქარაა, რაც თავისთავად უკანონო არაა.

საჯარო სივრცეში შანტაჟად ბევრი ქმედება კვალიფიცირდება, თუმცა აუგად მონათვლის ნაცვლად, ხშირად პატივსაცემ სტატუსს იძენს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ მომხდარი „სალათის ფურცლების ბოიკოტი“¹ შანტაჟის ფორმაა. სალათის ფურცლების ბოიკოტის განმავლობაში (და სხვა ბოიკოტების დროსაც) ხილისა და ბოსტნეულის გადამყიდველებისა და ბითუმად მოვაჭრეთა წინააღმდეგ მუქარები გაჟღერდა. არაპროფკავშირული სალათის ფურცლებით ვაჭრობის შემთხვევაში, ბოიკოტის მონაწილეთა მუქარის თანახმად, ხალხს მათთან ვაჭრობის შეწყვეტისკენ მოუწოდებდნენ. ეს ფაქტი მშვენივრად მიესადაგება განმარტებას: ეს იყო მუქარა, რომ კონკრეტული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში „რალაც“ მოხდებოდა.

შანტაჟის დროს გამოყენებულ მუქარებს რა ფუყოთ? სავარაუდოდ, ეს ასპექტია შანტაჟის ყველაზე ცუდად აღქმული და შემაშინებელი ნაწილი. ერთი შეხედვით, უნდა ვთანხმდებოდეთ, რომ მუქარა ამორალურია. მაგალითად, აგრესიის წინააღმდეგი ძირითადი იმპერატივი არა მხოლოდ უშუალო აგრესიის, არამედ აგრესიის მუქარასაც გმობს. როდესაც ყაჩაღი მოგზაურს გამოიჭერს, როგორც წესი, მორჩილების გამოსანვევად მხოლოდ აგრესიის მუქარაც საკმარისია.

დაუფიქრდით მუქარის ბუნებას. როდესაც მუქარა აგრესიულ ძალადობას გულისხმობს, იგი დასაგმობია. არცერთ ინდივიდს არ აქვს სხვის მიმართ აგრესიული ძალადობის წამოწყების უფლება. თუმცა შანტაჟის დროს რასაც „იმუქრებიან“, ამის უფლება შანტაჟისტს აქვს კიდევ! საუბარია საკუთარი სიტყვის თავისუფლებით სარგებლობაზე, კონკრეტული მაღაზიების ბოიკოტზე ან სხვათა დარწმუნებაზე, რომ ასე მოიქცნენ. თუ დამუქრებული ქმედება თავისთავად უკანონო არაა, შესაბამისად, მუქარასაც ვერ დავუძახებთ უკანონოს.

შანტაჟი არაკანონიერი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ შანტაჟისტსა და მსხვერპლს შორის წინასწარ არსებულ ურთიერთობას

¹ 1970 წლის 23 აგვისტოს აშშ-ში სალათის ფურცლების ბოიკოტი (The Salad Bowl strike) დაიწყო, სადაც ფერმერთა პროფკავშირი United Farm Workers მოუწოდებდა მომხმარებელს მხოლოდ ამ პროფკავშირის წევრების მიერ მოყვანილი სალათის ფურცლები ეყიდათ და ბოიკოტი გამოეცხადებინათ სხვა პროფკავშირში გაწევრიანებული ფერმერების პროდუქციაზე. ბოიკოტი 1971 წლის 26 მარტს დასრულდა პროფკავშირების შეთანხმებით – რედაქტორის შენიშვნა.

უტეხს პირს. მესაიდუმლეს შეიძლება ადვოკატი ან კერძო გამომძიებელი ჰყავდა დაქირავებული იმ პირობით, რომ მათთვის განდობილ ინფორმაციას არ გაასაჯაროებდნენ. თუ ადვოკატი ან კერძო გამომძიებელი დამქირავებლის შანტაჟს დააპირებს, ეს კონტრაქტის დარღვევა იქნება და შესაბამისად – უკანონოა. თუმცა თუ საიდუმლო ისეთ გარე პირს უპყრია ხელთ, რომელსაც კონტრაქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობები არ აკისრია, მაშინ მისი დუმილის „გაყიდვის“ შეთავაზებაც კანონიერია.

საპირისპირო მოსაზრების მიუხედავად, აქტივობის კანონიერებასთან ერთად, შანტაჟს დადებითი ეფექტებიც აქვს. „ბადეში გამოჭერილი“ ზოგიერთი უდანაშაულო მსხვერპლის გარდა, ვისზე ნადირობს შანტაჟისტი? ძირითადად, ორ ჯგუფზე. ერთი ჯგუფი კრიმინალებისგან შედგება: მკვლელების, ქურდების, თაღლითების, გამფლანგველების, მოღალატეების, მოძალადეების და ა.შ. მეორე ჯგუფი კი იმ ხალხისგან, რომლებიც თავისთავად კანონიერ აქტივობებში მონაწილეობენ, თუმცა მათი ქცევა უმრავლესობის მიერ მორალური ზნე-ჩვეულებების საწინააღმდეგოდაა მიჩნეული: ჰომოსექსუალები, სადომაზოხისტები, სექსუალურად გარყვნილები, კომუნისტები, მრუშები და ა.შ. შანტაჟის ინსტიტუტს ამ ჯგუფებზე განსხვავებული, თუმცა დადებითი შედეგები აქვს.

კრიმინალების შემთხვევაში შანტაჟი ანდა შანტაჟის მუქარა დაბრკოლებად მუშაობს. ის ზრდის კრიმინალური აქტივობის რისკებს. რამდენი ანონიმური ინფორმაცია მიუღია პოლიციას – ხშირად შეუფასებლად მნიშვნელოვანიც – რომლის კვალზე გაყოლა პირდაპირი თუ ირიბი გზით შანტაჟამდე მიგვიყვანს? რამდენი კრიმინალია იძულებული, რომ დანაშაული მარტომ ჩაიდინოს და უარი თქვას სხვა კრიმინალების დახმარებაზე ისეთი საქმეების გაკეთებისას, რომლებიც თანამშრომლობას მოითხოვს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შანტაჟის ეშინია? საბოლოოდ, არსებობენ ინდივიდები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის პირას ან „კრიმინალის ზღვართან“ (როგორც ეკონომისტები ეძახიან) არიან: იქ, სადაც უმცირეს დეტალსაც შეუძლია ან ერთი, ან მეორე გზისკენ უბიძგოს ადამიანს. შანტაჟის შიში შესაძლოა ის დამატებითი დაბრკოლება იყოს, რომელიც მათ კრიმინალზე უარს ათქმევინებს.

შანტაჟი რომ ლეგალური იყოს, ცალსახად უფრო ეფექტიანი

დაბრკოლება გახდებოდა. ლეგალიზაცია აუცილებლად გაზრდიდა შანტაჟის შემთხვევებს, რასაც კრიმინალური კლასის შემცირება მოჰყვებოდა.

ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ დანაშაულების რაოდენობას არა გათვალისწინებული სასჯელი, არამედ დაჭერის გარდაუვალობა ამცირებს. სიკვდილით დასჯის ამჟამინდელ დებატებში ამ წინააღმდეგობას ხშირად იყენებენ, თუმცა საკმარისი იქნება იმის ხაზგასმაც, რომ შანტაჟის ინსტიტუტი ორივე საქმეს აკეთებს. ის ერთდროულად ზრდის დანაშაულთან ასოცირებულ ზარალს (ვინაიდან დამნაშავეს უწევს, მოგების ნაწილი შანტაჟისტს გაუნაწილოს) და ზრდის დაჭერის ალბათობას, ვინაიდან საპოლიციო ძალას, რიგით მოქალაქეებს, ვიჯილანტე ჯგუფებსა და სხვა ანტიკრიმინალურ ერთეულებს შანტაჟისტებიც ემატებიან. შანტაჟისტებს, რომლებიც კრიმინალურ სამყაროში ხშირად კარგ პოზიციებზე არიან, დანაშაულების „გასაფუჭებლად“ ხელსაყრელი პირობები აქვთ. მათი „შინაურული“ სტატუსი ჩანერგილი ჯაშუშებისა და მზვერავების სტატუსებზე მაღალიც კია. შესაბამისად, შანტაჟის ლეგალიზაციას შეუძლია, კრიმინალთან მებრძოლ ძალებს უპირატესობები შესძინოს, დანაშაულის საწინააღმდეგო ორი ძირითადი „დევიზის“ ერთდროულად გამოყენებით: „დაყავი და იბატონე“ და „ყაჩაღთა შორის ღირსება არად ფასობს“. ცხადი უნდა იყოს, რომ შანტაჟის ლეგალიზაციას ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ექნება – კრიმინალის, ოღონდ ნამდვილი კრიმინალის, შემცირება.

შანტაჟის ლეგალიზაციას ასევე დადებითი შედეგი ექნება იმ არააგრესიულ ქმედებებზე, რომლებიც საზოგადოების, როგორც მთლიანის, ზნე-ჩვეულებებისგან განსხვავდება. ამ ქმედებებზე შანტაჟს გამათავისუფლებელი შედეგი ექნება. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში ჰომოსექსუალობა ტექნიკურად „უკანონო“, თუმცა არაკრიმინალური ქცევაა, ვინაიდან აგრესიას არ მოიაზრებს. ინდივიდუალური ჰომოსექსუალებისათვის შანტაჟს ხშირად დიდი ზიანის მოტანაც შეუძლია და რთულად თუ დავარქმევთ სასარგებლოს. თუმცა როგორც ჯგუფს, ანუ ჯგუფის წევრ თითოეულ ინდივიდს, შანტაჟი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ჰომოსექსუალებისადმი მეტი ტოლერანტობის გამოჩენაში დაეხმარა. სოციალურად შევიწროებული ჯგუფის ინდივიდუალური წევრების

იძულებით გამომზეურებას, ან „კარადიდან გამოყვანას“, რა თქმა უნდა, ვერ განვიხილავთ განუღმად სამსახურად. ინდივიდის უფლებების შელახვა სწორედაც რომ იძულებაა. თუმცა ეს მაინც იწვევს ჯგუფის წევრების ცნობიერების ამაღლებას ერთმანეთის შესახებ. ამ დათქმით, შანტაჟს მართლაც მიუძღვის მცირე წვლილი იმ ხალხის გათავისუფლებაში, რომელთა ერთადერთი „დანაშაულიც“ მიღებული ნორმიდან არაკრიმინალური გადახვევაა.

ძველი აფორიზმი – „სიმართლე გაგათავისუფლებს“ – რომ გავიხსენოთ, შანტაჟისტის ერთადერთი „იარაღი“ სიმართლეა. შანტაჟისტი საკუთარი მუქარების გასამყარებლად სიმართლის გამოყენებით, ხშირად განზრახვის გარეშეც, ათავისუფლებს სიმართლეს, იმ სიკეთისა თუ ბოროტების მოსატანად, რომლის ძალაც მას შესწევს.



7.

ცილისმნამებელი

სიტყვის თავისუფლების დაცვა, როდესაც იმ ხალხის უფლებებს იცავ, ვისაც ეთანხმები, მარტივია. თუმცა ნამდვილი გამოცდა საპირისპირო აზრის დაცვაა – იმ მოსაზრებების, რომლებიც შეიძლება ავად და ბოროტად განვიხილოთ, რეალურად კი, ზოგჯერ მართლაც ავი და ბოროტია.

ალბათ, ცილისმნამებელზე ბილნი და მანკიერი მართლაც არაფერია. შესაბამისად, ცილისმნამებელთა სიტყვის თავისუფლება განსაკუთრებული სინატიფით უნდა დავიცვათ, ვინაიდან თუკი ისინიც კი დავიცავით, მაშინ სხვა ყველა – ნაკლებად მავნებლური აზრის გამოთქმის უფლებაც – უფრო დაცული იქნება. თუ ცილისმნამებელთა სიტყვის თავისუფლებას არ დავიცავთ, სხვათა სიტყვის თავისუფლებაც ნაკლებად იქნება დაცული.

მიზეზი, რის გამოც სამოქალაქო უფლებების მცველები ცილისმ-

წამებელთა უფლებების დაცვაში არ არიან ჩართულნი, ცხადია: ცილისწამება ანგრევს რეპუტაციას. უხვად იპოვით ცუდ ამბებს დაკარგული სამსახურების, მეგობრების და ა. შ. შესახებ. სამოქალაქო უფლებების მცველები ცილისწამებელთა სიტყვის თავისუფლების დაცვისგან საკმაოდ შორს არიან, მეტიც, მათ მიერ დანგრეული რეპუტაციების დაცვით უფრო არიან დაკავებულნი, თითქოს თავისთავად ცილისწამება მიუტევებელი რამ იყოს. თუმცა ცხადია, რომ პიროვნების რეპუტაციის დაცვა თავისთავად აბსოლუტური ღირებულება არაა. ასე რომ იყოს – ანუ რეპუტაცია მართლაც საკრალური რომ იყოს – მაშინ ჩირქის მოცხების სხვა მეთოდებიც უნდა აგვეკრძალა, მათ შორის, სიმართლის თქმაც. ათვალწუნებული იქნებოდა ლიტერატურული კრიტიკა. სატირა ფილმებში, სპექტაკლებსა თუ მუსიკაში ან წიგნების კრიტიკა არ იქნებოდა დაშვებული. ნებისმიერი რამ, რაც ჩრდილს აყენებს ინდივიდის ან ინსტიტუციის რეპუტაციას, აკრძალული იქნებოდა.

რა თქმა უნდა, სამოქალაქო უფლებების მცველები უარყოფენ, რომ ცილისწამების მიმართ პროტესტი ზემოთ აღწერილ ხედვასთან მათ რაიმენაირად აკავშირებს. ისინი აღიარებენ, რომ ადამიანის რეპუტაციას ყოველთვის ვერ დაიცავ და ზოგჯერ უნდა განირო კიდევ. თუმცა ეს, მათი თქმით, არ ამართლებს ცილისწამებელს. ვინაიდან ადამიანის რეპუტაცია სულაც არაა ხელწამოსაკრავი რამ და არ შეიძლება შესაბამისი მიზეზის გარეშე შეილახოს.

კი, მაგრამ რა არის ადამიანის „რეპუტაცია“? რა არის ის, რაც არ ყოფილა „ხელწამოსაკრავი“? ცხადია, რომ ეს ისეთი ქონება არაა, როგორიც მაგალითად, ტანსაცმელია. რეალურად, ადამიანის რეპუტაცია მას სულაც არ „ეკუთვნის“. თითოეული ჩვენგანის რეპუტაცია სხვა ადამიანთა შთაბეჭდილებებია ჩვენ შესახებ. სხვადასხვა დროს ადამიანთა მიერ გამოთქმული აზრი ჩვენი პიროვნების შესახებ ჩვენს რეპუტაციას წარმოადგენს. შესაბამისად, ადამიანი იმდენად ფლობს საკუთარ რეპუტაციას, რამდენადაც შეუძლია დაეუფლოს სხვების აზრებს. აქედან გამომდინარე, ადამიანის რეპუტაციის მოპარვა იმდენადვეა შესაძლებელი და/ან შეუძლებელი, რამდენადაც სხვა ადამიანების აზრებზე ზემოქმედება. რეპუტაცია, გინდ სამართლიანი და გინდ უსამართლო ხერხებით, რომც წაგართვან, ის შენ არც კი გეკუთვნოდა და შესაბამისად, ზარალის კანონთან მას საერთო არაფერი აქვს.

გამოდის, რომ როდესაც ცილისწამებას ვენინალმდეგებით ან ვკრძალავთ, ჩვენ ვკრძალავთ ადამიანების აზრებზე გავლენის მოხდენას ან გავლენის მოხდენის მცდელობას. თუ არა სხვათა აზრების შეცვლის მცდელობა, მაშ, რაღაა სიტყვის თავისუფლება? შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ ცილისწამება სიტყვის თავისუფლების ჩარჩოებში ჯდება.

საბოლოოდ, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ადამიანის რეპუტაცია ცილისწამების ამკრძალავი კანონის გარეშე ბევრად დაცული იქნებოდა. როდესაც ცილისწამება კანონითაა აკრძალული, ეს ქმნის ბუნებრივ ტენდენციას, რომ საჯარო წყაროებში მოხვედრილი ინფორმაცია ავტომატურად სანდოდ მივიჩნიოთ – არაერთხელ მოგვისმენია გულუბრყვილო საზოგადოების მარჩიელობა: „ტყუილი რომ იყოს, გაზეთში კი არ დაბეჭდავდნენ“. ცოტა ხნით წარმოვიდგინოთ, რომ ცილისწამება დაშვებულია, ასეთ შემთხვევაში ცილისწამება იმდენად გახშირდებოდა, რომ ადამიანი ასე ადვილად აღარ დაიჯერებდა მას და ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვდა ინფორმაციის დასაბუთებას. საზოგადოება ისწავლიდა ცილისწამებელთა მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის გადამუშავებასა და შეფასებას, ცილისწამებელს კი სხვათა რეპუტაციის დამანგრეველი ავტომატური ძალაუფლება ხელიდან გამოეცლებოდა, გარდა ამისა, საზოგადოებრივი მოთხოვნის საფუძველზე გაჩნდებოდა კერძო გაერთიანებები ან ბიზნეს-სააგენტოები, რომლებიც თავად უზრუნველყოფდნენ ამა თუ იმ საეჭვო ინფორმაციის გადამოწმებასა და გაფილტვრას. გამოდის, რომ პრობლემას, რომელიც საზოგადოების მიერ ბუნებრივად შეიძლებოდა დარეგულირებულიყო, კანონი უფრო დიდ პრობლემად აქცევს.



8.

აკადემიური თავისუფლების შარყოფელი

აკადემიური თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, ალბათ, უფრო მეტი ნიანგის ცრემლია დაღვრილი, ვიდრე ნებისმიერი სხვა საკითხის გამო. სავარაუდოდ, აკადემიკოსები ამ თავისუფლების შესახებ ბევრად მეტს საუბრობენ, ვიდრე ნებისმიერი სხვა ყურადსაღები საკითხის შესახებ. ზოგის აზრით, ეს საკითხი დასავლური ცივილიზაციის ფუნდამენტსაც კი წარმოადგენს. დღე არ გადის, რომ ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანებამ [The American Civil Liberties Union]¹ გაბრაზებული განცხადებები არ გაავრცელოს აკადემიური თავისუფლების ნამდვილი ან წარმოსახვითი შეზღუდვების შესახებ. ეს ყველაფერი კი საერთოდ არაფერია იმ მრისხანებასთან

¹ The American Civil Liberties Union – 1920 წელს დაარსებული არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის მიზანი აშშ-ს კონსტიტუციით და კანონებით გარანტირებული უფლებების და თავისუფლებების დაცვაა - რედაქტორის შენიშვნა.

შედარებით, რომელსაც პროფესიონალ მეცნიერთა და მასწავლებელთა შრომითი პროფკავშირები აფრქვევენ.

თუ მარტო სახელს შევხედავთ, „აკადემიური თავისუფლება“ საკმარისად უვნებლად ჟღერს. ცხადია, რომ „აკადემიის წარმომადგენლებს“, ისევე როგორც ყველას, უნდა ჰქონდეთ თავისუფლება – სიტყვის თავისუფლება, მოგზაურობის თავისუფლება, სამსახურიდან წამოსვლის თავისუფლება – ყველა ის თავისუფლება, რომლითაც საზოგადოების სხვა წევრები სარგებლობენ. თუმცა „აკადემიურ თავისუფლებაში“ ეს სულაც არ იგულისხმება. მას ძალიან კონკრეტული მნიშვნელობა გააჩნია და გულისხმობს საგნის სწავლებას პროფესორის მიერ არჩეული ნებისმიერი მეთოდით, იმის მიუხედავად, თუ რა პოზიცია აქვს მის დამქირავებელს. შესაბამისად, „აკადემიური თავისუფლება“ დამქირავებელს მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლებას უკრძალავს იქამდე, სანამ მასწავლებელი თავის საგანს ასწავლის, იმის მიუხედავად, თუ რა მეთოდით ასწავლის ის.

აი, ეს კი ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული და თვალწარმატადი დოქტრინაა. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ეს დოქტრინა სხვა ნებისმიერ საქმიანობას რომ მიესადაგებოდეს – დაუშვათ, სანტექნიკას ან სანიტარიას. მაგალითად, „სანტექნიკოსის თავისუფლება“ მიღებისა და სველი წერტილების ისე დაყენებას რომ მოიაზრებდეს, როგორც სანტექნიკოსი ჩათვლის საჭიროდ. რა მოხდება, თუ დამკვეთს მიღების გაყვანა ხელოსნის მოსაზრებებისგან განსხვავებულად მოუნდება? „სანტექნიკოსის თავისუფლების“ დოქტრინის გარეშე, სანტექნიკოსს ცალსახად ექნება საქმეზე უარის თქმის თავისუფლება. თუმცა „სანტექნიკოსის თავისუფლების“ დოქტრინის არსებობის შემთხვევაში, სულაც არ მოუნევდა საქმეზე უარის თქმა. მას ექნებოდა სრული თავისუფლება, სამსახური აელო და თავის გემოზე გაეკეთებინა. იმის თქმის უფლებაც ექნებოდა, რომ მისი ხედვა ყველაზე სწორია და დამქირავებელი ამისთვის სამსახურიდან ვერ დაითხოვდა.

„ტაქსისტის თავისუფლება“ ტაქსისტებს შესაძლებლობას მისცემდა, იქ წასულიყვნენ, სადაც მოეპოვებოდათ, იმის მიუხედავად, მომხმარებელი საით წასვლაში გადაიხდიდა ფულს. „მიმტანის თავისუფლების“ გამოყენებით მიმტანი თავად გადაწყვეტდა, რისი ჭამა გაგიხარებოდათ. რატომ არ უნდა ჰქონდეთ სანტექნიკოსებს,

მიმტანებს და ტაქსისტებს საკუთარი „პროფესიული თავისუფლება“? მხოლოდ აკადემიკოსებს რატომ ვუნახავთ?

არსებითად, ამ პროფესიებსა და აკადემიას შორის განსხვავებაზე საუბრისას იმას უსვამენ ხოლმე ხაზს, რომ პროფესორს გარანტირებული უნდა ჰქონდეს თავისუფალი მოკვლევის, გამოხატვისა და საკუთარი აზრების მიყოლის უფლება, სადაც არ უნდა მიჰყავდეთ ამ აზრებს მოაზროვნე. ეს განაცხადიც და ეს გამიჯვნაც, ცხადია, აკადემიის წევრებს ეკუთვნით. უსიამოვნო ელიტურობასთან ერთად, ეს არგუმენტი დედააზრის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს კარგავს, რომელიც სულაც არ ეხება შეკითხვას ინტელექტუალური აქტივობის რაობაზე. „პროფესიული თავისუფლების“ ეს უადგილობა, ცალსახა ფორმალისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საფუძველზე, ამყარებს დაქირავებულის „უფლებას“ სამსახურის ქონაზე, იმის მიუხედავად, თუ რა სურთ დამქირავებლებსა და მომხმარებლებს.

თუ იმ ელიტურ არგუმენტს გავყვებით, რომელიც „ინტელექტუალური“ პროფესიების განსხვავებულად მოპყრობას ითვალისწინებს, იმ პროფესიებზე რა ვთქვათ, რომლებიც ასევე „ინტელექტუალურად“ იწოდებიან? რატომ არ უნდა გვქონდეს „სამედიცინო თავისუფლება“ ექიმებისთვის, „იურიდიული თავისუფლება“ ადვოკატებისთვის, „არტისტული თავისუფლება“ არტისტებისთვის და ა. შ. შეიძლება თუ არა, „სამედიცინო თავისუფლება“ ექიმებს ოპერაციების ისე შესრულების უფლებას ანიჭებდეს, რომ პაციენტის თანხმობა სულაც არ იყოს აუცილებელი ან პაციენტებს უკრძალავდეს იმ ექიმების დათხოვნას, რომელთა მიერ ჩატარებული პროცედურებითაც უკმაყოფილონი არიან? შეიძლება „არტისტულმა თავისუფლებამ“ ხელოვანებს მიანიჭოს უფლება, რომ მათი ნამუშევრები აუცილებლად იყიდებოდეს, იმის მიუხედავად, ვინმეს მოსწონს ან უნდა თუ არა? „აკადემიური თავისუფლების“ ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, ზემოთ დასმულ შეკითხვებს ხომ თანხმობით უნდა ვუპასუხოთ? იმის წარმოდგენა, რომ იგივე თავისუფლებები ქიმიკოსებს, ადვოკატებს ან პოლიტიკოსებს მივცეთ, დაბურძგლავს ადამიანს.

„აკადემიური თავისუფლების“ რეალური პრობლემა ადამიანების იმ უფლების შელახვაა, რომლითაც ჩვენ ერთმანეთთან კონტრაქტების თავისუფლად დადება შეგვიძლია. აკადემიური თავისუფლების დოქტრინა კონტრაქტის სინმინდის უარყოფაა. დამსაქმებელი არა-

ხელსაყრელ მდგომარეობაშია და სიტუაცია პროფესორის მუდმივი უპირატესობის პირობაში იყინება. ეს სიტუაცია, თავისი შეზღუდვებით, პროტექციონიზმითა და კასტური სისტემის მფარველობით, ყველაზე მეტად ჰგავს შუასაუკუნეების გილდიათა სისტემას.

აქამდე უპირობო დაშვება იყო, რომ სკოლები და უნივერსიტეტები კერძო მფლობელობაშია. დავის საგანი კი გულისხმობდა, რომ აკადემიური თავისუფლება საკუთრების მფლობელთა უფლებებს არღვევს. თუმცა შეერთებული შტატების ფაქტობრივად ყველა სასწავლო დაწესებულებას სახელმწიფო აკონტროლებს, ე. ი. ეს მოპარული საკუთრებაა. შესაბამისად, აკადემიური თავისუფლება შეგვიძლია იმ არგუმენტით დავიცვათ, რომ შესაძლოა ეს ერთადერთი დარჩენილი ხერხი იყოს საგანმანათლებლო სისტემაზე კონტროლის უკან დასაბრუნებლად, მათი ახლანდელი „ბატონის“, მმართველი კლასის ან თუნდაც ძალაუფლებრივი ელიტისგან. ამ დაშვებით, აკადემიური თავისუფლების მომხრეთა პოზიციის დაცვა მარტივი ხდება.

ამ გადმოსახედიდან, უდანაშაულო მოსწავლე-მომხმარებელი აღარ იქნებოდა აკადემიური თავისუფლების მოთხოვნებით მოტყუებული, ვინაიდან უდანაშაულო მოსწავლე-მომხმარებელი აღარ იქნებოდა ვალდებული, სამსახურში იძულებით დაეტოვებინა აკადემიკოსი, რომლის მომსახურებებიც მისთვის არასასურველი იქნებოდა. იძულებული მხოლოდ მოძალადე მმართველი კლასი იქნებოდა. თუ მმართველი კლასის თეორია მართალია, მათთვის მისაღები შეხედულებების მქონე პროფესორები ვერაფერს მოიგებდნენ „აკადემიური თავისუფლებით“. ისინი საკუთარ სამსახურებს ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნებდნენ. მხოლოდ მმართველი კლასის მოწინააღმდეგე ხედვების მქონე აკადემიკოსები ნახავდნენ სარგებელს. ისინი „აკადემიური თავისუფლებით“ იხიერებდნენ, ვინაიდან მმართველი კლასის ხელქვეითებს ხელი შეეშლებოდათ იდეოლოგიური ან სხვა არაფორმალური საფუძვლის ხარჯზე სამსახურიდან მათ გათავისუფლებაში.

აკადემიური თავისუფლება თავისთავად შეგვიძლია თაღლითობად და ძარცვად განვიხილოთ, ვინაიდან ინდივიდებს უზღუდავს თავისუფალი და ნებაყოფლობითი კონტრაქტების გაფორმების უფლებას, თუმცა „ცუდი“ ხერხები კარგი მიზნების მისაღწევადაც რომ გამოიყენება ხოლმე, ამაში გასაკვირი არაფერია.



9.

ედვერთაიზერი¹

რეკლამას დიდი ხანია „შავ პიარს“ უგორებენ. მისი საწინააღმდეგო არგუმენტი, ერთი შეხედვით, საკმაოდ დეტალური და დამარწმუნებელია. არსებობს მოსაზრება, რომ რეკლამირება ხალხს აცდუნებს და ისეთი პროდუქტების შეძენას აიძულებს, სხვა შემთხვევაში რომ არ შეიძენდნენ. რეკლამის შემქმნელები ადამიანების შიშებითა და ფსიქოლოგიური სისუსტეებით სარგებლობენ. კომერციული პროდუქტისა და მშვენიერი ქალის ერთ პლაკატზე გამოსახვით რეკლამა გონებას გვიბნევს, გეგონება, პროდუქტს ხურდაში ქალიც მოჰყვებოდეს. თავისი შეჯიბრებებით, ბენდებითა და მუსიკალური გაფორმებით რეკლამა სულელურიც კია, ინტელექტის ნამდვილი შეურაცხყოფაა.

¹ ედვერთაიზერი - რეკლამის შექმნასა თუ განთავსებაში მონაწილე ფიზიკური თუ იურიდიული პირი - რედაქტორის შენიშვნა.

ამ წუწუნს, ძირითადად, ჩვენი ეგოისტური ბუნებიდან გამომდნარი მიზეზი აგვირგვინებს – რეკლამირება ძვირია. ეროვნულ ტელევიზიაში ერთნუთიანი ან პოპულარულ ჟურნალსა თუ გაზეთში ერთგვერდიანი რეკლამის განთავსება ათასობით დოლარი ღირს. მთლიანად სარეკლამო ინდუსტრია მრავალმილიარდიანი ინდუსტრიაა. ერთი შეხედვით, რეკლამირების აკრძალვით მთელი ამ თანხის დაზოგვა შეგვეძლებოდა. ფულს კი პროდუქტის გაუმჯობესებაში, მისი ფასის შემცირებაში ან ორივეში ერთად გამოვიყენებდით. სარეკლამო ინდუსტრია შეგვიძლია სამთავრობო კომიტეტით ჩავანაცვლოთ, რომელიც პროდუქტების ობიექტურ აღწერასა და შეფასებებს მოგვანვდის. დამაბნეველი სექსუალური გახმოვანების ნაცვლად, გვეჩვენოდა აღრიცხული პროდუქტები, შეიძლება დახარისხებულიც კი – „პირველი ხარისხის“, „მეორე ხარისხის“ და ა. შ. ყოველ შემთხვევაში, ედვერთაიზერები, რომლებიც არაპროდუქტიულები და, არსებითად, პარაზიტები არიან, უსამსახუროდ დარჩებოდნენ.

სარეკლამო საქმის ასე განხილვას საკმაოდ ბევრი ნაკლი აქვს, თუმცა მათი უმრავლესობა ისტორიული პრეცედენტებითაა გამყარებული. რეალურად, რომელიმე ინდუსტრიის პარაზიტულობისა და არაპროდუქტიულობის მტკიცების მიმართულება ისტორიულ დისკუსიათა გრძელ სიაში თანამედროვე ფენომენია. მე-18 საუკუნის საფრანგეთის ეკონომიკური აზროვნების სკოლის, ფიზიოკრატის¹ წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ მიწათმოქმედების, სათევზაო და სანადირო ინდუსტრიების გარდა, ყველა ინდუსტრია ფუჭი იყო. მათი მსჯელობით, ყველა ინდუსტრია, რომელიც უშუალოდ ნიადაგს არ უკავშირდება, უსარგებლოა და ნიადაგს დაკავშირებულ ინდუსტრიებზე პარაზიტისებრი მდებარეობა. სხვა ეკონომისტებმა ერთმანეთისგან გამიჯნეს პროდუქტები, რომლებიც ყველა სასარგებლოდ მიიჩნიეს და მომსახურებები, რომლებიც, ასევე ყველა, უსარგებლოდ შერაცხეს. კიდევ სხვების მოსაზრებით, ყველა პროდუქტისგან განსხვავებით, მხოლოდ ზოგიერთი სერვისი იყო სასარგებლო, მაგალითად, ფულად მომსახურებებთან დაკავშირებული ნებისმიერი

¹ ფიზიოკრატების სკოლა XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა. ფიზიოკრატები აქცენტს ადამიანების ბუნებრივ ურთიერთობებზე აკეთებდნენ და, მერკანტილისტებისგან განსხვავებით, მთავრობის ეკონომიკაში ჩარევას არ ემხრობოდნენ. ამასთან ისინი მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ მიწა (და არა შრომა და კაპიტალი) არის სიმდიდრის წყარო და მიწის დამუშავებით იქმნება დოვლათი – *რედაქტორის შენიშვნა*.

საქმიანობა: ფინანსური შუამავლობა, ბროკერობა, ბანკირობა და ბირჟაზე თამაში უსარგებლო საქმიანობებად შეირაცხა. დღესდღეობით მარტივია ამ თეორიების ჩაკეტილობის დანახვა. აუცილებელი არაა, პროდუქტი ნიადაგიდან აღმოცენდეს, სასარგებლო რომ იყოს ან მომსახურება ისეთი „ხელშესახები“ იყოს, როგორც სამედიცინო ზრუნვა, რომ სასარგებლოდ მივიჩნიოთ. უკვე ვიცით, რომ ვაჭრობის მოსურნეებს შუამავლები იმაზე ნაკლებ დანახარჯად ახვედრებენ ერთმანეთს, ვიდრე ეს უშუამავლოდ მოხერხდებოდა. ისიც ვიცით, რომ დაზღვევის ინდუსტრიის „აბსტრაქტული“ პროდუქტი რისკების მართვასა და შემცირებაში გვეხმარება, თუმცა ასეთ დროშიც კი, რეკლამის სფერო მაინც პარაზიტულ ინდუსტრიად აღიქმება.

რამდენად უძლებს ეს დებულება კრიტიკას? პირველ რიგში, ცხადია, რომ რეკლამა ადამიანებს მოტყუებით არ აიძულებს ისეთი პროდუქტების ყიდვას, რომელთაც არც იყიდდნენ. რეკლამირება ცდილობს ადამიანების დარწმუნებას – შესაძლოა, ისეთი ხერხებითაც, რომლებიც საზოგადოების რაღაც ნაწილს არ მოსწონს. მაგრამ რეკლამირება არ და ვერ აიძულებს ადამიანებს ვერაფერს (თალღითური რეკლამა, ლოგიკურად, ქურდობის ეკვივალენტურია და არ უნდა გაიგივდეს რეკლამირებასთან, როგორც ასეთთან. თუ გამყიდველი ხორბალს არეკლამებს და ქვას ყიდის, მან რეალურად „ხორბლის ფული“ მოიპარა.)

არაცნობიერზე მოქმედი რეკლამირება, თუ არსებობს, ძალადობრივად იქნებოდა მიჩნეული. მაგრამ რეკლამის ძალადობრივად გამოცხადება, ძალადობასა და დარწმუნებას შორის საზღვრის სრულად დანგრევის გარეშე, შეუძლებელია.

მეორე – რეკლამის შემადგენლობა ინფორმაციულია. ამას რეკლამის ყველაზე შეუპოვარი კრიტიკოსებიც აღიარებენ, იმის მიუხედავად, რომ, მათი აზრით, ამ საქმეს სახელმწიფო უკეთ გაართმევდა თავს. რეალურად, მთავრობის მიერ განხორციელებული რეკლამირება ნაკლებ სარეკლამო საქმიანობად მხოლოდ იმის ხარჯზე ვერ იქცევა, რომ მოქმედი პირი სახელმწიფოა. სხვა თუ არაფერი, „მთავრობის მიერ გამოცემულ“ რეკლამებს უფრო მეტი და რთულად აღმოფხვრადი პრობლემები ახასიათებთ. თითქმის შეუძლებელია მოგების მიზნით მომხმარებლების დაკმაყოფილების აუცილებლობისგან გათავისუფლებული სახელმწიფოს გაკონტროლება. გადაცდენის

შემთხვევაში მას ბევრს ვერც ვერაფერს დააკლებ. ამის ორი მაგალითი, რომელიც ახლავს შეგვიძლია დავასახელოთ, შეერთებული შტატების „ომის ობლიგაციების“¹ ან სამხედრო სამსახურში განწვევის სახელმწიფო რეკლამები.

მესამე – არ უნდა დავაკნინოთ რეკლამირების, როგორც ახალი კომპანიების მოძლიერების ხელშემწყობის და, შესაბამისად, კონკურენციის წამახალისებლის ფუნქცია. რეკლამა აკრძალული რომ იყოს, დიდ და ცნობილ კომპანიებს ბაზარზე წარმოდგენილი უპირატესობა ექნებათ. ხელი სულ რომ არაფერს ვახლოთ, კონკრეტული ინდუსტრიის მონოპოლიზაციის შანსი ძველ კომპანიებს უფრო აქვთ, ვიდრე ახლებს. რეკლამირება ახალბედებისათვის შედარებითი უპირატესობის მინიჭებით ეკონომიკაში საბაზრო წილების კონცენტრაციის ხარისხს ამცირებს.

დაბოლოს, ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც იმ რეკლამებისა, რომლებიც გონივრულობისა თუ ღირსების საზოგადოებრივ სტანდარტებს არღვევს, შეგვიძლია გამოვიკვლიოთ და სხვა სფეროებში სახელმწიფო მავნებლობით ავხსნათ. მაგალითად, ავიაკომპანიებს სახელმწიფო უკრძალავს ბიზნესის საბაზისო მიმართულებებით კონკურენციას. მათი სარეკლამო კამპანიები გვბომბავს თავისი „სიახლეებით“ ფასდაკლებებზე ბილეთების ადრე შეძენის შემთხვევაში, ახალ დეკორაციებზე, რიგებში ადგილების რაოდენობებზე, სტიუარდესების პატივსაცემად თვითმფრინავებისთვის დარქმეულ სახელებზე და ა. შ. („მე მერიბეთი მქვია. იფრინე ჩვენი თვითმფრინავებით მაიამიში“). ავიაკომპანიებს ფასებით კონკურენცია სრულიად თავისუფლად რომ შეეძლოთ, იქნებ მგზავრებიც აღარ გაენირათ მსგავსი რეკლამებისათვის.

იგივე პრინციპი მოქმედებს აშშ-ის ბანკებზეც. ბანკებს კანონით შეზღუდული აქვთ ის მაქსიმალური პროცენტი, რაც შეიძლება ანაბარში გადაგიხადონ (დღეისათვის მოთხოვნადი ანაბრის ჭერი – 0%-ია, ვადიანი ანაბრისთვის – 5.5-7.5%). შესაბამისად, ახალი მენაბრეების მისაზიდად ბანკები ერთმანეთს სამზარეულოს საუკეთესო დანადგარის და სხვა საჩუქრების შემოთავაზებებით ეჯიბრებიან

¹ ომის ობლიგაციები (War Bonds) – ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც სახელმწიფოები საომარი მოქმედებების დასაფინანსებლად ყიდდნენ საფონდო ბირჟებზე – რედაქტორის შენიშვნა.

(დაუკვირდით, რომ ანაბრისგან განსხვავებით, სესხებზე ბანკებს იმდენი პროცენტის დაწესება შეუძლიათ, რამდენსაც ბაზარი აიტანს, რის გამოც, სესხების მოსაზიდ რეკლამებში გაცილებით ცოტა ფულს ხარჯავენ.) მსგავსი სახის რეკლამები არა სარეკლამო ინდუსტრიის, არამედ მთავრობის ბრალია.

ერთად აღებული ეს ოთხი დებულება რეკლამის კრიტიკოსების წინააღმდეგ საკმარისი არგუმენტაციაა. არადა ეს არგუმენტები პრობლემის ნამდვილ არსსაც კი არ სცემს პასუხს. ისინი უგულებელყოფენ კრიტიკოსების მთავარ შეცდომას – დაშვებას, რომ სადღაც სიღრმეში მოტივაციის აღმძვრელ რეკლამასა და ინფორმაციულ რეკლამას შორის განსხვავება არსებობს, რომ მოტივაციური რეკლამირება ბევრი ასპექტით „ცუდია“, ხოლო ინფორმაციული რეკლამირება – „კარგი“. არადა სიმართლე ისაა, რომ ადამიანების ინფორმირება და მოტივირება იმდენადაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ამ ორის ერთმანეთისგან გამიჯვნას აზრიც კი არ აქვს.

უკეთესი პერსპექტივისათვის, რამდენიმე მაგალითი წარმოვიდგინოთ, როცა ედვერთაიზერები კი არ ცდილობენ ჩვენს ინფორმირებასა და მოტივირებას, არამედ ჩვენ ვცდილობთ საზოგადოების ინფორმირებასა და მოტივირებას. მაგალითად, უმეტესობა ჩვენგანს ჰქონია ახალი სამსახურისათვის გასაუბრების გამოცდილება. როგორ ვემზადებით? ვინყვებთ საკუთარი თავების შესახებ სარეკლამო ბროშურის წერას. (ამ დოკუმენტს ზოგჯერ „რეზიუმეს“ ეძახის ის ხალხი, რომელიც შფოთავს და იმ ფაქტის დამალვას ლამობს, რომ ჩვენ, ყველანი, რეკლამის სპეციალისტები ვართ). ამ სარეკლამო ბროშურაში ჩვენი პროფესიული ცხოვრებიდან იმის მიხედვით ვწერთ, ვარჩევთ ფაქტებს იმის წარმოსაჩენად, თუ რამდენად შესაფერისი ვიქნებოდით პოტენციური სამსახურისათვის. რეკლამის საუკეთესო ტრადიციების დაცვით, ამ ფაქტების მაქსიმალურად მომხიბვლელად გაჟღერებას ვცდილობთ. დამსაქმებლების საცდუნებლად პროფესიონალ მბეჭდავს ვკირაობთ და „კარგი შთაბეჭდილების მოსახდენად“ ჩვენს ბროშურას ლამაზ ქაღალდზე ვბეჭდავთ, ზუსტად ისე, როგორც კარგი ედვერთაიზერი მოიქცეოდა.

მკაცრად რომ ვთქვათ, ჩვენ მხოლოდ ინფორმაციას ვავრცელებთ ბროშურის დახმარებით. თითქოსდა მხოლოდ ინფორმაციულ რეკლამირებას ვწევით, მაგრამ ამ ინფორმაციის „ლამაზად წარმო-

ჩენის“ მცდელობა, ნებით თუ უნებლიედ, მოტივაციურ რეკლამირებაში გვითრევს.

ჩვენ გასაუბრების განმავლობაშიც ვაგრძელებთ რეკლამის კეთებას. საკუთარ თავებს ისე „ვფუთავთ“, როგორც შეგვიძლია. მერე რა, რომ ყოველდღე ასე არ ვიქცევით, გასაუბრებისთვის მაინც გულმოდგინედ ვიპრანჭებით.

მაშინაც კი, როდესაც ახალ სამსახურს არ ვეძებთ, ჩვენ მუდმივად ვირეკლამებთ თავს და ვცდილობთ, საკუთარი თვისებები საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინოთ. საკუთარი თავის კარგად შეფუთვას ქვეცნობიერადაც კი ვცდილობთ. მშობლებიც აკვნადანვე გვარეკლამებენ ანდა მომავალი რეკლამირებისთვის გვიყრიან საფუძველს. სხვაგვარად როგორ ავხსნათ ბაღის, ვიოლინოს ან პიანინოს გაკვეთილები ან ორთოდონტთან თუ დერმატოლოგთან ვიზიტები?

„ებრაელი დედა“ თავისი მუდმივი შეგონებებით ჯდომის სწორი პოზისა და ჭამის სათანადო მანერების შესახებ („ჭამე, ჭამე, ევროპაში ბავშვები შიმშილობენ, შენ კიდევ არ ჭამ!“), რეკლამირების ერთ-ერთი ყველაზე დიადი უსახელო გმირია და ამავე ებრაელი დედის ტრაბახი საკუთარი შვილებით – ესეც კიდევ ერთი რეკლამა.

ზრდასთან ერთად რეკლამირების ლამაზ ტრადიციასაც ვაგრძელებთ: ვატარებთ სამოსს, რომელიც ხაზს უსვამს ჩვენს ფიზიკურ ღირსებებს; ვიცავთ დიეტას ან ვცდილობთ მაინც... განათლებაში, თერაპიაში, სალონებსა თუ ტანსაცმლის მაღაზიებში განეული ჩვენი ხარჯების დიდი ნაწილი რეკლამაში დახარჯულ რესურსად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მოგვიანებით მანქანებს, სახლებსა და საშვებულებო საგზურებს ვყიდულობთ – დიდწილად საკუთარი თავის რეკლამირების მიზნით.

სხვათა შორის, დისკრიმინირებული ჯგუფების (ქალები და შავკანიანები) მიერ „ფუფუნების საგნებზე“ დიდი ხარჯების (მათი შემოსავლის დიდი პროცენტის) განევა, მაგალითად, ტანსაცმელსა თუ მანქანებზე ფულის ხარჯვა, სწორედ რეკლამირების სურვილით შეიძლება აიხსნას. მათი აღქმით, დისკრიმინაციის მოსაგერიებლად მათ საკუთარი თავის რეკლამირებაზე უფრო დიდი ხარჯი უნდა გასწიონ. დანარჩენებს რეკლამირებაში ამდენი ინვესტირება არ გვჭირდება, რადგან „თავი უკვე ქუდში გვაქვს“.

რადიკალური მემარცხენეების ზოგიერთი წევრიც კი, რომელიც

მწარედ აკრიტიკებს რეკლამირებას, თავადვე ეწევა ამ საქმიანობას. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, ვინაიდან ამ საკითხს სწორი, თუმცა უფრო ფართო გაგებით ვიცავთ ანუ როგორც კრეატიული და საინტერესო შეფუთვის უნარს. როდესაც რადიკალური მემარცხენე მოძრაობა რეკლამას განცხადებების დაფაზე აკრავს, მოწოდებები ერთნაირად კობტა, პატარა და იდენტური შრიფტითაა დაბეჭდილი. ცოტა ხნის მერე, ყურადღების მიქცევის მიზნით, ზოგიერთი მოწოდება განსხვავებული ზომის აფიშებზეა, განსხვავებული ფერითაა დაბეჭდილი. საბოლოოდ, ყურადღების მიქცევის ამ მართაონში, უფრო და უფრო დიდი აფიშები გამოიყენება, უფრო თამამი ტიპოგრაფიით, ფერითა და ილუსტრაციებით. ინფორმაციის გავრცელების მცდელობისას მათ თითქოს „უჩინარი ხელი“ მართავს და მოტივაციური რეკლამის შექმნას „აიძულებს“. კედლებსა თუ შენობებზე დიდი წითელი ასოებით „ქარხნები მუშებს“ ან „სისტემა უნდა დაინგრეს“ მაგვარ ფრაზებს, არა მხოლოდ შოკის გამოწვევის, არამედ რევოლუციური სლოგანის გადმოცემის სურვილითაც წერენ, თუმცა თავდაპირველი მიზანი ყურადღების მიქცევაა. თუ თვალში არავის მოხვდება, გზავნილის ინფორმაციულობას დიდი აზრი არ აქვს. საპნის ოპერების რეკლამებზეც იგივე შეგვიძლია ვთქვათ.

ნებისმიერი ორატორისთვის, რომელიც ნახევრად მძინარე აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლისთვის ემზადება, ცნობილია ინფორმაციის გადმოცემისა და სათქმელის შეფუთვის ერთმანეთისგან გამიჯვნის სირთულე. რთულად თუ წარმოიდგენთ მიკროეკონომიკის ლექციაზე უფრო მოსაწყენ გამოსვლას. ორატორი ან მასწავლებელი აუდიტორიის ყურადღების შესანარჩუნებლად კონკრეტულ პრაქტიკებს გამოიყენებს: მაგალითად, მზერითი კონტაქტის შენარჩუნებას, ხუმრობების ჩართვას ან რიტორიკული შეკითხვების დასმას.

ზოგჯერ მათ საჯარო გამოსვლების ტექნიკებსაც უწოდებენ. უფრო სწორი ტერმინი კი „რეკლამირების ტექნიკები“ იქნებოდა – პროდუქტი კარგად შეფუთე, საინტერესოდ წარმოაჩინე, გამოთქმით ისაუბრე, მნიშვნელოვანი იდეები რამდენჯერმე გაიმეორე და მსმენელების ყურადღება დაიპყარი. რეკლამირების ამ ტექნიკებს სასაუბრო თემასთან ისეთივე კავშირი აქვთ, როგორც ველოსიპედის ტარებას – კოკა-კოლასთან, როგორც ქალის ვნებიან ხმას –

საპარს ქაფთან ან როგორც „ლუდთან ერთად საყურებელ“ სპორტულ ღონისძიებებს – ლუდთან. აზრი ისაა, რომ თუ ვინმეს ინფორმაციის აუდიტორიამდე მიტანის ამბიცია ან სურვილი აქვს – თუნდაც მოტივირებული მსმენელისთვის, მაგალითად, ეკონომიკის ლექციაზე მისული სტუდენტისთვის, რომლებსაც კარგი ქულის მიღება უნდათ – რეკლამირების ტექნიკები უნდა გამოიყენოს კიდეც. თუ მსგავსი ტექნიკები მოტივირებულ მსმენელთან საუბრისასაც კი საჭიროა, წარმოიდგინეთ, რამდენად უფრო მნიშვნელოვანია ინფორმაციის „რეკლამირება“, როდესაც თქვენი „აუდიტორია“ სულაც არაა მოტივირებული. სატელევიზიო რეკლამას ისეთივე გულმონყალებით უნდა შევხედოთ, თუ უფრო მეტად არა, როგორც საჯარო მთქმელების მიერ გამოყენებულ რეკლამირებას. ორივე მათგანი ინფორმაციის უფრო საინტერესოდ და მიმზიდველად გადაცემას ცდილობს. სატელევიზიო რეკლამას დამატებით ის ტვირთიც აწევს, რომ მაყურებლის მაცივრისგან მოშორება უნდა მოახერხოს. კომუნიკაციის მკაცრად არაინფორმატიული ნაწილები აკრძალული რომ იყოს, საჯარო მთქმელებსა და მასწავლებლებს იმის მცდელობასაც კი ავუკრძალავდით, რომ მსმენელის დაინტერესება ეცადათ. მათ ხუმრობების თქმის, მზერიითი კონტაქტის შენარჩუნების ან აუდიტორიასთან შეკითხვების განხილვის უფლება არ ექნებოდათ. ეს ტექნიკები ინფორმაციის მკაცრად გაზიარების საზღვრებს ცალსახად სცდება. სატელევიზიო რეკლამების ხრიკების მსგავსად, ისინიც „აუდიტორიის შეტყუების“ მცდელობებია.

შესაძლებელია, რომ ოდესმე აიკრძალოს მოტივაციური რეკლამირება და დაშვებული იყოს მხოლოდ ინფორმაციული რეკლამირება? არა. ინფორმაციის გადმოცემა კარგადაც შეიძლება და ცუდადაც (ე. ი. ისეთი გზებით, რომ აუდიტორია ან დაღალო და გააუცხოო, ან – მოხიბლო და გაართო), მაგრამ როგორღაც „შეფუთული“ და „წარდგენილი“ უნდა იყოს. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ გამოიგონეს მფრინავი ხალიჩა და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელება გადანყვიტეს (ფრენის სიჩქარე, სამგზავრო დისტანციები, შენახვის ღირებულება, ინსტრუქცია შენახვის წესების შესახებ და ა. შ.), მაგრამ პრეზენტაცია აუცილებლად წმინდად ინფორმაციული უნდა იყოს. იკრძალება ყველაფერი, რასაც ხალიჩის „რეკლამის“ ნიშანი ექნება. ამ პირობის გათვალისწინებით, გამონაკებილი და თავდაჯერებული

სატელევიზიო გამომცხადებელი ამ ინფორმაციის წარდგენას ვერ მოახერხებს. ხალიჩა შეიძლება მისმა ქარიზმამ დაარეკლამოს. ფონად მუსიკაც ვერ იქნება, იმ საბაბით, რომ ზედმეტად „შთამაგონებლად“ აღიქმება. ხალიჩის „მუშაობის პროცესს“ მასზე მოკალათებულ მომხიბვლელ ქალბატონთან ერთად ხომ ნამდვილად ვერ აჩვენებენ? ამას ვინ გარისკავს – ხალხმა რომ დაიჯეროს, ხალიჩას შთამაგონებელი მუსიკის დისკი ან მომხიბვლელი ქალიც თან მოჰყვებო, მერე სად მივდივართ?

თუ არ შეგვიძლია, რომ პროფესიონალი გამომცხადებელი გამოვიყენოთ, მაშინ, სავარაუდოდ, არაპროფესიონალი ან ქუჩიდან შემოყვანილი უბრალო კაცი უნდა დავიქირაოთ? მაგასაც ვერ ვიზამთ. ზოგიერთი ცბიერი სარეკლამო კომპანია უკვე დიდი წარმატებით იყენებს „ქუჩიდან აყვანილი კაცის მოსაზრების“ ხრიკს და ამით ამტკიცებს, რომ ამ პროცედურას მამოტივირებელი ელემენტი ახლავს.

თუ ინფორმაციას ვერ ვამბობთ, იქნებ დავბეჭდოთ მაინც. ამ შემთხვევაში სხვა დილემის წინაშე აღმოვჩნდებით – როგორი უნდა იყოს შრიფტი? ისეთი ნამდვილად არა, ვინმეს მფრინავი ხალიჩის ყიდვა მართლა რომ მოანდომოს, არამედ რაც შეიძლება უსახური, შეუმჩნეველი და რთულად წასაკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმაოდ იაფად ინფორმაციის მიღების ჭეშმარიტი გზიდან პროდუქტის მართლა ყიდვის ბილიკზე ბევრი ადამიანი გადაუხვევს. სლოგანი გამიზნულად არაფრისმთქმელი და დაბალი ხარისხის უნდა იყოს, რომ ყურადღება არ მიიქციოს.

ცხადია, შეუძლებელია „შეფუთვისა“ და მისი შიგთავსის განცალკევება. შეუძლებელია ინფორმაციის „წმინდად“ წარდგენა. რწმენა, რომ ინფორმაციის უმოტივაციოდ წარდგენა შესაძლებელია, დიდი სისულელეა.

კრიტიკოსები რეკლამის წინააღმდეგ იმ არგუმენტსაც იშველიებენ, რომ რეკლამირება პროდუქტის ფასს ზრდის. თუმცა საინტერესოა, ამ არგუმენტით პროდუქტის შეფუთვისაც თუ გააპროტესტებდნენ ან ტრანსპორტირებას. რა თქმა უნდა, არა, რადგან ყველასთვის ცხადია, რომ პროდუქტის მომხმარებლამდე მისატანად აუცილებელია ამ დამატებითი ხარჯების გაწევა, რომელშიც რეკლამირებაც იგულისხმება! დავუშვათ, რომ ზემოთ ნახსენები ჯადოსნური ხალიჩის წარმოება 950\$ ჯდება, შეფუთვა – 10\$, ტრანსპორტირება – 40\$.

თუ მომხმარებლებს შეფუთვისა და მიტანის სერვისის გამოყენება სურთ, 1000\$ უნდა გადაიხადონ. თუმცა მათ გააჩნიათ არჩევანიც, შეიძინონ შეფუთული ხალიჩა 960\$-ად, შეუფუთავი 950\$-ად ან შეუფუთავი ხალიჩა მიატანინონ სახლში 990\$-ად.

რეკლამირების ხარჯების შემთხვევაშიც ასეა. თუ ხალიჩის რეკლამა 100\$ ღირს, მომხმარებლებს შეუძლიათ რეკლამირებული ბრენდის ხალიჩა 1100\$-ად შეიძინონ ან არარეკლამირებული ბრენდის ხალიჩა (რომელსაც, საკმარისი ძეგნის შემთხვევაში რთულად, მაგრამ მაინც იპოვიდნენ) – 1000\$-ად. დაურეკლამებული ბრენდის ან მაღაზიის პოვნა საკმარისი რაოდენობის მომხმარებელს რომ სურდეს, მენარმეები სულელები იქნებოდნენ, რეკლამაში ფული დაეხარჯათ. თუმცა შეიძლება ზოგიერთი მომხმარებელი ისეთი ყოჩაღი და ენერგიული არ ყოფილიყო, რომ დაურეკლამებული ბრენდის ხალიჩები მოეძებნა და უფრო იაფად ეყიდა. ეს მწარმოებელს „ზარმაცა“ მომხმარებლებისთვის რეკლამის შექმნის სურვილს გაუჩენდა და პროდუქტის ფასს რეკლამის ფასიც დაემატებოდა. შესაბამისად, მართალია, რეკლამირება პროდუქტის ფასს ზრდის, მაგრამ ასევე სიმართლეა, რომ რეკლამირება პროდუქტის ხალხამდე მისატანად აუცილებელია. როდესაც მომხმარებელს მიტანის სერვისის არმქონე და შეუფუთავი ჯადოსნური ხალიჩის მაგივრად, შეფუთული და სახლში მიტანილი ჯადოსნური ხალიჩის ყიდვა ურჩევნია, ხომ არ ვიტყვით, რომ შეფუთვისა და მიტანის ხარჯები მთლიან ხარჯს ფუჭად ზრდის? ნამდვილად არა. ანალოგიურად, პროდუქტის ფასს არც რეკლამირება ზრდის ფუჭად.

ზემოთ გამოგონილ „რეკლამირების სახელმწიფო კომიტეტს“ რაც შეეხება, სანამ ბაზრის ე. წ. „არასრულყოფილებების“ გამო სახელმწიფოსთვის კიდევ ერთი საქმის დამატებაზე დათანხმდებით, არსებული მთავრობის ეკონომიკურ აღრიცხვებზე დაფიქრდით. ერთი ნამით მაინც უნდა დაგვაფიქროს **რალფ ნეიდერისა**¹ და მისი პარტნიორების მიერ სააშკარაოზე გამოტანილმა კორუფციამ. აღმოჩნდა, რომ სამთავრობო სააგენტოები ყველა ინდუსტრიას – აერონავტიკის საჯარო კომიტეტიც და შტატთაშორისი ტრანსპორტირებისა და

¹ რალფ ნეიდერი – ამერიკელი პოლიტიკური აქტივისტი, რომელიც მომხმარებლების უფლებების, ეკოლოგიის დაცვით და კორუფციასთან ბრძოლით არის ცნობილი – რედაქტორის შენიშვნა.

ვაჭრობის კომიტეტით დაწყებული, ფედერალური სავაჭრო, ენერგო და სხვა კომისიებით დამთავრებული – არა მომხმარებლის სასარგებლოდ, არამედ პირიქით, მომხმარებლის საწინააღმდეგოდ და თავად ინდუსტრიის სასარგებლოდ არეგულირებს. ეს უბრალო დამთხვევა არაა. ამას თავისი მიზეზები აქვს.

თითოეული ჩვენგანი ათასობით რამეს ყიდულობს, მაგრამ მხოლოდ ერთს აწარმოებს. შესაბამისად, ჩვენი უნარი, გავლენა მოვახდინოთ სახელმწიფოს მიერ მიღებულ რეგულაციებზე, გაცილებით უფრო კონცენტრირებული და მიზანმიმართულია, როდესაც მწარმოებლის როლში ვართ, ვიდრე მომხმარებლისა. სამთავრობო სააგენტოებიც, შესაბამისად, მწარმოებელი ინდუსტრიისთვის სასარგებლო რეგულაციებს უფრო აწესებენ, ვიდრე მომხმარებელთა მასისთვის. რეალურად, სამთავრობო რეგულატორული სააგენტოები სწორედ იმ ინდუსტრიების წარმომადგენლებით კომპლექტდება, რომლებიც თავად უნდა დაარეგულირონ. **მილტონ ფრიდმანი**¹ თავისი წიგნის, „კაპიტალიზმი და თავისუფლების“ ერთ-ერთ თავში, სახელად „პროფესიული ლიცენზია“, მშვენივრად წარმოაჩენს სამედიცინო სფეროში სამთავრობო შემფასებელი სააგენტოების მუშაობის კატასტროფულ შედეგებს. არ არსებობს მიზეზი იმის სავარაუდოდ, რომ შემფასებელი სააგენტოების შედეგები რეკლამირების სფეროში განსხვავებული იქნება. მეტიც, სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ „ობიექტური“ და „ინფორმაციული“ რეკლამირების სამთავრობო სარეგულაციო კომიტეტი არსებულმა დიდმა და წარმატებულმა სარეკლამო კომპანიებმა ჩამოაყალიბონ, ახალბედა კონკურენტებისა და პატარა კომპანიების თავიდან მოსაშორებლად.

სახელმწიფოს მიერ რეკლამის რეგულირების საწინააღმდეგო მთავარი არგუმენტი ასეთი სააგენტოების მუშაობის კატასტროფული შედეგებით ემპირიული არაა, იმის მიუხედავად, რომ თავად ეს არგუმენტიც საკმაოდ ძლიერია. მთავარი არგუმენტი მკაცრად ლოგიკურია. სახელმწიფო რეგულირების მოსურნეთა მსჯელობა საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. მათი აზრით, ამერიკელი საზოგადოება საშინლად გულუბრყვილოა და ნებაზე რომ მიუშვა, თავს მსხვერპლად გადაიქცევს. ამ ლოგიკით, ამერიკელ მომხმარებლებს

¹ მილტონ ფრიდმანი – ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში – *რედაქტორის შენიშვნა*.

ალბათ იმისიც სჯერათ, რომ კონკრეტული ბრენდის გამოშვებული გაპარსვის შემდგომი ლოსიონის გამოყენებით, რეკლამაში ნაჩვენებ გოგოსაც შეხვდებიან. თუმცა მეორე მხრივ, თურმე იმდენი ჭკუა ჰქონიათ, რომ ამ „სარეკლამო სირინოზების“ დამრეგულირებელი პოლიტიკური ლიდერების არჩევა შეუძლიათ. ეს ცალსახად წინააღმდეგობრივია.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ საზოგადოება სამომხმარებლო პროდუქტებზე ობიექტური ინფორმაციით საკმარისადაა დაინტერესებული, ისეთი ფირმებისა და ორგანიზაციების სერვისებით სარგებლობაც შეუძლია, როგორებიცაა „მომხმარებლის ანგარიშები“ (Consumer Reports), „კარგი საოჯახო მეურნეობა“ (Good Housekeeping), „უკეთესი ბიზნესის ბიურო“ (Better Business Bureau), კომერციული სატესტო ლაბორატორიები, და სხვა კერძო-სამეწარმეო სასერტიფიკატო სააგენტოები. თავისუფალი ბაზარი მოქნილია და ასეთი სერვისების მიწოდებაც შეუძლია (თუმცა მოტივაციური და ინფორმაციული რეკლამირების გაყოფის შეუძლებლობა ისევ ძალაშია. როდესაც „მომხმარებლის ანგარიშები“ აცხადებს, რომ Zilch Flakes საუკეთესო ფანტელია, ის ავტომატურად მოტივაციას აძლევს ხალხს, რომ ფანტელის ყიდვისას უპირატესობა Zilch-ს მიანიჭონ. მას არ ძალუძს ინფორმაციის ისე მიწოდება, რომ ოდნავი რეკლამაც არ გაურიოს.).

რეკლამის დაცვა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როდესაც ის თავისუფალ ბაზარზე ხდება. სამთავრობო ან მთავრობის მიერ მხარდაჭერილი დიდი ბიზნესების რეკლამის შემთხვევაში, თავისუფალი ბაზრის არც ერთი დაცვა აღარ მუშაობს. ამ სცენარებში, ხალხი იძულებულია გადაიხადოს თანხა რეკლამაში იმის მიუხედავად, აპირებს თუ არა პროდუქტის ყიდვას. სახელმწიფო ამ რეკლამებს არანებაყოფლობით აკრეფილი გადასახადებით აფინანსებს. სახელმწიფოს მიერ გამოყენებული რეკლამა ძლიერ მოტივაციური („Uncle Sam Wants You“) და ხშირად თაღლითურიცაა. საკმაოდ უცნაურია, რომ სახელმწიფო რეკლამირება ასე საყოველთაოდ უგულებელყოფილია რეკლამირების ყველაზე ხმამაღალი კრიტიკოსების მიერაც კი. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ბიზნესმენი თაღლითურ რეკლამირებაში რომ გამოეჭირათ. თუნდაც იმის მეასედი რომ ჩაედინა, რაც ფრანკლინ რუზველტმა, ლინდონ ჯონსონმა ან რიჩარდ ნიქსონმა წინასაარჩევნოდ მშვიდობის რეკლამირებით, ხოლო არჩევნების შემ-

დეგ – უცხო ომებში ქვეყნის ჩათრევით ჩაიდინეს. როგორ შეგვიძლია თაღლითური რეკლამირების დასჯა მთავრობას ვანდოთ, რომელიც თავადაა ყველა დროის ყველაზე თაღლითი ედვერთაიზერი?!

საბოლოოდ, რეკლამა სიტყვის თავისუფლების მორწმუნეებმა უნდა დაიცვან, ვინაიდან იგი სხვა არც არაფერია. ძალიან მარტივია მათი სიტყვის თავისუფლების დაცვა, ვისაც ისედაც ვეთანხმებით, მაგრამ სიტყვის თავისუფლება მხოლოდ მაშინ ნიშნავს რაიმეს, როდესაც იმათ სიტყვის თავისუფლებას ვიცავთ, ვის მიმართაც საზოგადოება არაკეთილგანწყობილია. ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების გაერთიანებისგან [American Civil Liberties Union] რეკლამის განმათავსებლების სიტყვის თავისუფლების დაცვას ლიბერტარიანელები შფოთვით ელიან. ეს ორგანიზაცია სატელევიზიო სივრციდან სიგარეტის რეკლამის აკრძალვის მთლიანი პერიოდის განმავლობაში საექვოდ დუმდა.



10.

ადამიანი, რომელიც გადაჭედილ თეატრში ყვირის „ხანძარია!“

სიტყვის თავისუფლების სანინალმდებო საქმეში მთავარი ექსპონატი „ხანძარია!“-ს მცვირალა. სამოქალაქო თავისუფლებისა და სიტყვის თავისუფლების თავგადადებული მცველებიც კი ამბობენ, რომ ეს უფლებები გადაჭედულ თეატრში „ხანძარია!“-ს ყვირილის უფლებას არ მოიცავს. ეს ის ერთადერთი შემთხვევაა, რომლის გამოც, ერთი შეხედვით, ყველა მხარე თანხმდება, რომ სიტყვის თავისუფლება სხვა უფლებებზე მნიშვნელოვანი არაა.

სიტყვის თავისუფლების დათმობა, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, სახიფათო პრეცედენტია და ყოველთვის უნდა ავირიდოთ თავიდან. მათ შორის, არც „ხანძარია!“-ს მცვირალას შემთხვევაშია საჭირო სიტყვის თავისუფლების პრინციპების გადახედვა. თეატრის მოყვარულების უფლებების დაცვა სიტყვის თავისუფლების კანონის ძალით აკრძალვის გარეშეც შეიძლება. მაგალითად, თეატრის მფლობელებს

შეუძლიათ საკუთარ სტუმრებთან დადონ კონტრაქტი, რომელიც „ხანძარია!“-ს ყვირილს კრძალავს (თუ, რა თქმა უნდა, თეატრში მართლა ხანძარი არაა). კონტრაქტს უმარტივესი ფორმა შეიძლება ჰქონდეს – თეატრის ბილეთის უკანა მხარეს მცირე შრიფტით ან თეატრის კედლებზე გაკრულ პოსტერებზე უზარმაზარი ასოებით ეწეროს, რომ წარმოდგენის ნებისმიერი სახით ხელშეშლა ან მხოლოდ სიტყვა „ხანძარია!“-ს დაძახება აკრძალულია. იმის მიუხედავად, რომ გაჩნდა კონკრეტული აკრძალვა, სიტყვის თავისუფლებასა და სხვა უფლებებს შორის სავარაუდო კონფლიქტს კონტრაქტი ეფექტიანად მოაგვარებს. ამ შემთხვევაში, „ხანძარია!“-ს მყვირალა ადამიანი უბრალოდ კონტრაქტს დაარღვევს და მას შესაბამისად-აც მოევლება. ეს სიტუაცია აბსოლუტურად ანალოგიური იქნება სიტუაციისა, რომელშიც კონტრაქტით ვინმეს კონცერტზე სიმღერა ევალება, მაგრამ ამის ნაცვლად, სიმღერაზე უარს ამბობს და ეკონომიკაზე იწყებს ლექციის კითხვას. ორივე შემთხვევაში, საქმე არა სიტყვის თავისუფლებასთან, არამედ კონტრაქტის შესრულების ვალდებულებასთან გვაქვს. აკრძალვები ამ მიმართულებით რატომ უნდა წავიყვანოთ? ამისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს.

პირველ რიგში, საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაში – მაგალითად, „ხანძარია!“-ს მყვირალას მოგერიებაში – ბაზარი გაცილებით ეფექტიანი იქნება, ვიდრე ყოვლისმომცველი სამთავრობო აკრძალვა. საბაზრო-საკონტრაქტო სისტემაც უფრო ეფექტიანად იმუშავებს, ვინაიდან თეატრის მეპატრონეები აუდიტორიისათვის ხელშემშლელი გამოხტომების გამკლავებაში ერთმანეთს შეეჯიბრებიან – შესაბამისად, მსგავსი გამოხტომების რაოდენობისა და სავალალოობის შესამცირებლად დიდი სტიმული ექნებათ. მეორე მხრივ, მთავრობას არავითარი სტიმული არ გააჩნია, რაიმე ზომა მიიღოს. როდესაც მთავრობა თეატრში წესრიგს ვერ ინარჩუნებს, ფულს ავტომატურად არავინ კარგავს.

მეორე მიზეზი, თუ რატომ უნდა ველოდოთ ბაზრისგან მთავრობაზე მეტ წარმატებას ისაა, რომ ბაზარი, თავისი ბუნებით, უფრო მოქნილია. მთავრობას მხოლოდ ერთი ცალი საყოველთაო წესის მოგონება შეუძლია, საუკეთესო შემთხვევაში, ერთი ან ორი გამონაკლისით. ბაზარს მსგავსი შეზღუდვები არ აქვს. ბაზრის მოქნილობა

და მეთოდები მხოლოდ მასში მონაწილე აქტორების წარმოსახვის უნარითაა შეზღუდული.

მესამე მიზეზი – „ხანძარია!“-ს ყვირილისგან დამცავი სამთავრობო სისტემა პირდაპირი აკრძალვაა, რომელიც ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ჩაგრული უმცირესობის, სადისტიკებისა და მაზოხისტების უფლებებს ზღუდავს. რა ეშველება იმ სადისტიკის უფლებებს, რომელსაც გადაჭედით თეატრში „ხანძარია!“-ს ყვირილი, ხოლო შემდეგ გასასვლელებისკენ დოღში ერთმანეთის გადამთელავი ბრბოს ყურება სიამოვნებს? ან იმ მაზოხისტებს, რომლებსაც სიამოვნებისგან აკანკალებთ იმის გაფიქრებაზე, რომ გადაჭედით თეატრში ვიღაცამ შეიძლება „ხანძარია!“ დაიყვიროს და შედეგად გასასვლელებისკენ „ეიფორიულ“ დოღში მოხვდეს? სამთავრობო სისტემის სწორხაზოვანი აკრძალვის პირობებში, ამ ხალხს უარს ვეუბნებით მათ ყველაზე გულმხურვალე ნატვრაზე – შანსზე, რომ დიდების ალში „დაინვან“. თუმცა ბაზრის დრეკად სისტემაში სერვისზე მოთხოვნის არსებობა მიწოდებასაც მალევე აჩენს. თუ არსებობს სადომაზოხისტებისგან „ხანძარია!“-ს ყვირილისა და გაჩაღებული განევ-გამონევის ყურების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა, მენარმეებს მოთხოვნილი სერვისის მიწოდების სტიმული და შესაძლებლობა გაუჩნდებათ.

მსგავსი ზღვრული მაგალითები არა-სადომაზოხისტი „ნატურალებისთვის“ ჩვეულებრივ სალაცო თემად შეიძლება იქცეს, ეს მოსალოდნელია. არც ერთ მმართველ კლასს არ განუხილავს მათ ფეხქვეშ გათელილთა მდგომარეობა ზიზლისა და უპატივცემულობის გარეშე. ზრდასრულ არააგრესორ სადომაზოხისტებს ისეთივე უფლება აქვთ საკუთარ ურთიერთშეთანხმებულ პრაქტიკებზე, როგორიც – სხვებს. სადომაზოხისტების, როგორც არგასათვალისწინებელი და უღირსი ადამიანების უფლებების უგულებელყოფა, „ნატურალების“ ფაშისტური აზროვნების წესზე მეტყველებს. სადომაზოხისტებს საკუთარი არააგრესიული პრაქტიკებით გამოყენების უფლება უნდა ჰქონდეთ. ყველაფრის გათვალისწინებით, საზოგადოებას არც მოუწევს ისეთ სპექტაკლზე დასწრება, რომელზეც, რეკლამის თანახმად, „მოულოდნელი წყვეტები“ დაშვებულია. ხოლო, თავის მხრივ, სადომაზოხისტებს „ჩვეულებრივი“ თეატრების სტუმრობისას თავის შეკავება მოუწევთ.

საბოლოოდ, თუ გადაჭედულ თეატრში „ხანძარია!“-ს ყვირილის აკრძალვა უშუალოდ კერძო კონტრაქტიდან არ გამომდინარეობს, სიტყვის თავისუფლება ძალიან ღირებულ რამეს დაუპირისპირდება – სახელდობრ, ადამიანების უფლებას, შოუს ყურებაში ხელი არ შეემალოთ და გასასვლელთან არ გაიჭყლიტონ.

სიტყვის თავისუფლება ლერწმის ღეროსავით სუსტი რამაა: ყოველთვის შეზღუდვის საფრთხის წინაშე დგას. ზოგჯერ მის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება არც ისე მყარია, შესაბამისად, მის კიდევ უფრო შემასუსტებელ ნებისმიერ მოვლენას უნდა შევეწინააღმდეგოთ. სავარაუდოდ, სიტყვის თავისუფლების დასანგრევად რთულად თუ იარსებებს იმაზე უფრო ეფექტიანი შეშინების ტაქტიკა, ვიდრე თავისუფლად საუბრის უფლებასა და სხვა უფრო დაფასებულ უფლებებს შორის ფუჭი კონფლიქტის შექმნაა. „ხანძარია!“-ს მყვირალას ზემოთ აღწერილი სცენარი ზუსტად ამას აღწევს. თუ სიტყვის თავისუფლების ნაწილში „გამონაკლისებს“ დაუშვებთ, ამ მყიფე უფლებას კიდევ უფრო დავკარგავთ. სიტყვის თავისუფლების შესაზღუდად ლეგიტიმური გამონაკლისები არ არსებობს. არ არსებობს შემთხვევა, რომელშიც სიტყვის თავისუფლება ჩვენთვის ძვირფას სხვა უფლებებს ეწინააღმდეგება.

შესაბამისად, გადაჭედულ თეატრში „ხანძარია!“-ს მყვირალაც შეგვიძლია გვირად შევრაცხოთ. ის იმაზე ფიქრს გვაიძულებს, თუ რისგან შედგება ჩვენი ძვირფასი, „წითელ წიგნში შესაყვანი“ თავისუფლება და რა უნდა ვქნათ მის დასაცავად.

ნაწილი მეოთხე

არაღებულურად
გამოცხადებულები



11.

ულიცენზიო ტაქსისტი

შეერთებულ შტატებში ტაქსის ბიზნესის მუშაობის სპეციფიკა ღარიბთა და უმცირესობათა ჯგუფებს ორნაირად აზარალებს – როგორც მომხმარებლებს და როგორც მწარმოებლებს. მომხმარებლობის ქრილში, მათი სავალალო მდგომარეობა ნათლად ჩანს ეთნიკურ „ტაქსისტურ ხუმრობებსა“ და შავკანიანთა მცდელობებში, ტაქსის დასაჭერად ათასგვარი ხრიკი მოიფიქრონ, რაც ხშირად წარუმატებლად მთავრდება. მიზეზები რთულად მისახვედრი არაა. ტაქსის ტარიფები კანონითაა დადგენილი, მიუხედავად მგ ზავრობის საბოლოო ლოკაციისა. ჰოდა, ზოგიერთი ლოკაცია სხვებზე სახიფათოა, ამიტომ მძღოლები ღარიბებისა და უმცირესობების ჯგუფების სამეზობლოებში შესვლას ყველა შესაძლო გზით არიდებენ თავს. ამიტომაც, არჩევანის შემთხვევაში, ტაქსისტები მომხმარებლებს, დიდი ალბათობით, ეკონომიკური სტატუსისა და კანის ფერის მიხედვით არჩევენ.

მნიშვნელოვანია იმის აღქმა, რომ სხვადასხვა რაიონში განსხვავებული კრიმინალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ზემოთ აღწერილი სიტუაცია მთლიანად ტაქსის ფასების სამთავრობო კონტროლის შედეგია. ასეთი საფასო კონტროლი რომ არა, სახიფათო ლოკაციებამდე მისვლაში ტაქსისტები გაზრდილი რისკების შესაბამის გაზრდილ ანაზღაურებას მოითხოვდნენ. მართალია, ასეთ შემთხვევაში ტაქსის მომსახურებისთვის შავკანიანებს თეთრკანიანებზე მაღალი ფასი ექნებოდათ გადასახდელი ან იმავე ფასის, ოღონდ უფრო ძველი ან დაბალი ხარისხის ტაქსებით მოუწევდათ მგზავრობა, მაგრამ, სხვა თუ არაფერი, სურვილის შემთხვევაში, ტაქსის მომსახურებით სარგებლობა მაინც შეიძლებოდათ. ახლანდელი სისტემის პირობებში მათ ეს არჩევანიც არ გააჩნიათ.

ღარიბი შავკანიანი მომხმარებლისათვის ის ფაქტი, რომ ტაქსით ვერ სარგებლობს, მცირე დისკომფორტი არაა, იმის მიუხედავად, რომ საშუალო კლასის თეთრკანიანთა უმეტესობა ამ აზრს შეიძლება არ ეთანხმებოდეს. საჯარო ტრანსპორტის (ავტობუსი, ტროლეიბუსი და მატარებელი) განლაგება და მარშრუტები დაახლოებით 50-75 წლის წინ დაიგეგმა და აშენდა. ამ წლებში სატრანსპორტო ხაზები ძირითადად კერძო გაერთიანებებს ეკუთვნოდა, რომელიც მოგებისა და წარმატების მისაღწევად საკუთარ მომხმარებლებზე იყო დამოკიდებული. ისინი სპეციალურად მომხმარებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა. ეს სატრანსპორტო ხაზები დღევანდელი საზოგადოების მოთხოვნებს ვეღარ უპასუხებს (დღეს სატრანსპორტო ხაზები საჯარო მფლობელობაშია და, შესაბამისად, არ არსებობს სტიმული, რომ მომხმარებელთა მოთხოვნების მიხედვით დაიგეგმოს. თუ მომხმარებელი კონკრეტული სატრანსპორტო ხაზით სარგებლობაზე უარს ამბობს და ეს ხაზი ამით არამომგებიანი ხდება, მთავრობას ამ დანაკლისის ანაზღაურება უბრალოდ ბიუჯეტიდან ფულის დამატებით შეუძლია.) შესაბამისად, ქალაქის მოსახლეობას სახლამდე ტაქსით მალე მისვლასა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით ნელ, გრძელ და მიხვეულ-მოხვეული მარშრუტით მგზავრობას შორის არჩევანის გაკეთება უწევს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ღარიბებსა და უმცირესობებს ეხებათ, რომლებსაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ადმინისტრაციაზე ზეწოლისა და ახალი სატრანსპორტო ხაზების

ამენებისთვის საკმარისი პოლიტიკური ძალაუფლება არ გააჩნიათ.

იმ ადგილებში, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არა-ეფექტიანია, ტაქსიზე შეზღუდული წვდომა ხშირად უბრალო დისკომფორტზე მეტად საზიანოა. მაგალითად, როდესაც საქმე ჯანმრთელობას ეხება, ტაქსი სასწრაფოს მანქანის იაფი და კარგი ჩამნაცვლებელია. თუმცა ღარიბ დასახლებებში, რომელთაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი წესიერად არ ემსახურება და სადაც მოსახლეობას მანქანის ყოლის ფუფუნება არ აქვს, ტაქსის პოვნა ხშირად რთულია.

არსებული სისტემის პირობებში ღარიბები მწარმოებლების როლშიც ზარალდებიან. მაგალითად, ნიუ-იორკში მთავრობა ითხოვს, რომ ყველა ტაქსი ლიცენზირებული იყოს. ლიცენზიების, ანუ მედალიონების, რაოდენობა მკაცრადაა შეზღუდული.¹ იმდენად მკაცრად, რომ მათი 30,000\$-ად გაყიდვის ფაქტებიც დაფიქსირებულა.² ფასი იმის მიხედვით მერყეობს, თუ ვისთვისაა ლიცენზია ინდივიდუალური ტაქსისთვის თუ ჯგუფის წევრისთვის. ეს მოცემულობა ღარიბებს ამ სფეროში მესაკუთრეების როლით შესვლაშიც უშლის ხელს. რა დამართებოდა პორეიშო ელჯერის³ გმირს, ფეხსაცმელების გაპრი-ალების ან გაზეთების მიტანის ბიზნესში ჩასართავად 30,000\$ რომ დასჭირვებოდა?!

რამდენიმე წლის წინ, მომხმარებლებისა და მიმწოდებლების როლებზე დაწესებული შეზღუდვების საპასუხოდ, ღარიბებმა და უმცირესობების წარმომადგენლებმა ტაქსის ბიზნესში შესვლა – 1776 წლის რევოლუციიდან მოყოლებული პატივსაცემი ამერიკული ტრადიციის თანახმად – კანონის დაუმორჩილებლობით დაიწყეს. მათ საკუთარი მანქანები სპეციალური განათებებით, ტაქსომეტრებითა და ნიშნებით აღჭურვეს და ტაქსებად გამოაცხადეს. ამ ულიცენზიო ტაქსებმა ლიცენზირებული ტაქსისტების მიერ ათვალწუნებულ გეტოებში დაიწყეს მოძრაობა და ფულის პატიოსნად, თუმცა არაღე-

¹ ნიუ-იორკში ტაქსის მხოლოდ 13 500-მდე ლიცენზიაა გაცემული.

² 1976 წლიდან, როცა ეს ნიგნი იყო დაწერილი, სიტუაცია დიდად არ შეცვლილა, გარდა ამ ლიცენზიების ფასისა, რომელიც ახლა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე იყო. მაგალითად, 2013 წელს ლიცენზიის ფასი მილიონ დოლარამდეც კი გაიზარდა. – *რედაქტორის შენიშვნა.*

³ პორეიშო ელჯერი – ამერიკელი მწერალი (ორატიო ლგერ ჟრ. 1832-1899), რომლის ნოველების გმირები კეთილსინდისიერი და მძიმე შრომით წარმატებით აღწევნ თავს სიღარიბეს. – *რედაქტორის შენიშვნა.*

გალუწად გამომუშავება. ის, რომ თავიდან ამ ტაქსებმა კანონით გათვალისწინებულ სასჯელს წარმატებით აარიდეს თავი, სავარაუდოდ, ორი ფაქტორითაა გამოწვეული: პირველი – პოლიცია ტაქსების შევიწროებით საზოგადოებრივი არეულობის გამონეევას უფრთხოდა და მეორე – „უდიპლომო“ ტაქსისტები მხოლოდ გეტოებში მუშაობდნენ და, შესაბამისად, ლიცენზირებულ ტაქსისტებს სამუშაოს არ ართმევდნენ.

იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. მიღწეული წარმატებით გაყოყნიებულმა ულიცენზიო ტაქსისტებმა გეტოებს გარეთ გასვლა გადაწყვიტეს. თუ აქამდე მედალიონის მქონე ტაქსისტები ულიცენზიო კოლეგებს მხოლოდ ეჭვის თვალთ უყურებდნენ, ახლა დამოკიდებულება ცალსახა მტრობაში გადაიზარდა და ამისთვის მიზეზიც ჰქონდათ. ამავე პერიოდში ნიუ-იორკის ტაქსის ლობიმ საქალაქო საკრებულოს ტაქსით მგზავრობის ტარიფების გასაზრდელი კანონი მიაღებინა. მგზავრთა რაოდენობა პანტაჟუნტით შემცირდა, რასაც მყისიერად მოჰყვა ლიცენზირებული ტაქსისტების შემოსავლების შემცირება. ცხადი გახდა, რომ მათი ყოფილი მგზავრების დიდი ნაწილი ულიცენზიო ტაქსისტების მომსახურებას იყენებდა. ამის გამო, ლიცენზირებული ტაქსისტების განრისხებულმა ჯგუფებმა შურისძიების წყურვილით ულიცენზიო ტაქსისტებზე თავდასხმა და მათი მანქანების დანვა დაიწყეს. რამდენიმე ძალადობრივი კვირის შემდეგ შედეგაც მიაღწიეს. ტაქსის ტრადიციული ყვითელი ფერი მედალიონის მქონე ტაქსისტებს ერგოთ. „უდიპლომოებს“ სხვა ფერის გამოყენება მოუწევდათ და მათთვის ლიცენზიების გასაცემ ექსპერიმენტულ გეგმაზეც ისაუბრეს.

რა ბედი ელის ნიუ-იორკის ტაქსის ინდუსტრიას მომავალში? თუ დომინანტური „მემარცხენე კონსენსუსის“ პოლიტიკა რყევებს გაუძლებს, როგორც ასეთი საკითხების წამოჭრის ჟამს სჩვევია ხოლმე, ულიცენზიოებთან გარკვეული კომპრომისი მიიღწევა და ისინიც ტაქსების მარეგულირებელი კომისიის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდებიან. შესაძლოა, ყვითელი ტაქსების დასაცავად, მათ შეზღუდული ლიცენზია დაუნესდეთ. ასეთ შემთხვევაში, სისტემა მაინც იგივე დარჩება – გეგონება ყაჩაღთა ბანდაში ახალი წევრები მიიღესო. თუმცა ყაჩაღობები ამით არ დასრულდება და არსებითად არც მსხვერპლებს ეშველებათ რაიმე. დავუშვათ, რომელიმე

გეგმის თანახმად 5000 ახალი ლიცენზია გამოიცა. ამან შეიძლება რაიმე ოდნავ შეცვალოს და შავკანიანებისათვის პოტენციურად უფრო მეტი ტაქსი გახდეს ხელმისაწვდომი. შესაბამისად, შავკანიანებს ტაქსის დაჭერა ოდნავ გაუადვილდებათ, იმის მიუხედავად, რომ მაინც მეორეხარისხოვან მოქალაქეებად დარჩებიან, მაგრამ, პარადოქსულად, კონსენსუსი, რომ უფრო მეტი ტაქსია საჭირო, სიტუაციის გამოსწორების სამომავლო მოთხოვნებს შეაჩერებს. ეს ტაქსების მარეგულირებელს უბრალოდ იმის უფლებას მისცემს, რომ ულიცენზიო ტაქსისტების „ხელგაშლილი“ ლიცენზირების გამო, ტაქსის მედალიონების ლიბერალური და ქველი დამრიგებლის როლი მოირგოს (იმის მიუხედავად, რომ 1939 წლის მერე ერთი დამატებითი მედალიონიც კი არ გაუცია).

ლარიების, როგორც პოტენციური მწარმოებლების და ბიზნეს-მენების მდგომარეობა, რაღაც მხრივ, შეიძლება გაუმჯობესდეს: დამატებითი 5000 ლიცენზიის გამოცემა, სავარაუდოდ, მედალიონის შესაძენ ფასს შეამცირებს. თუმცა იმის შესაძლებლობაც არსებობს, რომ 5000 დამატებითი ლიცენზიის გამოცემის შემდეგ მედალიონის ფასი გაიზარდოს კიდევ, ვინაიდან არსებული დიადი გაურკვევლობა, რომელიც მედალიონების მიმდინარე ფასს ამცირებს, საბოლოოდ დასრულდება. ამ შემთხვევაში მედალიონები ისევ ძვირი ელირება, ხოლო ლარიების პოზიცია სულაც არ გაუმჯობესდება.

არა! ტაქსების კრიზისის სწორი პასუხი ულიცენზიო ტაქსისტების სისტემაში შეყვანა კი არა, სატაქსო ლიცენზიების მავნებლური სისტემის განადგურებაა.

ბაზრის ყოველდღიური მუშაობის ტერმინებით რომ ვთქვათ, ლიცენზირების გაუქმების შემთხვევაში, მართვის მონმობის მქონე ნებისმიერ მძღოლს, ნებისმიერი სერტიფიცირებაგავლილი ავტომობილით, ნებისმიერი ურთიერთშეთანხმებული ადგილიდან, ნებისმიერ ურთიერთშეთანხმებულ ადგილამდე, ნებისმიერ ურთიერთშეთანხმებულ ფასად შეიძლება მგზავრის მიყვანა. ამ შემთხვევაში ნიუ-იორკის ტაქსების ბაზარი ჰონგ-კონგის რიქშების ბაზარივით იმუშავებს. ანდა, ნაკლებ ეგზოტიკური მაგალითი რომ მოვიშველიოთ, ტაქსების ბაზარი ძიძების ბაზარივით იმუშავებს და მხოლოდ მომლაპარაკებელ მხარეთა შორის ნებაყოფლობით შეთანხმებაზე იქნება დამყარებული.

ლარიბი სოციალური ფენისა და უმცირესობების წევრებისთვის ტაქსის პრობლემები მალევე აღმოიფხვრება. უფრო საშიში უბნების მაცხოვრებლებს ტაქსებისთვის შედარებით მაღალი ფასის გადახდა შეეძლებათ. იმის მიუხედავად, რომ, სამწუხაროდ, ამ პრემიუმ ფასის გადახდა მოუწევთ, ტაქსიზე ხელმისაწვდომობის მხრივ მეორეხარისხოვანი მოქალაქეები მაინც აღარ იქნებიან. მაგრამ ამ პრობლემის ერთადერთი ნამდვილი და საბოლოო გადაწყვეტა გეტოებში კრიმინალის მაღალი დონის შემცირებაა, რაც, თავის მხრივ, გაზრდილი ფასის გადახდის აუცილებლობას გააქრობს. თუმცა ამ უბნების მაცხოვრებლებს ადეკვატური სატაქსო სერვისის მისაღებად საჭირო ნაბიჯების გადადგმა არც დღეს უნდა ეკრძალებოდეთ.

ლარიბი სოციალური ფენის წარმომადგენლები მენარმეების როლშიც იხეირებენ, ვინაიდან საკუთარი ბიზნესის დაწყება შეეძლებათ. რაღა თქმა უნდა, მანქანის ყოლა დასჭირდებათ, თუმცა ხელოვნური და თავმოყურელი 30,000\$-იანი ბარიერი აღარ ექნებათ.

თუმცა ტაქსების თავისუფალი ბაზრის საწინააღმდეგო რამდენიმე არგუმენტიც აუცილებლად გამოჩნდება:

(1) „მედალიონების გაუქმების შემთხვევაში თავისუფალი ბაზარი ქაოსამდე და ანარქიამდე მიგვიყვანს. ტაქსები ქალაქს გადაჭედებენ და თითოეული ტაქსისტის მიერ გამომუშავებად თანხას შეამცირებს. შესაბამისად, ტაქსისტები ინდუსტრიას ჯოგებად დატოვებენ, რაც ტაქსის დეფიციტს გამოიწვევს. ტაქსების რაოდენობის მარეგულირებელი მედალიონების გარეშე საზოგადოება ორ ერთმანეთზე უარეს ალტერნატივას შორის გაიჭედება.“

ამის პასუხი ისაა, რომ ინდუსტრიაში შესვლის ციებ-ცხელება რომც დაიწყოს და ბაზარი გაზულუქდეს, სფეროს მხოლოდ ზოგიერთი ტაქსისტი დატოვებს. შესაბამისად, ტაქსების რაოდენობა საშინელი სიჭარბიდან სრულ დეფიციტამდე და პირიქით არ იმერყევეს. მეტიც, სფეროდან გასული ტაქსისტი ან ის იქნება, ვინც ისედაც არაეფექტიანად მუშაობდა და საკმარის შემოსავალს ვერ გამოიმუშავებდა, ან ის, ვინც სხვა სფეროებში მოძებნის უკეთეს ალტერნატივას. ყოფილი ტაქსისტები ინდუსტრიის მიტოვებით დარჩენილების შემოსავლებს გაზრდიან და ამით სფეროც დასტაბილურდება. ბოლოს და ბოლოს, ადვოკატების, ექიმების ან ფეხსაცმელების მწმენდავების სიმრავლისგან ან დეფიციტისაგან დასაზღვევად ხომ არავის მოუვა ჭკუაში

ამ სფეროებში შემსვლელთა რაოდენობაზე ზედა ლიმიტის დანესება. ჩვენ მოთხოვნა-მიწოდების ძალებზე ვართ დამოკიდებულნი. როდესაც სფეროში საჭიროზე მეტი მუშაა, მათი ფარდობითი ხელფასები იკლებს და ზოგი მუშა სხვა სფეროში გადადის; ხოლო, თუ სფეროში საჭიროზე ცოტა მუშაა – ხელფასები იზრდება და ინდუსტრიაში ახალი მუშებიც შემოდის.

(2) ტაქსის მედალიონების დამცველთა ის არგუმენტი, რომ ლიცენზირება მგზავრთა საზოგადოებას იცავს, ალბათ, ყველაზე ფარისევლურია. ამავე არგუმენტს იყენებენ ის ფსიქიატრები, რომლებსაც ჩვენი „დაცვა“ ჯგუფური თერაპიებისგან და საერთოდ ნებისმიერი რამისგან სურთ, რაც მათ შემოსავლებში შეეცილებს; ან ის თეთრი პროფკავშირელები, რომლებიც საზოგადოებას „იცავენ“ კვალიფიციური შავკანიანი მუშებისგან გამიჯვნით, ან ექიმები, რომლებიც კვალიფიციური უცხოელი ექიმებისათვის სამედიცინო ლიცენზიების არმიცემით „გვიცავენ“. ამ არგუმენტით დღესდღეობით ცოტა თუ ტყუვდება. ცხადია, რომ მანქანებისა და მძღოლების ხარისხის დაზღვევა მართვის მოწმობის სპეციალურ გამოცდასა და მანქანების ინსპექციასაც საკმარისად შეუძლია.

(3) „აბა, ძმაო, ტაქსების შეუზღუდავი რაოდენობა რომ იყოს, მედალიონებს ფასი აღარ ექნებათ. ეს უსამართლოა მათთვის, ვინც საკუთარი მედალიონების შესაძენად უკვე ათასობით დოლარი გადაიხდა.“

ამ არგუმენტის უკეთ აღქმა ამ პატარა იგავის გააზრებით შეგვეძლება: დიქტატორმა ავაზაკთა რაზმს ყველა გამვლელის გაძარცვის უფლება მისცა. სანაცვლოდ კი 2,500\$ გადამიხადეთო, უთხრა. ცოტა ხანში ხალხმა სისტემა დაამხო.

ავაზაკების უსარგებლო ინვესტიციაზე ვინ უნდა აგოს პასუხი? არჩევანი მხოლოდ დიქტატორსა და ავაზაკებს შორის რომ გვექონდეს, „ორივეს თავში ქვაც უხლიაო“ ვიტყოდით. შეიძლება, ავაზაკებისთვისაც კი გვეგულშემატკივრა იმიტომ, რომ დიქტატორზე ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ და იქნებ თავდაპირველი გადასახადი სულაც პატიოსნად ნაშოვნი ფულით ჰქონდათ გადახდილი. მაგრამ, ავაზაკების მიერ მგზავრების გაქურდვის პრივილეგიის დაკარგვის გამო, უკვე გატანჯული მგზავრების მიერ ამავე ავაზაკებისთვის ფულის გადახდის გეგმას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვამართლებდეთ!

ანალოგიურადვე არ უნდა დავუშვათ არგუმენტი, რომ გაუფასურებული მედალიონების პატრონებს ზარალი ტაქსების ისედაც „ტანჯულმა“ მომხმარებლებმა უნდა აუნაზღაურონ. თუ ოდესმე საქმე მედალიონების მფლობელებსა და მედალიონების გამცემებს (პოლიტიკოსებს) შორის გადამწყვეტ ბრძოლამდე მივიდა, საზოგადოებამ მხარი შეიძლება მედალიონების მფლობელებს დაუჭიროს იმიტომ, რომ ისინი მედალიონების გამცემებზე ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ და მედალიონების თავდაპირველი ფასი, სავარაუდოდ, პატიოსნად გამომუშავებული ფულით გადაიხადეს. მაგრამ მედალიონების მფლობელების ზარალი პოლიტიკოსების პირადი სახსრებიდან ან მათი ქონებიდან უნდა ანაზღაურდეს. მთავარი ვეზირი მთავარი ვეზირია. საზოგადოებრივი სახსრებით ზარალის ანაზღაურება ისევ საზოგადოების დასჯას ნიშნავს. თუ ზარალი პოლიტიკოსის პირადი სახსრებიდან არ ანაზღაურდა, მაშინ ის მედალიონის მფლობელებმა უნდა იწვნიონ. საზოგადოების ძარცვის ნებართვის შემძენმა ადამიანმა ინვესტიციის თანმდევ რისკებზეც უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.

თქვენი ბილეთები, სერ.



12.

ბილეთების გადაყიდველი

ვებსტერის ლექსიკონში სიტყვა „scalper“ (ქორვაჭარი, სპეკულანტი) განიმარტება როგორც პიროვნება, რომელიც „ყიდულობს და ყიდის სწრაფი სარგებლის ნახვის მიზნით“, ხოლო სიტყვა „scalping“ – როგორც „თაღლითობა, გამოყენება ან ძარცვა“. მტრულად განწყობილი საზოგადოების მიერ „ბილეთების გადაყიდველის“ მიმართ ზუსტად ეს ბოლო განმარტება გამოიყენება ხოლმე.

ამ განაჩენის მიზეზი მარტივი ამოსაცნობია. წარმოიდგინეთ თეატრის მოყვარული ან სპორტის გულშემატკივარი, რომელიც დიდი ღონისძიების საღამოს, ადგილზე მისვლისას, მისდა სამწუხაროდ, აღმოაჩენს, რომ ადგილისათვის 10\$-ის მაგივრად 50\$ უნდა გადაიხადოს. ის ფიქრობს, რომ ეს აბსურდული ფასი გადაყიდველების მიერაა დაწესებული, რომლებმაც ბილეთები ჩვეულებრივ ფასებში შეიძინეს და შემდეგ შეგნებულად შეინახეს სასონარკვეთილ კლიენტებზე მაღალ

ფასად მიყიდვის იმედით. თუმცა ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შავი ბაზრის მოთამაშის ასეთი გმობა უსამართლოა.

საერთოდ რატომ არსებობს ბილეთების მტაცებლური გადაყიდვა? ბილეთების გადაყიდვის აუცილებელი პირობა და მისი არსებობის გარდაუვალი მიზეზი გახლავთ ბილეთების ფიქსირებული და უცვლელი მიწოდება. მიწოდება მოთხოვნასთან ერთად რომ იზრდებოდეს, ბილეთების გადამყიდველი სრულიად უფუნქციოდ დარჩებოდა. რატომ იყიდდა ვინმე ბილეთს გადამყიდველისგან, თუ დამატებითი ბილეთების ყიდვა თეატრის სალაროში ჩვეულებრივ ფასადვე შეეძლებოდა?

ბილეთების გადამყიდველის არსებობისათვის მეორე აუცილებელი პირობა ბილეთების ფასის საჯარო გამოფენაა. ფასი ბილეთზე მითითებული რომ არ იყოს, ბილეთებით სპეკულანტობა, განმარტების მიხედვით, ვერც იარსებებს. დაფიქრდით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ნაყიდ და გაყიდულ აქციებზე ფასები დაბეჭდილი არაა. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი ცალი აქციაა ან რამდენი ხნითაა ნაყიდი ან რამდენად მაღალია მათი ფასი გადაყიდვის დროს – ამ შემთხვევაში ვერ ისპეკულანტებ.

თეატრები ან სტადიონები ბილეთზე ფასს რატომ ბეჭდავენ? რატომ არ იძლევიან იმის საშუალებას, რომ ბილეთები ბაზრის მიერ განსაზღვრულ ფასად გაიყიდოს, როგორც ჩიკაგოს ბაზარზე იყიდება ხორბალი, ან საფონდო ბირჟაზე – აქციები? ასე რომ ხდებოდა, გადამყიდველობა არ იარსებებდა. შესაძლოა, საზოგადოება ბილეთებზე დაბეჭდილ ფასს უფრო ნდობით უყურებს, იქნებ ეს ხალხს სულაც ბიუჯეტირებაში ან შვებულებების დაგეგმვაში, ან რაიმე სხვაში ეხმარება. მიზეზი რაც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ საზოგადოებას ფასის ბილეთზე მითითება ურჩევნია. ასე რომ არ იყოს, მენეჯერებსა და მენარმეებს სხვანაირად მოქცევის სტიმული ექნებოდათ. შესაბამისად, ბილეთებით სპეკულანტობის არსებობისთვის საჭირო მეორე პირობა მხოლოდ ხალხის მოთხოვნის გამო არსებობს.

ბილეთებით სპეკულანტობის არსებობისათვის აუცილებელი მესამე პირობა ისაა, რომ ბილეთებზე მენეჯმენტის მიერ დაწესებული ფასი „საბაზრო ფასზე“ დაბალი უნდა იყოს (ფასზე, რომელიც ბილეთების არსებული რაოდენობისა და ბილეთების ყიდვის მსურველთა რაოდენობის ტოლია).

ბილეთებზე საბაზრო ფასზე ნაკლები ფასის დადება სპეკულანტებისთვის ჩვეულებრივი მოპატიჟებაა, ვინაიდან ბილეთების დაბალ ფასად ყიდვის მსურველთა რაოდენობა არსებული ბილეთების რაოდენობაზე მეტია. ეს უთანასწორობა, ამ სიტუაციის გამოსწორების მოსურნე ძალებს ააქტიურებს. „მართლა მყიდველები“ უფრო მეტად ცდილობენ ბილეთების შეძენას. ზოგიერთი მათგანი ბილეთზე დაბეჭდილ ფასზე მეტის გადახდაზეც თანახმაა. ფასები იზრდება და, ვინაიდან ეს გაზრდილი ფასები მოთხოვნას ამცირებს, თავდაპირველი დისბალანსიც სწორდება.

რატომ აწესებენ თეატრები და სტადიონები ბილეთებზე საბაზროზე დაბალ ფასს? ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ დაბალი ფასი დიდ აუდიტორიას იზიდავს. თეატრების თუ სტადიონების შესასვლელებში ხალხის გრძელი რიგები უფასო ცნობადობას უზრუნველყოფს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მენეჯმენტი მაღალ ფასებზე იმისათვის ამბობს უარს, რომ სხვაგვარად რეკლამირებაზე დასახარჯი ფული დაზოგოს. ამის გარდა, ბილეთების ფასების ზრდა მენეჯერებს არ ეხალისებათ – იმის მიუხედავად, რომ დიდი ღონისძიებისათვის თუ სპეციალური ფილმისთვის ბილეთების გაყიდვა არ გაუჭირდებოდათ – საპასუხო საზოგადოებრივი რეაქციის შიშის გამო. ხალხის უმეტესობას მიაჩნია, რომ კინოს ბილეთისთვის „სამართლიანი“ ფასი არსებობს, მენეჯერები კი რეაგირებენ ამ მოსაზრებაზე. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ „ნათლია“-ს მსგავსი ფილმისთვის ბილეთების ჩვეულებრივზე მაღალ ფასად გაყიდვა შეუძლიათ, ირჩევენ რომ ასე არ მოიქცნენ. იციან, რომ მაყურებლების დიდი ნაწილი მოგვიანებით მაინც იტყვის უარს ამ თეატრში სიარულზე, ვინაიდან ეგონებათ, რომ ამ ძალიან პოპულარული ფილმის ჩვენებისას მენეჯმენტმა საზოგადოებით „ბოროტად ისარგებლა“. ფასების საბაზრო წონასწორობის დონეზე ქვევით შენარჩუნებისთვის სხვა, ნაკლებად დამაჯერებელი მიზეზებიც არსებობს. ჯამში კი, გარანტიას გვაძლევენ, რომ ეს საფასო პოლიტიკა – ბილეთებით სპეკულანტობის აუცილებელი მესამე პირობა – გაგრძელდება.

ბილეთების გადამყიდველის მიერ განუღებელ დადებით ფუნქციაზე უკეთ დაკვირვებით ნახავთ, რომ როდესაც ბილეთები საბაზრო, წონასწორობის ფასზე ნაკლებადაა შეფასებული, ყიდვის მსურველთა რაოდენობა ბილეთების რაოდენობაზე მეტია. შესაბამისად, ცოტა

ბილეთის ბევრ მოსურნეზე გადანაწილება პრობლემა ხდება. ამ პრობლემის მოგვარებაში გადამყიდველი თავის როლს მშვენივრად ასრულებს.

დავუშვათ, რომ ბეისბოლის სეზონის განმავლობაში ბილეთის საშუალო ფასი 5\$-ია და ყოველი თამაშის დროს 20,000 ადგილიანი სტადიონი სავსეა. თუმცა სეზონის ბოლო „დიდი თამაშისათვის“ ბილეთების შეძენა 30,000 ადამიანს სურს. როგორ უნდა გადაუნაწილდეს ყიდვის მოსურნე 30,000 ადამიანს სულ არსებული 20,000 ბილეთი? 30,000 მსურველიდან რომელმა 10,000-მა უნდა თქვას უარი თამაშზე წასვლაზე?

ეკონომისტებმა დეფიციტში მყოფი პროდუქტის გადანაწილების ორი ძირითადი გზა გამოყვეს – „საფასო ნორმირება“ და „არასაფასო ნორმირება“. საფასო ნორმირების დროს, ფასების ზრდა დაშვებულია. ჩვენი აზრით, ეს ერთადერთი სამართლიანი გზაა იმ პროდუქტის გადანაწილებლად, რომლის მოთხოვნაც მიწოდებას აჭარბებს. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, ბილეთის საშუალო ფასი 9\$-მდეც კი შეიძლება გაიზარდოს. გაზრდილი ფასის შემთხვევაში ბილეთის ყიდვის მოსურნეთა რაოდენობა 20,000-მდე შემცირდება და 20,000-ივე ბილეთიც გაიყიდება. კონკრეტული პროცედურა რომლის საშუალებითაც ბილეთების საშუალო ფასი ამ 4\$-ით იზრდება სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. შესაძლოა, ბილეთების გადამყიდველებს ან „სპეკულანტებს“ ყველა ბილეთის შეძენის და შემდეგ 9\$-ად გადაყიდვის ნება მიეცეთ. ან შეიძლება, მხოლოდ 2,000 ბილეთის ყიდვის უფლება მიეცეთ, ხოლო დანარჩენი 18,000 ბილეთი, ბილეთზე დაბეჭდილ ფასად, 5\$-ად გაიყიდოს. გადამყიდველებმა, ამ 2,000 ბილეთიდან თითოეული შეიძლება 45\$-ად გაყიდონ და ასე მოხერხდება საშუალო ფასის 9\$-მდე მიყვანა. ბილეთების გადამყიდველებს „აღმაშფოთებლად მაღალი“ ფასების დანესება დაჰბრალდებათ, თუმცა ეს მარტივი არითმეტიკის შედეგი იქნება. ვინაიდან მოთხოვნის 20,000 მსურველამდე შესამცირებლად 9\$-იანი საშუალო ფასია აუცილებელი და 18,000 ბილეთი 5\$-ად გაიყიდა, გვრჩება 2,000 ბილეთი, რომელთაგან თითოეულიც 45\$-ად უნდა გაიყიდოს.

არასაფასო ნორმირებაში, მოთხოვნის მიწოდების დონემდე შემცირების მიზნით ფასებს გაზრდის უფლება არ აქვთ. ამის მაგივრად, იმავე მიზნის მისაღწევად სხვა ტექნიკები გამოიყენება. მენეჯმენტმა

ბილეთები შეიძლება „პირველ მოსულს პირველად მოვემსახურებით“ პრინციპით გადაანაწილოს. ბაზრის შესავინროებლად ფავორიტიზმის სხვა ტიპების გამოყენებაც შეიძლება – ნეპოტიზმი (ბილეთების მიყიდვა მხოლოდ მეგობრებისა და ნათესავებისათვის), რასიზმი (ბილეთების მიყიდვა მხოლოდ კონკრეტული რასობრივი ჯგუფებისათვის), სექსიზმი (ბილეთების მიყიდვა მხოლოდ მამაკაცებისათვის). შეიძლება, კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფებს მიეცეთ ბილეთების ყიდვის უფლება და დანარჩენებს აეკრძალოთ, ან იქნებ ომის ვეტერანებს, ან კონკრეტული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს მიეცეთ პრივილეგიები? არასაფასო ნორმირების ეს ყველა ტექნიკა დისკრიმინაციული და თვითნებურია. იგი აუცილებლად გულისხმობს ზოგიერთი ჯგუფისთვის ხელშეწყობას, ხოლო დანარჩენებისთვის – ხელის შეშლას.

განვიხილოთ გავრცელებული, „პირველ მოსულს პირველად მოვემსახურებით“ (პმპმ) მეთოდი, ვინაიდან ამ ტიპის სისტემა ხშირად „სამართლიანად“ მიიჩნევა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ბილეთების გაყიდვა ღონისძიების დღის დილის 10 საათამდე არ დაიწყება, იმედიანი მომხმარებლები საღაროს გახსნამდე გაცილებით ადრე ჩადგებიან რიგში. რიგს ზოგიერთი განთიადისას შეუერთდება, ზოგი კი შეიძლება წინა ღამითაც მივიდეს. შესაბამისად, პმპმ მეთოდი დისკრიმინაციულია მათ მიმართ, ვისთვისაც რიგში ლოდინი განსაკუთრებით მტანჯველია ან მათ მიმართ, ვისაც რიგში სადგომად სამსახურიდან გათავისუფლება არ შეუძლია ან მათ მიმართ, ვისაც რიგში მათ მაგივრად დგომისათვის მოსამსახურეებისა ან მძღოლების დაქირავება არ შეუძლია.

მუშაობს თუ არა საფასო ნორმირება და, შესაბამისად, ბილეთების სპეკულირებაც მდიდრების საკეთილდღეოდ? ამ კითხვას ორაზროვანი პასუხი უნდა გაეცეს. ერთი მხრივ, ბილეთებით სპეკულანტობა საშუალო და დაბალ სოციალურ ფენებს ეხმარება, ხოლო მდიდრებს აზიანებს. იმ დაშვებით, რომ ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე სოციალურ ფენაში უმუშევართა ან უმუშევრობის ზღვარზე მყოფთა რაოდენობა ყველაზე მრავალრიცხოვანია, მათ რიგში ლოდინის დროც აქვთ და შესაძლებლობაც. დასაქმებულებიც რომ იყვნენ, სამსახურიდან ერთი დღით გათავისუფლებით სხვებზე ნაკლებს კარგავენ. მათთვის ვისაც უფრო ცოტა შესაძლებლობები აქვს,

ბილეთებით სპეკულანტობა დასაქმებისა და მენარმეობაში ჩართვის შესაძლებლობებს იძლევა. არ არსებობს სხვა საქმიანობა, რომელიც ასეთი მცირე კაპიტალით ღარიბ პიროვნებას საკუთარი ბიზნესის წამოწყებას შეაძლებინებს. ზემოთ აღწერილ მაგალითში, ათი ცალი 5\$-იანი ბილეთის საყიდლად მხოლოდ 50\$-ია საჭირო. თუ თითოეული მათგანი გადაიყიდება, 400\$ სუფთა მოგება რჩება.

ბილეთების გადამყიდველობით, საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლებიც ხეირობენ, ვინაიდან ამ ხალხს ბილეთების რიგში დგომის დრო უფრო ნაკლებად აქვთ. მათთვის სამსახურიდან თავისუფალი დროის აღება უფრო ძვირია (დაკარგული შემოსავლით თუ ვიმსჯელებთ), ვიდრე დაბალი სოციალური ფენის წევრებისათვის. საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის უფრო კეთილგონივრულია ბილეთების გადამყიდველისთვის 45\$-ის გადახდა, ვიდრე რიგში დგომა და იმ ფულის დაკარგვა, რასაც სამსახურში დარჩენით შეიძენდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ბილეთებით სპეკულანტობა საშუალებას აძლევს ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებს იმუშაონ საშუალო ფენის იმ წარმომადგენლების დაქირავებულ აგენტებად, რომლებიც ძალიან დაკავებულნი არიან და რიგში იაფი ბილეთების გამო დგომა არ უღირთ.

მდიდრებს მოსამსახურეები ჰყავთ, რომლებიც მათ მაგივრად ჩადგებიან რიგში და, შესაბამისად, სპეკულანტის მომსახურება არ სჭირდებათ. თუმცა ერთ შემთხვევაში, გადამყიდველს მდიდრების დახმარებაც შეუძლია – როცა პროფესიონალ გადამყიდველს იმავე საქმის უფრო იაფად შესრულება შეუძლია, ვიდრე მდიდრის პირად მოსამსახურეს. (გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბილეთებით სპეკულანტობამ სარგებელი ყველას შეუძლია მოუტანოს. ბაზარი ჯუნგლები არაა, რომელშიც ხალხი მხოლოდ სხვების ზარალით ხეირობს. ნებაყოფლობითი ვაჭრობა ურთიერთსასარგებლო მოქმედებების პარადიგმული შემთხვევაა.) თუ მდიდრისთვის, ბილეთების გადამყიდველის სერვისით სარგებლობა მოსამსახურის გამოყენებაზე იაფია, ბილეთს პირდაპირ მისგან იყიდის და შუამავლის ამოკვეთით ფულსაც დაზოგავს.

თუმცა სხვანაირად თუ შევხედავთ, საფასო ნორმირება და ბილეთების გადაყიდვა მდიდრებს იმიტაც ახეირებს, რომ ისინი მაღალ საბაზრო ფასად ბილეთებს უფრო მარტივად იყიდიან, ვიდრე

საზოგადოების დანარჩენი ნაწილი, რომელთათვისაც ეს ამოცანა რთული ან სულაც შეუძლებელი იქნება. თუმცა მონეტარული ეკონომიკის არსიც სწორედ ესაა და თუ იმ კეთილდღეობის მიღება გვსურს, რომლის მოცემაც ამ სისტემას შეუძლია, მაშინ ესეც უნდა მივიღოთ მოცემულობად.

ერთ-ერთ მომავალ თავში, იმპორტიორის შესახებ საუბრისას, ჩვენ მონეტარული ეკონომიკის პოზიციას დავიცავთ, ვინაიდან ის სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილებით ხეირის საშუალებას გვაძლევს. ნარმოდგინეთ თითოეული ჩვენგანის გადარჩენის შანსები და ჩვენი ცხოვრების ხარისხი, მხოლოდ თავად ჩვენ მიერ ნაწარმოები პროდუქციის გამოყენებით რომ ვიყოთ შეზღუდულები. ნამდვილად სისხლისგამყინავი უკიდურესობა წარმოგვიდგება თვალწინ. ჩვენი ცხოვრება თანასწორთა შორის ვაჭრობაზეა დამოკიდებული. მონეტარული სისტემა თუ ჩამოინგრევა, შეიძლება დღესდღეობით მცხოვრები ყველა ადამიანი არა, მაგრამ უმეტესობა მაინც მოკვდეს.

ხარისხი, რომლითაც ფულს პროდუქტის გადანაწილების უფლებას ვუკრძალავთ ან ხარისხი, რომლითაც მდიდრებს ვუკრძალავთ, რომ საზოგადოებრივი სიკეთეების ისეთი ნაწილი მიიღონ, რომელიც მათი მონეტარული ხარჯების პროპორციული იქნებოდა, ის ხარისხია, რომლითაც ჩვენს მონეტარულ სისტემას ვამახინჯებთ. ცხადია, რომ მდიდრებისთვის ნების დართვა, მიიღონ მომსახურებებისა და პროდუქტების უფრო დიდი წილი, იმის გამოა უსამართლო, რომ უმეტესობა მათგანმა საკუთარი სიმდიდრე არა თავისუფალი ბაზრის, არამედ სამთავრობო დახმარების ხარჯზე მიიღო. თუმცა საკუთრების უსამართლოდ მიტაცების პრაქტიკის დასრულებისთვის მთლიანი მონეტარული სისტემის აღმოფხვრა, ნაბანი წყლისთვის ბავეშის გადაყოლებას ჰგავს. ამ პრობლემის პასუხი ავადმოპოვებული ქონების მთლიანი კონფისკაციაა.

როდესაც ქონება პატიოსნადაა მოპოვებული, აღარაფერია იმაში არასწორი, რომ ქონების პატრონმა მომსახურებებისა თუ პროდუქტების უფრო დიდი წილის მიღება შეძლოს. ეს, თავის მხრივ, მონეტარული სისტემის შენარჩუნებისთვის არსებითი ნაწილია. გადამყიდველი ბილეთების საფასო ნორმირებით ეხმარება მდიდრებს დამსახურებული ჯილდო მიიღონ.



13.

უნამუსო პოლიციელი

ბესტსელერი წიგნისა და ფილმის, *სერპიკოს*¹, მთავარი გმირი რენეგატი, წვეროსანი, ჰიპი პოლიციელია, რომელიც უარს ამბობს პოლიციის დაუნერელი წესის დაცვაზე – „არ დაუპირისპირდე შენს თანამშრომლებს.“ როგორც სერპიკო ამბობს, „ერთადერთი ფიცი, რომელიც ოდესმე დამიდევეს, კანონის აღსრულება იყო, იქ კი არსად ეწერა, პოლიციელი გამონაკლისია.“

ამბავი ერთ-ერთი პოლიციელის ისტორიაზეა დაფუძნებული და მოვლენებიც მისი პიროვნების განვითარებასთან ერთად ვითარდება. სერპიკოს გულუბრყვილო ოცნებები – გამოვიდეს კარგი პოლიციელი, ამხილოს დამნაშავეები და არსებული დანაშაულებრივი სისტემის მხილებით დააინტერესოს ზემდგომი პოლიციელები, –

¹ სერპიკო – რეჟისორ სიდნი ლუმეტის ფილმი ალ პაჩინოს მონაწილეობით. – რედაქტორის შენიშვნა.

თანამშრომლების მხრიდან მხოლოდ ზიზლსა და სიძულვილს იწვევს. ფილმს ლაიტმოტივად გასდევს „კარგი ტიპებისა“ და „ცუდი ტიპების“ თემა – სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა და ქრთამის სანაცვლოდ დამნაშავეთა სასჯელისგან განთავისუფლება. სწორედ მსგავსი ხედვა, კარგისა და ცუდის წარმოჩენის ეს პრინციპი უნდა დავაყენოთ ეჭვქვეშ.

სერპიკო და აზარტული თამაშები

სერპიკოს ისტორიაში 300\$-იანი კონვერტი მნიშვნელოვან „როლს“ თამაშობს. სერპიკო ამ კონვერტს, „ებრაელი მაქსის“ სახელით ცნობილი, ძლევამოსილი მოთამაშის მიერ გამოგზავნილი შიკრიკისგან იღებს. ბევრი მცდელობის მიუხედავად, სერპიკო ვერ ახერხებს მოქრთამვის ამ ეპიზოდით საკუთარი ზემდგომი ოფიცრების დაინტერესებას.

რატომ ცდილობს „ებრაელი მაქსი“ უარზე მყოფი სერპიკოს ფულითა და საჩუქრებით მოქრთამვას? ფილმში „ებრაელი მაქსი“ ზრდასრულ ადამიანებს ნებაყოფლობითი აზარტული თამაშების სერვისს სთავაზობს და ღიღია ალბათობა სერპიკოსა და სხვა „პატიოსანი“ პოლიციელების – აზარტული თამაშების სანინააღმდეგო რაზმის – სამიზნე გახდეს! მათი ვალდებულება ხომ ამ და მსგავს საქმეებში გარეული ყველა ადამიანის შევიწროება, ადევნება, დაჭერა და ციხეში გამოკეტვაა. ფილმის მიზანია საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ოფიცრების მხრიდან აგრესიული და ძალადობრივი ქცევა აუცილებლობაა, ვინაიდან აზარტული თამაშები კანონსანინააღმდეგოა, ხოლო კანონის დაცვა – აუცილებელი. თუმცა ამ არგუმენტით საკონცენტრაციო ბანაკში მომუშავე ყველაზე ავი ნაცისტიც კი დაიცავს თავს.

რომელიღაც ეპიზოდში, გეტოში მცხოვრები ერთ-ერთი დედა სერპიკოს შესჩივის, რომ მისი არასრულწლოვანი შვილი აზარტულ თამაშებშია ჩათრეული. საქმეში გარკვევას სერპიკოს ავალებენ. პოტენციურად სახიფათო აქტივობისაგან ბავშვის დაცვის სურვილი გასაგები და ადეკვატურია, თუმცა აუკრძალო ზრდასრულებს ნებისმიერი ლეგიტიმური აქტივობა იმ საბაბით, რომ ამავე აქტივობაში

ბავშვი ჩაერთო, ცალსახად მიუღებელია. ეს იგივეა, სექსი, თრობა ან მანქანის ტარება იმ მიზეზით ავკრძალოთ, რომ მოზარდისთვის საზიანოა. საკითხი მსგავს აქტივობებში არასრულწლოვანთა ჩართვის პრევენციით უნდა გადაიჭრას და არა თავად აქტივობების აკრძალვით.

სერპიკო – ნარკოტიკებთან ბრძოლის აგენტი

მიუხედავად იმისა, რომ სერპიკოს, დადებული ფიცის თანახმად, მოქალაქეების უფლებების დაცვა ევალება, ის ნარკოტიკების ბარიგის სახლში შეჭრას ცდილობს და ამ მცდელობისას დაჭრიან კიდევ. სერპიკო მოქალაქის უფლებებს არღვევს, ცხადია კანონის დაცვის საბაბით – ნარკოტიკების გაყიდვა ხომ კანონითაა აკრძალული. მას კი მოქალაქის დაცვის ფიცთან ერთად კანონის დაცვის ფიციც აქვს დადებული. ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, რომელშიც ეს ორი ფიცი ერთმანეთს უპირისპირდება, სერპიკო უკანასკნელის აღსრულებას ირჩევს.

სერპიკოს მსგავსი ქმედება კანონის გადაჭარბებულ ერთგულებაზე მიუთითებს. ალბათ ნაკლებად თუ დაფიქრებულა სერპიკო იმაზე, რომ მსგავსი საქციელით კანონის დაცვას მოქალაქეების დაცვაზე მაღლა აყენებს, რომ ნარკოტიკების გაყიდვის აკრძალვა შესაძენ ფასს ასტრონომიულად ზრდის და, შესაბამისად, ნარკომანებისთვის ნარკოტიკების შეძენასაც ართულებს. შედეგად, საკმარისი ფულის საშოვნელად ისინი უფრო და უფრო დიდ დანაშაულებს სჩადიან. საბოლოოდ კი გამოდის, რომ კანონის სერპიკოსეული ერთგულებით აღსრულება მოქალაქეების უფრო დიდ საფრთხეში ჩაგდებას ნიშნავს.

სერპიკო და მთვლემარე პოლიციელი

თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ პოლიციელთა მხრიდან კანონის სახელით ჩადენილ ქმედებათა უმეტესობა საზოგადოებისათვის ზიანის მომტანია. შესაბამისად, დასკვნა, რომ „პოლიციელი რაც უფრო ნაკლებს იაქტიურებს, მით ნაკლებად დააზიანებს საკუთარ საზოგადოებას“ სულაც არ არის საფუძველს

მოკლებული. სავარაუდოდ, პოლიციელთა უმეტესობა ამ კორელაციას გრძნობს და სწორედ ამიტომ უგულბებლყოფენ საკუთარ მოვალეობას, რითაც საზოგადოებას ზიანს არიდებენ.

იმის მაგივრად, რომ ხალხის უფლებები ენთუზიანზმითა და გულმოდგინებით დაარღვიონ, ბევრი პოლიციელი პატიოსან გამოსავალს ირჩევს და „საჩკაობს“¹. ეს ფენომენი სერპიკოს რისხვას იწვევს. სხვების ცხოვრებაში ცხვირის დაუკითხავად ჩაყოფაზე გაჯიუტებული აბეზრის საუკეთესო ტრადიციების დაცვით, სერპიკო დაჟინებით მოითხოვდა, რომ სამუშაო საათების განმავლობაში პოლიციელი ქუჩაში ყოფილიყო. იქით მეძავს გააჩერებდა, აქეთ აზარტულ მოთამაშეს დააცხრებოდა თავს, ბარიგებს ხომ საერთოდ მუსრს ავლებდა.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ სერპიკო ასევე სიკეთის მომტანი ძალაც იყო. ბოლოს და ბოლოს, ის მოძალადეებზე, მძარცველებზე, ყაჩაღებზე, ქურდებზე, მკვლელებსა და მშვიდობის ამრევებზე ნადირობდა. მეტიც, ის საკუთარ მოვალეობებს საოცრად კრეატიული გზებით ასრულებდა. ხასიდ ებრაელად, ჰიპად, სასაკლავოს მუშად, ბიზნესმენად, ნარკომანად თუ სხვა პერსონაჟებად შენიღბული სერპიკო ქალაქის ქუჩებში დაძრწოდა და მის საიდუმლოებებს ისე ხსნიდა – კაბებში, ჰალსტუხებში, სანჯიმრებში, შავ ფეხსაცმელებში და თეთრ წინდებში გამოწყობილი – რომ ვერცერთი მისი კოლეგა პოლიციელი მასთან ახლოსაც ვერ მივიდოდა. თუმცა სერპიკო წარმატების მიღწევას იმდენად ახერხებდა, რამდენადაც მზად იყო კანონისა და წესრიგის ფარგლებს გარეთ გასულიყო.

ავიღოთ ახალგაზრდა მოძალადის შემთხვევა. სერპიკოს მენყვილე აპროტესტებდა მისი საპატრულო კვადრატის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას, თუმცა სერპიკო ასეთი ფორმალისტური მსჯელობებისაგან შორს იყო, მენყვილის ჯინაზე სწორედ მსგავს საქმეს შეეჭიდა და გაუპატიურების მცდელობისას მოძალადეთაგან ერთ-ერთი კიდეც დააკავა. სერპიკოს არც ის მოეწონა, როგორ აგრესიულად მოექცნენ მოძალადეს განყოფილებაში. კოლეგებისგან განსხვავებით, გადაწყვიტა, დამნაშავესთვის ყავა შეეთავაზებინა და რამდენიმე წუთიანი გულითადი საუბრის შედეგად მოძალადისგან მისი ორი გაქცეული თანამზრახველის სახელებიც გაიგო.

¹ საჩკაობა – სლენგი, რომელიც სამუშაოს თავის არიდების აღსანიშნავად გამოიყენება – რედაქტორის შენიშვნა.

სერპიკო ამით არ დაკმაყოფილებულა, დაადგინა გაუპატიურებაში მონაწილეების ადგილმდებარეობა და როდესაც, თითქოს, მათ დაკავებას ერთი ნაბიჯიღა აშორებდა, სწორედ ამ დროს, განყოფილების უფროსმა მოითხოვა სერპიკო საქმეს შეშვებოდა და ეჭვმიტანილები არ დაეკავებინა. სერპიკო არ დაემორჩილა უფროსის ბრძანებას და ორივე დამნაშავე დააკავა. განყოფილებაში მისულს უკმაყოფილო უფროსმა გესლიანად მიახალა, რომ ამ დაპატიმრებას დამსახურებად არ ჩაუთვლიდა.

სწორედ ასეთმა პრინციპულმა გადაწყვეტილებებმა აქცია სერპიკო ყველა დროის გმირად და დიდი პოპულარობა მოუტანა ნიგნსაც და ფილმსაც. თუმცა ეს ეპიზოდი სერპიკოს პერსონაჟის თავდაპირველი შინაგანი წინააღმდეგობის ილუსტრაციაა. მისი თავდასხმები მეძავეებზე, მოთამაშეებზე, ბარიგებზე – ყველაზე, ვინც ორმხრივად თანხმდება ზრდასრულთა შორის ნებაყოფლობით აქტივობებში მონაწილეობას – კანონისადმი სერპიკოს აბსოლუტურ თავდადებას გვიჩვენებს. როგორც თავად იხსენებს, მისი ბავშვური ოცნება პოლიციელობის შესახებ, კანონის დაცვას ნიშნავდა. თუმცა მოძალადის ეპიზოდის შემთხვევაში, სერპიკო სიკეთეს მხოლოდ იმის ხარჯზე აკეთებს, რომ თავად არღვევს კანონს. ყველა მისი გმირული საქციელის შემთხვევაც ამ პრინციპს ემორჩილება.

თუ განვიხილავთ, სერპიკოს მიერ სხვა „ნორმალური“ პოლიციელების წინააღმდეგ ბრძოლას (მათ წინააღმდეგ, ვისაც სერპიკო კორუმპირებულად მიიჩნევს), პოლიციელების ორ ნაირსახეობას მივიღებთ. არიან პოლიციელები, რომლებიც თვალს ხუჭავენ ზრდასრულების ნებაყოფლობით, ურთიერთშეთანხმებაზე აგებულ, თუმცა არაკანონიერ საქმიანობაზე და, შეთავაზების შემთხვევაში, უარს არ ამბობენ მიიღონ მათგან ფული; ასევე არიან პოლიციელები, რომლებიც მსგავს არაკანონიერ საქმიანობაზე თვალის დახუჭვის სანაცვლოდ პირდაპირ მოითხოვენ ქრთამს.

პირველ მაგალითში, იმ დაშვებით, რომ კანონით აკრძალული ეს აქტივობები, არაძალადობრივი და, მაშასადამე, დასაშვებია, არც ის უნდა მივიჩნიოთ დანაშაულად, რომ პოლიციელმა ამ აქტივობებში მონაწილეობის უფლების გასაცემად ფული აიღოს. ფულის აღება საჩუქრის მიღებისგან ლოგიკურად ვერ განირჩევა, ხოლო საჩუქრის მიღება კანონდარღვევა არაა.

თუმცა არსებობენ ზოგზოგიერთები, რომლებიც ამ პოზიციას დაუპირისპირდებიან და იტყვიან, რომ თუნდაც კანონი არასწორი იყოს, გამონაკლისების დაშვება არ შეიძლება; რომ „უბრალო“ ინდივიდები არჩევანში თავისუფალნი არ უნდა იყვნენ და კანონს სრულად უნდა დაემორჩილონ; რომ კანონის დარღვევის დაშვება აუცილებლად ბოროტებაა თავისთავადაც და იმიტომაც, რომ თუ ასეთ ქმედებას პრეცედენტად მივიღებთ, ქაოსამდე მივალთ.

რთულია იმ თვალსაზრისის დაცვა, რომ კანონის დარღვევა აუცილებლად ბოროტებაა. მართლაც, ნიურნბერგის პროცესმა ამ საკითხზე დიამეტრულად საპირისპირო მხრიდან შეგვახედა. ამ სასამართლო პროცესების გაკვეთილი ისაა, რომ ზოგიერთი კანონი თავისთავადი ბოროტებაა, ხოლო მათი მორჩილება – არასწორი. მსგავსად, რთულია იმ აზრის გაგება, რომ თურმე კანონის სელექციური დარღვევა ისეთ პრეცედენტს აჩენს, რომელიც საბოლოოდ ქაოსამდე მიგიყვანს. ერთდერთი პრეცედენტი, რომელსაც მსგავსი ქცევა აჩენს ისაა, რომ არასწორ კანონებს, შეგვიძლია, არ დავემორჩილოთ, რაც ქაოსსა და თვითნებურ მკვლევლობებს კი არა, მორალურობას გულისხმობს. გერმანიაში, ნაცისტების ძალაუფლებაში მოსვლის დროს ასეთი პრეცედენტი მყარად რომ ყოფილიყო დაწესებული, საკონცენტრაციო ბანაკების მკვლელებს საცოდავი ტუსალების დახოცვის კანონიერი ბრძანებების შესრულებაზე უარის თქმა შეეძლებოდათ.

დაბოლოს, ის წარმოდგენა რომ „უბრალო“ ინდივიდს არ უნდა ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება, თუ რომელ კანონს დაემორჩილოს, სრული სისულელეა – ყველანი „უბრალო“ ინდივიდები ვართ.

გამოდის, რომ პოლიციელები, რომლებიც კანონის დარღვევის პრეცედენტებს ხელს არ უშლიან, საკმაოდ წესიერადაც იქცევიან, რადგან კანონის დარღვევა, ზოგჯერ, შეიძლება სასარგებლოც აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, სერპიკოს თავდასხმა მსგავს პოლიციელებზე სულაც არ იყო გამართლებული.

ახლა სერპიკოს მიერ ათვალწუნებული პოლიციელების მეორე კასტა განვიხილოთ – ისინი, ვინც არა მხოლოდ უკანანო საქმიანობებში მონაწილეობის უფლებებს იძლეოდნენ ან შემოთავაზებულ ფულად საჩუქარზე უარს არ ამბობდნენ, არამედ ისინი, ვინც მოქალაქეებისგან ფულს მოითხოვდნენ. ლექსიკონში ეს ქმედება განმარტებულია,

როგორც ძალადობა, „რაიმეს ძალით ან იძულებით მიღება; ფიზიკური ძალის, ძალადობის, მუქარის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან ნებისმიერი არაკანონიერი გზით, ფულის მიღების მიზნით მიტაცება ან გამოძალვა, ისე როგორც დამპყრობელი სძალავს ხარკს დაპყრობილს.“ გამოძალვა, ზოგადად, საძაგლობადაა მიჩნეული და ეს შეფასება მისაღებია. თუმცა არც ეს ამართლებს სერპიკოს თავდასხმებს გამომძალველ პოლიციელებზე. პირიქით, სერპიკოს საქციელი გამომძალველების „დანაშაულზე“ უფრო საზიანოც კია. განვიხილოთ ის ოთხივე რეაქცია, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პოლიციელს იმ ქმედებაზე, რომელიც არალეგალური, თუმცა მორალურია: (1) უგულებელყოფა, (2) უგულებელყოფისთვის ფულის აღება, (3) უგულებელყოფისთვის ფულის გამოძალვა და (4) „დანაშაულის“ ყოველ მიზეზ გარეშე აღკვეთა.

ამ ოთხი რეაქციიდან ყველაზე ნაკლებად სასურველი მეოთხეა, ვინაიდან მორალურ აქტივობას მხოლოდ ის კრძალავს სრულად – მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კანონში ასე წერია.

წარმოიდგინეთ, სერპიკოს, რომლისთვისაც „კანონი და წესრიგი“ აბსოლუტური ღირებულებაა, ნაცისტთა საკონცენტრაციო ბანაკის დაცვის წევრად რომ ემუშავა. ასეთი თანამშრომელი საკუთარ პირველი რიგის ვალდებულებად ბანაკში „კორუფციის“ აღმოფხვრასა და ისეთი კოლეგების დაბეზლებას მიიჩნევდა, რომლებიც: (1) უარს ამბობდნენ ბრძანებების შესრულებაზე და არ აწამებდნენ ტყვეებს, (2) პატიმრების მიერ შეთავაზებულ ფულს იღებდნენ და სანაცვლოდ გვერდს უვლიდნენ მათი წამების ბრძანებას, (3) პატიმრებს ფულს სძალავდნენ და სანაცვლოდ მათი წამების ბრძანებას არ ასრულებდნენ. მართალია, სრულიად ამორალურია პატიმრებს ტანჯვის თავიდან ასარიდებლად ფული გამოსძალო, მაგრამ გაცილებით უარესია, ფულსაც რომ არ აიღებ, ბრძანებას პირნათლად დაემორჩილები და პატიმრებს უღმერთოდ აწამებ.

ნაწილი მეხუთე

ფინანსები



14.

ყალბი ფულის მჭრელი


ლექსიკონი „გაყალბებას“ განმარტავს, როგორც „ნაყალბევს; მცდარს; უუფლებოდ გაყალბებულს; მოტყუების მიზნით რაიმეს სხვისი მიბაძვით გაკეთებას და მცდარი ასლის ნამდვილად ან დედნად გასაღებას.“ შესაბამისად, გაყალბება თაღლითობის სპეციფიკური შემთხვევაა. თაღლითობის ზოგად შემთხვევაში, „სიყალბე“ გულისხმობს რაიმე საქონლის ან ნივთის გასაღებას ფულის ან სხვა ნივთის სანაცვლოდ. ფულის გაყალბების შემთხვევაში, ის, რაც ორიგინალად საღდება, არა ნივთი ან საქონელი, არამედ თავად ფულია. თაღლითობის ეს კონკრეტული შემთხვევა ისევე, როგორც ზოგადად თაღლითობა, ქურდობას გულისხმობს. თუმცა ფულის გაყალბებას კონკრეტული გართულებებიც ახლავს.

ფულის გაყალბების შედეგები მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, ოდესმე აღმოაჩენენ თუ არა, რომ ეს ფული გაყალბებულია. თუ

აღმოაჩენენ, მაშინვე თვალსაჩინო ხდება, რომ ქურდობასთან გვაქვს საქმე. თუ ყალბ ფულს იქამდე აღმოაჩენენ, სანამ გამყალბებული მას პირველ მსხვერპლს მიასაღებს, გამოვა, რომ ბოროტმოქმედი პირდაპირ ცხელ კვალზე გამოიჭირეს და ფულის გაყალბების ფაქტი არც კი მომხდარა (1-ელი წერტილი ქვედა დიაგრამაზე). თუ სიყალბეს მას შემდეგ აღმოაჩენენ, რაც ფული პირველ მსხვერპლს გაივლის, მაგრამ მისი ხელიდან მეორე მსხვერპლამდე ვეღარ მიაღწევს (მე-2 წერტილი ქვედა დიაგრამაზე), გაყალბება პირველი მსხვერპლის მიმართ ქურდობის ჩადენის ტოლფასი იქნება. მისტერ B-მ ნამდვილი საქონელი ან სერვისი ქაღალდის იმ ნაგლეჯში გაცვალა, რომელიც, როგორც შემდგომ გაირკვა, ყალბი და უფასურია. ქაღალდის ნაგლეჯი ნადგურდება და პირველი მსხვერპლი ხელცარიელი რჩება.

თუ სიყალბეს მაშინ აღმოვაჩენთ, როდესაც გაყალბების არმცოდნე პირველი მსხვერპლი ამ ფულით მეორისგან იყიდის რამეს, ხოლო ამ უკანასკნელს ჯერ არაფერი შეუძენია მესამე მსხვერპლისგან, მაშინ დაზარალებული მეორე მსხვერპლი გამოვა (მესამე წერტილი გრაფიკზე).

ყალბი ფულის აღმოჩენის შემთხვევები განსხვავებულ წერტილებში:



მეორე მსხვერპლი იმიტომ დაზარალდა, რომ პირველ მსხვერპლს რაღაც ღირებული მისცა და სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო. თუ პირველ მსხვერპლს იპოვიან, დანაშაულის ფაქტი იმით გართულებდა, რომ პირველი თავად უდანაშაულოა. სამართლიანობისათვის, სავარაუდოდ, ზარალი ორმა მსხვერპლმა უნდა გაიყოს. რა თქმა

უნდა, თუ ყალბი ფულის თავდაპირველ გამსაღებელს იპოვიან და დანაკარგს აანაზღაურებინებენ, ზარალში არავინ დარჩება, ვინაიდან გაყალბების ფაქტი სრულად აღმოიფხვრება, მაგრამ თუ ფულის სიყალბის გამოაშკარავების შემდეგ ვერცერთ წინა გადამცემს ვერ ვიპოვით, მთელი ზარალი იმ ბოლო მსხვერპლს დაანგება, რომელსაც გაყალბებული ფული შერჩა, იმის მიუხედავად, თუ რამდენი ხელი გამოიცვალა ამ კუპიურებმა.

თუ გაყალბებულ ფულს ვერასოდეს აღმოაჩენენ, სიტუაცია რადიკალურად იცვლება. ფულის გაყალბებით გამოწვეული ზარალი არა კონკრეტულ ინდივიდს, არამედ მთლიან საზოგადოებას დაანგება კისერზე, თანაც საკმაოდ უცნაური გზით. ზარალს ერთი შეხედვით ვერ დავინახავთ, ვინაიდან, არ არსებობს ერთი ინდივიდი, რომელმაც გაყალბებული ფულის სანაცვლოდ გაცემული საქონლის მთლიანი ღირებულების ზარალი უნდა იწვნოს. თუმცა იმის დანახვა კი მარტივია, რომ ზარალი მაინც არსებობს – ვინაიდან გამყალბებელმა ისე იხეირა, რომ სანაცვლოდ საზოგადოებისათვის არაფერი მიუცია ფარატინა ფურცლების გარდა. ჰოდა, იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერ მოცემულ მომენტში დოვლათის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა არსებობს, რომლის ნაწილიც ფულის გამყალბებელმა თაღლითურად მიითვისა, დაზარალებულებიც უნდა არსებობდნენ.

ის, თუ როგორ გადანაწილდება ეს ზარალი მთელს საზოგადოებაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაზრდის ფასებს ბრუნვაში ჩაშვებული ეს დამატებითი (გაყალბებული) ფული. გამყალბებლის ქმედებების საპასუხოდ ფასების ზრდა გარდაუვალია, ვინაიდან ყალბი ფული მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას ზრდის, ხოლო არსებული პროდუქტებისა და მომსახურებების რაოდენობა უცვლელი რჩება. ფასების მატება არც ყველაფერზე ერთბაშად მოხდება და არც ყველაფერზე თანაბრად. ყალბ ფულს ფასებზე ისეთივე ეფექტი ექნება, როგორც დამდგარ წყალში ჩაგდებულ ქვას. ფასები ტალღებად მოიმატებს. თავდაპირველად ფასები იმ ინდუსტრიაში ან სფეროში გაიზრდება, რომელშიც „ქვა ჩავარდა“, ანუ ფულის გაყალბების პირველი მსხვერპლი ოპერირებს. ფასები იმის გამო გაიზრდება, რომ ინდუსტრიაში დახარჯული ყალბი ფული „ზედმეტია“. ეს ნიშნავს, რომ გაყალბების არარსებობის შემთხვევაში ეს ფული ვერც დაიხარჯებოდა, შესაბამისად, პირველი მსხვერ-

პლი ამით ხეირობს. მან მიიღო ფული, რომელიც არ იარსებებდა, რომ არ გაყალბებულიყო და აქვს საშუალება დახარჯოს ის ისეთ ინდუსტრიებში, სადაც ფასები ჯერ არ გაზრდილა. ამით პირველი მსხვერპლი მოგებაში დარჩება (თუმცა მისი, თუნდაც შთამბეჭდავი, მოგება ახლოსაც ვერ მივა გამყალბებლის მოგების მასშტაბთან).

მეორე მსხვერპლიც იხიერებს, ისევე როგორც ყველა მომდევნო მსხვერპლი, რომელიც ახლოსაა „წყალში ჩავარდნილ ქვასთან“ – გაყალბების პირველწყაროსთან, ვინაიდან ამ ხალხის ხელში ყალბი ფული იქამდე მოხვდება, სანამ მიმოქცევაში ჩამატებული ეს ფული ფასების ზრდას ყველგან და ყველაფერზე გამოიწვევს. თუმცა დროთა განმავლობაში, ეს ფულის იმიტაცია ისეთი მიმღების საფულებში მოხვდება, რომელიც ამით არც მოიგებს და არც წააგებს. ის ფულს ისეთ დროს მიიღებს, როდესაც ამ ფულის ისეთ ადგილას დახარჯვა ჯერ კიდევ შესაძლებელია, სადაც გაყალბების გამო ფასები ჯერ არ გაზრდილა. თუ ასეთ ადგილას დახარჯავს, ოდნავ იხიერებს კიდევ ინფლაციით, თუ არადა – იზარალებს. საშუალოდ, მონეტარული გაფართოების ამ ფაზაში მოხვედრილი ხალხი გაყალბებისგან დიდად ვერც იზარალებს და ვერც იხიერებს.

მონეტარული გაფართოების მთელი სიმძიმე, მთელი ზარალი კი იმ ხალხის კისერზე მოდის, ვის ჯიბეშიც ყალბი ფული ბოლო ეტაპზე მოხვდება. მათთვის ფასები იქამდე გაიზარდა, ვიდრე დამატებით ფულს მიიღებდნენ. როდესაც გაყალბებული ფული მათ ხელში მოხვდება, ჯამურად უკვე წაგებულები იქნებიან. მეტიც – არსებობს ზოგიერთი ჯგუფი, მაგალითად ქვრივები ან პენსიონერები, რომლებიც ყოველთვის და აუცილებლად წააგებენ ამ პროცესში, ვინაიდან გაყალბებული ფულით გამოწვეული ინფლაციის პირობებში, მათი შემოსავალი ფიქსირებული რჩება.

თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, როგორ შეგვიძლია ფულის გამყალბებელი გმირად მივიჩნიოთ? თუ ფულის გაყალბება გამოაშკარავდა, ის ადამიანი მოტყუვდება და იზარალებს, ვისაც ეს ფული ხელში შერჩება, ხოლო თუ არ გამოაშკარავდა – შედეგად მივიღებთ ინფლაციას, რომელიც თითქმის ყველას გვაზიანებს. ამ მოცემულობით, მართლაც გასაკვირია ყალბი ფულის მჭრელის გმირად მოხსენიება.

ფულის ერთი რიგითი, კერძო გამყალბებლისთვის გმირის ძახილს მხოლოდ ის ფაქტი ამართლებს, რომ არსებობს მისი წინარე გამყალ-

ბებელი და ის ფული, რომლის გაყალბებასაც ეს „გმირი“ საკუთარი მცირე ძალებით ცდილობს, რეალურად ნამდვილი ფული არცაა, უკვე გაყალბებულია, თან ბევრად მასშტაბურად. ერთია იმის თქმა, რომ ნამდვილი ფულის გაყალბება ქურდობაა, და სრულიად სხვა რამაა იმის ძახილი, რომ ყალბი ფულის გაყალბება ქურდობის ტოლფასია!

ვცადოთ უფრო ნათელი გავხადოთ ეს აზრი ანალოგიის მოყვანით. ვილაციის პატიოსნად მოპოვებული საკუთრების მითვისება ქურდობაა და, შესაბამისად, გაუმართლებელია. თუმცა უსამართლოდ მოპოვებული (მოპარული) საკუთრების მითვისებას კანონგარეშედ ვერ გამოვაცხადებთ. მართლაც, ასეთ ქცევას ქურდობასაც ვერ ვუწოდებთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქმედება, რომელიც ერთი შეხედვით ქურდობის ტოლფასია, სულაც არაა უკანონო, თუ მსხვერპლს მითვისებულ ნივთზე კანონიერი უფლება არ გააჩნია. თუ B-ბენო რამეს იპარავს A-ანასგან და შემდეგ C-ცოტნე B-ბენოს წაართმევს იმავეს, C-ცოტნეს ქურდობას ვერ დავაბრალებთ. (სიმარტივისთვის, ვუშვებთ რომ თავდაპირველ მფლობელ A-ანას, C-ცოტნე ვერ იპოვის.) საკუთრების იძულებით გადასვლა ერთი მფლობელის ხელიდან მეორისაში მხოლოდ მაშინაა არასწორი, როდესაც თავდაპირველი მფლობელი კანონიერი მფლობელია; თუ ასე არაა, ამ გადასვლაში არასწორი არც არაფერი ყოფილა.

მსგავსად, შეგვიძლია დავინახოთ, რომ ნამდვილი ფულის გაყალბების არაკანონიერებიდან ყალბი ფულის გაყალბების არაკანონიერება არ გამომდინარეობს. არ უნდა გაგვიჭირდეს იმის აღიარება, რომ ყალბი ფულის გაყალბება თავისთავად არაკანონიერი არაა. არც იმის, რომ თუ „თავდაპირველი“ ფული ყალბია, მაშინ ცხადია, რომ „კერძო ერთეული“ გამყალბებული დამნაშავე არც ყოფილა და გმირადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

იმის მტკიცება, რომ ყალბი ფულის გაყალბება თავისთავად არასწორი არაა, დაფუძნებულია ჩვენს აღქმაზე, რომ მსგავსი ქმედება ქურდისგან მოპარვის ტოლფასია. გაყალბების თავდაპირველ, ენციკლოპედიურ განმარტებაში ეწერა: „ფაბრიკაცია უფლების გარეშე“ და „ყალბი ასლის ნამდვილად ან ორიგინალად გასაღება“. მაგრამ თუ ის, რისი ასლიც გააკეთეს, თავისთავად ყალბია, მაშინ ეს ჩვენი გამყალბებული ორიგინალის ყალბ ასლს არც ასაღებს. ის მხოლოდ ამრავლებს ყალბ ასლებს. და თუ ნებართვის გარეშე ფაბრიკაცია

რაიმეს ორიგინალად გასაღებას გულისხმობს, მაშინ ჩვენი გამყალბებული უნებართვოდ არც აყალბებს, ვინაიდან ის რეალურად არ ცდილობს საკუთარი ნახელავი ორიგინალად გაასაღოს – უბრალოდ, ის ცდილობს საკუთარი ნახელავი უკვე გაყალბებული ფულის ასლად შემოგვატყუოს.

ფული, რომლის ასლსაც ჩვენი ყალბი ფულის მჭრელი ქმნის, თავადაა ყალბი. ის საჯარო გამყალბებლის, მთავრობის მიერაა შექმნილი.

ეს სერიოზული ბრალდებაა და სულაც არაა ჰაერზე ნასროლი სიტყვები. რაც არ უნდა არამიმზიდველად ჟღერდეს, ფაქტია, რომ სახელმწიფოები ყველგან აკეთებენ ნამდვილი ფულის – ოქროსა და ვერცხლის – ყალბ ასლებს. შემდეგ, აბსოლუტურად ყველა მთავრობა კრძალავს ნამდვილი ფულის გამოყენებას და მხოლოდ მათ მიერ გამოცემული ყალბი ფულით ვაჭრობის ნებართვას იძლევა. ეს იმის ტოლფასია, რომ კერძო გამყალბებელმა არა მხოლოდ მიმოქცევაში არსებული ფულის ასლები გააკეთოს, არამედ აღკვეთოს და აკრძალოს კიდევ „ნამდვილი“ ფულის მიმოქცევა.

წარმოვიდგინოთ, როგორი იყო მონეტარული სისტემა, სანამ სახელმწიფო ბოლომდე ჩაერეოდა მასში. გაცვლის საშუალებები გახლდათ ოქრო, ვერცხლი, ან მათი ფლობის დამადასტურებელი ქაღალდის სერტიფიკატები. სახელმწიფოს ამ სისტემაში უბრალოდ შეჭრა და მის მიერ გამოშვებული ვალუტის (ე.წ. fiat money) ყველასთვის თავზე მოხვევა არ შეეძლო (ვალუტის, რომელიც იმპერატორების, მეფეების, პრეზიდენტების დაძალებულია და არა ხალხის მიერ საკუთარი ნებით არჩეული). ხალხი ასეთ ფულს არ აღიარებდა და არ დათანხმდებოდა ასეთ მონეტებში გაეცვალათ თავისი შრომით გამომუშავებული საკუთრება. იცოდა რა ეს, მთავრობა მონეტარულ მექანიზმზე კონტროლს თანდათანობით ამყარებდა.

ოქროს სტანდარტის დროს, ოქროს ზოდებისგან მონეტებს კერძო ფულის მჭრელები, კერძო ზარაფხანები აკეთებდნენ. მონეტების წონა და სინჯიც კერძო ზარაფხანების მიერ იყო სერტიფიცირებული, რომლებიც ამ ბიზნესში მხოლოდ საკუთარი სიზუსტის, სინჯის სინმინდის და უმნიშვნელო რეპუტაციის ხარჯზე ინარჩუნებდნენ პოზიციებს. სახელმწიფოს პირველი ნაბიჯი ფულის მოჭრაზე მონოპოლიის მოპოვება იყო. გამოაცხადეს, თითქოს მონეტების დამზადება

მთავრობის შესაფერისი საქმიანობა იყო და რომ კერძო ზარაფ-
ხანებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი საქმის ნდობა არ შეიძლებოდა.
შესაბამისად, მთავრობამ ფულის ჭრის ნაციონალიზაცია მოახდინა.

მეორე ნაბიჯი მონეტების გაფუჭება იყო. ერთი მხრივ, მონეტებზე
მეფეების სახეების დატანა დაიწყო, რაც ვითომ წონისა და სინჯის
გარანტია უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში ამას მონეტე-
ბის „განურვა“ მოყვა (მონეტაზე წონის აღმნიშვნელად უფრო მეტს
წერდნენ, ვიდრე მონეტა რეალურად იწონიდა). ასე დაადგა მთავრობა
ფულის გაყალბების გზას.

მესამე ნაბიჯი სავაჭრო კანონების შემოღება იყო. ეს კანონები
მოითხოვდა, რომ ფული ვაჭრობაში ისე გამოეყენებინათ, ისე დაეთ-
ვალათ, როგორც ოფიციალური დალდასმული ღირებულება მოითხოვ-
და, და არა რაიმე ნებისმიერი სხვა წესით, მაგალითად, მისი ნამდვილი
წონით. ამ კანონების ძალით, ოქროს მონეტით, რომელსაც ზედ „10
უნცია“ ეწერა, უკვე შეგეძლოთ 10 უნცია ოქროს ვალის ლეგალუ-
რად გადახდა, იმის მიუხედავად, რომ თავად მონეტა რეალურად
მხოლოდ 8 უნციას იწონიდა. მევახშეების პროტესტზე სახელმწიფო
სასამართლომ სავაჭრო კანონების გამო ყურიც არ შეიბერტყა. რა
თქმა უნდა, ამ კანონების მიზანი მთავრობის მიერ გაყალბებული
ფულის მიმართ საზოგადოებაში მიმღებლობის ზრდა იყო.

მთავრობამ მალევე აღმოაჩინა, რომ ეს ნაბიჯი დიდი ვერაფერი
ოპერაცია გამოდგა. მონეტების „განურვას“ თავისი ლიმიტი ჰქონდა.
თუმცა ზუსტი მონეტების (მონეტები, რომელთა ოქროს რეალური
წონა ზედ დაწერილ წონას უდრიდა) სიმბოლური მონეტებით (მონეტე-
ბი, რომლებზეც ძვირფასი ლითონის წონა განზრახ შეცდომით ეწერა)
ნელ-ნელა ჩანაცვლებაც არ იყო საკმარისი. მთავრობას მონეტების
ღირებულებების 100%-იც რომ „შეეპყრო“, ყველა მონეტის ჯამური
ღირებულება მაინც შეზღუდული იყო. ფულის გაყალბების ახალი,
გაცილებით დიდი პოტენციალის მქონე გზაც მალევე მოიფიქრეს.

მეოთხე ნაბიჯზე მთავრობამ უბრალოდ შეწყვიტა ზუსტი მონე-
ტების სიმბოლური მონეტებით ჩანაცვლება და ისეთი სიმბოლური
მონეტების გამოცემა დაიწყო, რომლებიც უფრო მეტ ოქროს წარ-
მოადგენდნენ, ვიდრე შეიცავდნენ. უკვე არც მონეტებში, არც ზოდებ-
სა და არც მიწაში არსებული ოქროს რაოდენობა აღარ ზღუდავდა
მთავრობის მიერ ფულის გაყალბების შესაძლებლობებს.

ამ გამოგონებით, მთავრობის მიერ ფულის გაყალბების მეხუთე – ე. წ. პირველ „ცივილიზებულ“ ფაზაში შევედით. ახლა უკვე თითქმის ყველანაირი შეზღუდვის გარეშე შეიძლებოდა სახელმწიფო საბანკო ბარათების, კუპონების და ა. შ. გამოცემა. ფულის მბეჭდავი მანქანები ამოქოქეს და მთავრობის მიერ ფულის გაყალბებით გამონეულმა ინფლაციამაც დაიკავა საკუთარი ადგილი თანამედროვე სამყაროში.

მეექვსე ნაბიჯით, სამთავრობო ხარჯვამ კიდევ ერთი „ინიექცია მიიღო მხარში“. მეხუთე ფაზაში დაწყებული ქალაქის ფულის გაყალბება აშკარა „გაუმჯობესება“ იყო მონეტების გაყალბებასთან შედარებით, თუმცა ბანკების მოთვინიერება და საჩეკო წიგნაკები უფრო დიდ მასშტაბებზე გასვლის შესაძლებლობას იძლეოდა. ბანკების სარეზერვო მოთხოვნილებებზე დაყრდნობით, საბანკო სისტემას შეეძლო რამდენიმე მონეტარული გაფართოების შექმნა, უკვე კარგად ნაცნობი „მულტიპლიცირების ეფექტით“. ყველა განვითარებად ეკონომიკაში ქალაქის ფული უსწრებს მონეტებს, ხოლო, ბანკის საჩეკო დეპოზიტის ფული – ქალაქის ფულს. ბანკების დაპყრობით (მონეტებისა და კუპონების გამოცემის მონოპოლიასთან ერთად), მთავრობის მიერ ფულის გაყალბების გეგმებს უფრო დიდი მასშტაბებისკენ გაეცვალა გზა.

ისევ იმ ფარისევლური არგუმენტით, რომ თავისუფალი ბაზარი სანდო არ იყო, მთავრობამ დააფუძნა ცენტრალური ბანკი, რომელიც შემდეგ აშშ-ში ფედერალურ სარეზერვო სისტემად გადაკეთდა. ცენტრალურ ბანკს მიეცა ქალაქის ფულის ბეჭდვის მონოპოლია და ფულადი ინსტრუმენტები (ღია ბაზრის ოპერაციები, თამასუქების განაკვეთების დაწესება და ბანკებისთვის სესხების მიცემა), რომლითაც შეეძლო მთელი საბანკო სისტემა გაყალბების ჰარმონიულ მდგომარეობაში შეენარჩუნებინა.

მთავრობის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ე. წ. „თავისუფალი“ ან „ველური“ ბანკები, რომლებიც ძირითადად აშშ-ის მიუდგომელ ადგილებში მდებარეობდა, უწყურადღებოდ ეკიდებოდნენ საკუთარი საბანკო ქვითრების უზრუნველყოფას. ძირითადად, ეს ბრალდება მართალიც იყო. თუმცა მათი ასეთი ქცევის მიზეზები, რომლებიც 1812 წლის ომიდან იღებს სათავეს, საკმაოდ თვალსაჩინოა. ომის დროს ახალი ინგლისის სანაპიროები მთელ ქვეყანაში ყველაზე კარგ მდგომარეობაში იყო. მაგრამ ახალი ინგლისი ქვეყნის ასევე ის ნაწ-

ილიც იყო, რომელიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა ომს. შესაბამისად, ცენტრალურ მთავრობას ფულის სესხება ძირითადად შუა დასავლეთის ბანკებიდან უწევდა, რომელთა საბანკოტე ემისიაც გაცილებით უსწრებდა მათსავე ოქროს მარაგებს (სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბანკების ფინანსური პატიოსნების შენარჩუნების პასუხისმგებლობა, თუმცა სიტყვა გატეხა.). მთავრობამ ამ ფულის უმეტესობა (ძირითადად ბანკოტეების სახით) ახალ ინგლისში დაახარჯა. როდესაც ახალი ინგლისის ბანკებმა საკუთარი შუადასავლური ბანკოტეები წარადგინეს ანაზღაურებისათვის, მთავრობამ, თვითგამოცხადებული პასუხისმგებლობებიდან უფრო დაშორებით, „საბანკო არდადეგები“ გამოაცხადა და ველურ ბანკებს რამდენიმე წლით საკუთარი პასუხისმგებლობების შეუსრულებლობის უფლება მისცა. ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებული ბანკების შემდგომმა თავშეუკავებელმა პოლიტიკამ კერძო ბანკებს სახელი გაუტეხა, ხოლო სახელმწიფოს კი მართვის სადავეების ხელში აღების გასამართლებელი მიზეზი მისცა. ამ კერძო ბანკებს ფულის გასაყალბებელი ოპერაციების წარმოებაში თავად სახელმწიფო აქეზებდა.

სიტუაციის განვითარების ამ ეტაპზე, იდილიას მხოლოდ ერთი დეტალია არღვევდა და ამან მთავრობა მეშვიდე ნაბიჯამდე მიიყვანა. საქმე ისაა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ ფულის გაყალბებას და, შესაბამისად, მისგან გამოწვეულ ინფლაციას უფრო დიდი მასშტაბებით მიმართა, ვიდრე სხვებმა. მაგრამ როდესაც ერთ ქვეყანას გაყალბება-ინფლაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ვიდრე სხვებს, ის აუცილებლად აიხლართება საგადამხდელო ბალანსის პრობლემებში. თუ A ქვეყნის მთავრობა უფრო დიდი დოზით აყალბებს ფულს ვიდრე B ქვეყნის მთავრობა, A ქვეყანაში ფასები უფრო მაღე გაიზრდება, ვიდრე B-ში. A ქვეყნისთვის მარტივი იქნება B ქვეყნიდან რაღაცების ყიდვა, მაგრამ გაუჭირდება B-სთვის რაღაცების მიყიდვა. შესაბამისად A ქვეყნის იმპორტი (რასაც ყიდულობს) გადაასწრებს მის ექსპორტს (რასაც ყიდის). იმპორტსა და ექსპორტს შორის ეს უთანასწორობა მყისიერად გამოიწვევს ჭარბი შესყიდვების დაფარვის მიზნით A ქვეყნიდან B ქვეყანაში ოქროს გადინებას. თუმცა რადგან ოქრო შეზღუდული რაოდენობითაა, ეს ამბავი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.

ასეთ სიტუაციაში მოვლენები სხვადასხვანაირად შეიძლება გან-

ვითარდეს. A ქვეყნის მთავრობას შეუძლია დაანესოს გადასახადები იმპორტზე (ტარიფი) ან B ქვეყანას შეუძლია დაანესოს გადასახადები ექსპორტზე. შესაძლებელია ორივე მათგანმა კვოტები დაანესოს, რომელიც კონკრეტული მოცულობის შემდეგ ვაჭრობას აკრძალავს. A ქვეყანას შეუძლია საკუთარი ვალუტის გაუფასურება, რაც ექსპორტს გააადვილებს, ხოლო იმპორტს გაართულებს; ან ქვეყანას შეუძლია საკუთარი ვალუტა გაამყაროს და საპირისპირო შედეგს მიიღებს. თუმცა ყველა ამ ვარიანტს თავისი პრობლემაც გააჩნია. ტარიფები და კვოტები ვაჭრობაში, სპეციალიზაციასა და შრომის საერთაშორისო გადანაწილებაში ერევა. ვალუტების გაუფასურება და გამყარება ძალიან მავნებლურია და მსოფლიოს მიერ წლობით ნაშენები საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში „აფათურებს ხელს“. მეტიც, ეს მეთოდები რეალურად არსებული დაუბალანსებლობის პრობლემას ვერც აგვარებს და მსოფლიოში განსხვავებული ვალუტების ფარდობითი ღირებულებების ყოველი შეცვლის დროს სავალუტო კრიზისებს იწვევს.

სამყარო ახლა ამ მეშვიდე ეტაპზეა, შესაბამისად, რაიმე დასკვნის გაკეთება რთულია. თუმცა როგორც ჩანს, ორი განსხვავებული თარგი იკვეთება. პირველი მათგანი მსოფლიო მონეტარული კონფერენციის დაფუძნებაა, რომლის ერთ-ერთი მაგალითიც ბრეტონ-ვუდსია¹. ამ სახის კონფერენციებზე მსოფლიოს წამყვანი გამყალბებელ-გამაუფასურებლები ერთმანეთს ხვდებიან და მსჯელობენ საკუთარი ქცევის შედეგების შესახებ „გამოსწორებების“ შესახებ (ოღონდ, რა თქმა უნდა, შექმნილ პრობლემებში საკუთარ წვლილს ვერც ხედავენ). ძირითადად მსჯელობენ ხოლმე შეერთებული შტატების საბანკო სისტემის მართვის რომელიმე ვერსიის მსოფლიო მასშტაბით გამოყენების შესახებ. იყო შემთავაზებები ჩვენი ფედერალური სარეზერვო სისტემის საერთაშორისო ვერსიის შექმნაზეც. ასეთი ტიპის ძლიერ მსოფლიო ბანკს ისეთივე ძალაუფლება ექნება მთელ მსოფლიოზე, როგორიც ეროვნულ ბანკს აქვს საკუთარი ქვეყნის ფარგლებში.

¹ ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია 1944 წლის 1-22 ივლისს ჩატარდა. შედეგად ჩამოყალიბდა ისეთი ინსტიტუციები, როგორიც არის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF). გარდა ამისა, დოლარს, რომელიც ფორმალურად ჯერ კიდევ ოქროზე იყო მიბმული, დაეკისრა საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის ფუნქცია.

ბრეტონ-ვუდსის სისტემამ 1971 წლამდე იარსება, როცა აშშ-ს მთავრობამ დოლარის ოქროთი უზრუნველყოფაზე უარი განაცხადა. – *რედაქტორის შენიშვნა.*

მას ექნება ძალაუფლება, რომ ყველა ბანკი ერთდროულად ჩართოს ინფლაციაში, ხოლო ინფლაციის სამართავად დასჭირდება, რომ მის გარდა ვერავის შეეძლოს ფულის გაყალბება. თუმცა ვინაიდან თითოეულ ფულის გამყალბებელ ეროვნულ ცენტრალურ ბანკს საკუთარი ძალაუფლების დასაცავად პირიდან დუჟი სდის, ასეთი მსოფლიო ცენტრალური ბანკი ჯერ არ შექმნილა.

ზემოთ აღწერილის ალტერნატივა გახლავთ ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორ მილტონ ფრიდმანის მიერ გაპოპულარულებული „მცურავი გაცვლითი კურსების“ სისტემა. ეს სისტემა ისე მუშაობს, რომ როდესაც ორი ქვეყნის ვალუტების ფასები ან ღირებულებები ერთმანეთის მიმართ შეიცვლება, ისინი ავტომატურად გადაეწევიან და მიესადაგებიან ერთმანეთს. ამ პირობით, სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების ფასებს საშუალება აქვთ, ერთმანეთის მიმართ შეიცვალონ. ეს მნიშვნელოვნად განსხვავდება შეთანხმებისგან, რომელიც ბოლო მსოფლიო მონეტარულ კონფერენციაზე მიიღეს და რომლის თანახმადაც ეს ფასები ერთმანეთის მიმართ ფიქსირებულია. მცურავი სისტემით, თუ A ქვეყანას უფრო მაღალი ინფლაცია ექნება ვიდრე B ქვეყანას, მაშინ A ქვეყნის ვალუტის შედარებით ჭარბი მიწოდება იქნება, რაც მას გააუფასურებს, მოგუდავს A-ს იმპორტს, ხოლო ექსპორტს უფრო მიმზიდველს გახდის. მცურავი გაცვლითი სისტემის დიდი უპირატესობა მსოფლიო მონეტარული შეთანხმების ფიქსირებულ გაცვლით სისტემასთან შედარებით ისაა, რომ ეს სისტემა სრულიად ავტომატურია. შესაბამისად, თავიდან ვირიდებთ კრიზისებს, რომელიც ფიქსირებული სისტემის შემთხვევაში, ნებისმიერი ორი ვალუტის ღირებულების ერთმანეთის მიმართ ცვლილებისას გვექნებოდა.

თუმცა ვინაიდან ეს ორივე სისტემა მხოლოდ მთავრობის მიერ ფულის გაყალბება-ინფლაციის ხრიკების ავი შედეგების დაფარვის ხელოვნური მცდელობებია, ვერც ერთ მათგანს ვერ შევხედავთ გულმონყალებით. პარადოქსულია, მაგრამ ეს ავი შედეგები ამასთანავე კარგი, სასარგებლო რამაა. როგორც ტკივილია სხეულის უფრო სერიოზული პრობლემის შესახებ გაფრთხილება და, შესაბამისად, სასარგებლოც კი, ასევე საგადამხდელო ბალანსის პრობლემა, შესაძლოა, საერთაშორისო ინფლაციის საფრთხის მანიშნებელი იყოს. ამ სირთულეების მცურავი გაცვლითი კურსის სქემებით გადალახვის

მცდელობა, მსოფლიო ეკონომიკას ღიას ტოვებს ინფლაციით აოხრების საფრთხის წინაშე. მსოფლიო ეკონომიკისთვის, და თითოეული ქვეყნისთვისაც, გაცილებით უკეთესი იქნება, თუ მსოფლიოს მთავრობები ფულის გაყალბების და ამით გამოწვეული ინფლაციის ახალ-ახალი გზების მოფიქრების ნაცვლად, ერთიანად შეეშვებიან ასეთი პოლიტიკის გატარებას.

ასეთ მომენტებში რთულია, არ გაგვექცეს ფიქრი ხაზინის აგენტებზე – თანამედროვე სატელევიზიო სერიალების „T-men“¹ პერსონაჟებზე. ფულის გაყალბების აღმოფხვრისადმი თავდადებული, მკაცრ კოსტიუმებში გამოწვეპილები, კანონის დამცველი ეს მაგარი ბიჭები მოუსყიდაობის სიმბოლოს წარმოადგენენ. ტელევიზორში მათი თავგადასავლები ჩვეულებრივ ხაზინის კიბეებზე ჩამოსვლის სცენით იწყება ხოლმე. უკან რომ ბრუნდებოდნენ, კიბეზე ზევით ადიოდნენ, საკუთარი უფროსების ოფისებში რომ შედიოდნენ და მათვე აპატიმრებდნენ, ალბათ კაცობრიობის ისტორიაში ფულის გამყალბებელთა ყველაზე დიდ ჯგუფს დაამწყვდევენ.

რაც შეეხება იმ მტკიცებას, რომ ყალბი ფულის ინდივიდუალური მჭრელი გმირია, ამისათვის, გმირული ქცევის სამი კრიტერიუმი უნდა დაკმაყოფილდეს. ეს აქტი არ უნდა არღვევდეს უდანაშაულო მოსახლეობის უფლებებს, უნდა ეხმარებოდეს ბევრ ადამიანს და დიდი პირადი რისკის საფუძველზე უნდა იყოს ჩადენილი.

მესამე კრიტერიუმში ეჭვი არც არავის შეეპარება. ფულის კერძო გამყალბებლები დიდი რისკის ქვეშ მუშაობენ. მთავრობამ მათი ქცევა არაკანონიერად გამოაცხადა. სახაზინო დეპარტამენტი დიდი რაოდენობით ფულს ხარჯავს ყალბი ფულის მჭრელების დასასჯელად და ყველა დამნაშავის ციხეში გასაშვებად. უეჭველია, რომ „რისკის“ კრიტერიუმი ნამდვილად შესრულებულია.

მეტიც, ნათელია, რომ ფულის კერძო გამყალბებლების საქმიანობა საზოგადოებისათვის სასარგებლოა. ყალბი ფულის არასამთავრობო მჭრელებს რომ ხელს არავინ უშლიდეთ, მთავრობის მიერ ფულის გაყალბების მციფე სისტემას მთლიანად ჩამოშლიდნენ. ფულის კერძო გამყალბებელთა მუშაობა, ფულის გაყალბების სამთავრობო სისტემის ეფექტიანობის შემცირებას იწვევს. ის ფაქტი, რომ მთავრობის მიერ

¹ 1947 წელს გამოშვებული სერიალი, რომლის მთავარი გმირები – ხაზინის აგენტები – ფულის გამყალბებლებს ებრძვიან. – *რედაქტორის შენიშვნა.*

ფულის გაყალბების მასშტაბური სისტემა ძალიან საზიანოა, თავის თავშივე გულისხმობს ყალბი ფულის კერძო მჭრელების დასაცავ ძლიერ არგუმენტს (რა თქმა უნდა, ფულის კერძო გაყალბება არალეგალურია და, შესაბამისად, ვერ დაიცავ, თუმცა მაინც სასარგებლოა ეკონომიკური თეორიის შედეგების აღნიშვნა).

შეიძლება შემოგვედგოთ, რომ თუ ყალბი ფულის მჭრელები ძალაუფლებას მოიპოვებდნენ და მთავრობას ჩაანაცვლებდნენ, ხალხის მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესდებოდა. ეს, რაღა თქმა უნდა, სიმართლეა. მაგრამ, ფაქტია, რომ ფულის კერძო გამყალბებლები „პატარა მენარმეები“ არიან, ეს აუცილებლად ასეც დარჩება. ისინი ხალხისათვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, ისინი არ არიან და, სავარაუდოდ, ვერც გახდებიან იმდენად ძლიერები, რომ მთავრობასავით მოიქცნენ. მათი საქმიანობის შედეგი მთავრობის მიერ ფულის გაყალბების დიადი ბოროტების შემცირება და წინააღმდეგობის გაწევაა. ამას კი ადამიანთა დიდი ნაწილისთვის სარგებელი მოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ინდივიდმა ამ აქტივობით შეიძლება იზარალოს, საშუალოდ, ფულის კერძო გამყალბებლის აქტივობა უფრო სასარგებლოა, ვიდრე – საზიანო. აუცილებლად უნდა დავიმახსოვროთ, რომ, ვინაიდან ისინი ყალბი ფულის ნაღდ ფულად გასაღებას არ ცდილობენ, მათი საქმიანობა არაა თაღლითური, შესაბამისად – არც ამორალური.



15.

ძუნდი

ძუნების რეპუტაცია ჩარლზ დიკენსის „საშობაო სიმღერამ“ ისე გააცამტვერა, ჯერაც ვერ გამოსწორებულა. იმის მიუხედავად, რომ ძუნებს დიკენსამდეც არ აკლებდნენ კრიტიკას, ებენეზერ სკრუჯის სახე გადამწყვეტი გამოდგა და ჩვენი დროის ფოლკლორამდეც მოაღწია. მართლაც, ეს ზიზღნარევი დამოკიდებულება პირველკურსელთა ეკონომიკის წიგნებშიც ვრცელდება. ძუნს გამობენ და მას ხან უმუშევრობას აბრალებენ, ხან – ბიზნეს ციკლებს, ხან – ეკონომიკურ დეპრესიას, ხანაც კი – რეცესიას. ცნობილ ან არც თუ ისე ცნობილ „დაზოგვის პარადოქსში“¹ ეკონომიკის დამწყებ სტუდენტებს ასწავლიან, რომ რაც არ უნდა გონივრული იყოს ინდივიდის ან ოჯახის მიერ ფულის დაზოგვა, მთლიანი ეკონომიკისთვის ეს მაინც მცდარი

¹ დაზოგვის პარადოქსი – კეინზიანური ეკონომიკური თეორიის კონცეფცია, რომლის თანახმად, დანაზოგების ზრდა კრიზისის მოახლოებას იწვევს. – *რედაქტორის შენიშვნა.*

ქმედებაა. გაბატონებული კეინზიანური დოქტრინა გვეუბნება, რომ რაც უფრო მეტი დანაზოგია ეკონომიკაში, მით უფრო ნაკლები რჩება სახარჯად, ხოლო ნაკლები ხარჯვა ნაკლებ სამუშაო ადგილს ნიშნავს.

დროა, ყველა ამ გაუგებრობას ერთხელ და საბოლოოდ დაესვას წერტილი. დანაზოგებს მრავალი და განსხვავებული სარგებელი მოაქვს. იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც გამოქვაბულის მცხოვრებმა სიმინდის ერთი მარცვალი მომავალი დათესვისათვის პირველად შეინახა, ადამიანთა მოდგმას მადლობა აქვს გადასახდელი მომხვეჭელების, ძუნებისა და დამზოგავებისთვის. ის კაპიტალური აღჭურვილობა, რომელიც ცხოვრების ცივილიზებული სტანდარტისკენ სწრაფვის საშუალებას გვაძლევს, სწორედ იმ ხალხის დამსახურებაა, ვინც უარს ამბობს საკუთარი სიმდიდრისა და დოვლათის ერთბაშად, მყისიერად დახარჯვაზე. რა თქმა უნდა, ისიც სიმართლეა, რომ ასეთი ხალხი უფრო მეტად გამდიდრდა, ვიდრე მათი გარშემომყოფები და, შესაძლოა, ამან გამოიწვია ის მტრული დამოკიდებულება, რაც მათ მიმართ გააჩნიათ ხოლმე. ისიც სავარაუდოა, რომ დაზოგვისა და მოხვეჭის მთელ პროცესსაც დამზოგავთან ერთად გაუფუჭდა რეპუტაცია. თუმცა ეს მტრობა დამსახურებული არაა. მასების მიერ ხელფასებად მიღებული თანხები მჭიდროდაა დაკავშირებული ფულის იმ რაოდენობასთან, რომლის დაზოგვაც ძუნს შეუძლია. მაგალითად, ბევრი მიზეზი არსებობს, რატომ გამოიმუშავენს ამერიკელი მუშა უფრო მეტს, ვიდრე მისი ბოლივიელი კოლეგა. ამერიკელი მუშის განათლება, ჯანმრთელობა და მოტივაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუმცა სახელფასო სხვაობათა მთავარი მიზეზი ისაა, რომ ამერიკელმა დამქირავებლებმა, თავის დროზე, ბოლივიელ დამქირავებლებზე მეტი კაპიტალი დააგროვეს. ეს გამონაკლისი არაა – თუ თვალს გადავავლებთ წარსულს, მომჭირნე ადამიანები საზოგადოების განვითარების ქვედა დონიდან ზედა დონეზე გადანაცვლებაში ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ.

შესაძლოა, ვინმე შემოგვედაოს, რომ დანაზოგსა (კაპიტალის აკუმულირების პროცესში პროდუქტიულად აღიარებული პრაქტიკა) და მომხვეჭელობას (ფულის უბრალოდ დაგროვება და დაუხარჯაობა) შორის განსხვავება არსებობს და რომ დამზოგველი საკუთარ ფულს სანარმო საშუალებებში აბანდებს, სადაც რაიმე კარგის გაკეთება შესაძლებელი, ხოლო მოხვეჭილი ფული ყოვლად ფუჭია.

შეიძლება ითქვას, რომ მომხვეჭელი (ფულის ბრუნვიდან ამოღებით და „მუთაქაში გადამალვით“) საცალო მოვაჭრეთა შემოსავალს ამცირებს, აიძულებს მათ, რომ თანამშრომლები გაუშვან და ბითუმად მოვაჭრეებისგან ნაკლები პროდუქცია იყიდონ. თავის მხრივ, ბითუმად მოვაჭრეებიც იძულებულნი არიან თავადაც შეამცირონ როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე შეკვეთები თავიანთ მომწოდებლებთან. მომხვეჭელთა გავლენით, მეწარმეობის მთლიან სტრუქტურაში ეს პროცესი მუდმივად განმეორდება. სამსახურიდან გაშვებულ მუშახელს სხვადასხვა პროდუქციის საყიდლად ნაკლები ფული ექნება და ამით პროცესი უფრო შეუქცევადი გახდება. შესაბამისად, მომხვეჭელობა ყოვლად უნაყოფო და დამანგრეველ საქმიანობადაა მიჩნეული.

ეს არგუმენტი სრულად დამაჯერებელი იქნებოდა, ერთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი მოცემულობა რომ არა: კეინზიანიზმით შთაგონებული ეს წარმოდგენა არ ითვალისწინებს ფასების ცვალებადობის შესაძლებლობას. სანამ საცალო მოვაჭრე თანამშრომლებს გაათავისუფლებს და ჩანოლილი საქონლის გამო შეკვეთებს შეამცირებს, ის ჯერ ფასების შემცირებას ეცდება. ფასდაკლების აქციას გააკეთებს ან რაიმე სხვა ტექნიკას გამოიყენებს, რაც, არსებითად, ფასის შემცირების ეკვივალენტურია. ეს საკმარისი იქნება უმუშევრობისა და დეპრესიის მანკიერი წრის დასასრულებლად, თუ, რა თქმა უნდა, გამყიდველის დარდი საკუთარი პროდუქციის ჩანოლით არაა გამოწვეული. როგორ?

იმის მაგივრად, რომ დანაზოგით კაპიტალური აღჭურვილობა ეყიდა, მომხვეჭელი ან ძუნწი ადამიანი, ამ ფულის უბრალოდ „გადამალვით“ და სამომხმარებლო ბაზრიდან ამოღებით, მიმოქცევაში არსებული ფულის ჯამურ რაოდენობას ამცირებს. ბაზარზე გასაყიდი პროდუქტებისა და მომსახურებების რაოდენობა კი იგივე რჩება. ვინაიდან ეკონომიკაში ფასების წარმომქმნელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ სწორედ არსებული ფულისა და არსებული პროდუქტებისა თუ მომსახურებების რაოდენობათა ფარდობაა, მომხვეჭელი წარმატებით ახერხებს ფასების შემცირებას. წარმოვიდგინოთ მარტივი, თუმცა არაზუსტი მოდელი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკაში არსებული თითოეული დოლარი შეესაბამება იქვე არსებულ თითოეულ პროდუქტსა თუ სერვისს.

შესაბამისად, რაც უფრო ცოტა იქნება დოლარების რაოდენობა, მით უფრო მსყიდველუნარიანი იქნება თითოეული დარჩენილი დოლარი. ვინაიდან, მომხვეჭელობა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შემცირებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ხოლო ყველა დანარჩენი ცვლადი უცვლელი რჩება, ასეთ შემთხვევაში, ნაკლები ფული ნაკლებ ფასებს ნიშნავს და თვალსაჩინო ხდება, რომ მომხვეჭელობა ფასების შემცირებას იწვევს.

ფასების შემცირებაში კი საზიანო არაფერია. პირიქით, ამგვარი ძუნწობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სარგებელი მთელი საზოგადოების პროდუქტებისა და მომსახურებების გაიაფებით ხეირია.

დაბალი ფასები არც დეპრესიებს გამოიწვევს. გაიხსენეთ, ჩვენი ყველაზე წარმატებული ტექნოლოგიური მოწყობილობების ფასების გრაფიკი ქვემოთ მიმავალი მრუდია. როდესაც მანქანები, ტელევიზორები და კომპიუტერები გამოიგონეს, მათ უბრალო მომხმარებლისთვის გაუგონარი, ასტრონომიული ფასები ედოთ. თუმცა ტექნიკურმა ეფექტიანობამ მათი ფასები იმ დონემდე შეამცირა, რომ ეს ნივთები მომხმარებელთა უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი გახდა. იმის თქმაც არაა საჭირო, რომ ამ ფასთა შემცირებას არც დეპრესია და არც რეცესია გამოუწვევია. რეალურად, ერთადერთი მენარმე, რომელიც ასეთი ტრენდის დროს ზარალდება, ისაა, ვინც კეინზიანურ ანალიზს მიჰყვება და შემცირებული მოთხოვნის წინაშე ფასებს არ ამცირებს. თუმცა ფართომ ასშტაბიანი დეპრესიის გამოწვევის მაგივრად, როგორც კეინზის მიმდევრები მიიჩნევენ, ასეთი მენარმეები წარმატებით მხოლოდ გაკოტრებას ახერხებენ. დანარჩენებს რაც შეეხებათ, ბიზნესი ისეთივე დამაკმაყოფილებელი რჩება, როგორიც იყო, თუმცა უფრო დაბალი ფასებით. დეპრესიის გამომწვევი მიზეზი, შესაბამისად, სხვაგან უნდა ვეძებოთ.¹

ძუნწობის საწინააღმდეგო არგუმენტი, რომ ის დამანგრეველია და ეკონომიკის მუდმივ ცვალებადობას იწვევს, ასევე არაა არსებითი. ეს შეფასება მართალი რომც იყოს, ძუნწის ბრალეულობას ვერ ამტკიცებს, ვინაიდან თავისუფალი ბაზარი, უპირველეს ყოვლისა, მუდმივად ცვალებად, განსხვავებულ გემოვნებებზე მორგებისა და გადაფასების ინსტიტუტია. თუ ამ მიზეზით ძუნწობას გავაკრიტი-

¹ იხილეთ Murray N. Rothbard, *America's Great Depression* (New Rochelle, N.Y.: Van Nostrand, 1963).

კებთ, მაშინ მოდის ცვალებადობაც უნდა გავაკრიტიკოთ, ვინაიდან ის მუდმივად აიძულებს ბაზარს მოერგოს სხვადასხვა ტრენდებს. ძუნწობა კი იმის გამო ვერ ითამაშებს დესტრუქციულ როლს ეკონომიკაში, რომ ყველა ძუნწმა ლეიბების ფულით გამოტენა რომც დაიწყოს, აუცილებლად იარსებებენ მათი ისეთი მემკვიდრეები, რომლებიც ლეიბებში შენახულ ფულს ქარს გაატანენ. ასე იყო ყოველთვის და, ისეთი პირი უჩანს, ასეც დარჩება.

მტკიცებები, რომ ძუნწის ფულის გორა ფუჭია, ვინაიდან, ფულის ბანკში შენახვისგან განსხვავებით, მას საპროცენტო განაკვეთი არ ემატება, ასევე უშინაარსოა. ამ ლოგიკით, ჩვენს საფულებებში არსებულ ფულსაც ფუჭი უნდა დავარქვათ, რადგან პროცენტები არ ემატება. თუ საკუთარი ფულით დამატებითი პროცენტის მიღებაზე ხალხი უარს ნებაყოფლობით ამბობს და სანაცვლოდ ნაღდ ფულად ინახავს, შეიძლება, ჩვენი გადმოსახედიდან ეს ფული უსარგებლო გვეჩვენებოდეს, თუმცა მათთვის უსარგებლო ნამდვილად არაა. ძუნწს საკუთარი ფული შეიძლება მოგვიანებით დასახარჯად ან საკუთარი ხარჯების გადასახდელად კი არ უნდოდეს, არამედ, უბრალოდ, ნაღდი ფულის ხელში ჭერა ანიჭებდეს სიხარულს. როგორ შეიძლება სარგებლის მაქსიმიზაციის დოქტრინაში განსწავლულმა ეკონომისტმა სიხარულს, როგორც ასეთს, ფუჭი უწოდოს? იშვიათი ნახატებისა და ქანდაკებების შემგროვებელი ხელოვნების მოყვარულები უნაყოფო მენარმეებად არ მოიაზრებიან. არც კატებისა და ძაღლების პატრონებს ვადანაშაულებთ ფუჭ აქტივობაში, როდესაც შინაურ ცხოველებს ინვესტიციისთვის კი არა, სიხარულისთვის პატრონობენ. ადამიანებს განსხვავებული გემოვნებები გვაქვს – ის, რაც ერთისთვის ფუჭია, მეორისთვის სრულიად საპირისპირო შეიძლება იყოს.

ძუნწის მიერ დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის მოხვეჭა მხოლოდ გმირობად თუ შეიძლება მივიჩნიოთ. ამით გამოწვეული შემცირებული ფასებით ყველანი ვხეირობთ. ფული, რომელიც გვაქვს და რომლის დახარჯვაც გვსურს, უფრო ღირებული ხდება, ხოლო ერთი და იმავე რაოდენობის ფულის მქონე მყიდველს მეტის შეძენის საშუალებას აძლევს. საზოგადოებისთვის მავნებლობისგან შორს მყოფი ძუნწი, სინამდვილეში, ჩვენი მწყალობელია, რომელიც ჩვენი ფულის მსყიდველუნარიანობას ზრდის ყოველ ჯერზე, როდესაც მის ფულის ზვინს კიდევ ერთი ქალაქი ემატება.



16.

მემკვიდრე

მემკვიდრეებს ძირითადად ახასიათებენ, როგორც უპასუხისმგებლო, უდრტვინველ, ზარმაც პიროვნებებს, რომლებიც დაუმსახურებელი ფუფუნებით ტკბებიან. ეს დახასიათება შემთხვევათა უმეტესობაში, შესაძლოა, შესაფერისიც იყოს. თუმცა ამით არანაირად არ კნინდება მათ მიერ შესრულებული გმირობის ტოლფასი საქმე.

მემკვიდრეობა ჩვეულებრივი საჩუქარია – საჩუქარი, რომელიც ადრესატს გადაეცემა მჩუქებლის სიკვდილის შემდეგ. სწორედ იმ საჩუქრებით, – რომლებსაც დაბადებისას, დაბადების დღეებზე, დაქორწინებისას ან სხვა დღესასწაულებზე ვუძღვნიტ ერთმანეთს, – მემკვიდრეობაც შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ერთი პირის მიერ ყურადღების გამოხატვის სიმბოლოს ნებაყოფლობითი გადაცემა მეორისთვის. შესაბამისად, არ შეიძლება თან მემკვიდრეობების წინააღმდეგი იყო და თან სხვა სახის საჩუქრებს მონყალებით უყუ-

რებდე. თუმცაღა ბევრი ასეც იქცევა. მათი ანტიმემკვიდრეობითი მიკერძოებულობა გამრუდებულია იმ ქურდის ხატებით, რომლებიც საკუთარ ავადმოპოვებულ ქონებას შვილებს უტოვებენ. ისინი ხედავენ მმართველი კლასის მიერ დაგროვებულ ქონებებს, რომლებიც პატიოსანი შრომის მაგივრად, სამთავრობო სუბსიდიებით, ტარიფებითა და სალიცენზიო დაცვებითაა მოპოვებული და რომელიც მემკვიდრეს უნდა გადაეცეს. ეს, ცხადია, აკრძალული უნდა იყოს. თუმცა ნაცვლად ამისა, ხსნად რატომღაც მემკვიდრეობის აკრძალვა გვევლინება ხოლმე.

შეუძლებელია ქონების მემკვიდრეობით გადაცემა ავკრძალოთ, თუ მასთან ერთად ყველა სხვა სახის საჩუქარსაც არ ავკრძალავთ. პანაცეად მიჩნეული „100%-იანი გადასახადი მემკვიდრეობაზე“ მიზანს უბრალოდ ვერ მიაღწევს, თუ სხვა სახის საჩუქრები ნებადართული იქნება – ფული და ქონება, უბრალოდ, დაბადების დღის, საშობაო და სხვა სახის საჩუქრებად გასაღდება. შესაძლოა, მშობლებმა შვილების საჩუქრები ფონდშიც კი შეინახონ იმ პირობით, რომ შვილს საჩუქარი მშობლის გარდაცვალებიდან პირველივე დაბადების დღეზე გადაეცემა.

სამოხელეო თუ სხვაგვარი თაღლითობის ხარჯზე უკანონოდ მოპოვებული ქონების პრობლემას იმით კი ვერ მოვაგვარებთ, რომ ამ ქონების შვილებისთვის მემკვიდრეობით გადაცემა ავკრძალოთ, არამედ ქონების უკანონო გზით მოხვეჭას უნდა ვებრძოლოთ და ვიზრუნოთ, ასეთი გზით მოპოვებული ქონება მის პირვანდელ მფლობელს დაუბრუნდეს.

იმის მტკიცება მაინც თუ შეიძლება, რომ მემკვიდრეობაზე 100%-იანი გადასახადი პრობლემის მოგვარების „მეორე საუკეთესო“ ვარიანტია? რომ, რადგან კრიმინალებისთვის უკანონოდ მოპოვებული ქონების წართმევა არ შეგვიძლია, მათი შვილებისთვის ამ ქონების გადაცემა უნდა ავკრძალოთ? ეს დამოკიდებულებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. თუ კრიმინალების გასამართლება არ შეგვიძლია, რადგან იუსტიციის სისტემას თეთრსაყელიანი კრიმინალები აკონტროლებენ, მაშინ მემკვიდრეობაზე 100%-იანი გადასახადის დაწესების ძალაუფლება საიდან გვაქვს?

რეალურად, ასეთი გადასახადი რომც დაწესდეს და აღსრულდეს, მსგავსი ინიციატივების სულისჩამდგმელი ეგალიტარიზმის მეხოტ-

ბეები უფრო იმედგაცრუებულები დარჩებოდნენ, ვინაიდან ნამდვილი ეგალიტარიზმი არა მხოლოდ ფულის თანაბარ გადანაწილებას, არამედ არაფულადი ჯილდოების თანაბრობასაც მოიაზრებს. როგორ უშველიან ეგალიტარისტები უსინათლოთა და მხედველთა, მუსიკალურად ნიჭიერთა და მუსიკალურად უნიჭოთა, ლამაზთა და უშნოთა, ნიჭიერთა და უუნაროთა შორის უთანასწორობებს? ბედნიერად განწყობილთა და მეღანქოლიისკენ მიდრეკილთა შორის უთანასწორობას? შეგვიძლია, რომ „ძალიან ბედნიერებს“ ფული წავართვათ და „უბედურებს“ მივცეთ ანაზღაურების სახით? ბედნიერი განწყობა რა ღირს? წელიწადში 10\$-ად ბედნიერების 5 ერთეულს ვიყიდით?

ასეთი პოზიციის აბსურდულობამ ეგალიტარისტები შეიძლება „მეორე საუკეთესო ვარიანტის“ არჩევის პოლიტიკამდე მიიყვანოს. ისევე, როგორც, მაგალითად, კურტ ვონეგუტის წიგნის, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მაიმუნების სახლში“, ერთ-ერთი მოთხრობის, „ჰარისონ ბერგერონის“ დიქტატორი პერსონაჟი მივიდა. მოთხრობაში ძლიერი ხალხი იძულებული იყო წონით დამძიმებულებს ევლოთ იმისათვის, რომ დანარჩენების სიძლიერის დონეზე დასულიყვნენ; მუსიკალურად ნიჭიერი ადამიანები იძულებულნი იყვნენ ისეთი ყურსასმენები ეტარებინათ, რომლებიც მათი ნიჭის პროპორციულ საშინელ ხმაურს გამოუშვებდა. ეგალიტარული სურვილების ლოგიკურ გაგრძელებას მსგავს სიუჟეტებამდე მივყავართ. ფულადი მემკვიდრეობის აღმოფხვრა მხოლოდ პირველი ნაბიჯია.

მემკვიდრე და მემკვიდრეობის ინსტიტუტი ჩვენთვის ნაცნობ ცივილიზაციასა და ისეთ სამყაროს შორის დგას, რომელშიც თანასწორობის არგუმენტით არც ნიჭია ნებადართული და არც ბედნიერება. თუ ინდივიდუალიზმი და ცივილიზაცია მართლაც ღირებულია, მემკვიდრე იმ პიედესტალზე უნდა შემოვასკუპოთ, რომელიც მას დამსახურებულად ეკუთვნის.

ბაბუ, ჯიგარო, ფული მასესხე რა!
პროცენტებით დაგიბრუნებ!



17.

მევახშე

იმ ბიბლიური დროიდან მოყოლებული, როდესაც მევახშეები ტაძრიდან გაყარეს, მათ გამობდნენ, აკრიტიკებდნენ, მტრებად რაცხავდნენ, დევნიდნენ, სჯიდნენ და ამასხარავებდნენ. პიესაში, „ვენეციელი ვაჭარი“, შექსპირი მევახშეს ახასიათებს, როგორც მსუნაგ ებრაელს, რომელიც სულ იმის მცდელობაშია, ვინმეს რამე გამოსტყუოს. ფილმში, *The Pawnbroker*, მევახშე ასევე ზიზლის ობიექტია.

არადა, მევახშე, მისი გარე ბიძაშვილების – პროცენტზე გამსესხებლისა და ლომბარდის მეპატრონის – მსგავსად, სამწუხაროდ, არასწორადაა შეფასებული. მიუხედავად იმისა, რომ საჭირო და მნიშვნელოვან მომსახურებას გვინვევენ, ისინი მაინც უკიდურესად არაპოპულარულ ადამიანებად რჩებიან.

ხალხი ფულს იმიტომ ასესხებს და სესხულობს, რომ დროითი პრეფერენციების განსხვავებული განაკვეთები გააჩნიათ (განაკვეთი,

რომელზეც თანახმანი არიან იგაჭრონ ანმყოში არსებული ფულით, იმ ფულისთვის, რომელსაც მომავალში მიიღებენ). მისტერ A შეიძლება შფოთავდეს, რომ ფული ზუსტად ახლა სჭირდება და სულაც არ აინტერესებდეს მომავალში რამდენ ფულს შეიძენს. ის მზადაა, მომავალი წლის 200\$ გაცვალოს ახლანდელ 100\$-ში. მისტერ A-ს დროითი პრეფერენციის ძალიან მაღალი განაკვეთი აქვს. სპექტრის მეორე უკიდურესობაში არსებობს ხალხი, რომელთაც დროითი პრეფერენციის ძალიან დაბალი განაკვეთი აქვთ. მათთვის „მომავალი ფული“ თითქმის იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც „ახლანდელი ფული“. მისტერ B, რომელსაც დროითი პრეფერენციის დაბალი განაკვეთი აქვს, მზადაა ახლანდელი 100\$-ის სანაცვლოდ, მომავალ წელს მხოლოდ 102\$ გადაიხადოს. მისტერ A-სგან განსხვავებით, რომელიც უფრო მეტად ახლანდელ ფულზე ღელავს, ვიდრე მომავლის ფულზე, მისტერ B ახლანდელი ფულის სანაცვლოდ დიდი რაოდენობის მომავლის ფულს არ გაიღებდა. (უნდა აღინიშნოს, რომ დროითი პრეფერენციის უარყოფითი განაკვეთი არ არსებობს, ანუ, ერთი და იმავე რაოდენობის შემთხვევაში მომავლის ფულისთვის უპირატესობის მინიჭება, ახლანდელ ფულთან შედარებით. ეს იმის თქმის ეკვივალენტურია, რომ ანმყოში 100\$ გაიღო, მომავალ წელს 95\$-ის მიღების მიზნით. ეს შეიძლება არაგონივრული იყოს, თუ დროითი პრეფერენციის გარდა სხვა გასათვალისწინებელი პირობები არ არსებობს. მაგალითად, ვილაცას შეიძლება სურდეს ახლანდელი დაუცველი – მაგრამ ერთ წელიწადში უსაფრთხო – ფულისთვის დაცვის შეძენა. ან ვილაცას შეიძლება ერჩივნოს დესერტის ვახშმის შემდეგ მირთმევა. ამ შემთხვევაში, „დესერტი ვახშმამდე“ და „დესერტი ვახშმის შემდეგ“ განსხვავებული პროდუქტებია, იმის მიუხედავად, თუ რამდენად ჰგვანან ერთმანეთს ფიზიკურად. შესაბამისად, ამ მაგალითში არაა ნაჩვენები, რომ მომავლის პროდუქტს ენიჭება უპირატესობა, იმავე ახლანდელ პროდუქტთან შედარებით.)

იმის მიუხედავად, რომ დროითი პრეფერენციის მაღალი განაკვეთის მქონე ადამიანისთვის (მისტერ A) ფულის სესხება, ხოლო დროითი პრეფერენციის დაბალი განაკვეთის მქონე ადამიანისთვის (მისტერ B) ფულის გასესხება აუცილებელი არაა, ხშირად ასეც ხდება ხოლმე. მაგალითად, ბუნებრივი იქნებოდა მისტერ A-ს მისტერ B-სგან ფული რომ ესესხა. მისტერ A ახლანდელი 100\$-ის სანაცვლოდ მზადაა,

რომ მომავალ წელს 200\$ გადაიხადოს, ხოლო, მისტერ B თანახმა იქნება 100\$-ის ახლა გაესესხებაზე, თუ მომავალ წელს მინიმუმ 102\$-ს მიიღებს. თუ ორივე შეთანხმდება, რომ მომავალ წელს 150\$ იქნება გადასახდელი, ორივე იხიერებს კიდევ. მისტერ A იხიერებს ახლანდელი 100\$-ის სანაცვლოდ პოტენციურად მომავალში გადასახდელ 200\$-სა და საბოლოოდ შეთანხმებულ გადასახდელ 150\$-ს შორის სხვაობით ანუ 50\$-ით. მისტერ B კი მომავალ წელს მისაღებ 150\$-სა და იმ 102\$-ს შორის სხვაობით იხიერებს, რომლის სანაცვლოდაც აქამდეც მზად იყო 100\$ გაესესხებინა ანუ მისი მოგება 48\$ იქნება. რადგან მევახშეობაც რეალურად ვაჭრობაა, ნებისმიერი სხვა ვაჭრობის მსგავსად, ვაჭრობით ორივე მხარე უნდა ხეირობდეს. ასე რომ არ ყოფილიყო, მხარეები ჩვეულებრივად უარს იტყოდნენ ვაჭრობაზე.

შეგვიძლია მევახშე განვმარტოთ, როგორც პირი, რომელიც საკუთარ ან სხვების ფულს გაასესხებს. ბოლო შემთხვევაში მისი ფუნქცია გამსესხებელსა და მსესხებელს შორის შუამავლობაა. ორივე შემთხვევაში, მევახშე ისეთივე პატიოსანია, როგორც ნებისმიერი სხვა ბიზნესმენი. ის არავის აიძულებს მასთან თანამშრომლობას და არც თვითონაა იძულებული ყველასთან ითანამშრომლოს. რა თქმა უნდა, არსებობენ არაპატიოსანი მევახშეებიც ისევე, როგორც ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში, მაგრამ ამით თავისთავად მევახშეობაში არაფერია დასაძრახი ან უკანონო. ამ დამოკიდებულების ზოგიერთი კრიტიკა დამატებით ანალიზს საჭიროებს.

1. „მევახშეობა სამარცხვინოა, ვინაიდან ხშირად ძალადობა ახლავს. იმ მსესხებლებს (ან მსხვერპლებს), რომლებსაც საკუთარი ვალების გადახდა არ შეუძლიათ, ხშირად კლავენ, ძირითადად, თავად მევახშეები.“

არ მიმაჩნია გამართლებულად მსხვერპლი უწოდო ადამიანს, რომელმაც მევახშისგან ფულის სესხებამდე ნებაყოფლობით მოაწერა ხელი კონტრაქტს, შესაბამისად, დათანხმდა ვალის გადახდის კონკრეტულ პირობებს, შემდეგ კი, რაღაც მიზეზების გამო, პირობა ვერ შეასრულა. პირიქით, რეალური მსხვერპლი მევახშე გამოდის. თუ სესხი გასცა, მაგრამ არ დაუბრუნეს, სიტუაცია ქურდობის ეკვივალენტური ხდება. ქურდი, რომელიც მევახშის ოფისიდან ფულს იპარავს და პირი, რომელიც მასთან კონტრაქტით ნასესხებ ფულს

უკან არ აბრუნებს, ორივე სხვის ფულს ეუფლება, შესაბამისად, მათ შორის დიდი განსხვავება არ არის.

ხშირად მევახშეები სასტიკად უსწორდებიან მევალეებს, თუმცა ამას თავისი მიზეზები აქვს – იმის გამო, რომ ფულის მაღალი საპროცენტო განაკვეთით გასესხება აკრძალულია, მევახშეობა იატაკქვეშა პროფესიად იქცა. სასამართლო უარს ამბობს აიძულოს მევალე ფული გადაიხადოს, მევახშე კი იძულებულია კანონის აღსრულება საკუთარ ხელში აიღოს და თამაშში კრიმინალური სამყარო ჩართოს. ყოველთვის, როდესაც მთავრობა კრძალავს ისეთ რამეს, რასაც ნებაყოფლობითი მომხმარებლები ჰყავს, გინდ ვისკი იყოს ეს, გინდ – ნარკოტიკები, გინდ – აზარტული თამაშები, გინდ – პროსტიტუცია, ან გინდაც – მაღალ განაკვეთიანი სესხები, იატაკქვეშა სამყარო ეუფლება იმ ინდუსტრიას, რომელში ოპერირებაც კანონმორჩილ მეწარმეებს ეშინიათ. ვისკიში, ნარკოტიკებში, აზარტულ თამაშებში, პროსტიტუციაში ან მევახშეობაში არაფერია თავისთავად კრიმინალური. მხოლოდ და მხოლოდ კანონით აკრძალვის გამოა, რომ ამ სფეროებთან კრიმინალური ძალადობრივი მეთოდები ასოცირდება.

2. „ფული, თავისთავად, ფუჭია, რადგან არაფერს აწარმოებს. შესაბამისად, მისი გამოყენებისთვის ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთის დანესება ექსპლუატაციურია. მევახშეები, რომლებიც არანორმალურ საპროცენტო განაკვეთებს ანესებენ, ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე ექსპლუატატორული ხალხია. ისინი სრულად იმსახურებენ მიღებულ შეურაცხყოფას.“

იმის გარდა, რომ ფულს პროდუქტებისა თუ სერვისების შეძენის უნარი აქვს, მისი დღეს ქონა, ხვალინდელ ქონასთან შედარებით, საშუალებას გვაძლევს თავი ავარიდოთ სურვილის ასრულების მოლოდინით გამოწვეულ ტკივილს. ეს პროდუქტიული ინვესტიციაა, რომელიც სესხის პერიოდის ბოლოსაც კი, საპროცენტო განაკვეთის დაფარვის შემდეგაც, უფრო მეტ პროდუქტსა და სერვისს გვაძლევს ვიდრე დასაწყისში იძლეოდა.

„ასტრონომიულად მაღალ“ საპროცენტო განაკვეთებს რაც შეეხება, უნდა შევიგნოთ, რომ თავისუფალ ბაზარში, საპროცენტო განაკვეთი ყველა ეკონომიკური აქტიორის დროითი პრეფერენციების მიხედვით წყდება. თუ საპროცენტო განაკვეთი არაადეკვატურად მაღალია, შეიქმნება ძალები, რომლებიც მას დაბლა დასწევენ.

მაგალითად, თუ საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე ამ საქმიანობაში ჩართული ხალხის დროითი პრეფერენციის განაკვეთი, სესხებზე მოთხოვნა მიწოდებაზე ნაკლები იქნება და ეს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას გამოიწვევს. თუ საპროცენტო განაკვეთი არ მცირდება, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის ძალიან მაღლაა დაწესებული, არამედ იმას, რომ სესხების მოთხოვნის დაბალანსება და ეკონომიკური აქტივობის დროითი პრეფერენციების განაკვეთების დაკმაყოფილება მხოლოდ ასეთ მაღალ საპროცენტო განაკვეთს შეუძლია.

მაღალი საპროცენტო განაკვეთების კრიტიკოსს გონებაში „სამართლიანი“ საპროცენტო განაკვეთის რაოდენობა წარმოუდგენია. თუმცა „სამართლიანი“ საპროცენტო განაკვეთი ან „სამართლიანი“ ფასი არ არსებობს. ეს შუასაუკუნეების დროინდელი ატავისტური კონცეფციაა, როდესაც ბერები ამ საკითხზე მსჯელობდნენ იმ საკითხთან ერთად, თუ რამდენი ანგელოზი დაეტევა ნემსის ყუნწზე. თუ „სამართლიანი“ საპროცენტო განაკვეთის დოქტრინას რაიმე შინაარსი აქვს, ასეთი შინაარსი მხოლოდ და მხოლოდ ორი თანახმა ზრდასრულის ურთიერთშეთანხმება იქნება. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი კი ზუსტად ესაა.

3. *„მევახშეები ღარიბებზე ნადირობენ და სხვა მსესხებლებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს უწესებენ.“* გავრცელებული მითია, რომ მევახშეთა აბსოლუტური უმრავლესობა – მდიდარ, ხოლო მსესხებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ღარიბ კლასს მიეკუთვნება. ეს ასე არაა. პიროვნების მსესხებლობას თუ გამსესხებლობას მისი დროითი პრეფერენციის განაკვეთი განსაზღვრავს და არა მისი შემოსავალი. ობლიგაციების გამყიდველი მდიდარი კორპორაციები თავად მსესხებლები არიან, ვინაიდან ობლიგაციების გაყიდვა ფულის სესხებაა. დიდი საგადასახადო დატვირთვის მქონე უძრავი ან სხვა სახის ქონების მფლობელი მდიდარი ადამიანების უმეტესობა თითქმის ყოველთვის მსესხებლები არიან და არა გამსესხებლები. მეორე მხრივ, მცირე საბანკო ანგარიშის მქონე ყველა ღარიბი ქვრივი ან პენსიონერი თავადაა მევახშე.

მართალია, მევახშეები ღარიბებს სხვებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს უწესებენ, მაგრამ ასეთი დახასიათება შესაძლოა დამაბნეველად ჟღერდეს. მევახშეები შედარებით რისკიან ადამიანებს – ანუ მათ, ვინც ნაკლები შანსია ვალი დააბრუნოს – უფრო

მაღალ საპროცენტო განაკვეთებს უწესებენ, იმის მიუხედავად, თუ რამდენად მდიდარია ეს ადამიანი.

გადაუხდელობის რისკის და, შესაბამისად, დაწესებული საპროცენტო განაკვეთის შემცირების ერთ-ერთი გზა არის გარანტიად თანამსესხებლის შემოყვანა ან იმ უძრავი ქონების ჩადება, რომელიც მსესხებელმა უნდა დათმოს სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში. ვინაიდან თანამსესხებლის შემოყვანის საშუალება ღარიბებზე მეტად მდიდრებს აქვთ, მათს სესხებს შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთებიც აქვთ. თუმცა ამის მიზეზი არის არა მათი სიმდიდრე, არამედ გადაუხდელობის შემთხვევაში გამსესხებლის დაზარალების შედარებით დაბალი ალბათობა.

ამ სიტუაციაში უადგილო ან უნიკალური არაფერია. ღარიბები ხანძრისგან დაზღვევაშიც უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს იხდიან, რადგან მათი სახლები მდიდრების სახლებზე ნაკლებად ცეცხლგამძლეა. ისინი ჯანდაცვაშიც უფრო მეტს იხდიან, ვინაიდან ნაკლებად ჯანმრთელები არიან. ღარიბებისთვის საკვების ფასიც უფრო მაღალია, ვინაიდან მათ უზნებში კრიმინალის დონე უფრო მაღალია, ხოლო კრიმინალი ბიზნესის წარმოების ფასს ზრდის¹. ცხადია, ეს სამწუხაროა, თუმცა ეს ღარიბთა ათვალწუნებით არაა გამოწვეული. მევახშე, ისევე, როგორც ჯანმრთელობის დამზღვევი კომპანია ან სურსათის გამყიდველი, საკუთარი ინვესტიციის დაცვას ცდილობს.

წარმოიდგინეთ კანონი, რომელიც კერძო გამსესხებელს, მევახშეს აუკრძალავდა დადგენილზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის დადებას სესხზე. ვინაიდან უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს ღარიბები – და არა მდიდრები – იხდიან, კანონის პირველად შედეგებს სწორედ ღარიბები იგრძნობენ. შედეგი იქნება ღარიბთა დაზარალება და, სხვა თუ არაფერი, მდიდრების ხეირი. ერთი შეხედვით, კანონი თითქოს ღარიბების მაღალი საპროცენტო განაკვეთებისგან დასაცავადაა შემოღებული, თუმცა რეალური შედეგი ის იქნება, რომ ღარიბები სესხს ვეღარც აიღებენ! თუ მევახშეს მოუწევს აირჩიოს – ღარიბებს, მისი აზრით, უაზროდ დაბალპროცენტიანი სესხი მისცეს თუ სესხი საერთოდაც არ მისცეს – რთული გამოსაცნობი არაა, რომელს აირჩევს.

¹ საუბარია ისეთ სიტუაციაზე, როდესაც გარეუბანში ვაჭრის დაყაჩაღების რისკი იზრდება და ეს აძვირებს იქ ოპერირებას. – *რედაქტორის შენიშვნა.*

რას უზამს მევახშე იმ ფულს, რომელსაც, კანონით აკრძალვა რომ არა, ღარიბებს ასესხებდა? ის ამ ფულს სესხად მხოლოდ გადაუხდელობის დაბალი რისკის მქონე მდიდრებს მისცემს. ეს მდიდრებისათვის საპროცენტო განაკვეთს დანევს, ვინაიდან ნებისმიერ ბაზარზე რაც უფრო მაღალია კონკრეტული პროდუქტის მიწოდება, მით უფრო დაბალია ამ პროდუქტის ფასი. ჩვენ არ ვკითხულობთ „სამართლიანია თუ არა ჭარბი საპროცენტო განაკვეთის აკრძალვა“, ჩვენ მხოლოდ ასეთი აკრძალვის შედეგებს განვიხილავთ. შედეგები კი, ნათელია, რამდენად დამლუპველია ღარიბებისთვის.

გადაშენების პირას მყოფი
ეს სახეობა ვერ გადარჩებოდა,
რომ არა ორგანიზაცია
“ქველმოქმედები საზღვრებს გარეშე”...



18.

არაქველმოქმედი

ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ წარმოდგენით, რომ ქველმოქმედება მაღლიანი საქმეა, რომ ეს სათნო, წესიერი, კარგი, სამართლიანი, პატივსაცემი, ალტრუისტული და საყვარელი საქმიანობაა. შესაბამისად, ქველმოქმედებაზე უარის თქმას ზიზღით, აბუჩად აგდებით, სკეპტიციზმითა და ძრწოლით უყურებენ. ქველმოქმედების უარმყოფელი ადამიანი კეთროვნად მიიჩნევა.

ამ სოციოლოგიურ იმპერატივს მხარს უბამენ მათხოვრები, საქველმოქმედო ფონდების მესვეურები, სასულიერო პირები და სხვა – ლეგიონია მათი სახელი – „ლარიბი“ ჯგუფები. ქადაგებაც და მედიაც, ჰარე კრიშნას მიმდევრებიც და გლახაკებიც, ჰიპებიც და

„ათცენტნიანის მარშის“ ბავშვებიც¹, ხეიბრებიც, უმწეონიც, ლატაკნიც და ყველა დავრდომილი ამისკენ მოგვიწოდებს.

ქველმოქმედება თავისთავად ბოროტება არაა. როდესაც ამას პასუხისმგებლიანი ზრდასრული პირები ნებაყოფლობით სჩადიან, არავის პიროვნული უფლებები არ ილახება. თუმცა ქველმოქმედებას თავისი საფრთხეებიც ახლავს ისევე, როგორც მასზე უარის თქმას – დამაჯერებელი მიზეზები. მეტიც, ქველმოქმედების მორალური ფილოსოფიის საფუძველსაც სერიოზული წუნი აქვს.

ქველმოქმედების ბოროტებანი

ქველმოქმედების ერთ-ერთი უდიდესი ბოროტება და მასზე უარის თქმის ყველაზე დამაჯერებელი მიზეზი ისაა, რომ ის ადამიანთა მოდგმის გადარჩენას უშლის ხელს. დარვინის თეორიის მიხედვით, ნებისმიერ მოცემულ გარემოში ორგანიზმები, რომლებსაც ამ გარემოსთან ადაპტაციას სხვებზე უკეთ მოახერხებენ, „ბუნებრივად გადარჩევიან“ (ანუ, უფრო მაღალი ალბათობით მიაღწევენ გამრავლების ასაკს და, შესაბამისად, უფრო მაღალი ალბათობით დატოვებენ შთამომავალს). ამ პროცესის ერთ-ერთი გრძელვადიანი შედეგი უფრო გამძლე (გადარჩენის მაღალი უნარის მქონე) სახეობების მიღებაა. ეს არ გულისხმობს, რომ ძლიერები სუსტებს „კლავენ“, როგორც ბრალდება ჟღერს ხოლმე. ის უბრალოდ გულისხმობს, რომ ძლიერები სუსტებზე წარმატებით მოახერხებენ გამრავლებას. შესაბამისად, ყველაზე „ნიჭიერები“ საკუთარ თავს შთამომავლობით უკვდავყოფენ და სახეობაც განვითარდება.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ბუნებრივი გადარჩევის კანონი თანამედროვე ცივილიზაციას აღარ მიესადაგება. კრიტიკოსები თირკმელების ჩამნაცვლებელ ხელოვნურ მანქანებზე, გულის ოპერაციებზე და სხვა სამეცნიერო თუ სამედიცინო მიღწევებზე მიუთითებენ და თანამედროვე მეცნიერების მიერ დარვინის „ბუნებრივი გადარჩევის“ კანონის გაუფასურებას ამტკიცებენ.

¹ ათცენტნიანი მარში – აშშ-ში 1938 წელს დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანი დედების და ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. – *რედაქტორის შენიშვნა.*

არგუმენტად კი ის ადამიანები მოჰყავთ, რომელთა დაავადებები და გენეტიკური პრობლემები წარსულში ნაადრევ სიკვდილს გამოიწვევდა და რომლებიც დღეს წარმატებით ახერხებენ ცხოვრებას გამრავლებისთვის.

თუმცა ეს დარვინის ბუნებრივი გადარჩევის კანონის გაუფასურებას არ ამტკიცებს. თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს დარვინის კანონი არ „გაუუქმებიათ“, უბრალოდ, მისი მოქმედების კონკრეტული შემთხვევები შეცვალეს.

წარსულში ადამიანის გადარჩენისთვის ხელისშემშლელი მახასიათებლები, შესაძლოა, დეფექტური გული ან სუსტი თირკმელები ყოფილიყო. თუმცა თანამედროვე სამედიცინო მიღწევების გამო, მსგავსი პრობლემები უფრო და უფრო უმნიშვნელო ხდება ბუნებრივი გადარჩევისთვის. ამის ნაცვლად, სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდება გადაჭედულ პლანეტაზე ცხოვრების უნარი. გადარჩენისთვის ხელისშემშლელი თვისებები შეიძლება გახდეს კვამლისადმი ალერგია, კამათისადმი მიდრეკილება ან აგრესიულობა. მსგავსი თვისებები პიროვნების ზრდასრულობამდე გადარჩენისა და მის მიერ ისეთი გარემოებების (ქორწინება, სამსახური) შენარჩუნების შანსებს შეამცირებს, რომლებიც გამრავლებას უწყობს ხელს. შესაბამისად, თუ დარვინის კანონებს საკუთარ ფარგლებში მუშაობის უფლება მიეცემათ, მსგავსი უარყოფითი თვისებები თანდათან გაქრება. მაგრამ ქველმოქმედების გამო, ეს საზიანო თვისებები შემდეგ თაობას გადაეცემა.

ასეთი ქველმოქმედება ცალსახად საზიანოა, თუმცა თუ ის კერძოა, მისი მასშტაბი დარვინისეული კანონის იმ ტიპით იზღუდება, რომელიც მხოლოდ გამცემებს ეხება: ისინი მათ მიერვე მიყენებული ზიანის წილს იზიარებენ. შესაბამისად, მათ თითქოსდა ადამ სმითის „უჩინარი ხელი“ აიძულებს, რომ საკუთარი ხელგაშლილობა შეამცირონ. მაგალითად, თუ მშობლის ქველმოქმედება „შვილის გაზულუქებისა და დაუსჯელობის“ ფორმას მიიღებს, ამ ქველმოქმედების საზიანო შედეგების ნაწილი მშობლებსაც მოუბრუნდებათ. ტუტუცი ბავშვისთვის დამხმარეს როლში ყოფნას ხშირად საკუთარ თავზე გაბრაზება მოჰყვება ხოლმე (60-იან წლებში „ჰიპი“ შვილების ცხოვრების წესის მხარდამჭერმა ბევრმა მშობელმა შვილების მხარდაჭერა მაშინ შეწყვიტა, როდესაც თავის თავზე ივნინა „გაზულუქების“

საზიანო შედეგები.) პირად ქველმოქმედებას თავისი ბუნებრივი ფარგლებიც გააჩნია, რადგან ნებისმიერი კერძო ქონება სასრულია. საზოგადოებრივი ქველმოქმედების შემთხვევა კი ავისმომასწავებლად განსხვავებულია.

საზოგადოებრივ ქველმოქმედებაში, ფაქტობრივად არცერთი ბუნებრივი ბარიერი არ არსებობს. მართლაც, საზოგადოებრივი ქველმოქმედება იშვიათად თუ მცირდება საკუთარი საზიანო შედეგების გამო. სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ქონება მხოლოდ გადასახადების აკრეფის სურვილით და მოქალაქეებზე ამ გადასახადების დაკისრების უნარიტაა შეზღუდული.

ამის ნათელი მაგალითი 1950-იანი და 1960-იანი წლების ამერიკული საგარეო დახმარების პროგრამებია. შეერთებული შტატების მთავრობა ამერიკელ ფერმერებს ნაწარმოებ პროდუქტებში საბაზრო ღირებულებაზე მეტს უხდიდა და ამით პროდუქციის უზარმაზარი სიჭარბე შეიქმნა. ამ სიტუაციის გამოსწორებისთვისაც უფრო მეტი ფულის გამოყოფა გახდა საჭირო. შემდეგ ამ პროდუქტების დიდი რაოდენობა ინდოეთსა და სხვა მსგავს ქვეყნებში გაიგზავნა დახმარების სახით, სადაც ამ სუბსიდირებულმა იმპორტმა შიდა სამეურნეო ინდუსტრია, ფაქტობრივად, გაანადგურა.

სამთავრობო „ქველმოქმედების“ სხვა საზიანო შედეგები სოციალური მეცნიერების მიერ დეტალურადაა აღწერილი. **გ. უილიამს დომჰოფი** თავის წიგნში „მაღალი წრეები“¹ გვიჩვენებს, რომ „საქველმოქმედო“ ინსტიტუტები, მაგალითად, მუშათა კომპენსაციის, შრომის კოლექტიური შევაჭრების, უმუშევრობის დაზღვევისა და სოციალური დახმარების პროგრამები – საყოველთაო წარმოდგენისგან განსხვავებით – არა ღარიბთა დამცველების, არამედ მდიდრების მიერ შეიქმნა. ეს პროგრამები საკუთარი კლასის ინტერესებს ემსახურება. ამ სამთავრობო-კორპორაციული საქველმოქმედო სისტემის მიზანი მდიდრების ქონების ღარიბებისთვის გადანაწილება კი არა, არამედ ღარიბთა შორის პოტენციურ ლიდერთა მოსყიდვა და მათი მმართველი კლასის ჰეგემონიაში ჩათრევა იყო. ამ პროცესის პარალელურად კი ინტელექტუალური კლასი გულუბრყვილო საზოგადოებას არწმუნებდა, რომ სახელმწიფოს მიერ გაწეული ქველმოქმედება მათ სასარგებლოდ მუშაობდა.

¹ G. William Domhoff, *The Higher Circles* (New York: Random House, 1970.)

პიენი და კლოვარდი ნაშრომში „ღარიბთა რეგულირება“¹ ასევე აღნიშნავენ, რომ „ქველმოქმედი“ სოციალური დახმარების ინსტიტუტები, ძირითადად, ღარიბთა დახმარებას კი არა, მათ შეკავებას ემსახურება. მათი *modus operandi* ასეთია: სოციალური დახმარება, არა დიდი გასაჭირის, არამედ საზოგადოებრივი აღზევების დროს უნდა გაიზარდოს, ხოლო შემცირებით, არა საყოველთაო აღზევების, არამედ საყოველთაო გასაჭირის დროს უნდა შემცირდეს. შესაბამისად, სოციალური დახმარების სისტემა მასების მოსათვინიერებელი ერთგვარი „მათრახისა და თაფლაკვერის“ მეთოდია.

ფილოსოფია ქველმოქმედების მიღმა

ამ პრობლემების მიუხედავად, არსებობს ხალხი, ვინც ქველმოქმედებას კათარზისულ მდგომარეობად აღიქვამს, ხოლო შენიშვას – მორალურ მოვალეობად. ასეთი ადამიანების ნება რომ ყოფილიყო, ქველმოქმედებას სავალდებულოდ გახდიდნენ. თუმცა თუ სავალდებულო გახდა, ქველმოქმედებაც აღარ ერქმევა, ვინაიდან ქველმოქმედება ნებაყოფლობით გაღებას ნიშნავს. თუ ინდივიდი იძულებულია, რომ შესწიროს, მაშინ ქველმოქმედი კი არა, ძარცვის მსხვერპლია.

ისინი, ვისაც ლოგიკისა და ლინგვისტიკის კანონების მიუხედავად, სურს, რომ ქველმოქმედება სავალდებულო იყოს, ამ ქმედების საფუძველს უილბლოებისთვის დახმარების საყოველთაო მოვალეობაში, პასუხისმგებლობასა და მორალურობის დოქტრინაში ხედავენ. ეს დამოკიდებულება „ჩვენ ყველანი ჩვენი ძმების მარჩენლები ვართ“ წარმოდგენას ეფუძნება.

თუმცა ეს ფილოსოფია მორალის ძირითად დებულებას ეწინააღმდეგება. საკუთრივ იმას, რომ ქმედების მორალურად მისაჩნევად, მინიმუმ, შესაძლებელი მაინც უნდა იყოს მორალური ქმედების ჩადენა. თუ ორ განსხვავებულ გეოგრაფიულ ადგილას ერთსა და იმავე დროს ორ ადამიანს ესაჭიროება ჯონის დახმარება, ორივე მათგანის დახმარება ჯონისთვის შეუძლებელი იქნება. თუ ჯონს ორივე გაჭირვებულის დახმარება არ შეუძლია და თუ „მარჩენალი ძმების“ მორალი

¹ Frances F. Piven and Richard A. Cloward, *Regulating the Poor* (New York: Random House, 1971).

ორივეს დახმარებას მოითხოვს, მაშინ ჯონი, რაც არ უნდა კარგი ზრახვები ამოძრავებდეს, ცხადია, მორალურად ვერ მოიქცევა. და ეთიკის ნებისმიერი თეორია მცდარია, თუკი მის თანახმად, კეთილი ზრახვების მქონე პიროვნება მორალურად ვერ ჩაითვლება.

„მარჩენალი ძმების“ მორალური ხედვის მეორე მთავარი ნაკლი – იმის მიუხედავად, ამ აზრის მხარდამჭერები დაგვეთანხმებიან თუ არა – ისაა, რომ ეს ხედვა ლოგიკურად მოითხოვს შემოსავლის აბსოლუტურ თანასწორობას. დაიმახსოვრეთ, მორალი გვიქადაგებს, რომ ნაკლების მქონეთათვის გაზიარება მეტის მქონეთა მორალური მოვალეობაა. ადამი, რომელსაც 100\$ აქვს, რიჩარდს, რომელიც მხოლოდ 5\$-ის პატრონია, 10\$-ს აძლევს. ახლა ადამს 90\$ აქვს, ხოლო რიჩარდს – 15\$. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამი გაზიარების ფილოსოფიის მიხედვით მოიქცა. თუმცა ფილოსოფია გვეუბნება, რომ ნაკლებად შეძლებულთა დახმარება ყველას მოვალეობაა, ხოლო ადამს მაინც რიჩარდზე მეტი აქვს. თუ ადამს „მარჩენალი ძმების“ მორალური ხედვის მიხედვით სურს მოქცევა, რიჩარდს კიდევ უნდა მისცეს ფული. ეს იქამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ ადამს და რიჩარდს ფული თანაბარი რაოდენობით არ ექნებათ.

„მარჩენალი ძმების“ ფილოსოფიის აუცილებელი შედეგი – შემოსავალთა აბსოლუტური თანასწორობის დოქტრინა – გამო-რიცხავს, რომ ვინმე უფრო მეტად გამდიდრდეს, ვიდრე საზო-გადოების ყველაზე გაჭირვებული ადამიანი. შესაბამისად, „მარ-ჩენალი ძმების“ ფილოსოფია პიროვნების მიერ საკუთარი ყოფის გაუმჯობესების ბუნებრივ ამბიციასთან პირდაპირ და შეუგუებელ წინააღმდეგობაშია. ამ ფილოსოფიის მორწმუნენი, ურთიერთსაწ-ინააღმდეგო შეხედულებების გამო გაუგებრობაში ვარდებიან და შედეგად საკმაოდ ბუნებრივ ფარისევლობას ვიღებთ. სხვანაირად როგორ უნდა აღწერო ადამიანები, რომლებიც „მარჩენალი ძმების“ ფილოსოფიის მიმდევრობას იბრალებენ, მაგრამ მაინც სავსე მაცი-ვარი, ტელევიზორი, მაგნიტოფონი, მანქანა, სამკაული და უძრავი ქონება აქვთ მაშინ, როდესაც დედამიწის ბევრ წერტილში ხალხი ისევ შიმშილობს? ისინი თანასწორობისადმი საკუთარ ერთგულებას დოგმატურად მისდევენ, თუმცა იმას კი არ აღიარებენ, რომ მათი უხვი სიმდიდრე ამ ერთგულების საწინააღმდეგოა.

ერთ-ერთი შემოთავაზებული განმარტების თანახმად, იმისთ-

ვის, რომ „მარჩენალ ძმებს“ ღარიბების დახმარების თავი ჰქონდეთ, ქონების და კეთილდღეობის გარკვეული დონე სჭირდებათ, რათა სამსახურები არ დაკარგონ, ფული გამოიმუშაონ და შემდეგ დაეხმარონ გაჭირვებულებს. ცხადია, რომ „მარჩენალმა ძმამ“ ძმის „რჩენის“ უნარი უნდა შეინარჩუნოს. „მარჩენალი ძმების“ ფილოსოფია მიმდევრების შიმშილით სიკვდილს არ მოითხოვს.


გამოდის, მდიდარ „მარჩენალ ძმას“ ისეთ მდგომარეობაში ჩაუგდია თავი, როგორშიც „ჭკვიანი ბატონის“ მონა იქნებოდა. თუ ასეთ ბატონს სურს მისი მონა პროდუქტიული იყოს, მინიმალურ კომფორტს შეუქმნის და მის ჯანმრთელობაზეც იზრუნებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეძლებულმა „მარჩენალმა ძმამ“ ჩაგრულთა დახმარების გულისთვის საკუთარივე თავი დაიმონა. მხოლოდ იმდენი ქონება დააგროვა, რამდენიც ესაჭიროება საკუთარი ძმის საუკეთესოდ რჩენისათვის. მისი ქონება და ცხოვრების სტანდარტი ზუსტად იმდენივეა, რამდენსაც ჭკვიანი და მოგებაზე ორიენტირებული ბატონი გაიღებდა საკუთარი მონისათვის. ამ მსჯელობის მიხედვით, „მარჩენალი ძმა“ თავისი საკუთრებით სიამოვნებას მხოლოდ გარკვეულ დონემდე იღებს და მხოლოდ იმ მიზნით ფლობს, რომ ნაკლებად შეძლებულთა დახმარების უნარი შეინარჩუნოს ან/და გაზარდოს.

როდესაც მანსარდაში მცხოვრები „მარჩენალი ძმა“ საკუთარი ქონების სიუხვეს ასე ხსნის, აღარც კი დაეჯერება. იმ შემთხვევაში რა ხდება, როდესაც ნიუ-იორკის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები რიგითი საჯარო მოხელე – ნელინადში 17,000\$-იანი შემოსავლით – საკუთარ თავს „მარჩენალი ძმების“ მორალის მიმდევრად ასაღებს? სერიოზულად ვერც კი ვიტყვით, რომ მის მიერ დაგროვებული ქონება მისი პროდუქტიულობისთვისაა აუცილებელი – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი საკუთრება, გაყიდვის შემთხვევაში, ღარიბებს მნიშვნელოვნად წაადგებოდა.

მაღლიანი საქმიანობისგან საკმაოდ შორს მყოფ ქველმოქმედებას შეიძლება საზიანო შედეგები ჰქონდეს. მეტიც, ქველმოქმედების მორალური თეორიის საფუძველი სავსეა წინააღმდეგობებით და საკუთარ მიმდევრებს ფარისევლებად აქცევს.

ნაწილი მეექვსე

ბიზნესი და
ვაჭრობა



19.

ბუზლუნა, წუნურაქი მოხუცი

წარმოიდგინეთ, რამდენ პრობლემას აწყდება უძრავი ქონების ფირმის თანამშრომელი, რომელიც ქალაქის დაფხავებული კვარტლის ჩანაცვლებას ბალებით, საცურაო აუზებით, აივნებითა და სხვა კომფორტული აღჭურვილობებით სავსე თანამედროვე საცხოვრებელი კომპლექსით ცდილობს. უამრავ პრობლემას წააწყდება, რომელთა უმეტესობა მთავრობის მიერაა მოგონილი (რაიონული კანონები, სალიცენზიო მოთხოვნები, არქიტექტურული გეგმების დასამტკიცებელი ქრთამი). დღესდღეობით, მსგავსი სულელური პრობლემები ფართოდაა გავრცელებული. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ყველაზე დიდ პრობლემას ამ კვარტლის ყველაზე დაჩაჩანაკებული სახლის მფლობელი და მაცხოვრებელი მოხუცი წარმოადგენს ხოლმე. ეს წუნურაქი საკუთარი შენობით ძალიანაც კმაყოფილია და ბინის გაყიდვაზე უარს აცხადებს. სამშენებლო კომპანია მას

ფულის ასტრონომიულ ოდენობას სთავაზობს, თუმცა მეპატრონე მტკიცე უარზეა.

ნუნურაქი – შეგვიძლია, პატარა მოხუცი ქალბატონი ან ბოროტი ბებერი კაცი წარმოვიდგინოთ – უკვე წლებია საკუთარ „მამულს“ გზატკეცილის მშენებლების, რკინიგზის მაგნატების, წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების, დამბებისა და სარწყავი საკონტროლო პროექტებისგან იცავს. მართლაც, ბევრი დასავლური ფილმის სიუჟეტი სწორედ ამ კონფლიქტზე გვიამბობს. სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების იძულებით გასხვისების – ექსპროპრიაციის კანონის შემოღების მთავარი „მიზეზები“ სწორედ ნუნურაქი და მისი სულიერი ძმები იყვნენ. ბუზღუნა ჯიუტი მოხუცი, – პროგრესისკენ მიმავალ გზაზე მდგარი ურყევი ბარიერი, – ეკონომიკის გზაჯვარედინზე ისე მყარად დგას, თითქოს ფესვები გაუდგამსო, ხოლო მის ცხოვრებასეულ დევიზს მკვეთრი და ხრინწიანი „არა!“ წარმოადგენს.

მსგავსი შემთხვევები ხშირია და ზოგიერთის აზრით გვიჩვენებს, თუ როგორ უშლის ხელს ნუნურაქი პროგრესსა და უმრავლესობის კეთილდღეობას. თუმცა ეს პოპულარული შეხედულება მცდარია. განვითარების გზაზე ბარიერად წარმოჩენილი ნუნურაქი, რეალურად, განვითარების ერთ-ერთ ყველაზე დიდ იმედს – კერძო საკუთრების უფლების ინსტიტუტს წარმოადგენს და ამ ახირებულ მოხუცზე განხორციელებული თითოეული იერიში, სინამდვილეში, კერძო საკუთრების უფლებაზე განხორციელებული შენიღბული იერიშია.

თუ კერძო საკუთრება რაიმეს ნიშნავს, პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ მესაკუთრეს საკუთარი ქონების განკარგვის შესახებ გადანყვეტილებების მიღების უფლება აქვს იქამდე, სანამ ეს განკარგვა სხვა მესაკუთრეებს და მათ მიერ საკუთარი ქონების გამოყენების უფლებას არ შეუშლის ხელს. სახელმწიფოს მიერ საკუთრების იძულებითი გასხვისება – შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო მესაკუთრეს აიძულებს თავის საკუთრებაზე უფლებები დათმოს იმიტომ, რომ კონკრეტულ გადანყვეტილებას ნებაყოფლობით არ იღებს – კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვაა.

კერძო საკუთრების მხარდამჭერი ორი ძირითადი არგუმენტი არსებობს: მორალური და პრაქტიკული. მორალური არგუმენტის თანახმად, თითოეული ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისა და თავისი შრომის ნაყოფის აბსოლუტური მფლობელია.

საკუთარი თავისა და საკუთარი შრომის შედეგების ფლობის საფუძველი „საკუთრების შრომითი თეორია“¹ ან პირველმოსახლეობის² პრინციპია. თითოეული ადამიანი საკუთარი თავის ბუნებრივი მფლობელი იმიტომაცა, რომ ბუნების კანონების გამო, მის ქმედებებს მისივე ნება აკონტროლებს. „საკუთრების შრომითი თეორიის“ თანახმად, რადგან თითოეული ადამიანი საკუთარ პიროვნებას ფლობს, მის მიერ ნაწარმოები საგნების მფლობელიც თავადაა – ანუ, ბუნების იმ ნაწილების მფლობელი, რომლებსაც აქამდე არავინ ფლობდა და პროდუქტიულ ერთეულებად მისი შრომის შედეგად გარდაიქმნა. ამ პროდუქტიული ერთეულების მფლობელის ცვლილება მორალური მხოლოდ მაშინაა, თუ ნებაყოფლობითი გაცვლის ან ნებაყოფლობითი ჩუქების გზით ხდება. ეს გზები თავდაპირველი მფლობელის მიერ საკუთრების მართვის ბუნებრივი უფლების თანმიმდევრულია, ვინაიდან, საკუთრების უფლების ამ მეთოდებით გადაცემა მფლობელის ნებას არ ეწინააღმდეგება.

დავუშვათ, ჩვენი წუნწურაქის ამჟამინდელი საკუთრება ოდესღაც პირველმოსახლეობის ან „საკუთრების შრომითი თეორიის“ თანახმადაა მოპოვებული. თუ ასეა, თავდაპირველი მესაკუთრეც არსებობდა და ეს მიწა შემდეგ ხელიდან ხელში გადავიდა, ნებაყოფლობითი გაყიდვის თუ ჩუქების გზით. საბოლოოდ, ნებაყოფლობითი გაცვლა-გამოცვლის ურღვევი ჯაჭვის შედეგად, მიწა წუნწურაქის ხელში აღმოჩნდა და ვინაიდან ყველაფერი „საკუთრების შრომით თეორიასთან“ თანხმობაშია, ამ ჩვენს ბუზღუნა მოხუცს მესაკუთრის ტიტული სამართლიანად აქვს მოპოვებული.

მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ საკუთრების უფლებაში ჩარევის ნებისმიერი მცდელობა „საკუთრების შრომით თეორიას“ ლახავს და, შესაბამისად, ამორალურია. ეს არის აგრესია უდანაშაულო მხარის მიმართ. (ადრე თუ გვიან, მოპარული მიწის საკითხიც წამოიწევა. რეალურად, დედამიწის ზედაპირის უმეტესი ნაწილი თავის დროზე ვილაცისგანაა მოპარული. ასეთ შემთხვევებში, თუ არსებობს მტკიცებულება, რომ (1) მიწა მოპარულია და (2) სხვა კანონიერი

¹ საკუთრების შრომითი თეორია - საკუთრების წარმოშობის ჯონ ლოკისეული თეორია, რომლის მიხედვით საკუთრება „არავის საკუთრების“ მიმართ შრომის გამოყენებით იქმნება. – *რედაქტორის შენიშვნა*.

² პირველმოსახლეობა - არავის საკუთრება კერძო საკუთრებად გადაიქცევა, როდესაც ადამიანი მას შემოლობავს და დაამუშავებს. – *რედაქტორის შენიშვნა*.

მესაკუთრე ან მემკვიდრე არსებობს, ამ პიროვნების საკუთრების უფლებას უნდა ეცეს პატივი. ყველა სხვა შემთხვევაში, კანონიერ მფლობელად არსებული მფლობელი უნდა განვიხილოთ. თუ მესაკუთრე პირველმოსახლეა ან თუ მესაკუთრეობის სხვა კანონიერი კანდიდატი არ იძებნება, დე ფაქტო მესაკუთრეობა მისაღებია.)

ამას ბევრი ალიარებს კიდეც, როდესაც საქმე ნუნურაქის საკუთრებისა და კერძო ბიზნესის ინტერესების კონფლიქტს ეხება. ცხად-ზე ცხადია, რომ ერთ კერძო ინტერესს სხვა კერძო ინტერესებზე უპირატესობა არ გააჩნია. თუმცა როდესაც თამაშში სახელმწიფოც ერთვება – მაგალითად, როგორც სახელმწიფოს მიერ საკუთრების გასხვისების კანონის, ექსპროპრიაციის შემთხვევაშია – სიტუაცია თითქოს იცვლება. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო ყველა მოქალაქეს წარმოადგენს და რომ ჩვენი ბუზლუნა ბებერი, თავისი სიჯიუტით, განვითარების მონიხალმდეგეთა რიგებშია. თუმცა ხშირ შემთხვევაში – თუ ყველაში არა – სახელმწიფოს მიერ საკუთრების ექსპროპრიაცია სხვათა კერძო ინტერესებს ემსახურება ხოლმე. მაგალითად, გადასახლების ბევრი ურბანული პროგრამა კერძო უნივერსიტეტებისა და საავადმყოფოების სახეიროდ მუშაობს. სახელმწიფოს მიერ საკუთრების ექსპროპრიაციის კანონით კერძო საკუთრების ხელყოფის უმეტესი შემთხვევები კონკრეტული ინტერესების ლობისტებისა და სხვა ზემოქმედების ჯგუფების მიერაა ორკესტრირებული. იმ მიწის იძულებით გასხვისება, რომელზეც ნიუ-იორკში ლინკოლნის სახელობის სასცენო ხელოვნების ცენტრი აშენდა, სწორედ ამის ნათელი მაგალითია. მიწის ეს ნაკვეთი მფლობელებს „მაღალი კულტურისთვის გზის გასაკვალად“ ჩამოართვეს. ხალხი აიძულეს, საკუთარი მიწა სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ ფასად გაეყიდათ. ხოლო თუ გასურთ გაარკვიოთ კონკრეტულად ვის კულტურას ემსახურება ეს დაწესებულება, ლინკოლნ ცენტრის მუდმივ სტუმართა სიას გადახედეთ. ამ სიაში მმართველი კლასის „მთლად ნაღებ საზოგადოებას“ ნახავთ.

კერძო საკუთრების უფლების სასარგებლო არგუმენტთა მეორე, პრაქტიკულ სიაში გამორჩეულ ადგილს იკავებს მართვის კონცეფციაზე დამყარებული არგუმენტი. მიჩნეულია, რომ კერძო მართვის პირობებში საკუთრება „საუკეთესო“ შესაძლო ზრუნვას იღებს.

არ აქვს მნიშვნელობა, თუ კონკრეტულად ვინ აკონტროლებს ამ საკუთრებას. მნიშვნელოვანია, რომ ყველა საკუთრება კერძო მფლობელობაში იყოს, რომ საკუთრებები სრული სიზუსტით გაიმიჯნოს და რომ საკუთრების იძულებითი ან არანებაყოფლობითი გადაცემა აღიკვეთოს. თუ ეს პირობები დაცულია და ჩაურევლობის პოლიტიკის ბაზარი შენარჩუნებულია, საკუთარი ქონების „უუნარო მმართველები“ პოტენციურ სარგებელს დაკარგავენ, ხოლო საკუთარი ქონების „ნიჭიერი მმართველები“ იხეირებენ კიდევც. შესაბამისად, „ნიჭიერი მმართველები“ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტზე გახდებიან პასუხისმგებელნი, რადგან საკუთარი შემოსავლებით დამატებითი საკუთრების შეძენა შეეძლებათ, ხოლო „უუნარო მმართველებს“ უფრო და უფრო ცოტა საკუთრება დარჩებათ. შესაბამისად, საკუთრების მართვისა და მოვლის ზოგადი დონე ნელ-ნელა გაიზრდება. მართვის სისტემა, „ნიჭიერი მმართველების“ დაჯილდოებითა და „უუნარო მმართველების“ დასჯით, მართვის საშუალო ხარისხს ზრდის. ეს ავტომატურად ხდება, პოლიტიკური ხმების, პოლიტიკური ლაშქრობების, აურზაურისა და ზარ-ზეიმის გარეშე.

რა ხდება მაშინ, როდესაც სესხებისა და სუბსიდიების გზით სახელმწიფო „უუნარო მმართველების“ წარუმატებელ ბიზნესებს უმაგრებს ზურგს? კერძო მართვის სისტემა ეფექტიანობას დაკარგავს, თუ მთლიანად არ ჩამოიშლება. ცუდი მართვის შედეგად მიღებულ წარუმატებელ ბიზნესებს სახელმწიფო სუბსიდიებით იცავს ხოლმე. ასეთ სამთავრობო ჩარევებს მრავალი სახე აქვს: ლიცენზიების, პრივილეგიების ან სხვა მონოპოლიური უპირატესობების მიცემა კონკრეტული ინდივიდის ან ჯგუფისთვის; უფრო ეფექტური უცხოელი მმართველებისგან წარუმატებელი ადგილობრივი მმართველების დაცვის მიზნით ტარიფებისა და კვოტების დანესება; საზოგადოების თავდაპირველი სამომხმარებლო სურვილების გამძრუდებელი სამთავრობო კონტრაქტების დადება.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ჩარევა ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს – საკუთრების არაეფექტურ მმართველსა და ამ მმართველის დაფინანსებაზე უარის მთქმელ საზოგადოებას შორის სახელმწიფოს აკეხებს.

რა მოხდებოდა მთავრობას სანინალმდეგო გზით რომ ევლო? რა მოხდება, თუ სახელმწიფო ეფექტური მენეჯერების მიერ უფრო მეტი

და მეტი ქონების შეძენის პროცესს დააჩქარებს? თუკი თავისუფალ ბაზარში კარგი მენეჯერის ნიშანი წარმატებაა, რატომ არ შეუძლია მთავრობას უბრალოდ გააანალიზოს ქონებისა და საკუთრების არსებული გადანაწილება, დაადგინოს წარმატებული და წარუმატებელი მოთამაშეები და შემდეგ ღარიბთა ქონება მდიდრებს გადასცეს? პასუხი ისაა, რომ საბაზრო სისტემა ავტომატურად მუშაობს და ყოველდღიურად ერგება გარემოს იმისთვის, რათა საკუთრების განსხვავებული მმართველების კომპეტენტურობას მყისიერად უპასუხოს. მთავრობის მცდელობა, რომ ეს პროცესი ღარიბთა ფული-სა და ქონების მდიდართათვის გადაცემის გზით დააჩქაროს, მხოლოდ მმართველების წარსულ ქცევას შეიძლება ეფუძნებოდეს. თუმცა არ არსებობს გარანტია, რომ მომავალი ისეთივე იქნება, როგორიც წარსული იყო და რომ წარსულში წარმატებული მენარმეები მომავალშიც წარმატებულნი იქნებიან! ასევე, შეუძლებელია იმის ცოდნაც, თუ რომელ ახლანდელ ღარიბს აქვს იმის შინაგანი უნარი, რომ თავისუფალ ბაზარზე წარმატებას მიაღწიოს. სამთავრობო პროგრამები წარსულ გამოცდილებებზე დაყრდნობით რომ განხორციელდეს, შემთხვევითი და არსებითად არაბუნებრივი იქნება.

წუნურაქი წარუმატებლობის პროტოტიპია – ღარიბი პიროვნება, რომელიც ნებისმიერი სტანდარტით საკუთრების ცუდი მმართველია, შესაბამისად, ის საბაზრო პროცესის დასაჩქარებელი სამთავრობო გეგმის მთავარი სამიზნეა. გეგმის, რომლითაც კარგი მენეჯერები უფრო მეტ ქონებას შეიძენენ, ხოლო ცუდები არსებულ ქონებასაც დაკარგავენ. თუმცა როგორც უკვე ვნახეთ, ეს გეგმა მარცხისათვისაა განწირული.

კერძო საკუთრების დამცველ მეორე პრაქტიკულ არგუმენტს შეგვიძლია პრაქსეოლოგიური¹ არგუმენტი დავარქვათ. ეს ხედვა ფოკუსირდება შეკითხვაზე, თუ ვინ უნდა შეაფასოს ტრანზაქციები. ამ არგუმენტის თანახმად, ნებაყოფლობითი ვაჭრობის ერთადერთი სამეცნიერო შეფასება ყველა მხარის მიერ მისაღები მოსალოდნელი სარგებლის შეფასებაა. ანუ ვაჭრობის დროს ორივე მხარე შენაძენს უფრო მეტად უნდა აფასებდეს, ვიდრე იმას, რასაც სანაცვლოდ თმობს. ვაჭრობის დროს თითოეული მათგანი იმაზე მეტს რომ არ

¹ პრაქსეოლოგია – მეცნიერება ადამიანის არჩევანისა და ქმედებების შესახებ. – რედაქტორის შენიშვნა.

იღებდეს, ვიდრე გასცემს, ეს მხარეები ნებაყოფლობით არც ივაჭრებდნენ. შესაბამისად, მოლოდინების შეფასების მხრივ ვაჭრობაში შეცდომა ვერ მოხდება. თუმცა შეცდომები შეიძლება პოსტ ფაქტუმ შეფასებით მოხდეს – ვაჭრობის დასრულების შემდეგ შეიძლება საკუთარი შეფასებები შეეცვალოთ. თუმცა შემთხვევათა უმეტესობაში, ვაჭრობა ორივე მხარის სურვილებს ასახავს.

კი მაგრამ, „უუნარო მმართველების“ ხელიდან „ნიჭიერი მმართველების“ ხელში ქონების გადასვლის ბუნებრივი პროცესისა და პროგრესის დამაბრკოლებლად შერაცხილ ახირებულ ბებერთან ეს რა შუაშია? პრაქსეოლოგთა აზრით, კითხვაზე „უნდა ვაიძულოთ თუ არა წუნურაქს, რომ საკუთარი ქონება ამავე ქონების უკეთ გამგებელს მიჰყიდოს?“ პასუხია დამაჯერებელი „არა!“. სამეცნიერო პერსპექტივით, წუნურაქის ქმედების სისწორე მხოლოდ ერთი მოვლენის დახმარებით შეგვიძლია შევაფასოთ, და ეს მოვლენა ნებაყოფლობითი ვაჭრობაა. ნებაყოფლობითი ვაჭრობა, მხოლოდ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ის შედგა, კარგია. წუნურაქის მიერ ვაჭრობაზე უარის თქმის უარყოფითად შეფასება შეუძლებელია. მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ წუნურაქი მის საკუთრებას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე სამშენებლო კომპანიას შეუძლია ან თანახმაა რომ გადაიხადოს. ვინაიდან, კეთილდღეობისა თუ მიზნობრიობის შედარებას სამეცნიერო საფუძველი არ გააჩნია და მკაცრად ინდივიდუალურია (არ არსებობს ერთეული, რომლითაც ასეთი რაღაცები ფასდება, განსხვავებული ადამიანების შეფასებების ერთმანეთთან შედარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), არ არსებობს კანონიერი საფუძველი იმის სათქმელად, რომ წუნურაქის უარი საკუთარი ქონების გაყიდვის შესახებ საზიანო ან პრობლემატურია. მართალია, წუნურაქის არჩევანი უძრავი ქონების დეველოპერთა მიზნებს ხელს უშლის, თუმცა უძრავი ქონების დეველოპერთა მიზნებიც ზუსტად ასევე უშლის ხელს ბებერი ბუზლუნას მიზნებს. ცხადია, ახირებული მოხუცი ვალდებული არაა სხვისი სურვილების დასაკმაყოფილებლად საკუთარ სურვილებზე თქვას უარი. ამის მიუხედავად, მას სრულიად უსამართლოდ კიცხავენ და აკრიტიკებენ მაშინ, როცა ის უზარმაზარი საზოგადოებრივი წნეხის პირობებშიც კი გამბედავად და პატიოსნად იქცევა. ეს უნდა დასრულდეს.



20.

ბარაკების გამქირავებელი

ბარაკების გამქირავებელი – ასევე ცნობილი, როგორც „გეტოს ლენდლორდი“ და „მდგმურების გამტყავებელი“ – ბევრისთვის იმის მტკიცებულებაა, რომ ეშმაკეულის ტიტულის მოპოვება ადამიანს სიცოცხლეშივე შეუძლია. ავი წყევლების ღირსი, ნემსებით გატენილი ვუდუს სათამაშოების ინსპირაცია და ლატაკ მდგმურთა მჩაგვრელად აღქმული ბარაკების გამქირავებელი დღევანდელობის მართლაც ერთ-ერთი ყველაზე საძულველი ფიგურაა. მის მიმართ ბრალდება მრავალშრიანია: მისი ქირა უნამუსოდ მაღალია; საკუთარ შენობებს იმდენად არ უვლის, რომ გამოუსწორებელ მდგომარეობამდე მიჰყავს; მის გაქირავებულ ბინებში კედლები ჩვილების მომწამვლელი, იაფი, ტყვიის შემცველი საღებავითაა შეღებილი, ხოლო ნარკომანებს, მოძალადეებსა და ლოთებს საკუთარი მდგმურების შეწუხების უფლებას აძლევს. ჩამოცვენილი ბათქაში, გადავსებული

სანაგვეები, ტარაკნების ბატონობა, გახეთქილი მიწები, ჩატეხილი სახურავები და ფანჯრები ბარაკების გამქირავებლის სამფლობელოს განუყოფელი ნაწილებია, ხოლო ერთადერთი არსებები, რომლებიც ამ პირობებში თავს ბედნიერად გრძნობენ, ვირთხებია.

ეს ბრალდება, მისი სიმძიმის მიუხედავად, ყალბია. გეტოს ჯურ-ღმულების მფლობელი არაფრით განსხვავდება იაფფასიანი პროდუქციის მწარმოებელი სხვა მენარმეებისგან. სინამდვილეში, დიდად არც ნებისმიერი სახის მენარმისგან განსხვავდება. თითოეული მათგანი შეძლებისდაგვარად მაღალ ფასებს ანესებს.

დასაწყისისთვის, იაფი, უხარისხო და მეორადი საქონლის მომწოდებლები ერთ ჯგუფად წარმოვიდგინოთ. მათ ნავაჭრ საქონელს ის აერთიანებს, რომ ისინი გულგრილად ნაკეთებია, ცუდი ხარისხისაა ან ნახმარია. გონიერ ადამიანს არ ექნება მოლოდინი, რომ მოცემულ ფასად მაღალი ხარისხის, საუცხოოდ ხელნაკეთ ან ახალ საქონელს შეიძენს; ის არ გაბრაზდება და არ იგრძნობს თავს მოყუებულიად, თუ ასე იაფად ნაყიდ საქონელს ფასის შესაფერისი ხარისხი ექნება. მარგარინისგან იმავს არ ველით, რასაც კარაქისგან. ჩვენ ვკმაყოფილებით ნახმარი მანქანის დაბალი ხარისხით და მას ახალ მანქანას არ ვადარებთ. თუმცა როდესაც საქმე საცხოვრებელს ეხება, მითუმეტეს ურბანულ გარემოში, ხალხი რატომღაც იაფად ნაქირავები ბინისგან დაჟინებით ელოდება მაღალ ხარისხს.

იმ მტკიცებას რა ვუყოთ, რომ ჯურღმულების ბატონი საკუთარ ჩამონგრეულ სახლებს გადაჭარბებულ ფასებს ადებს? ეს მცდარი დამოკიდებულებაა. აბსოლუტურად ყველა ცდილობს საკუთარი პროდუქტის გაყიდვისას უმაღლესი შესაძლო ფასი მიიღოს, ხოლო ყიდვისას უდაბლესი შესაძლო ფასი გადაიხადოს. ბინის მეპატრონეებიც ასე იქცევიან, ისევე როგორც მუშები, უმცირესობების წარმომადგენლები, სოციალისტები, ძიძები და კოლექტიური ფერმერები. ქვრივები და პენსიონერებიც კი, რომლებიც ფულს „შავი დღისთვის“ ინახავენ, საკუთარ დაგროვებით ანაბრებზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის მიღებას ცდილობენ. თუ ბარაკების გამქირავებელს ვაიცხავთ, იგივე ლოგიკით ყველა ეს ადამიანიც უნდა გაიკიცხოს, ვინაიდან ისინიც „იყენებენ“ იმ ხალხს, რომლებსაც საკუთარ სერვისებსა და კაპიტალს აქირავებენ ან ჰყიდნიან, რადგან მაქსიმალური სარგებლის ნახვას ცდილობენ. თუმცა რა თქმა უნდა,

ისინი გასაკიცხები არ არიან – ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთარი სერვისებისა და პროდუქტების სანაცვლოდ მაქსიმალური სარგებლის მიღება სურთ. გასაკიცხი არც ჯურღმულების გამქირავებელია. „რომ არ შეისვლება, ისეთი“ სახლების გამქირავებლები მხოლოდ იმის გამო გვყავს ათვალწუნებული, რომ ადამიანის ბუნების ფუნდამენტურ სურვილს მისდევენ – სურვილის, რომ ვაჭრობიდან ან გაცვლიდან უდიდესი შესაძლო სარგებელი მიიღონ.

ბარაკების მფლობელების კრიტიკოსები მაღალი ფასების დაწესების სურვილსა (რომელიც ყველას აქვს) და შესაძლებლობას (რომელიც ყველას არ აქვს) ერთმანეთისგან კარგად ვერ ასხვავებენ. ჯურღმულების გამქირავებლებზე იმიტომ კი არ გვინევს ლაპარაკი, რომ მათ მაღალი ფასის დაწესება სურთ, არამედ იმიტომ, რომ მაღალი ფასის დაწესება შეუძლიათ. შესაბამისად, ამ პრობლემის მთავარი შეკითხვა, რომელსაც კრიტიკოსები სრულიად უგულებელყოფენ, ასეთია: „რატომ ხდება ასე?“.

ჩვეულებრივ, გადაჭარბებული ფასების დაწესებაში (რისი სურვილიც ყველას აქვს) ხალხს კონკურენცია უშლის ხოლმე ხელს. კონკურენცია მყისიერად ჩნდება, როგორც კი ნებისმიერი პროდუქტისა თუ სერვისის ფასსა და მის ზღვრულ სარგებელს შორის სხვაობა იზრდება. თუ, მაგალითად, ფრისბის¹ ფასი გაიზრდება, არსებული მწარმოებლები მეტი ფრისბის კეთებას დაიწყებენ, ინდუსტრიაში ახალი მწარმეები შევლენ, ნახმარი ფრისბები, ალბათ, მეორადი საქონლის მაღაზიებშიც გაიყიდება და ა. შ. ყველა ეს პროცესი ფასის თავდაპირველი ზრდის დაბალანსებას გამოიწვევს. თუ ბინების ქირის ფასი საცხოვრებელი ფართების მოულოდნელი დეფიციტის შედეგად გაიზრდება, თამაშში მსგავსი პროცესები ჩაერთვება. უძრავი ქონების არსებული მფლობელები და ამ ინდუსტრიაში გაზრდილი ფასების გამო მოზიდული ახალი მწარმეები ახალი საცხოვრებლების აშენებას დაიწყებენ. ძველი საცხოვრებლები გარემონტდება, დაიწყება სარდაფებისა და საკუჭნაოების გამოყენებაც. ყველა ეს პროცესი საცხოვრებლების ფასების შემცირებისა და საცხოვრებლების დეფიციტის აღმოფხვრაზე იქნება ორიენტირებული.

თუ ბინის მეპატრონეები ქირის ფასების გაზრდას იმ დროს ეცდე-

¹ ფრისბი - მფრინავი დისკი – რედაქტორის შენიშვნა.

ბიან, როდესაც საცხოვრებლების დეფიციტი არაა, მაშინ ბინების გაქირავება გაუჭირდებათ. გაქირავება კი არა, მისი ძველი თუ ახალი მდგმურებიც ეცდებიან სხვაგან გადავიდნენ, უფრო იაფ ადგილას. ბინის მეპატრონეები ქირის ფასების გაზრდაზე რომც შეთანხმდნენ, თუ ბინების დეფიციტი არაა, ამ გაზრდილ ფასს მაინც ვერ შეინარჩუნებენ. ასეთ მცდელობებს ახალი მიმწოდებლები დაუპირისპირდებიან, რომლებიც „კარტელურ გარიგებაში“ მონაწილეობას არ იღებენ და რომლებიც იაფიან ბინებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას უმაღლეს ეცდებიან – არსებულ სახლებს იყიდიან ან ახლებს ააშენებენ და გააქირავებენ. მდგმურებიც, ცხადია, „კარტელის“ გარიგებისგან თავისუფალ საცხოვრებელს მიაწყდებიან. გაძვირებულ შენობებში დარჩენილ მდგმურებს ნაკლები სივრცის გამოყენება მოუწევთ. მათთვის გამოსავალი ან თანაცხოვრება, ან უფრო პატარა ბინების ძებნაა. შედეგად, „კარტელის“ წევრებს საკუთარი შენობების სრულად გაქირავება უფრო და უფრო გაუჭირდებათ. „კარტელის“ დაშლა გარდაუვალი იქნება, ვინაიდან, მდგმურების შესანარჩუნებლად ბინის მეპატრონეებს ერთადერთი გზა – ფასების შემცირება დარჩებათ. შესაბამისად, მტკიცება, რომ ბინის მეპატრონეები ფასებს საკუთარი ხუშტურებით აწესებენ, მცდარია. ისინი – ყველა დანარჩენის მსგავსად – ისეთ ფასებს აწესებენ, როგორც ატანაც ბაზარს შეუძლია.

ამ მტკიცების უადგილობას, დამატებით, ისიც ადასტურებს, რომ „უსამართლო ფასის დაწესების“ კონცეფციას, რეალურად, გონივრული არსი არ გააჩნია. „უსამართლო ფასის დაწესება“ შეიძლება მხოლოდ იმაზე მაღალი ფასის დაწესებას ნიშნავდეს, რამდენის გადახდაც „მყიდველს ესიამოვნებოდა“. მაგრამ, ვინაიდან, საცხოვრებელში „სიამოვნებით“ არც არაფერს გადავიხდით (ან მინუს უსასრულობას, რაც ბინის მეპატრონის მიერ მისსავე ბინაში ცხოვრების სანაცვლოდ ჩვენთვის ფულის გადახდის ტოლფასი იქნებოდა), შეგვიძლია ბინის მეპატრონის მიერ დაწესებულ ნებისმიერ ფასს „უსამართლოდ მაღალი“ ვუწოდოთ. ვინც რაიმეს 0-ზე მაღალ ფასად გაყიდის, შეგვიძლია ვთქვათ „უსამართლოდ მაღალ ფასს აწესებსო“, რადგან სასურველ ნივთებში სიამოვნებით მხოლოდ „არაფერს“ გადავიხდიდით.

კარგი, ვთქვათ, ბარაკების გამქირავებლის მიერ „უსამართლო

ფასების დაწესებას“ სისულელე ვუწოდეთ – რას ვუშვრებით ვირთხებს, ნაგავსა და ჩამოცვენილ ბათქაშს? ნუთუ ამ პირობებზე (თუ პირობების არარსებობაზე) პასუხისმგებელი ბინის მეპატრონეა? იმის მიუხედავად, რომ ამ კითხვაზე „დიახ“ უკიდურესად პოპულარული პასუხია, ჩვენთვის ეს პასუხი არადამაკმაყოფილებელი იქნება, ვინაიდან გაპარტახებული საცხოვრისის პრობლემა, რეალურად, არც გაპარტახების და არც საცხოვრისის პრობლემა არაა. ეს სილატაკის პრობლემა – პრობლემა, რომელზე პასუხისმგებლობაც ბარაკების პატრონს ვერ დაეკისრება. ხოლო, თუ ბინის ასეთი მდგომარეობა სილატაკის შედეგი არაა, მაშინ არა სოციალურ, არამედ სულ სხვა სახის პრობლემასთან გვექონია საქმე.

როდესაც ბარაკებში მცხოვრებ ხალხს უკეთეს პირობებში ცხოვრების საშუალება აქვთ, მაგრამ ფულის დაზოგვასა და ნანგრევებში ცხოვრებას ირჩევენ, ასეთი საცხოვრებლები, თავის ქარტეხილებიანად, პრობლემა აღარცაა. შეიძლება, ასეთი არჩევანი პოპულარული სულაც არ იყოს, მაგრამ ადამიანების მიერ თავისუფალი ნებით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მხოლოდ გადანწყვეტილების მიმღებზე ახდენს გავლენას, სოციალურ პრობლემას ვერ დავარქმევთ (ასე რომ მოვიქცეთ, ჩვენი ყველაზე ფრთხილი გადანწყვეტილებების, ყველაზე სათუთი გემოვნებებისა და სურვილების „სოციალურ პრობლემებად“ მონათვლის საფრთხის წინაშე დავდგებით, ჩვენგან განსხვავებული გემოვნების მქონე ადამიანების მხრიდან).

ჯურღმულები მხოლოდ მაშინ ხდება პრობლემა, როდესაც იქაურ მდგმურებს ასეთ პირობებში დარჩენა არ სურთ, მაგრამ უკეთესის შესაძლებლობა არ გააჩნიათ. ეს მდგომარეობა ნამდვილად დამთრგუნველია, მაგრამ მოიჯარეს ბრალი მაინც არაფერში მიუძღვის. პირიქით, მდგმურების სილატაკის გათვალისწინებით, ბარაკების პატრონი აუცილებელ სერვისს აწარმოებს. ამის დასამტკიცებლად, წარმოიდგინეთ კანონი, რომელიც ბარაკების არსებობასა და გაქირავებას კრძალავს, ხოლო იქაური მდგმურების მისახედად გეგმას არ ითვალისწინებს – მაგალითად, ლატაკიათვის ღირსეულ საცხოვრებელს ან ადეკვატურ შემოსავალს კარგი საცხოვრებლის დასაქირავებლად. თუ ვაცხადებთ, რომ ბარაკების მოიჯარე მის მდგმურებს მართლაც ვნებს, მაშინ ყველა სხვა ფაქტორის უცვლელად

დატოვებითა და მოიჯარეს ამოკვეთით, ჯურღმულის მდგმურების ჯამური კეთილდღეობა უნდა გაიზარდოს. თუმცა ასეთი კანონი ამ მიზანს ვერ მიაღწევს. ის საშინლად დააზარალებს არა მხოლოდ ბარაკების მფლობელებს, არამედ მის მდგმურებსაც. მეტიც, ის მდგმურებს უფრო დააზარალებს, ვინაიდან, შესაძლოა, ამ შეზღუდვით ბარაკების მფლობელებმა შემოსავლის ბევრი წყაროდან მხოლოდ ერთი დაკარგონ, ხოლო მათი მდგმურები თავს ზემოთ ჭერს დაკარგავენ. ისინი იძულებულნი იქნებიან უფრო ძვირიანი საცხოვრებლები იქირავონ, შედეგად, საჭმლის, წამლების და სხვა აუცილებლობებისთვის უფრო ნაკლები ფული დარჩებათ. არა! პრობლემა ბარაკების მოიჯარე კი არა, სილატაკეა. ბარაკების პატრონები რომ სილატაკის მიზეზი იყვნენ, სამართლიანად მხოლოდ მაშინ დაჰბრალდებოდათ გაპარტახებული საცხოვრებლების ბოროტებანი.

თუ ბარაკების გამქირავებლის ბრალეულობა სხვა ვაჭრების ბრალეულობაზე მეტი არაა, მაშინ რატომ გამოარჩევენ ხოლმე მათ გასაკიცხად? ბოლოს და ბოლოს, გაჭირვებულებისთვის ტანსაცმლის მიმყიდველს ხომ არავინ კიცხავს, იმის მიუხედავად, რომ მისი საქონელიც უხარისხოა, ფასები – მაღალი, მყიდველები კი – ღარიბები და უმწეონი. ასევე არავინ კიცხავს ჯართის ეზოების მეპატრონეებს მათი საქონლის ან მომხმარებლების მძიმე მდგომარეობის გამო. „გუშინდელი გამომცხვარის“ გამყიდველი მაღაზიების მეპატრონეებსაც არავინ ამუნათებს, გამხმარ პურს რატომ ყიდო. გაკიცხვის მაგივრად, ხალხი აცნობიერებს, რომ ჯართის ეზოები და ასეთი საცხოვრებელი რომ არ იყოს, ღარიბები ახლანდელზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.

იმის მიუხედავად, რომ შეიძლება ეს დასკვნა სპეკულაცია იყოს, ვფიქრობთ, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ სფეროში ჩარევა და ამ სფეროში მენარმეთა შევიწროება და ლანძღვა ერთმანეთის პროპორციულია. ჯართის ეზოებისა და „გუშინდელი გამომცხვარის“ გამყიდველი მაღაზიების საქმიანობას ცოტა კანონი თუ არეგულირებს, ხოლო საცხოვრისებსა და მათ გაქირავებას – გაცილებით მეტი. შესაბამისად, უძრავი ქონების გაქირავების ბაზარში სახელმწიფოს ჩართულობასა და ბარაკების მეპატრონეების შელახულ სახელს შორის კავშირიც უნდა აღინიშნოს.

ვერავინ უარყოფს გაქირავების ბაზარში სახელმწიფოს ძლიერ

და მრავალფეროვან ჩარევას. მიმობნეული საცხოვრებელი პროექტები, „საჯარო“ საცხოვრებლები და საქალაქო განახლების პროექტები, რაიონული კანონები და სამშენებლო რეგულაციები – მაგალითების მხოლოდ მცირე ნაწილია. თითოეული მათგანი უფრო მეტ პრობლემას ქმნის, ვიდრე აგვარებს. უფრო მეტი საცხოვრებელი განადგურდა, ვიდრე აშენდა; რასობრივი დაძაბულობები გამწვავდა; სამეზობლოები და ჯგუფური ცხოვრება წარსულს ჩაბარდა. თითოეულ შემთხვევაში, ბიუროკრატიული წითელი ზოლებისა და მოუქნელობის ირიბი შედეგები პირდაპირ ბარაკების გამქირავებლებზე ისახება. საქალაქო განახლების პროგრამებით გამოწვეული ქარბმოსახლეობა უმეტესად მათ ჰბრალდებათ. მათ ჰბრალდებათ ის, რომ მათი შენობები სამშენებლო კანონებით დადგენილ არარეალისტურ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, ხოლო რომც დაეკმაყოფილებინათ, მაშინ ღარიბი მდგმურების მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდებოდა („კადილაკივით საცხოვრებლების“ კანონით იძულებას, მხოლოდ „ფოლკსვაგენივით საცხოვრებლების“ დაზარალება შეუძლია და ღარიბებისათვის ყველა საცხოვრებელს ფინანსურად მიუწვდომელს ხდის).

სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი კავშირი სახელმწიფოს ჩარევასა და ჯურღმულების მოიჯარეს რეპუტაციის გაშავებას შორის, ქირის კონტროლის კანონია. ეს კანონი მეწარმის სტიმულს, რომ მოგების მისაღებად მომხმარებელს მოემსახუროს, ისე ცვლის, რომ ბინის მეპატრონე პირდაპირ ხდება საკუთარი მდგმურების მტერი.

ჩვეულებრივ, ბინის მეპატრონე (ან ნებისმიერი სხვა მეწარმე) საკუთარი მდგმურების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით შოულობს ფულს. თუ ამ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, მდგმურები სხვაგან წავლენ. ცარიელი ბინები კი, რა თქმა უნდა, შემოსავლის დაკარგვას ნიშნავს. რეკლამირება, საიჯარო აგენტები, რემონტი, შეღებვა და ბინის ახლიდან გასაქირავებლად საჭირო სხვა რაღაცები დამატებითი ხარჯია. მეტიც, ბინის მეპატრონეს, რომელიც მდგმურების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ქირის ფასის დაწევა უწევს, რაც სხვაგვარად არ მოუწევდა. სხვა ბიზნესების მსგავსად, აქაც „კლიენტი ყოველთვის მართალია“, ხოლო ამ გამონათქვამის უგულებელმყოფელი ვაჭარი თავადვე რისკავს.

ქირის კონტროლის კანონები სტიმულების სისტემას აყირავებს. ასეთი კანონის პირობებში, ბინის მეპატრონე ყველაზე მეტად საკუთარი მდგმურების მომსახურებით კი არა, მათი დამცირებით, მოტყუებით, შეურაცხყოფის მიყენებითა და რემონტზე უარის თქმით ხეირობს. როდესაც კანონი ქირის ფასს მის საბაზრო ღირებულებაზე ქვევით აწესებს, ბინის მეპატრონე არა მდგმურების მომსახურებით, არამედ მათი თავიდან მოცილებით ხეირობს, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, ღარიბი მდგმურის ჩანაცვლება შეუძლია უფრო შეძლებული, მეტის გადამხდელი და ქირის-კონტროლის-კანონს-მიღმა მყოფი მდგმურებით.

ქირის კონტროლის მიერ ამოყირავებული სტიმულების სისტემა თვითგადარჩევის პროცესია, რომლითაც ბინის მეპატრონეები „გაქირავების ინდუსტრიის“ შესასვლელში იფილტრებიან. ეკონომიკის კონკრეტულ სფეროში შესასრულებელი საქმიანობის ტიპი განსაზღვრავს იმას, თუ როგორი ადამიანები დაინტერესდებიან ამ სფეროთი. თუ ბიზნესი მომხმარებელთა კმაყოფილებაზე დგას, მაშინ ბინის მეპატრონეების გარკვეული ტიპი მოიზიდება. თუ ბიზნესი მომხმარებელთა შევინროებას მოითხოვს, მაშინ ბინის მეპატრონეებს სრულიად განსხვავებული ტიპები მოიზიდებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბარაკების გამქირავებლის ქვეშქვეშა, ავსული და ა. შ. რეპუტაცია, ხშირად დამსახურებულიც შეიძლება იყოს, თუმცა ბინების გაქირავების ბიზნესში ასეთი ტიპის ადამიანების შესვლას, პირველ რიგში, ქირის კონტროლის კანონი ახალისებს.

ჯურღმულების ბატონებს ნანგრევების გაქირავება რომ აეკრძალოთ და ეს აკრძალვა რომ გულმოდგინედ აღსრულდეს, როგორც უკვე ვნახეთ, ლატაკი მდგმურების კეთილდღეობა უზომოდ გაუარესდება. მაღალ ფასებად ქირის აკრძალვა, ქირის კონტროლი და მსგავსი კანონები საცხოვრებელი პირობების გაუარესებას იწვევს. დაბალხარისხიანი საცხოვრებლების აკრძალვა, საცხოვრებლების რეგულირებები და მსგავსი მიდგომები ბინის მეპატრონეებს ამ სფეროდან წასვლას აიძულებს. შედეგად, მდგმურებს ნაკლები არჩევანი რჩებათ, ხოლო დარჩენილი არჩევანი დაბალი ხარისხისაა. თუ ბინის მეპატრონეები სხვა სფეროებში უფრო იხეირებენ, ვიდრე ღარიბთათვის საცხოვრებლის მიწოდებით, მაშინ ამ სფეროს დატოვებენ კიდევ. ქირის ფასის დანევისა და საცხოვრებლების მაღალი

ხარისხის რეგულაციებით მიღწევის მცდელობები მხოლოდ მოგებას ამცირებს და ბინის მეპატრონეებს ამ სფეროდან აძევებს, რაც საბრალო მდგმურებს გაცილებით უარეს მდგომარეობაში ტოვებს.

უნდა დავიმახსოვროთ, რომ ბარაკების გამქირავებელი ბარაკების არსებობის მთავარი მიზეზი არაა, ხოლო ყველაზე ცუდი მოიჯარეების არსებობა სამთავრობო პროგრამების, განსაკუთრებით კი ქირის კონტროლის ბრალია. საზოგადოებრივ კეთილდღეობაში ჯურღმულების პატრონებს დადებითი წვლილი მიუძღვის. მის გარეშე ეკონომიკა უარეს დღეში იქნებოდა. მის მიერ გაწეული დაუფასებელი სამსახური, იმის მიუხედავად, რომ მას მტრად რაცხავენ და კიცხავენ, მხოლოდ მის გმირულ ბუნებაზე შეიძლება მეტყველებდეს.

ვინც არ გამლანძღავს,
ფასდაკლებას მიიღებს!



21.

გეტოს პაჭარი

„ასეთ ცუდ საქონელზე ამხელა ფასების დაწესებას როგორ ბედავს? მაღაზია ბინძურია, მომსახურება – საშინელი, გარანტია – ფუჭი. განვადებით თუ იყიდი, მთელი ცხოვრება მაგათ ვალში უნდა იყო. ამ წურბლების მომხმარებლები ყველაზე ღარიბი და ფინანსურად ყველაზე გულუბრყვილო ხალხია. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი მაღალი ფასების, დაბალხარისხიანი საქონლის, განვადების ცბიერი გეგმებისა და, ზოგადად, ღარიბი ხალხის ექსპლუატაციის აკრძალვაა.“

გეტოს ვაჭრების „პრობლემაზე“ აზრის გამომთქმელთა უმეტესობა ამ დამოკიდებულებას იზიარებს. და მართლაც, გარკვეული გონივრულობაც შეიმჩნევა. ბოლოს და ბოლოს, გეტოს ვაჭრები ძირითადად თეთრკანიანი და მდიდარი, ხოლო მათი მომხმარებლები, ძირითადად, ღარიბები და უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენ-

ლები არიან. გეტოს მალაზიებში გაყიდული საქონელი ხშირად უფრო ძვირია, ვიდრე სხვაგან, ხოლო ხარისხი – უარესი. თუმცა შემოთავაზებული გამოსავალი, რომ გეტოს ვაჭრებს არაგეტო სამეზობლოების პრაქტიკების გამოყენება ვაიძულოთ, არ იმუშავებს. მსგავსი იძულება მხოლოდ ღარიბებს დააზარალებს – იმ ხალხს ვის დასახმარებლადაც ეს იძულება იქნა მოფიქრებული.

მარტივია იმის თქმა, რომ რაიმე ცუდის აკრძალვით, რაიმე კარგ შედეგს მიიღებ. მარტივი ნამდვილადაა, მაგრამ მართალი – იშვიათად. აი, გეტოს ვაჭრებისა და მათი სამენარმეო პრაქტიკების შემთხვევაში კი, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტყუილია. ეს ზედაპირული დამოკიდებულება ჭკუამხიარულად უგულებელყოფს პრობლემის მიზეზს – სინამდვილეში, რატომაც გეტოებში უფრო მაღალი ფასები.

იმის მიუხედავად, რომ მდიდრულ სამეზობლოებში, ერთი შეხედვით, გეტოებზე მაღალი ფასებია, ფაქტია, რომ გეტოს მალაზიები და მდიდრული სამეზობლოს მალაზიები რეალურად ერთსა და იმავე საქონელს არ ყიდნიან. გეტოებში უფრო დაბალხარისხიან საქონელს ყიდნიან. ეს მტკიცება ერთი შეხედვით იდენტური საქონლის შემთხვევაშიც სიმართლეა. მაგალითად, ეინზ-ის კეტჩუპის ბოთლი მდიდრულ უბანში შეიძლება უფრო ძვირი ღირდეს, თუმცა მდიდრულ უბანში თქვენ ყიდულობთ კეტჩუპს, ასევე მალაზიის კარგ ინტერიერს, მიტანისა და სხვა სერვისებს და დღე-ღამის ნებისმიერ დროს სახლთან ახლოს შოპინგის ფუფუნებასაც. ეს სიკეთეები გეტოს მალაზიებში ან არ არსებობს, ან გაცილებით უფრო დაკნინებული ფორმითაა. თუ მათაც გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ გეტოელი კლიენტი უფრო ნაკლებს იძენს საკუთარი ფულით, ვიდრე მდიდრული უბნის მაცხოვრებელი.

ეს სიმართლე უნდა იყოს, რადგანაც გეტოს ვაჭრის მიერ დაწესებულ ფასში ისეთი „ფარული“ ხარჯები შედის, რომლებთან გამკლავებაც არაგეტოელ ვაჭარს არ უნევს. გეტოებში ქურდობის თუ სხვა სახის კრიმინალის უფრო მაღალი მაჩვენებლებია. ასევე, უფრო მაღალი შანსია, რომ ხანძარმა ან ძალადობრივმა საპროტესტო აქციამ ვაჭარი აზარალოს. ეს კი ვაჭრების სადაზღვევო პაკეტების ფასსაც ზრდის ისევე, როგორც მოითხოვს დამატებით ხარჯს დაცვის სისტემების, ჭიშკრებისა და საკეტების დაყენების, ძალების, კერძო პოლიციის დაქირავებისა თუ უსაფრთხოების სხვა ზომებისთვის.

იმ მოცემულობით, რომ გეტოებში ბიზნესის წარმოება უფრო ძვირია, ფასებიც, შესაბამისად, უფრო მაღალი უნდა იყოს. ასე რომ არ ხდებოდა, გეტოელი ვაჭრები გეტოს გარეთ მოვაჭრეებზე ნაკლებ სარგებელს ნახავდნენ და თავიანთი სავაჭრო უბნების დატოვება მოუწევდათ უფრო „მშვიდი საძოვრების“ ძიებაში. გეტოში მაღალ ფასებს გეტოელი ვაჭრის „სიხარბე“ არ ანესებს. ყველა ვაჭარი ხარბია, გინდ გეტოში და გინდ გეტოს გარეთ. გეტოში მაღალ ფასებს იქ ბიზნესის კეთების მაღალი ხარჯები განაპირობებს.

რეალურად, განსხვავებულ სამეწარმეო სფეროებში არსებობს სარგებლის დაბალანსების ან დაბალანსებისკენ სწრაფვის მუდმივი ტენდენცია (მოგების მიღების რისკისა და სხვა არაფინანსური უპირატესობებისა თუ არახელსაყრელი პირობების სავარაუდო ცვალებადობის გათვალისწინებით). გეტოს ვაჭრების სიტუაცია ამ ტენდენციის ერთ-ერთი მაგალითია. როდესაც რაიონში რაიონზე მაღალი მოგებაა, ვაჭრები რაიონიდან რაიონისკენ ინაცვლებენ. შედეგად, როდესაც რაიონში ცოტა ვაჭარი რჩება, კონკურენცია იკლებს და მოგებაც იმატებს. ხოლო რაიონში, უფრო მეტი ვაჭრის შესვლით, კონკურენცია იზრდება და მოგებაც იკლებს. შესაბამისად, რომელიმე მომენტში, გეტოს ვაჭრებმა სხვებზე მაღალი მოგება რომც ნახონ, მაღალი შემოსავლების შენარჩუნებას დიდი ხნით ვერ შეძლებენ. გეტოებში უფრო მეტი მოგების შოვნა შესაძლებელი რომ იყოს, ვაჭრები გეტოებში გადაინაცვლებდნენ და შედეგად მიღებული კონკურენცია წონასწორობის დონემდე შეამცირებდა მოგებას. ხოლო გეტოებს გარეთ შემცირებული კონკურენცია მოგებას წონასწორობის დონემდე გაზრდიდა.

გეტოს ვაჭარი, როგორც კეთილისმყოფელი

არაფულადი უპირატესობებისა და არახელსაყრელი პირობების საკითხი ჯერ არ განგვიხილავს, თუმცა ისინი არსებობენ. ყველა არაფულადი უპირატესობა მხოლოდ გეტოებს გარეთ მოღვაწე ვაჭრებს გააჩნიათ. გეტოს ვაჭრებმა, საკუთარი სიცოცხლისა და საკუთრების მიმართ არსებული რისკების გარდა, დამატებით, განრისხებული ადამიანებისგან გაკიცხვაც უნდა იწვნიონ. მათ გეტოს

ვაჭარი, სხვა მიზეზებთან ერთად, ცუდი პროდუქციის ძვირად გაყიდვის გამო ეზიზღებათ და სძულთ.

იმ შეურაცხყოფის გამო, რომელსაც გეტოს ვაჭარი იტანს, ასეთ უბნებში მოგების განაკვეთის წონასწორობის დონე უფრო მაღალი იქნება, ვიდრე გეტოებს გარეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოგება დასტაბილურდება იმ დონეზე, რომელზეც გეტოს ვაჭრები სხვა ვაჭრებზე მეტ მოგებას იღებენ, მაგრამ არა იმდენად მაღალზე, რომ გეტოში გადასვლის იდეამ სხვა ვაჭრები მიიზიდოს. ეს დამატებითი შემოსავალი, გეტოებს გარეთ მომუშავე ვაჭრებს იმიტომ ვერ მიიზიდავს, რომ საკმარისი მაინც არ იქნება გეტოში ვაჭრობის გამო მიღებული დამატებითი შეურაცხყოფებისა და რისკების კომპენსაციისთვის. გეტოებში კი ის ვაჭრები დარჩებიან, ვისაც შეურაცხყოფებთან და რისკებთან გამკლავება ადვილად გამოსდით. მათთვის დამატებითი შემოსავალი კომპენსაციისთვის საკმარისია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის იქნება (და ყოველთვის არის კიდევ) ბუნებრივი გადარჩევის პროცედურა, რომლის შედეგად გეტოებში დამატებითი შემოსავლისთვის რისკებისა და შეურაცხყოფის მიმართ ყველაზე გამძლენი დარჩებიან. ნაკლებად გამძლეებს გეტოს მოგების მარჯა საკომპენსაციოდ არ ეყოფათ და უფრო უსაფრთხო სივრცეებში გადაინაცვლებენ.

თუ გეტოს ვაჭრების რისკებისადმი ტოლერანტულობა შემცირდება, სარგებლის განაკვეთური წონასწორობის დონე მაღლა აიწევს. თუ არ აიწევს, გეტოებიდან შეურაცხყოფის ყველაზე ნაკლებად ამტანი ვაჭრები წავლენ. კონკურენცია შემცირდება, ხოლო დარჩენილ ვაჭრებს საკუთარი ფასებისა და შესაბამისად, მოგების გაზრდა შეეძლება. მოგების ეს ზრდა ზუსტად იქნება საკმარისი დარჩენილი ვაჭრებისთვის დაძაბულ სიტუაციასთან გამკლავების საკომპენსაციოდ. ანუ, გეტოებში საქონელი კიდევ უფრო ძვირი იმიტომ არაა, რომ იქაურ ვაჭრებს რისკების, შევიწროებისა და გაკიცხვის ატანის დიდი უნარი აქვთ.

სიტუაციას თუ ასე დავინახავთ, ცეცხლის ფასების დამწეებელი გეტოს ვაჭარი კეთილისმყოფლადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. მის მიერ წნეხის გაძლების უნარი ერთადერთი მიზეზია, რის გამოც ფასები უფრო მეტად აღარ იზრდება. ეს უნარი რომ არა, ფასები გეტოში კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა.

ერთი გასაოცარი ასპექტიც უნდა გავითვალისწინოთ. თუ მთელ

ამ სიტუაციაში უარყოფითი გმირი არსებობს, ის გეტოს ვაჭარი კი არაა, რომლის შეურაცხყოფის მიმართ ამტანობაც ფასებს ამცირებს, არამედ ისაა, ვინც ცუდი საქონლის ძვირად გაყიდვის გამო ჩვენს ვაჭარს ავინროებს, ამცირებს და კიცხავს. გეტოებში მაღალი ფასების შენარჩუნება სწორედ ამ „ნეგატივიზმით გაჟღენთილი ბობოლებ-ის“ ბრალია. ეს მოლაყებები, რომლებიც, ძირითადად, ძალაუფლების მძებარი ადგილობრივი პოლიტიკოსები და საზოგადოებრივი აქტივისტები არიან, გეტოებში ვაჭრების გაჩერებისათვის საჭირო მოგების მარჟის დონეს ზრდიან. თავიანთი წყევლა-კრულვა რომ შეენწყვიტათ, გეტოებში ვაჭრობის ხელისშემშლელი არაფულადი პირობები შემცირდებოდა, ვაჭრისთვის გეტოში ოპერირება უფრო „გაიაფდებოდა“, ეს კი პირდაპირ გამოიწვევდა მის პროდუქციაზე ფასების შემცირებას. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, სიძვირის გამო გეტოს ვაჭრების ყველაზე ხმაურიანი კრიტიკოსები ამავე სიძვირის რეალური მიზეზები არიან!

ეს ანალიზი მხოლოდ იმ შემთხვევებზე არ ვრცელდება, რომლებშიც გეტოს მოსახლეობა ლათინო-ამერიკელი ან შავკანიანი, ხოლო ვაჭრები – თეთრკანიანები არიან. ყაჩაღობით, ხანძრით, ვანდალიზმითა და პროტესტებით გამონეწეული ზარალის რისკები შავკანიან და პუერტო-რიკოელ ვაჭრებსაც აიძულებდა საქონლის ძვირად გაყიდვას. ის დამცირება კი, რაც ასეთ სიძვირეს მოჰყვებოდა, ამ ფასებს უფრო ასწევდა. სხვა თუ არაფერი, უმცირესობის წარმომადგენელ ვაჭარს უფრო მტკივნეული კრიტიკის ატანა მოუწევდა – მას საკუთარი ეთნიკური ჯგუფის მოღალატედ შერაცხავდნენ. შესაბამისად, თუ თეთრკანიანებს გეტოს ვაჭრებად შავკანიანები და პუერტო-რიკოელები ჩაანაცვლებენ, ეს ანალიზი უფრო სწორიც კი გახდება.

სასარგებლო შეზღუდვები არ არსებობს

ახლა უკვე შეგვიძლია ის კანონები შევაფასოთ, რომლებიც გეტოს ვაჭრებს სხვა ადგილებთან შედარებით უფრო მაღალი ფასების დაწესებას უკრძალავს. ეს კანონები, უბრალოდ, ვაჭრებს გაყრის გეტოებიდან! ბიზნესის წარმოების მაღალი ხარჯი, მაღალი ფასების გარეშე, ცალსახად ნაკლებ მოგებას ნიშნავს. არცერთი ვაჭარი

ნებაყოფლობით ასეთ სიტუაციაში თავს არ ჩაიგდებს. რეალურად, თუ არაფურადი ხელისშემშლელი პირობების საკომპენსაციოდ გეტოებში სხვა ადგილებზე მეტი მოგების მიღება შესაძლებელი აღარ იქნება, ვაჭრები გეტოებში აღარც დარჩებიან.

ეს აკრძალვა მკაცრად რომ აღსრულდეს, ვაჭრების აბსოლუტური უმრავლესობა გეტოს დატოვებდა და სადმე სხვაგან სცდიდა ბედს, გეტოებში კი ვაჭრების მიზერული ნაწილი დარჩებოდა. შედეგად, მომხმარებლები იძულებულნი იქნებოდნენ დარჩენილ ხელმისაწვდომ მაღაზიებში რიგებად ჩამდგარიყვნენ, შედეგად ხარჯები შემცირდება და ბრუნვა იმ დონემდე გაიზრდება, რომ ვაჭრებს გეტოებში მუშაობა უფრო მაღალ ფასად უღირდეთ. მაგრამ ეს ასევე ნიშნავს, რომ გეტოს მაცხოვრებლებს რაიმეს შესაძენად დიდი ხანი მოუწევდათ რიგში დგომა. უფრო სავარაუდოა, რომ მომხმარებლები გეტოს ვაჭრებს ცუდი მომსახურების გამო უფრო მეტადაც შეავიწროებდნენ. ასეთი ბრბო სულაც უმართავი შეიძლება გახდეს. ასეთ სიტუაციაში კი, დარჩენილ ვაჭრებსაც მოუწევთ საკუთარი მაღაზიების დახურვა. საბოლოოდ, გეტოს მაცხოვრებლები, საზოგადოებრივი „აქტივისტები“, ექსპერტები და კომენტატორები მაინც ვაჭრებს დააბრალებენ საზოგადოების მიტოვებას.

ვაჭრების მიერ გეტოს მიტოვება ნამდვილად მონუმენტური მასშტაბის ტკივილსა და ტანჯვას გამოიწვევს. გეტოს მაცხოვრებლებს ისეთი პროდუქტების საყიდლად, რომელსაც ადრე უბანშივე ყიდულობდნენ, შორს მოუწევთ სიარული. შედარებით მაღალი ხარისხის პროდუქტში შედარებით დაბალ ფასებს გადაიხდიან, თუმცა ეს ხეირი გაზრდილი მგზავრობის საფასურისა და დროის დასაბალანსებლად სულაც არ იქნება საკმარისი. ეს კი იქიდან ვიცით, რომ გეტოს მაცხოვრებლებისთვის ეს შორეული ვარიანტები ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო. და ვინაიდან ადგილობრივი მაცხოვრებლები მაინც უბნის ახლანდელ მაღაზიებში დადიან, სახლთან სიახლოვე უნდა ერჩივნოთ კიდევ.

გეტოს მაცხოვრებლებს გაუჭირდებათ იმაზეც შეთანხმება, რომ ასეთ შორ მაღაზიებში ყველას მაგივრად ერთმა ან რამდენიმემ იაროს. ასეთი შეთანხმება იმათ, ვინც „დანარჩენებს გაეგზავნება“, გეტოს ვაჭრად გადააქცევს. ხოლო გეტოს ამ ახალ ვაჭრებს ზუსტად იგივე პირობები ექნებათ, რაც ძველ ვაჭრებს ჰქონდათ. არ არსებობს

იმის დაშვების მიზეზი, რომ მათ არ ეცოდინებათ იმ ფინანსური სტიმულების შესახებ, რომლებიც გამოც გეტოს ძველმა ვაჭრებმა გეტო დატოვეს. გეტოს მაცხოვრებლებისთვის ამ გაუმართავი სიტუაციის გასამკლავებლად ერთადერთი გონივრული გზა „მაღაზიებში სავაჭროდ მოსიარულე კოლექტივის“ ჩამოყალიბებაა, რომლის წევრებიც ერთმანეთს მაღაზიაში სიარულის რთულ დავალებასთან გამკლავებაში დაეხმარებოდნენ. მაგრამ ამის გაკეთება ცხოვრების ისეთ წესთან დაბრუნების ტოლფასია, რომელშიც საჭმლის მოგროვება ძალიან შრომატევადი საქმიანობაა. სამეწარმეო უნარების გამომუშავებისა და საკუთარი თავების გაჭირვებიდან ამოთრევის მაგივრად, გეტოს მაცხოვრებლები იძულებულნი იქნებიან იმუშაონ კოლექტივისტურ სქემებზე, რაც გეტოს ვაჭრობის გაქრობამ გახადა აუცილებელი. ამ ალტერნატივის არაეფექტიანობას ის ამტკიცებს, რომ ანწყობი, კონკურენტი გეტოს ვაჭრობის არსებობის პირობებში, მსგავსი ტექნიკა არ გამოიყენება.

საქმე აქამდე რომ მისულიყო, ქალაქის დაგეგმარების „მემარცხენე ძალები“ ალტერნატიული გამოსავლით შემოიჭრებოდნენ ველზე და გეტოში ვაჭრობის სახელმწიფოს ხელში გადატანას შემოგვთავაზებდნენ. ეს მათი ლოგიკა ანალიზს ვერ უძღვებს. თუ თავდაპირველი ქაოსი სახელმწიფოს ბრალია (გეტოებში ფასების კონტროლის დანესებით), გამოსავალი სახელმწიფოს უფრო მეტი ჩართულობა როგორ შეიძლება იყოს?

შემოთავაზებულ გამოსავალში პირველი პრობლემა ამორალურობაა. ის ყველა მოქალაქეს აიძულებს, რომ სურვილის მიუხედავად ფული ნაციონალიზებულ კვების ინდუსტრიაში გადაიხადონ. ის ასევე ამცირებს მოქალაქეების შესაძლებლობებს ამ ინდუსტრიაში შესვლის აკრძალვით.

მეორე პრობლემა პრაგმატულია. ხელმისაწვდომ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გამოსავალი არ იმუშავებს. წარსულში სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევის ყველა შემთხვევა თვალსაჩინოდ არაეფექტიანი და კორუფციული იყო. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს შედეგები შემთხვევითი არ ყოფილა.

არაეფექტიანობა მარტივი ასახსნელი და საკმაოდ ფართოდ გააზრებულიცაა. სამთავრობო „წარმოებისგან“ არაეფექტიანო-

ბას იმიტომ ველოდებით, რომ ის ბაზრის სელექციური პროცესის მიმართ იმუნურია. თავისუფალ ბაზარში, ის მენარმეები, რომლებსაც ყველაზე მეტად შეუძლიათ მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილება, ყველაზე დიდ სარგებელს ნახულობენ. ხოლო მენარმეები, რომლებიც ყველაზე არაეფექტიანები არიან და მომხმარებლების ყველაზე მცირედით დაკმაყოფილებას ახერხებენ, ზარალდებიან. შესაბამისად, ისინი ბაზრიდან ვარდებიან და მათ, ვინც მომხმარებლების სურვილებს ყველაზე ეფექტიანად და კარგად აკმაყოფილებს, ზრდისა და განვითარების სივრცეს აძლევენ. ბუნებრივი გადარჩევის ეს განგრძობითი პროცესი მენარმეთა ეფექტიანობის გარანტიას იძლევა. ვინაიდან სახელმწიფო ამ პროცესის მიმართ უგრძნობია, იგი სამთავრობო ეკონომიკური აქტივობის რეგულირებას ვერ ახერხებს.

მთავრობის კორუფცია და მექრთამეობა უფრო მარტივი დასაწახია. თუმცა იმის გააზრებას, რომ კორუფცია სახელმწიფოს მიერ ბიზნესის წარმოების აუცილებელი ნაწილია, გვირთულებს ის წარმოდგენები, რომლებიც ხელისუფლებაში მყოფი ხალხის მიმართ გვაქვს. ჩვენ მარტივად ვუშვებთ, რომ ადამიანები ბიზნესში ფულის, პრესტიჟის ან ძალაუფლების მოპოვების გამო შედიან. ეს ძირითადი ადამიანური მოტივებია. თუმცა სახელმწიფოს შემთხვევაში, ამ სწორ შეხედულებასთან კონტაქტს ვკარგავთ. ჩვენ რატომღაც ვთვლით, რომ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულნი ამ მოტივებზე „მაღლა დგანან“, რომ ისინი ქეშმარიტად „ნეიტრალურები“ და „ობიექტურები“ არიან. იმას ვაღიარებთ, რომ ზოგიერთი ბიუროკრატი მოსყიდული, კორუმპირებული და ხეირის მაძიებელია, თუმცა მათ გამონაკლისებად მივიჩნევთ. ჩვენ გვჯერა, რომ საჯარო მოხელეთა მთავარი მოტივაცია სხვებისთვის უანგარო მსახურებაა.


დროა, ამ მცდარ წარმოდგენას შევეწინააღმდეგოთ. ინდივიდები, რომლებიც მთავრობას წარმოადგენენ, არაფრით განსხვავდებიან სხვა ნებისმიერი ჯგუფისგან. ისინი ყველა იმ ხორციელი ცდუნების მემკვიდრენი არიან, რომელთა მემკვიდრეც მათი სხეულია. ბიზნესმენებს, პროფკავშირეებსა და სხვებს ეგოიზმს მარტივად მივანერთ. ზუსტად ასეთივე სიცხადით ისიც შეგვიძლია დავუშვათ, რომ სახელმწიფო მოხელეებსაც ახასიათებთ იგივე თვისებები. არა ზოგიერთ გამონაკლისს, არამედ თითოეულ მათგანს.

საჭირო აღარცაა იმ ყველა სამთავრობო მარცხის მნიშვნელო-

ბის აღნიშვნა, რომლებიც სახელმწიფომ უკვე განიცადა საკვებ მრეწველობაში: სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები, ტარიფები, დანესებული მინიმალური და მაქსიმალური ფასები და „ამ მიწაზე არ დათესოთ“ დამოკიდებულებები. ცხადია, ეს პროგრამები საყოველთაო სიკეთის მოსატანი რიგითი მცდელობების არაეფექტიანი ეპიზოდები არაა – იმის მიუხედავად, რომ ასეთებსაც წარმოადგენენ – არამედ დიდ ბიზნესმენ-ფერმერებისთვის ნაჩუქარი ფულიც და საჭმლის არწარმოებაში გადახდილი ფულიც, სახელმწიფო მოხელე-ბიუროკრატთა მიერ საზოგადოების მოტყუების მსუბუქად შეფარული მცდელობებია.

სახელმწიფო რომ გეტოს ვაჭარი გამხდარიყო, სიტუაცია გაცილებით უარესი იქნებოდა ვიდრე კერძო გეტოს ვაჭრების ხელშია. ორივე ჯგუფი მოგებაზეა ორიენტირებული. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ერთს ჩვენი იძულების ძალაუფლება გააჩნია, ხოლო მეორეს – არა. სახელმწიფოს შეუძლია გვაიძულოს მისი სერვისით სარგებლობა, კერძო ვაჭრებს კი მხოლოდ ერთმანეთთან კონკურენცია შეუძლიათ.

არა, არა... მომავალში
ასეთი მინის ტარას არავინ იბარებს!



22.

სპეკულანტი

„მოკალით სპეკულანტები!“ – ამ სიტყვებს ნებისმიერი შიმშილობის დროს გაიგონებდით. მას გაიძახოდნენ დემაგოგები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სპეკულანტი საკვების ფასების ზრდით ხალხს შიმშილით ხოცავდა. ამ სიტყვებს ხბოს აღტაცებით გაჰყვიროდა გაუნათლებელი ბრბოც. მსგავსად აზროვნება, უფრო სწორად, აზროვნების ნაკლებობა დიქტატორებს უფლებას აძლევდა, სიკვდილით დაესაჯათ ვაჭრები, რომლებიც შიმშილობის დროს საკვებზე მაღალ ფასებს აწესებდნენ და ეს სამოქალაქო უფლებადამცველთა, თუნდაც სიმბოლური, პროტესტის გარეშე ხდებოდა.

თუმცა სიმართლე ძალიან შორსაა რეალობისგან. შიმშილობის მიზეზი, ხშირად, სწორედ ის დიქტატორია ხოლმე, ვინც ადამიანთა სიცოცხლის დაცვის მოტივით სპეკულანტებს სიკვდილით სჯის. სპეკულანტი კი, თავისი ქმედებებით, შიმშილობის პრევენციას

ახდენს. შესაბამისად, სპეკულანტთა ასეთი გაგრძელებული სიძულ-ვილი უსამართლობაა. ამის უკეთ დასანახად, შეგვიძლია გავიაზროთ, რომ სპეკულანტი ის პიროვნებაა, რომელიც საქონელს ყიდულობს და ყიდის მოგების მიღების იმედით. ის ცდილობს დროში გამოცდილი ფრახის მიხედვით იმოქმედოს: „იყიდოს იაფად და გაყიდოს ძვირად.“

მაგრამ რა საერთოა იაფად ყიდვას, ძვირად გაყიდვას, დიდი მოგების ნახვასა და ხალხის შიმშილისგან გადარჩენას შორის? ყველაზე კარგად ეს ადამ სმიტმა ახსნა „უხილავი ხელის“ დოქტრინით. ამ დოქტრინის თანახმად, „თითოეული ინდივიდი ცდილობს, გამოიყენოს საკუთარი ქონება ისე, რომ მან მაქსიმალური მოგება მოიტანოს. ზოგადად, ინდივიდი საზოგადოებრივი ინტერესების მსახურებას არ განიზრახავს და არც კი იცის, რამდენად ზემოქმედებს მათზე. ის მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოებისა და სარგებლობისკენ მიისწრაფვის და თითქმის უხილავი ხელით მართული, კეთილ ზეგავლენას ახდენს იმაზე, რაზეც განზრახვა არ ჰქონია. საკუთარი ინტერესების დაცვით, იგი ხშირად იმაზე მეტად უწყობს ხელს საზოგადოების აყვავებას, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუკი ამას შეგნებულად შეეცდებოდა.“¹ შესაბამისად, საკუთარი ეგოისტური ინტერესებით მოქმედი წარმატებული სპეკულანტი, იმის მიუხედავად, რომ არც იცის და არც ანალვლებს საზოგადოებრივი კეთილდღეობა, ამ უკანასკნელსავე ეხმარება.

პირველ რიგში, გადამყიდველი შიმშილობის შედეგებს ამსუბუქებს, როცა პირადი მოგების იმედით, ბარაქიანობის დროს საჭმელს ინახავს. ის ყიდულობს და ინახავს საჭმელს იმ დღეებისთვის, როდესაც საჭმელი აღარ დარჩება, რაც მას საშუალებას მისცემს უფრო მაღალ ფასად გაყიდოს პროდუქტი. მსგავს ქმედებას ჯაჭვური შედეგები მოაქვს – საზოგადოების სხვა წევრებს აძლევს სიგნალს, რომ სპეკულანტების საქმიანობით წაქეზდნენ და იმავეს კეთება დაიწყონ. მომხმარებლები წახალისებულნი არიან უფრო ნაკლების ჭამასა და მეტის შენახვაში, იმპორტიორები – უფრო მეტის იმპორტში, ფერმერები – საკუთარი მოსავლის ზრდაში, მშენებლები – უფრო მეტი საწყობების შენებაში, ვაჭრები – უფრო მეტი საჭმლის შენახვაში. აკმაყოფილებს რა „უჩინარი ხელის“ დოქტრინას, სპეკულან-

¹ Adam Smith, *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations* (New York: Random House, 1973), p. 243, პერიფრაზირებული.

ტი, საკუთარი მომხვეჭელური ქმედებებით, ბარაქიანობის დროს უფრო მეტი საკვების შენახვას უწყობს ხელს, ვიდრე სხვაგვარად შეინახებოდა და, შესაბამისად, სამომავლო გაჭირვებული წლების მტკივნეულ შედეგებსაც ამსუბუქებს.

თუმცა ვილაც აუცილებლად შეგვეკამათება, რომ სპეკულანტის ქმედებებს სასარგებლო შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ მისი გათვლა გამართლდება. და თუ შეცდება? რა მოხდება, თუ ის ბარაქიან წლებს იწინასწარმეტყველებს, დაიწყებს მარაგების გაყიდვას და ამით სხვებსაც მსგავსი ქმედებისკენ უბიძგებს, რეალურად კი გაჭირვების წლები მოვა? ამ შემთხვევაში, შიმშილობის სიმწვავე მის კისერზე არ იქნება?

დიახ. თუ სპეკულანტი შეცდება, ის ზიანის დიდ ნაწილზე იქნება პასუხისმგებელი. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ თამაშში ჩართულები არიან არაკომპეტენტური სპეკულანტების აღმოჩენი და გამანადგურებელი დიადი ძალებიც. შესაბამისად, მათი სახით წარმოდგენილი საფრთხე და მათი ქმედებებით გამოწვეული ზარალი თეორიული უფროა ვიდრე რეალური. არასწორ შედეგზე ფსონის დამდეგი სპეკულანტი ფინანსურად მწვავედ დაზარალდება. ძვირად ყიდვამ და იაფად გაყიდვამ ეკონომიკა შეიძლება შეარხიოს, თუმცა სპეკულანტის ჯიბეში საერთოდ აპოკალიფსს მოაწყობს. არ შეიძლება ველოდოთ, რომ სპეკულანტის ყველა წინასწარმეტყველება ახდება, თუმცა თუ უფრო ხშირად შეცდება, ვიდრე სწორი აღმოჩნდება, ის საკუთარ სავაჭრო კაპიტალს დაკარგავს და ისეთ პოზიციაშიც ვეღარ დარჩება, რომ საკუთარი შეცდომით შიმშილობა გაამწვავოს. საზოგადოებისთვის მავნე ქმედება ავტომატურად სპეკულანტსაც ვნებს, მის ამონურვად რესურსებს ურტყამს და, შესაბამისად, მსგავს შეცდომებს ვეღარ გაიმეორებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ სპეკულანტს ეკონომიკისთვის ზიანზე მეტი სარგებელი მოაქვს.

შეადარეთ მათი ქმედებები სახელმწიფო სააგენტოების ქმედებებს, როდესაც ისინი სპეკულანტის საქმეს – საკვები ბაზრის დასტაბილურებას – თაობენ. ისინიც ცდილობენ ჭარბი და არასაკმარისი საკვების შენახვას შორის ბენვის ხიდზე გაიარონ. თუმცა შეცდომის შემთხვევაში, არაკომპეტენტურ ბიუროკრატთა გასხვლის პროცესი არ არსებობს. სახელმწიფო მუშაკის ხელფასი მისი სპეკულანტური

თავგადასავლების წარმატებებსა თუ წარუმატებლობებზე არაა დამოკიდებული. ვინაიდან სახელმწიფო მუშაკი არც საკუთარ ფულს კარგავს და არც იძენს, მის მიერ განეული სპეკულანტური საქმიანობა სრულიად არაეფექტიანია. არ არსებობს ბიუროკრატების წინასწარმეტყველებების გასაუმჯობესებელი ავტომატური, განგრძობითი, ისეთივე ყოველდღიური პროცესი, როგორიც კერძო სპეკულანტების შემთხვევაშია.

ყველაზე ხშირად კი მაინც ის პრეტენზია გვესმის, რომ სპეკულანტები საკვებზე ფასებს ზრდიან. თუმცა თუ მის საქმიანობას გულდასმით შევისწავლით, დავინახავთ, რომ მსგავსი ქმედებების ჯამური შედეგი, რეალურად, ფასების სტაბილიზაციაა.

ბარაქიანობის დროს, როდესაც საკვების ფასი უჩვეულოდ დაბალია, სპეკულანტი ყიდვის რეჟიმშია. მას ბაზრიდან საკვების წილი მიაქვს, შესაბამისად, ფასებს ზრდის. მომდევნო უნაყოფო წლებში, მის მიერ გადანახული საკვები ბაზარზე ბრუნდება, შესაბამისად, ფასებიც მცირდება. რა თქმა უნდა, შიმშილობის დროს საკვების ფასი მოიმატებს და სპეკულანტი ყველაფერს იმაზე ძვირად გაყიდის, ვიდრე თავად შეიძინა. თუმცა რომ არა სპეკულანტის მიერ გადანახული საკვები, პროდუქტის ფასი კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა! (უნდა დავიმახსოვროთ, რომ სპეკულანტი არ იწვევს საკვების დეფიციტს, რომელიც ძირითადად ცუდი მოსავლიანობისა და სხვა, ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ ხელქმნილი უბედურებების შედეგია).

საკვების ფასებზე სპეკულანტი, თავისი მუშაობით, საკვებზე ფასების „მრუდს აბრტყელებს“. ბარაქიან წლებში, როდესაც საკვების ფასი დაბალია, სპეკულანტი ყიდვითა და შენახვით ფასებს ზრდის. შიმშილის დროს, როდესაც საკვების ფასი მაღალია, სპეკულანტი მარაგების გაყიდვით ფასებს ამცირებს. მას მხოლოდ მოგების მიღება სურს. და ეს სულაც არაა ბოროტმოქმედება, პირიქით, სპეკულანტი ღირებულ მომსახურებას გვანჭდის.

თუმცა სპეკულანტებისთვის მადლობის თქმის ნაცვლად, დემაგოგები მათგან მტრის ხატს ქმნიან. საკვებით სპეკულანტობის აკრძალვას იგივე შედეგი ექნება საზოგადოებაზე, რაც ციყვებისათვის თხილეულის მომარაგებაში ხელის შეშლას – საქმე შიმშილობამდე მივა.



23.

იმპორტიორი

ქალთა სამოსის მუშათა საერთაშორისო გაერთიანებამ (ILG-WU) ცოტა ხნის წინ უჩვეულო, ინტენსიური და ძვირადღირებული სარეკლამო კამპანია წამოიწყო ჯერ არნახული მასშტაბის რასისტული და ურავატრიოტული მოწოდებებით. კამპანიის შინაარსი ისაა, რომ „უცხოელები“ (უღირსები და უნამუსოები) ამერიკელებს (პატიოსან, სანიმუშო და ალალ ხალხს) სამუშაო ადგილებს ართმევენ. ალბათ, ამ კამპანიის ყველაზე ცნობილი რეკლამა ისაა, რომელშიც გამოსახულია ამერიკის დროშა, ზედ დატანილი წარწერით: „შექმნილია იაპონიაში“. სხვა რეკლამა ბეისბოლის ხელთათმანს გვიჩვენებს და გვამცნობს: „დიადი არაამერიკული თამაში“. თანდართული წარწერები კი გვიხსნის, რომ ბეისბოლის ხელთათმანები და ამერიკის დროშები იმპორტირებულია.

როგორც გვეუბნებიან, იმპორტზე გესლიანი იერიშების გონივრუ-

ლი მიზეზი ისაა, რომ ის ამერიკაში უმუშევრობას იწვევს. ერთი შეხედვით, ეს მტკიცება დამაჯერებლადაც ჟღერს. ბოლოს და ბოლოს, თითოეული დროშა ან ხელთათმანი, რომელიც შეიძლება ადგილზე ეწარმოებინათ, მაგრამ იმპორტირებულია, იმ სამუშაოს განასახიერებს, რომელიც შეიძლება უცხოელების ნაცვლად ამერიკელებს ეკეთებინათ. ეს ხომ უცილობლად ნიშნავს იმაზე ნაკლებ სამუშაო ადგილს ამერიკელებისთვის, ვიდრე იმპორტის აკრძალვის შემთხვევაში იქნებოდა? მტკიცება, რომ მხოლოდ ამ ასპექტით იყოს შემოსაზღვრული, ILGWU-ს პრეტენზია, იმპორტის ასაკრძალად თუ არა, შესაზღუდად მაინც, საკმაოდ გამართული იქნებოდა.

1. თუმცა ეს მტკიცება მცდარი, ხოლო ის ლოგიკური შედეგები, რომელიც ვითომდა მას მოჰყვება, დაუსაბუთებელია. ამოსავალი პირობა, რომელიც პროტექციონიზმს ეროვნულ დონეზე ამართლებს, საშტატო დონეზეც უნდა ვრცელდებოდეს. ცოტა ხნით დავივინყოთ, რომ შტატების მიერ სხვა შტატებისთვის ტარიფების დანესება პოლიტიკურად შეუძლებელი იქნება აშშ-ის კონსტიტუციის გამო. ბოლოს და ბოლოს, ეს ILGWU-ს არათავისუფალი ვაჭრობის ეკონომიკური არგუმენტისთვის არარელევანტურია. თეორიულად, თითოეულ შტატს შეუძლია იმავე არგუმენტით გაამართლოს შეზღუდვის პოლიტიკა, რომლითაც მთელი ერი ხელმძღვანელობს. მაგალითად, მონტანას შტატს შეუძლია სხვა შტატებიდან იმპორტი იმ მიზეზით აკრძალოს, რომ ეს სამუშაო შეიძლება მონტანელებს შეესრულებინათ, თუმცა არ დასცალდათ. შედეგად, ვნახავდით კამპანიას „იყიდე მონტანური“, რომელიც ისეთივე ალოგიკური და უსაფუძვლოა, როგორიც ILGWU-ს „იყიდე ამერიკული“ კამპანია.

თუმცა მსჯელობა საშტატო დონეზე არ მთავრდება. იგივე ლოგიკა და გამართლება შეიძლება ქალაქებსაც მიესადაგოს. რას იტყვით, მონტანას შტატის ქალაქ ბილინგზში ბეისბოლის ხელთათმანების იმპორტის შესახებ? ამ ნივთის წარმოებას ბილინგზის მაცხოვრებელთათვის სამუშაო ადგილების შექმნა შეეძლო, თუმცა არ შეუქმნია. სანაცვლოდ, სამუშაო ადგილები სხვაგან, ვთქვათ, მონტანას შტატის ქალაქ რაუნდაფის მაცხოვრებლებისთვის შექმნა, სადაც აწარმოეს კიდევ ხელთათმანები. ქალაქ ბილინგზის მზრუნველი მთავრობა ILGWU-ს პოზიციას დაიჭერდა და „პატრიოტული შემართებით“ გამოაცხადებდა მორატორიუმს რაუნდაფელებს ანუ უცხოელ ეკონო-

მიკურ აგრესორებსა და საკუთარი ქალაქის მაცხოვრებელთა შორის ვაჭრობაზე. ამ ტარიფს, ისევე როგორც ქვეყნებს შორის სავაჭრო ტარიფებს, მოქალაქეთა სამუშაო ადგილების დაცვის მოტივით შემოიღებდნენ.

თუმცა არ არსებობს ლოგიკური მიზეზი, თუ რატომ უნდა შეჩერდეს ეს პროცესი ქალაქის დონეზე. ILGWU-ს თეზისი ლოგიკურად შეიძლება გავრცელდეს ბილინგზის უბნებზე ან ერთი უბნის ქუჩებზე. „იციდე თელის ქუჩის ნაწარმი“ ან „კმარა სამუშაო ადგილების ჩუქება ნეკერჩხლის ქუჩელებისთვის“ – ასეთ ფორმას მიიღებდა პროტექციონიზმი. ამის მსგავსად, თელის ქუჩის N20-ის მაცხოვრებლებს შეეძლებოდათ საკუთარი სამეზობლოს მობილიზება იმავე ქუჩის N10-ის მაცხოვრებლების წინააღმდეგ. ვერც იმას უარვყოფთ, რომ ეს ლოგიკა ინდივიდუალურ დონემდეც თავისუფლად გავრცელდება, ვინაიდან ცხადია, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც ინდივიდი რაიმეს შეიძენს, ის თმობს ამ პროდუქტის თავად წარმოების შანსს. ყოველ ჯერზე, როდესაც ფეხსაცმელს, შარვალს, ბეისბოლის ხელთათმანს ან დროშას ყიდულობს, ის ქმნის სამუშაო ადგილს ვიღაცისთვის და, შესაბამისად, ამავე შესაძლებლობას თავად არ იყენებს. გამოდის, რომ ILGWU-ს პროტექციონისტული არგუმენტის შინაგან ლოგიკას აბსოლუტური თვითკმარობის დაჟინებამდე მივყავართ, ანუ ტოტალურ ეკონომიკურ ინტერესამდე, რომ დავთმოთ ვაჭრობა ყველა ადამიანთან და საკუთარი კეთილდღეობისთვის აუცილებელი ყველა ნივთი თავად ვაწარმოოთ.

ცხადია, ეს ხედვა აბსურდულია. ცივილიზაციის მთელი არსი ადამიანთა შორის ურთიერთდახმარებას, თანამშრომლობასა და ვაჭრობას ეფუძნება. ყველანაირი ვაჭრობის შეწყვეტა, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს პროტექციონისტული პოზიციიდან, სისულელეა. თუ ეროვნულ დონეზე ვაჭრობის აკრძალვის არგუმენტი მისაღებია, არ არსებობს ლოგიკური არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა გაყვეს იმავე ლოგიკას ცალკეული შტატი, ქალაქი, უბანი, ქუჩა ან კვარტალი. ეს ჯაჭვი მხოლოდ ინდივიდთან ჩერდება, რადგან იგია უმცირესი შესაძლო ერთეული. დაშვებები, რომლებმაც ამ აბსურდულ დასკვნამდე მიგვიყვანეს, თავადაც აბსურდულია. შესაბამისად, ერთი შეხედვით, რაც არ უნდა დამაჯერებლად ჟღერდეს პროტექციონისტული არგუმენტი, სინამდვილეში, მცდარია.

საკუთრივ ამ შეცდომის მიზეზი თავისუფალი ვაჭრობის ბუნებისა და ფუნქციის მცდარი აღქმაა. ჩვენ გვჯერა, რომ ადამიანის ცხოველზე უპირატესობის დამტკიცებაში ვაჭრობა ჯობნის ცეცხლს, ბორბალსა და განზიდულ ცერა თითსაც კი, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრობა ხდის შრომის გადანაწილებასა და სპეციალიზაციას შესაძლებელს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი წელიწადში ასობით ათას განსხვავებულ ნივთს მოიხმარს. სპეციალიზაცია რომ არა, თითოეული ჩვენგანი იძულებული იქნებოდა ეს საგნები თავად ეწარმოებინა. ამ დავალების შესრულება შეუძლებელია. რეალურად, ხალხს საკუთარი სამყოფი საკვების წარმოების საშუალებაც კი არ ექნებოდა, მათთვის სასურველ სხვა ნივთებს სულაც რომ თავი დავანებოთ. საკვების ეფექტიანი წარმოება სხვა ბევრი რაღაცის წარმოებასაც გულისხმობს, კაპიტალური აღჭურვილობის ჩათვლით. შრომის ასეთი განაწილება თითოეულ ადამიანს ჩართავდა ყველა იმ საგნის წარმოებაში, რომელთა წარმოებაც ახლა დედამიწის მთელ მოსახლეობაზეა გადანაწილებული. მართალია, ცეცხლის, ბორბლისა თუ განზიდული ცერა თითის გარეშე კაცობრიობა ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა, თუმცა სპეციალიზაციის გარეშე შიმშილისა და სიკვდილის პირას ვიარსებებდით, რადგან ყველას მიერ, თუნდაც საკუთარი თავის გამოკვება, შეუძლებელი იქნებოდა.

სპეციალიზაციით თითოეულ პიროვნებას შეუძლია საკუთარი პროდუქტიული ძალისხმევა იმ სფეროებისკენ მიმართოს, რომლებშიც ის საუკეთესოა. თუმცა ამ სისტემის მთავარი ღერძი და გამაერთიანებელი ძალა ვაჭრობაა. ვაჭრობის გარეშე ხალხს გამოუყენებელი ჭიკარტების, ქაღალდის სამაგრებისა და ათასი უბედურების უზარმაზარი გროვებით ექნებოდა საწყობები გამოტენილი. ვაჭრობის შესაძლებლობის გარეშე გაქრებოდა სპეციალიზაციის სტიმული და შრომის გადანაწილება. ყველა იძულებული იქნებოდა თვითკმარობის სუიციდურ მდგომარეობაში გაყინულიყო.

2. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი პროტექციონისტულ არგუმენტზე უარის თქმისა ისაა, რომ ის არც კი ითვალისწინებს ექსპორტს. მართალია, ამ ქვეყანაში შემოტანილი თითოეული დროშა და ბეისბოლის ხელთათმანი ქვეყნის შიგნით დაკარგული სამუშაო ადგილის მაჩვენებელია, მაგრამ ის, რაც პროტექციონისტებს ასე

მოხერხებულად ავიწყდებათ ისაა, რომ იმპორტი აქრობს სამუშაო ადგილებს შიდა წარმოებაში, ექსპორტი კი — ქმნის.

მოდით, დავუშვათ, რომ ვერმონტისა და ფლორიდის შტატები თვითკმარნი არიან. სხვა პროდუქციასთან ერთად, ორივე აწარმოებს ნეკერჩხლის სიროფსა და ფორთოხალს. განსხვავებული კლიმატური პირობების გამო, ფლორიდაში ნეკერჩხლის სიროფი ცოტაა და ძვირია, ხოლო ვერმონტში ფორთოხალია ცოტა და ძვირი. ვერმონტული ფორთოხლები სათბურებში უნდა გაიზარდოს, ხოლო ფლორიდული ნეკერჩხლის სიროფი დიდ მაცივრებში გაზრდილი ნეკერჩხლის ხეებიდან უნდა იწარმოოს.

რა მოხდება, ამ ორ შტატს შორის უეცრად ვაჭრობა რომ ნებადართული გახდეს? ვერმონტი, ცხადია, დაიწყებს ფორთოხლების, ხოლო ფლორიდა — ნეკერჩხლის სიროფის იმპორტს. ILGWU ან რომელიმე სხვა პროტექციონისტული ჯგუფი რომ შეესწროს ამ ამბავს, სასწრაფოდ გვამცნობენ, რომ ფლორიდაში ნეკერჩხლის სიროფის იმპორტი ნეკერჩხლის ფლორიდულ, ისედაც მცირე ბიზნესს ანგრევს, ხოლო ვერმონტში ფორთოხლის იმპორტმა ანალოგიურად შეიწირა იქაური ფორთოხლის ინდუსტრია. პროტექციონისტები უგულებელყოფენ ფაქტს, რომ ვაჭრობის შედეგად ფლორიდაში ფორთოხლის, ხოლო ვერმონტში ნეკერჩხლის სიროფის ინდუსტრიებში სამუშაო ადგილები გაიზრდება. ისინი ჩვენს ყურადღებას მიიქცევენ იმპორტების გამო დაკარგულ სამუშაო ადგილებზე, თუმცა სრულად უგულებელყოფენ ექსპორტის გამო შექმნილ სამუშაო ადგილებს. რა თქმა უნდა, მართალია, რომ ვერმონტის ფორთოხლის ინდუსტრიასა და ფლორიდის ნეკერჩხლის სიროფის ინდუსტრიაში სამუშაო ადგილები დაიკარგება. თუმცა არანაკლებ მართალია, რომ ფლორიდის ფორთოხლის ინდუსტრიასა და ვერმონტის ნეკერჩხლის ინდუსტრიაში სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზრდება.

შესაძლოა, ჯამურად ორივე შტატის ამ ორ ინდუსტრიაში უფრო ნაკლები სამუშაო ადგილი დაგვჭირდეს იმიტომ, რომ ფლორიდაში ფორთოხლის გასაზრდელად უფრო ნაკლები მუშახელია საჭირო, ვიდრე ვერმონტში, ხოლო ვერმონტში ნეკერჩხლის სიროფის წარმოებას უფრო ნაკლები ადამიანი სჭირდება, ვიდრე ფლორიდაში. თუმცა ეს სულაც არაა ცუდი ეფექტი, პირიქით! ვაჭრობის ერთ-ერთი ხეირი სწორედ ესაა! ამ ინდუსტრიებიდან გათავისუფლებულ მუშებს აქვთ

შესაძლებლობა ისეთი საქმეებით დაკავდნენ, რომლებით დაკავების საშუალება აქამდე არც ჰქონიათ. მაგალითად, თანამედროვე ტრანსპორტირების სისტემა რომ არ არსებობდეს, ინდუსტრია დამოკიდებული იქნებოდა ზურგზე 100 ფუტიანი სიმძიმეებით დატვირთულ ადამიანებზე. ასობით და ათასობით ადამიანს მოუწევდა სხვა სფეროებიდან წამოსვლა სატრანსპორტო ინდუსტრიის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, ბევრი პროექტი და ინდუსტრია უპატრონოდ დარჩებოდა. თანამედროვე მეთოდებით მომუშავე სატრანსპორტო ინდუსტრიას ფუნქციონირებისთვის უფრო ნაკლები მუშახელი სჭირდება. გამოთავისუფლებული მუშები კი მზად არიან სხვა სფეროებში გადასასვლელად, საზოგადოების საკეთილდღეო ყველა შესაბამისი შედეგითურთ.

შემაჯამებელ ანალიზში, ვერმონტისა და ფლორიდის ნეკერჩხლის სიროფისა და ფორთოხლის ინდუსტრიებში უფრო ნაკლები სამუშაო ადგილი იქნება თუ არა, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დახარჯავს ხალხი საკუთარ ახლადმოპოვებულ შემოსავალს. ამ ორ ინდუსტრიაში ჯამური სამუშაო ადგილების რაოდენობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ შეიცვლება, თუ შტატებს შორის ვაჭრობის დანყების შემდეგ მოსახლეობა მთელს ახლადმოპოვებულ შემოსავალს მეტი ფორთოხლისა და ნეკერჩხლის სიროფის ყიდვაში დახარჯავს. ასეთ შემთხვევაში, მუშების იგივე რაოდენობა უფრო მეტი ფორთოხლისა და ნეკერჩხლის სიროფის წარმოებას დაიწყებს. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ხალხმა ახალი შემოსავლის მხოლოდ ნაწილი დახარჯოს ამ ორ პროდუქტში, ხოლო დანარჩენი – სხვა პროდუქტებში. ამ შემთხვევაში, ამ ორ სფეროში სამუშაო ადგილების რაოდენობა შემცირდება (იმის მიუხედავად, რომ მუშების შემცირებულ რაოდენობას უფრო მეტის წარმოება შეეძლება, ვიდრე აქამდე), მაგრამ სამუშაო ადგილების რაოდენობა იმ ინდუსტრიებში გაიზრდება, რომელთა პროდუქტებიც მომხმარებლებისთვის უფრო სასურველი გახდება ახალ რეალობაში.

მაშ ასე, თუ დიდ სურათს დავხედავთ, ერთმანეთთან ვაჭრობის გახსნით ორივე რეგიონი ხეირობს. იმის მიუხედავად, რომ იმპორტებით გამოძევებულ ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების რაოდენობა მცირდება, საექსპორტო ინდუსტრიებსა და ქარბი მუშახელის გამო შექმნილ ახალ ინდუსტრიებში სამუშაო ადგი-

ლების რაოდენობა იზრდება. თუმცა პროტექციონისტები სულ მტყუანებიც არ არიან. ვაჭრობა მართლაც შექმნის პრობლემებს ჩამოშლილ ინდუსტრიებში და ზოგიერთი მუშა მოკლე პერიოდით იზარალებს, მაგალითად, ფორთოხლის წარმოებაში სპეციალიზებული ვერმონტელ მუშახელზე და ნეკერჩხლის სიროფის წარმოებაში სპეციალიზებულ ფლორიდელ მუშახელზე მოთხოვნა აღარ იქნება. ამ ხალხისთვის სამუშაო სხვა ინდუსტრიებში გაჩნდება, მაგრამ, ვინაიდან მათ ამ სფეროებში გადასვლა დამწყებებად მოუწევთ, უფრო დაბალ ხელფასებს დასჯერდებიან. შესაძლოა, საფუძვლიანი გადამზადებაც კი დასჭირდეთ.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა: ვინ იხდის გადამზადების საფასურს და ვინ ზარალდება ახალ ინდუსტრიაში გაცემული დაბალი ხელფასებით? რა თქმა უნდა, პროტექციონისტები დაინყებენ ყვირილს, რომ ამ ყველაფერში ფული სახელმწიფომ ან კაპიტალისტებმა უნდა გადაიხადონ. თუმცა ეს უსამართლოა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ინდუსტრიაში გადასვლის გამო ხელფასის შემცირების ატანა მხოლოდ გამოცდილ მუშებს მოუწევთ. დანარჩენები ახალ ინდუსტრიაში იმ გამოცდილებით გადავლენ, რომლითაც ძველ სამსახურებში მუშაობდნენ. ნეკერჩხლის სიროფის საწარმოს იატაკის მონმენდის მაგივრად, მათ, შეიძლება, ტექსტილის საწარმოს იატაკის მონმენდა მოუწიოთ. მათთან შედარებით, გამოცდილ მუშებს სპეციფიკური უნარები აქვთ, რომლებიც ზოგ ინდუსტრიაში მეტად ფასობს, ვიდრე სხვებში. ეს უნარები ახალ ინდუსტრიაში იმდენადვე სასარგებლო ვერაა, შესაბამისად, იმდენივე ხელფასითაც ვერ ანაზღაურდება.

და მეორე, უნდა გავიაზროთ, რომ გამოცდილი მუშა კაპიტალისტივით ინვესტორია. კაპიტალისტი მატერიალურ საგნებში დებს ინვესტიციას, ხოლო მუშა – საკუთარ უნარებში. ყველა ინვესტორს ერთი რამ აქვს საერთო – მათი ინვესტიციების ამონაგები არასოდესაა გარანტირებული. რეალურად, რაც უფრო დიდია რისკი, მით უფრო მეტი შეიძლება იყოს ამონაგებიც. მოცემულ მაგალითში, ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ჰქონდათ ფორთოხლის ვერმონტელ და ნეკერჩხლის სიროფის ფლორიდელ სპეციალისტებს შტატებს შორის ვაჭრობის დაწყებამდე მაღალი ხელფასები, იყო ის რისკი, რომ ოდესმე შეიძლებოდა ასეთი ვაჭრობა გაჩაღებულიყო.

უნდა დავასუბსიდიროთ თუ არა გამქრალ ინდუსტრიაში მაღალანაზღაურებად სპეციალისტებად მომუშავე გამოცდილი მუშახელის გადამზადების ხარჯები ან აკლიმატიზაციის პერიოდში მათი სახელფასო დანაკლისი? თუ საკუთარ ხარჯებსა და ზარალზე პასუხისმგებლობა თავადვე უნდა აიღონ? ცხადია, ნებისმიერი სახის სუბსიდია იქნება მცდელობა, რომ გამოცდილ მუშას შეუნარჩუნდეს ცხოვრების სტანდარტი და თან არავითარი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს იმ რისკზე, რომლის გამოც სულ თავიდან მისი ცხოვრების სტანდარტის ასე ამალღება გახდა შესაძლებელი. მეტიც, მსგავსი სუბსიდია იმ აკრეფილი გადასახადებიდან გადაიხდება, რომელსაც ძირითადად ლარები იხდიან და გამოგვივა, რომ გამოუცდელი, ლარები მუშების ხარჯზე მდიდარი, გამოცდილი მუშების სუბსიდირებას დავაკანონებთ.

3. ახლა კი წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომელიც, ერთი შეხედვით, პროტექციონისტის ახდენილი კოშმარია – წარმოიდგინეთ, რომ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ნებისმიერი რაიმეს წარმოება ყველა სხვა ქვეყანაზე უკეთ და ეფექტიანად შეუძლია. დავუშვათ, იაპონიას (ILGWU-ს საფრთხობელა) ამერიკაზე ეფექტიანად შეუძლია არამხოლოდ დროშების, ბეისბოლის ხელთათმანების, რადიოების, ტელევიზორების, მანქანებისა და ფირსაკრავების, არამედ ყველაფრის წარმოება. მაშინ ხომ მაინც იქნება სამართლიანი ILGW-ს მოთხოვნა, რომ იაპონიასთან ვაჭრობა ძალის გამოყენებით შეეზღუდოთ?

პასუხია, რომ ორ ზრდასრულ ადამიანს შორის ნებაყოფლობითი ვაჭრობის აკრძალვა არასოდესაა სამართლიანი, ისევე, როგორც ზრდასრული ადამიანებისგან შემდგარ ქვეყნებს შორის ნებაყოფლობითი ვაჭრობის აკრძალვა, მითუმეტეს იმ არგუმენტით, რომ ეს ვაჭრობა ერთ-ერთ მათგანს დააზარალებს. რომელიმე მხარე ასეთი ვაჭრობით თავს დაზარალებულად რომ მიიჩნევდეს, ვაჭრობაზე უბრალოდ უარს იტყოდა, სულაც არაა აკრძალვა საჭირო. ხოლო თუ ვაჭრობაზე ორივე მხარე თანახმაა, გარე პირს აკრძალვის რა უფლება აქვს? აკრძალვა იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ ორივე ან თუნდაც ერთი მოვაჭრე მხარისთვის ზრდასრულობა დაგეწუნებინათ და ისე მოქცეოდით, თითქოს არასრულწლოვნები იყვნენ, რომელთაც პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების არც უფლება გააჩნიათ და არც შესაძლებლობა.

ამდენი მორალური არგუმენტის მიუხედავად, პროტექციონისტებს, სამყარო თავზე რომც დამხობოდათ, მაინც მოუნდებოდათ ვაჭრობის აკრძალვა. მაშ, მოდი, გავანალიზოთ სიტუაცია, რომელიც შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის შეიქმნებოდა ზემოთ აღწერილ „კომმარულ“ პირობებში. ვთქვათ, იაპონიამ შეერთებულ შტატებში ექსპორტზე გაიტანა საკუთარი სერვისები და პროდუქცია, ხოლო იმპორტზე სრულად თქვა უარი. ეს იაპონიის ეკონომიკას ააყვავებს, ხოლო ამერიკულს – დეპრესიაში ჩააგდებს. საბოლოოდ, როდესაც იაპონია ჩვენს ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, იაპონური იმპორტის დასაბალანსებელი ექსპორტი აღარ იარსებებს და ამერიკული ინდუსტრია კაპიტალურად გაჩერდება. უმუშევრობის დონე ეპიდემიურ დონემდე გაიზრდება და მთლიანად იაპონიაზე დამოკიდებულები გავხდებით.

ეს წარმოსახვითი სცენარი შეიძლება აბსურდულად მოგეჩვენოთ, მაგრამ შეერთებულ შტატებში პროტექციონიზმის ისტორია და ILGWU-ს კამპანიის წარმატება მიგვანიშნებს, რომ ასეთი „კომმარები“ უფრო ფასობს, ვიდრე წარმოგიდგენიათ. შესაძლოა, ეს საშინელი სიზმარი იმიტომ დომინირებს ადამიანების წარმოსახვაში, რომ უფრო მარტივია მისი წარმოდგენისას შიშისგან მოიკუნტო, ვიდრე ცივი გონებით გაიაზრო საფრთხის რეალურობა.

თუ ამ „კომმარის“ გააზრებას ვცდით, გაგვიჩნდება შეკითხვა – ამერიკელები იაპონიისგან ამ ყველაფერს რით იყიდიან? ისინი ოქროს (ან ნებისმიერ სხვა ძვირფას მეტალს) ვერ გამოიყენებენ, ვინაიდან ოქრო თავისთავადაც რესურსია. ამერიკელები იმპორტირებული პროდუქციის საფასურს ოქროთი რომ იხდიდნენ, ეს რეალურად ოქროს ექსპორტი გამოვიდოდა. ეს დააბალანსებდა სამუშაო ადგილების იაპონური იმპორტით გამოწვეულ გაქრობას და ისევ თავდაპირველ სიტუაციას დავუბრუნდებოდით. ამერიკელებს შესაძლოა რადიოებსა და ტელევიზიებში ვეღარ ემუშავათ, მაგრამ ოქროს მოპოვების ინდუსტრიაში ემუშავთ სამსახურები. ამერიკის ეკონომიკა სამხრეთ აფრიკის ეკონომიკას დაემსგავსებოდა, რომელიც იმპორტირებული დოვლათის საფასურს ძირითადად ოქროს ექსპორტით იხდის.

თუ ექსპორტი და ოქრო გამოირიცხა, გამოდის, იმპორტის საფასურის გადახდის ერთადერთი დარჩენილი გზა ამერიკული დოლარით

გადახდა იქნებოდა. თუმცა რაში უნდა გამოიყენონ იაპონელებმა დოლარი? სამი ვარიანტია: შეუძლიათ ჩვენი ექსპორტის საფასურად უკან დაგვიბრუნონ; შეუძლიათ დაიტოვონ; ან შეუძლიათ სხვა ქვეყნებს გადაუხადონ მათ ნაწარმოებ პროდუქციაში. უკანასკნელი ალტერნატივა რომ აერჩიათ, იმ სხვა ქვეყნებს იგივე სამი ვარიანტი ექნებოდათ: ფულის შტატებში დახარჯვა; შეგროვება; ან სხვა ქვეყანაში დახარჯვა. სავაჭრო ჯაჭვის ყოველ შემდეგ ქვეყანაშიც ასევე გაგრძელდება. სამყაროს თუ ორ ნაწილად – აშშ-ად და ყველა სხვა ქვეყნად – გავყოფთ, დავინახავთ, რომ ეს სამი ვარიანტი ორამდე მცირდება: ქვეყნის გარეთ გაგზავნილი ფული ან უკან გვიბრუნდება, ჩვენ მიერ ნაწარმოები პროდუქციის საყიდლად, ან საერთოდ არ ბრუნდება.

დავუშვათ, „უარესი“ ვარიანტი მოხდა – დოლარები საერთოდ არ დაგვიბრუნეს უკან, რათა ჩვენი ექსპორტი არ ნახალისდეს. პროტექციონისტთა პანიკის მიუხედავად, ეს სულაც არ იქნება ტრაგედია, პირიქით, აშკარად ღვთის მიერ ბოძებული სასწაული იქნება! ქვეყნის გარეთ გაგზავნილი ქალაქის დოლარები მყისიერად გადაიქცევა იმად, რასაც ის სინამდვილეში წარმოადგენს – უბრალოდ, უფასურ ქალაქად. წარმოიდგინეთ, ბევრი ქალაქის „დახარჯვაც“ კი არ მოგვიწევს. ახალ დოლარებს დავბეჭდავთ და ნომინალებს უბრალოდ რამდენიმე ნულს მივანერთ ბოლოში. ანუ ILGWU-ს ამ კომმარში, იაპონია საკუთარი ინდუსტრიების ნაწარმს გამოგვიგზავნის, ჩვენ კი სანაცვლოდ მხოლოდ მწვანე ქალაქს გავუგზავნით, რომელზეც ბევრი ნული იქნება დაბეჭდილი. ეს ჩუქების უთვალსაჩინოესი მაგალითია. უცხოელების მიერ ჩვენთან ფულის განაღდებაზე უარის თქმა, შეერთებული შტატებისთვის უდიდესი საჩუქარია. ჩვენ ყველანაირ პროდუქტს მივიღებთ, ისინი კი – უფასურ ქალაქს!

ILGWU-ს ფანატიკოსებისა და სხვა პროტექციონისტული ჯგუფების ფანტაზიისგან განსხვავებით, ძვირფასი საჩუქრების ადრესატებს ქვეყანა თავზე არ ენგრევათ ხოლმე. ისრაელი წლების განმავლობაში იღებდა რეპარაციებს გერმანიისგან და საჩუქრებს შეერთებული შტატებისგან და ამას არავითარი დამანგრეველი შედეგი არ მოჰყოლია ისრაელისთვის. მიმღებ ქვეყანას არ მოუწევს საკუთარი წარმოების შეჩერება. ცხადია, რომ ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის სურვილები უსასრულოა. იაპონიამ აშშ-ის ყველა მოქალაქეს

ტოიოტას მარკის მანქანა რომც აჩუქოს, მალე მათ ორი, სამი ან უფრო მეტი ტოიოტა მოუნდებათ. ცხადია, იაპონელებისთვის (ან ნებისმიერი სხვისთვის) სულაც არაა ხელსაყრელი, რომ თავი ამერიკელი ხალხის ყველა სურვილის უსასყიდლოდ დაკმაყოფილებას შესწირონ. თუმცა ამ შეუძლებელ მისიას მართლა თუ გაართმევნ იაპონელები თავს, მხოლოდ ამ შემთხვევაში დაინგრევა აშშ-ის შიდა წარმოება. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ამერიკელს ექნება ყველაფერი, რაც კი ოდესმე უნატრია.

მაგრამ, სიტუაციის ასეთ ჰიპოთეზურ განვითარებაში, შიდა ინდუსტრიის აღსასრული მწუხარების კი არა, აღტაცების საგანი უნდა იყოს. შეერთებული შტატების მაცხოვრებლები ყველანაირ წარმოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყვეტდნენ, თუ მათი აღქმით, საკმარისი დოვლათი ექნებოდათ აწმყოშიც და სამომავლოდაც. უტოპიასთან მიახლოებულ ასეთ სიტუაციას ამერიკელები წუხილის ნაცვლად გაშლილი ხელებით შეხვდებოდნენ.

რა თქმა უნდა, რეალობაში, იაპონელები, და არა მარტო იაპონელები, ჩვენ მიერ მათი პროდუქტების სანაცვლოდ გადახდილი დოლარების მორჩილად შეგროვებაზე არ დათანხმდებიან. როგორც კი მათი დოლარის ანგარიშები გარკვეულ დონეს ასცდება, ისინი ჩვენს ქაღალდებს უკან დაგვიბრუნებენ და ამით შეერთებული შტატების საექსპორტო წარმოებას წაახალისებენ. მათ შეიძლება ამერიკული პროდუქტები იყიდონ და ამით პირდაპირი სტიმული მისცენ ჩვენს ექსპორტს ან შეიძლება დოლარების სანაცვლოდ ოქრო მოითხოვონ („თავს დაესხან“ დოლარს). ეს აუცილებლად გამოიწვევს გაუფასურებას და, თავის მხრივ, მსოფლიო ბაზარზე ამერიკულ ექსპორტს უფრო კონკურენტულს გახდის. ნებისმიერ შემთხვევაში, დოლარები უკან, შეერთებულ შტატებში, დაბრუნდება და ჩვენს საექსპორტო ინდუსტრიებს სტიმული მიეცემათ. იმპორტის გამო შემცირებული სამუშაო ადგილების რაოდენობას სხვა სფეროში გაჩენილი სამუშაო ადგილები დააბალანსებს ისევე, როგორც ვერმონტ-ფლორიდის შემთხვევაში ვიხილეთ.

რატომ ივაჭრებდა იაპონია ისეთ ქვეყანასთან, რომლის წარმოებაც იაპონურზე არაეფექტიანია? იმ სხვაობის გამო, რაც „აბსოლუტურ უპირატესობასა“ და „შედარებით უპირატესობას“ შორის არსებობს. ორ მხარეს შორის ვაჭრობა (იქნება ეს ქვეყნები, შტატები, ქალაქები,

უბნები, ქუჩები თუ პიროვნებები) არა მათი წარმოების აბსოლუტური უნარის, არამედ მათი წარმოების შედარებითი უნარის გამო ხდება. ვცადოთ ეს რთული წინადადება მაგალითით ავხსნათ. წარმოიდგინეთ ქალაქის საუკეთესო ადვოკატი, რომელიც ამავე დროს ქალაქში საუკეთესო მბეჭდავია. საკუთარ მდივანთან შედარებით, ამ პიროვნებას აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია როგორც საადვოკატო, ისე საბეჭდო მომსახურებების მხრივ. ამის მიუხედავად, ადვოკატი ირჩევს სპეციალიზდეს იმ პროფესიაში, რომელშიც მას შედარებითი უპირატესობა გააჩნია, ანუ სამართალში. დაუშვით, რომ ის საკუთარ მდივანს ადვოკატობაში 100-ჯერ ჯობია, ხოლო ბეჭდვაში – მხოლოდ 2-ჯერ. მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იქნება, თუ ადვოკატობას გააგრძელებს, ხოლო მბეჭდავს დაიქირავენ (ივაჭრებს მბეჭდავთან). მდივანს შედარებითი უპირატესობა ბეჭდვაში აქვს: დამქირაველთან შედარებით მისი ეფექტიანობა სამართალში მხოლოდ 1%-ია, თუმცა ბეჭდვაში დამსაქმებელი მასზე მხოლოდ 2-ჯერ უკეთესია. მდივანს ფულის გამოუმუშავება ვაჭრობით შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ დამქირაველს ორივე სფეროში ჩამორჩება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ იაპონიას ყველა პროდუქტის წარმოებაში აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია. თუმცა როდესაც ჩვენი პროდუქტების სანაცვლოდ იაპონელები ჩვენსავე დოლარებს გვიბრუნებენ, ამერიკა ისეთი საქონლის ექსპორტს დაიწყებს, რომლის წარმოებაშიც შედარებითი უპირატესობა გააჩნია. თუ იაპონელებთან შედარებით ნახევრად მაგრები ხორბლის წარმოებაში ვიქნებით, მაგრამ რადიოების წარმოებაში მხოლოდ მეოთხედით მაგრები, მაშინ რადიოების იმპორტის სანაცვლოდ ხორბლის ექსპორტს დავინწყებთ და ამით ყველა მოგებული დარჩება.

შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს როგორ სიტუაციას დავხატავთ – ყველა პროტექციონისტული მტკიცება უკიდურეს შემთხვევებშიც კი არაადეკვატურია, მაგრამ იმის გამო, რომ იმპორტიორის ხატს ემოციური დატვირთვაც აქვს, მას დიდი ხანია გაუტეხეს სახელი. არადა, ჩვენთვის აგრერიგად სასარგებლო სფეროში ასე დაუჩინებთ მომუშავე იმპორტიორებს, როგორც სიკეთის დიად და უნებლიე შემოქმედებს, სათანადო პატივით უნდა ვვპყრობოდეთ.



24.

შუამავალი

ამბობენ, შუამავლები ექსპლუატატორები არიანო. ყველა სხვა სახის ვაჭართან შედარებით, რომლებიც რაიმე სერვისს მაინც ქმნიან, შუამავლები „სრულიად არაპროდუქტიულებად“ არიან მიჩნეულნი. ის ვილაც სხვის მიერ გაკეთებულ პროდუქტს ყიდულობს, უფრო მაღალ ფასად ყიდის და მთელ ამ პროცესში მისი წვლილი მხოლოდ მომხმარებლისთვის ფასის მომატებაა. შუამავალი რომ არა, პროდუქტები და სერვისები უფრო იაფი ეღირება, ხარისხის ან რაოდენობის შემცირების გარეშე.

იმის მიუხედავად, რომ ეს მოსაზრება პოპულარული და ფართოდ გავრცელებულია, ის მაინც მცდარია და შუამავლის ეკონომიკური ფუნქციის გასაოცარ უცოდინარობას აჩვენებს, რომელიც მნიშვნელოვან სერვისს აწარმოებს. ისინი რომ არ არსებობდნენ, წარმოების მთელი წესრიგი ჩამოიშლებოდა. ის პროდუქტები და

მომსახურებები, რომელიც ამ მასშტაბის ეკონომიკურ კატასტროფას გადაურჩებოდა, დეფიციტში იქნებოდა, ხოლო მათი ფასი საშინლად გაიზრდებოდა.

რაიმე საქონლის წარმოების პროცესი შედგება ნედლეულის მოპოვებისა და დამუშავებისგან. მანქანა-დანადგარები და წარმოებაში გამოყენებული სხვა ფაქტორები უნდა მოძიებულ იქნას, გაიმართოს, გარემონტდეს და ა.შ. საბოლოო პროდუქტი უნდა დაიზღვეს, გადაიზიდოს და აღირიცხოს. შემდეგ უნდა მოხდეს მისი რეკლამირება და გაიყიდოს. გამართული უნდა იყოს აღრიცხვა, იურიდიული და ფინანსური მხარეები.

ჩვეულებრივი საქონლის წარმოება და მოხმარება ასე შეგვიძლია აესახოთ:

No. 10

9

8

7

6

5

4

3

2

1

ნომერი 10 ჩვენი საქონლის წარმოების პირველ ეტაპს ასახავს, ნომერი 1 კი ბოლოს, რომელშიც საქონელი უკვე მომხმარებლის ხელშია. 2-9 ნომრები წარმოების შუა ფაზებია. თითოეულ ამ ნომერში განსახორციელებელ სამუშაოს კი შუამავალი უმკლავდება. მაგალითად, მე-4 ნომერი შეიძლება იყოს ედვერთაიზერი, ბითუმად გამოყიდველი, საცალოდ გამყიდველი, აგენტი, ფინანსისტი, ამწყობი ან გადამტანი. კონკრეტულ ფუნქციასა თუ ტიტულს მნიშვნელობა არ აქვს, შუამავალი პროდუქციას ნომერ 5-სგან ყიდულობს და ნომერ 3-ზე ყიდის. არ აქვს მნიშვნელობა, ვიცით თუ არა რას აკეთებს კონკრეტულად ეს შუამავალი. ცხადზე ცხადია, რომ ამ პროცესში იგი მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს და ეფექტიანად გვემსახურება.

მე-4 სერვისი რომ უსარგებლო იყოს, სავაჭრო ჯაჭვიდან ამო-

ვარდებოდა და მე-3 ნომერი საქონელს პირდაპირ და უფრო იაფად მე-5 ნომრისგან შეიძენდა. მე-4 ნომერი ღირებულ საქმეს რომ არ ასრულებდეს, მე-3 ნომერი „შუაკაცს ამოაკლებდა“ და პროდუქტს პირდაპირ მე-5 ნომრისგან იყიდდა.

შესაბამისად, ცხადია, მე-4 ნომერი საქმეს ეფექტიანად აკეთებს – მინიმუმ იმაზე ეფექტიანად, ვიდრე მე-3 ნომერი თავად შეასრულებდა. ასე რომ არ იყოს, მე-3 ნომერი ისევ „ამოაგდებდა“ მე-4 ნომერ შუაკაცს საწარმოო პროცესიდან და საქმეს თავად შეასრულებდა.

ასევე ფაქტია, რომ, მიუხედავად მე-4 ნომრის მიერ საკუთარი ფუნქციის ეფექტიანად შესრულებისა, ის საკუთარი გარჯის სანაცვლოდ ჭარბ ფასს არ აწესებს. ასე რომ არ იყოს, მე-3 ნომერი ეცდებოდა მისთვის გვერდი აეღო და საქმე ან თავად გაეკეთებინა, ან სხვა შუამავლისთვის გადაებარებინა. მეტიც, მე-4 ნომერი უფრო მეტ სარგებელს რომ ნახულობდეს, ვიდრე წარმოების სხვა ეტაპებზე იშოვება, ამ სხვა ნაკლებშემოსავლიანი ეტაპების საქმოსნები მე-4 ეტაპზე გადმოინაცვლებდნენ და ამით სარგებლის განაკვეთს მათ დაუზღუდად იქამდე შეამცირებდნენ, სანამ სხვა ეტაპების მოგებას არ დაუახლოვდებოდა (მოცემული რისკითა და ცვალებადობით).


მე-4 შუამავალი კანონის ძალით რომ ამოიკვეთოს, მის საქმიანობას ან მე-3, მე-5 და სხვა ნომრები გადაიბარებდნენ, ან სულაც არ შეასრულებდნენ. თუ საქმეს მე-3 ან მე-5 ნომრები გადაიბარებდნენ, წარმოების ღირებულება გაიზრდებოდა. ის ფაქტი, რომ ისინი აკრძალვამდე მე-4 ნომერთან თანამშრომლობდნენ, გვიჩვენებს, რომ ისინი ამ საქმეს კარგად ვერ უმკლავდებოდნენ – ანუ ვერ ახერხებდნენ, რომ ეს საქმე იგივე ან უფრო ნაკლები ფასი დასჯდომოდათ. ხოლო თუ მე-4 ეტაპი სრულად აღმოიფხვრება და მის ფუნქციას არავინ გადაიბარებს, წარმოების მთელი პროცესი სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

აუცილებლად იარსებებს მკითხველი, ვისაც ეს ჩვენი ანალიზი „არ ეყო“ და ჯერაც ფიქრობს, რომ შუამავლის გარეშე ვაჭრობა რაღაც უფრო „წმინდა“ და „პირდაპირია“. იქნებ ეს წარმოდგენა ქვემოთ მოყვანილი, ეკონომისტების მიერ „სურვილთა ორმხრივი დამთხვევის“ პრობლემად შერაცხილი მაგალითით შევცვალოთ.


წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც მწნილის კასრი აქვს და უნდა ეს კასრი ქათამში გაცვალოს. მან უნდა იპოვოს ვინმე, ვისაც

1) ჰყავს ქათამი, 2) უნდა მწნილი და 3) იმდენად უნდა მწნილი, რომ მზადაა ქათამში გაცვალოს. წარმოიდგინეთ, რამდენი დამთხვევა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ ამ ადამიანთაგან თითოეულის წადილი ახდეს. მსგავსი „სურვილთა ორმხრივი დამთხვევა“ იმდენად იშვიათია, რომ, რეალურად, ორივე პიროვნება ბუნებრივად დაიწყებს შუამავლის ძიებას, თუ ამაში ხელს არ შეეშლით. მაგალითად, ქათმის მოსურნე მწნილის პატრონი მის კასრს შუამავალს მიჰყიდის უფრო მარტივად სავაჭრო საქონლის (ოქროს) სანაცვლოდ, ხოლო ამ ოქროთი ქათამს იყიდის. ასე თუ მოიქცევა, მწნილის მოყვარული ქათმის პატრონის პოვნა აღარ დასჭირდება. ქათამს ნებისმიერი გამყიდველისგან იყიდის იმის მიუხედავად, ამ უკანასკნელს მწნილი უყვარს თუ არა. ცხადია, რომ შუამავლის გამოჩენით ვაჭრობა გაცილებით მარტივდება. მისი მეშვეობით სურვილთა ორმაგი დამთხვევა სავალდებულო აღარაა. მომხმარებლებზე მონადირე კი არაა, შუამავალი ის კეთილისმყოფელია, რომელიც ხშირად მომხმარებლის სასურველ ვაჭრობას რეალობად აქცევს.

შუამავლებზე განხორციელებული ზოგიერთი იერიში იმ არგუმენტებს ეფუძნება, რომლებიც ქვემოთ, დიაგრამებზეა ასახული. ძველ დროში, რომელიც 1-ლი დიაგრამითაა ნაჩვენები, პროდუქციის ფასი, ისევე როგორც შუამავლის მოგება დაბალი იყო.



დიაგრამა 1



დიაგრამა 2

შემდეგ (მე-2 დიაგრამა), პროდუქტის საბოლოო ფასში შუამავლის წილი გაიზარდა, ასევე როგორც საქონლის ფასი. მსგავსი მაგალითები, 1973 წლის გაზაფხულზე ხორცის ფასის ზრდაში შუამავ-

ლის დასადასაშაულებლად გამოიყენებოდა. თუმცა ეს დიაგრამები მხოლოდ ამის საპირისპიროს ამტკიცებს. შუამავლის მიერ მიღებული წილი შეიძლება გაზრდილიყო, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ შუამავლის მიერ განეული საქმის მოცულობაც გაიზარდა. გაზრდილი წილი გაზრდილი წვლილის გარეშე, მხოლოდ ამონაგებს გაზრდიდა და სფეროში ახალ მენარმეებს მოიზიდავდა. მათი ამ სფეროში შემოსვლა კი კონკურენციას გაზრდიდა და მოგებას შეამცირებდა. ანუ, თუ შუამავლის მიერ მიღებული წილი იზრდება, ეს მისი პროდუქტიულობის დამსახურება უნდა იყოს.

ამ ფენომენის მაგალითებს ბიზნეს ეკონომიკის ისტორია უხვად იცნობს. ვინ უარყოფს, რომ მაღაზიებსა და სუპერმარკეტებს უფრო დიდი როლი აქვთ (და ბაზრის უფრო დიდ წილსაც იღებენ), ვიდრე ძველი დროის შუამავალს? თუმცა მაღაზიებისა და სუპერმარკეტების არსებობის შედეგად მეტ ეფექტიანობასა და ნაკლებ ფასებს ვიღებთ. საცალო გაყიდვის ახალი მოდელები წარმოების შუამავალ ეტაპებზე დამატებით ხარჯებს აჩენენ, თუმცა ეფექტიანობის ზრდას შემცირებული ფასები მოჰყვება ხოლმე.

ამხელა აღმოჩენა დაუშვებელია,
მიუხედავად თქვენი დანახარჯებისა!

ეს ზედმოჩენაა!



25.

მოგების მაქიუბელი

ყველაფერი, რაც მოგებას უკავშირდება, სულ რომ თავდასხმის ობიექტია, გასაგებია. გაუგებარი მხოლოდ ამ თავდასხმის მიზეზებია.

თავდასხმის რამდენიმე განსხვავებული სტილი შეიძლება გამოირჩეს. ყველაზე ხშირად გაიგონებთ პრეტენზიას, რომ მოგება, შემოსავლის სხვა წყაროებისგან (ხელფასი, ქირა, ანაბრის პროცენტი) განსხვავებით, დაუმსახურებელია. მიიჩნევა, რომ მოგება დაუმსახურებელია, რადგან მას პატიოსანი შრომა ან დახარჯული ძალისხმევა არ უკავშირდება. ის პროცესი, რომლითაც ვაჭრები სარგებელს იძენენ, ხალხის უმეტესობას არ ესმის და ბუნებრივად ასკვნის, რომ რაღაც ეშმაკობას უნდა ჰქონდეს ადგილი „თუ შემოსავლისთვის მუშაობა არ გინევს, სარგებლის ნახვა უსამართლოა“, ამბობენ.

მოგებისა და, განსაკუთრებით, გადამყიდველების (სარგებლის უმიზეზოდ მიმღებების) წინააღმდეგ ხშირად მოისმენთ არგუმენტს,

რომ მსგავსი სარგებელი დანარჩენი კაცობრიობის გაღატაკებას იწვევს. ამ არგუმენტის საფუძველი ისაა, რომ თითქოს დოვლათის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა არსებობს და რაც უფრო დიდი წილი შეხვდებათ ვაჭრებს, მით უფრო ცოტა დარჩება ყველა დანარჩენს. შესაბამისად, გადამყიდველების მიერ მიღებული სარგებელი არამხოლოდ „დაუმსახურებელია“ (იმიტომ, რომ „გამოუმუშავებელია“), არამედ მთელი დანარჩენი საზოგადოებისთვის საზიანოცაა, რადგან ამ უკანასკნელებისთვის ხელმისაწვდომი დოვლათის წილს ამცირებს.

ზოგი უფრო შორს მიდის და იმასაც გაიძახის, რომ მოგება სხვათა უმწეობის ბოროტად გამოყენების შედეგია. ეს მოგების კრიტიკის მესამე ვარიანტია და ასახულია პოპულარულ გესლიან გამონათქვამში, რომ გადამყიდველები საკუთარ შემოსავალს „სხვების კისერზე“ შოულობენ. გადამყიდველობის კრიტიკოსების მძვინვარება პიკს აღწევს, როდესაც „მსხვერპლის უმწეობა“ მის მიერ რაიმე ინფორმაციის არცოდნაში გამოიხატება, მაგალითად, როდესაც მომხმარებელმა არ იცის, რომ მის მიერ შეძენილი პროდუქტი სადმე სხვაგან უფრო იაფად იყიდება და ვაჭარს მოგება მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის უცოდინარობის გამო რჩება. რაც უფრო ღარიბია მომხმარებელი, მით უფრო მეტი კრიტიკა ისმის გამდიდრებული ვაჭრუკანას მისამართით.

შემოსავლის მიღების იდეისა და პრაქტიკის დამცველები ეფექტიანობით დიდად ვერ დაიკვებნენ. წარსულში მათი მცდელობა მხოლოდ რამდენიმე ფაქტის აღნიშვნით შემოიფარგლებოდა ხოლმე. ისინი ცდილობდნენ ხაზი გაესვათ, რომ: (1) მოგების ნახვა პატრიოტულია და მასზე იერიში არაამერიკული ან, შესაძლოა, კომუნისტურიც კი იყოს; (2) მოგების მარჯა არც თუ ისე დიდია და (3) ეს დაგროვილი მოგება ხშირად ქველმოქმედებაში მიდის. დაგვეთანხმეთ, რომ ეს არგუმენტები დიდი ვერაფერი დაცვაა. თანამედროვე ეკონომიკაში სარგებლის ნახვის ფუნქცია და გადამყიდველების უძველესი, პატივსაცემი პროფესია უკეთ უნდა გავიაზროთ და მათ ეფექტიან დაცვაში მეტი ძალისხმევა ჩავდეთ.

დავინყოთ იქიდან, რომ მოგებას ის მენარმეები ნახულობენ, რომლებიც, სხვა ადამიანებისგან განსხვავებით, უხილავ შესაძლებლობებს ხედავენ და იყენებენ. მენარმეს მიერ გამოყენებული შესაძლებლობა შეიძლება შემთხვევების მიხედვით განსხვავდებოდეს,

მაგრამ ყველა შემთხვევაში ისინი ხალხს ისეთ ვაჭრობას სთავაზობენ, რომელშიც საკუთარ უპირატესობას ხედავენ და რომ არა ისინი, ვაჭრობა საერთოდ არ შედგებოდა. ყველაზე ჩვეულებრივ შემთხვევაში, ვაჭარი ფასებს შორის სხვაობას ხედავს – ვთქვათ, ნიუ-ჯერსიში ერთი ქილა მარწყვის ფასი 25 ცენტია, ხოლო ნიუ-იორკში – 45 ცენტი. თუ მარწყვის გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები (ტრანსპორტირება, დაზღვევა, შენახვა, კონტეინერის სიმყიდვე, ვარგისიანობა და ა. შ.) ქილების ფასებს შორის 20 ცენტთან სხვაობაზე ნაკლებია, მოხერხებული მენარმე ორ სავაჭრო პოზიციას დაინახავს. მას შეუძლია ნიუ-ჯერსელ მარწყვის გამყიდველებს ქილა მარწყვში სტანდარტულ 25 ცენტზე ოდნავ მაღალი ფასი შესთავაზოს და შემდეგ ნიუ-იორკელებისთვის ქილა მარწყვის საბაზრო ფასზე, 45 ცენტზე, იაფად მიყიდვას სცადოს. თუ მომხმარებელს იპოვის, ყველას ახეირებს – ვისგანაც მარწყვი იყიდა, მათ საბაზროზე მაღალი ფასის შეთავაზებით, ხოლო ვისაც მარწყვს მიჰყიდის – საბაზროზე დაბალი ფასის შეთავაზებით.

ფასის სივრცითი სხვაობის გარდა, ფასის დროითი სხვაობაც არსებობს. ანუ როდესაც ახლანდელსა და მომავალ პროდუქტებს შორის ფასის სხვაობა განიჭვრიტება. მაგალითად ფრისბი აიღეთ. გაითვალისწინეთ მისი წარმოების ყველა ფაქტორი – მიწა, შრომა და კაპიტალი – რომელიც საბოლოოდ გასაყიდ ფრისბიშია განსხვავებული. წარმოების ფაქტორებიც, თავის მხრივ, ერთგვარი პროდუქტები არიან და, შესაბამისად, მათაც გარკვეული ფასი აქვთ. იმ დროის გათვალისწინებით, რაც ამ ფაქტორებს დასჭირდება საბოლოო პროდუქტად განსხვავებაში, სამი შესაძლებლობა იჩენს თავს: (1) ფაქტორების ჯამურ ფასსა და მომავალი საქონლის ფასს შორის სხვაობა არ არსებობს; (2) სხვაობა არსებობს და ფაქტორების ფასი საბოლოო პროდუქტის ფასზე მაღალია და (3) სხვაობა არსებობს და ფაქტორების ფასი საბოლოო პროდუქტის ფასზე დაბალია.

თუ ფასთა შორის სხვაობა არ არსებობს, წარმატებული მენარმე არაფერს მოიმოქმედებს. თუმცა თუ ფაქტორების ფასი შედარებით მაღალია, მენარმე წარმოებიდან გავა. შედარებით ღირებული რესურსების ისეთი საბოლოო პროდუქტის კეთებაში ხარჯვა, რომელიც შედარებით უფასური იქნება, ფუჭია. მენარმემ შეიძლება მსგავსი წამგებიანი წარმოებით დაკავებული კომპანიების აქციები

გაყიდოს. ან თუ აქციებს არ ფლობს, შეუძლია ასეთ კომპანიებთან დადოს კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ამ აქციებს მომავალში ახლანდელი მაღალი ფასით მიჰყიდის (ახლანდელი ფასი ფრისბის წარმოების შეცდომას ჯერ თავისთავად არ ასახავს. შეცდომა ისაა, რომ გამოყენებული რესურსები უფრო ღირებულია, ვიდრე მომავალში თავად ფრისბი იქნება). მენარმეს შეუძლია ამ ღირებულების დაფარვა მომავალში, წარმოების გაუმართაობის გამო, იმავე რაოდენობის აქციების იაფად ყიდვით. „მოკლე გაყიდვად“ (Short position) მოხსენიებული ეს პროცესი ბევრს აბნევს. ხალხს უკვირს, როგორაა შესაძლებელი მომავალში გაყიდო ის, რასაც არ ფლობ, თანაც დღევანდელ ფასად. განა სიმართლე არაა, რომ რასაც არ ფლობ, იმას ვერც გაყიდი. თუმცა სრულიად შესაძლებელია მომავალში ისეთი რაღაცის გაყიდვის შეპირება, რომელსაც ჯერ არ ფლობ. მომავალში ყიდვა ყოველთვის შეგეძლება და ყიდვის კონტრაქტის შესასრულებლად შეგიძლია, მომავალში ნაყიდი აქციები კომპანიას უკანვე მიჰყიდო და პირობაც შეასრულო. ამ კონცეფციის გაგების გადასამოწმებლად შეგვიძლია ვიკითხოთ, თუ ვინ არის თანახმა, რომ მომავალში აქციები იყიდოს, ოღონდ დღევანდელ ფასად; ალბათ, მხოლოდ ის ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ მომავალში ფასები უფრო გაიზრდება, თუმცა საკუთარი ფულის ინვესტირება ჯერ არ სურთ.

მეორე მხრივ, თუ მენარმე ფიქრობს, რომ საბოლოო პროდუქტის ფასი წარმოების ყველა ფაქტორის ჯამურ ფასზე მეტი იქნება, შეუძლია საპირისპიროც გააკეთოს – თავად აწარმოოს ფრისბი და/ან ინვესტიცია ჩადოს ასეთი წარმოების კომპანიებში.

მესამე სახის უხილავი შესაძლებლობა, რომლის გამოყენებაც მენარმეს შეუძლია, ფასთა არც სივრცულ და არც დროით სხვაობებს არ გულისხმობს. ამ სახის შესაძლებლობა ისეთ პროდუქტებს მოიაზრებს, რომლებიც ჯერ არ უწარმოებიათ და, შესაბამისად, ჯერ ფასიც არ აქვთ. ამ შესაძლებლობის უკეთ წარმოსადგენად, დაფიქრდით ფრისბიზე, სანამ მის წარმოებას დაიწყებდნენ ან სანამ მოიგონებდნენ. იმ დროს არ არსებობდა გარანტია, რომ საზოგადოება ამ ახალ პროდუქტს მიიღებდა. ასეთ შემთხვევებში, მენარმე გუმანით ხვდება, ფიქრობს ან გული უგრძნობს, რომ არსებობს რაღაც, რისი უქონლობაც სხვებისთვის ჯერ თვალსაჩინო შეიძლება არ იყოს; ის, რასაც მომხმარებლები ძვირად დააფასებენ, მისი არსებობის

შესახებ რომ იცოდნენ და მის დადებით თვისებებში რომ დარწმუნდნენ. ასეთ შემთხვევაში, პროდუქტის გამოგონების, დაფინანსების, რეკლამირების, საზოგადოების მხრიდან იდეის მიღებისა და ყველა სხვა საჭირო საფეხურზე მენარმეს პროდუქტის ძიძის როლი აკისრია.

მას მერე, რაც დავინახავთ, რა ქმედებებზე წასვლას აიძულებს მენარმეს მოგების მიღების სურვილი, შეგვიძლია შევაფასოთ, თუ რა შედეგები მოჰყვება მის ამა თუ იმ აქტივობას.

პირველი შედეგი, რაც თვალში მოგვხვდება, ცოდნის შეგროვება და განვრცობაა. აქამდე არარსებული პროდუქტების შესახებ ცოდნა ცხადი მაგალითია, მაგრამ როგორც ნახეთ, სარგებლის ძიებაში წარმოშობილი ცოდნა, მსგავსი ეგზოტიკური შემთხვევებით სულაც არ შემოიფარგლება. მოგების მაძიებელი ბაზარს ყოველდღიურად მატებს ცოდნას ფასის სივრცული და დროითი სხვაობების შესახებ.

ეს ცოდნა ბაზრის ყველა მონაწილისთვის უდიდესი მონაპოვარია. მის გარეშე ნიუ-ჯერსელები შეჭამდნენ მარწყვს, რომელიც ჯობდა გაეყიდათ, თუ ქილაში 25 ცენტზე მეტის გადამხდელს იპოვიდნენ სადმე. ნიუ-ჯერსელები მხოლოდ იმიტომ ჭამენ კენკრას, რომ არაფერი იციან იმ ხალხის შესახებ, რომლებიც ამ კენკრას მათზე უფრო ძვირად აფასებენ. მეტიც, ამ ცოდნის გარეშე ნიუ-იორკში იქნებოდა ხალხი, რომლებიც მარწყვს იმიტომ არ ჭამენ, რომ მათი დაშვებით, ერთი ქილა მარწყვის საშოვნელად აუცილებელია 45 ცენტის გადახდა, მაშინ როდესაც შოვნა უფრო იაფადაც შეიძლება.

რა თქმა უნდა, მოგების მაძიებელი ამ ცოდნას მასწავლებელივით არ არიგებს. ის არ დადის სოფელ-სოფელ და არ ანათლებს ხალხს ფასების დისპროპორციის შესახებ. სიმართლე რომ ითქვას, მას მერე, რაც ვაჭარი საქმეს დაასრულებს, შეიძლება ნიუ-ჯერსელებმა და ნიუ-იორკელებმა არც კი იცოდნენ საკუთარ ბაზრებზე მარწყვის ფარდობითი ფასების შესახებ რაიმე. მოგების მაძიებლის საქმე ისაა, რომ ფასთა შესახებ მისი ცოდნის შედეგები განსხვავებულ ადგილებში იგრძნობოდეს. მოგების მაძიებელი ინფორმაციას თავად არ ავრცელებს; ის უბრალოდ მარწყვს ყიდის. მარწყვს, რომელსაც არც კი მოკრეფდა ვინმე, რომ არა ცოდნა მისი ფასის შესახებ.

მაშ, გამოდის, სიმართლეა, რომ მოგების მაძიებელი ხალხის უცოდინარობით ხეირობს. შესაბამისი ცოდნა რომ არსებობდეს, ეს მენარმე მოგებას ვერ ნახავდა ნიუ-ჯერსიდან ნიუ-იორკში მარწყვის

გადატანით. თუმცა იმის მიუხედავად, რომ მის მიმართ გამოთქმული „ბრალდება“ სიმართლეა, მენარმის ეს მოქმედება დასაძრახი ნამდვილად არაა. ნებისმიერმა, ვისი ფუნქციაც პროდუქტის გაყიდვაა, პროდუქტია იმათ უნდა მიჰყიდოს, ვისაც ის სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტის მიერ რაიმეს უქონლობა უცოდინარობითაა გამოწვეული, უქონლობის ან საჭიროების რეალურობას ოდნავადაც არ ამცირებს. მოგების მაძიებელი საკუთარი მომხმარებლების უცოდინარობით ისევე „სარგებლობს“, როგორც ფერმერი „სარგებლობს“ საკუთარი მომხმარებლების შიმშილით – ანუ იმის მიწოდებით, რაც მის მომხმარებელს არ აქვს.

შესაბამისად, საქმოსანი სარგებელს არავის ხარჯზე არ გამოიმუშავებს. ტყუილია, რომ საქმოსნის ხეირის პარალელურად ეკონომიკაში ვინმე სადმე იმავე დოზით უნდა ზარალდებოდეს, იმიტომ, რომ ტყუილია, თითქოს საქმოსანი არაფერსაც არ ქმნის. იგი ზუსტადაც რომ ქმნის – განსხვავებულთა შორის თანამშრომლობის შესაძლებლობას ქმნის და ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ჯგუფებს შორის. ის შესაძლებლობების ბროკერი ან შუამავალია, როგორიც არ უნდა იყოს ეს შესაძლებლობები. მისი ფუნქციაა, ურთიერთსასარგებლო შესაძლებლობები არ გავანიაოთ. ახსნას არ ექვემდებარება, თუ რატომ იხარჯება დრო და ენერგია, ასეთი საქმიანობის ჯერ ყურადღების ცენტრში მოსაქცევად და შემდეგ „არაპატიოსან შრომად“ მოსანათლად.

გარდა ეკონომიკური ცოდნის გამოყენებაში მთავარ აქტორად ყოფნისა, სარგებლის მაძიებელი მენარმე ხალხს ისეთ არჩევანს სთავაზობს, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში არც ექნებოდათ. შემთხვევა, როდესაც მენარმე საზოგადოებას სრულიად ახალ პროდუქციას წარუდგენს, ისევე გამოდგება თვალსაჩინო მაგალითად. თუმცა ეს პრინციპი ფასების დროითი განსხვავებების უფრო ყოფით შემთხვევებშიც გამოიყენება. საზოგადოება მაშინაც ხეირობს, როდესაც ძვირფასი რესურსები ისეთ საბოლოო პროდუქტებში არ იფლანგება, რომლებიც დახარჯულ რესურსებზე ნაკლებად ღირებულნი არიან. ასეთი რესურსები უფრო ღირებული საბოლოო პროდუქტების შესაქმნელად შეგვიძლია გამოვიყენოთ. ცხადია, ისეთი საბოლოო პროდუქტების შექმნა იგულისხმება, რომელსაც მომხმარებლებისთვის უფრო მეტი ღირებულება აქვს.

არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ ნებისმიერი სამენარმეო ტრანზაქცია მკაცრად ნებაყოფლობითია. ხალხს, რომლებსაც მენარმე ურიგდება, ისევე თავისუფლად შეუძლიათ უარის თქმა, როგორც დათანხმება. შესაბამისად, შეთანხმება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მენარმესთან ვაჭრობით ხალხიც ხეირობს. მოგვიანებით, შეიძლება საკუთარი გადაწყვეტილება ინანონ კიდეც და ინატრონ, „ნეტავ, საქონელი უფრო იაფად მეყიდა“, ან „უფრო ძვირად გამეყიდაო“. თუმცა ეს არ ცვლის ფაქტს, რომ მოგების მაძიებელი მენარმე გვთავაზობს ვაჭრობას, რომელსაც შეთავაზების მომენტში ყველა მხარე მისთვის სასარგებლოდ მიიჩნევს. ეს მნიშვნელოვანი განაცხადია და მენარმეზე დადებითად მეტყველებს. მაგალითად, იმავეს ვერ განაცხადებთ სახელმწიფო ტრანზაქციებზე, ვინაიდან ვერავინ იტყვის, რომ ის სრულად ნებაყოფლობით ხდება.

მოგების ძიების კიდევ ერთი შედეგი ისაა, რომ ნებისმიერ მოცემულ ბაზარზე მისი გამოყენების მასშტაბი ლიმიტირებულია. მენარმის წარმატება მისსავე „საფლავს თხრის“. როგორც კი მენარმე შესაძლებლობის ფანჯარას გამოიყენებს და შესაძლებლობა ყველასთვის თვალსაჩინო გახდება, მენარმის ფუნქცია სრულდება. როგორც გარდასულ დღეთა „მარტოხელა რეინჯერმა“, „მარტოხელა მენარმემა“ სხვა, უფრო მომგებიან სფეროებში უნდა სცადოს ბედი. თუმცა თუ ფასთა დისბალანსი დაბრუნდება, სარგებლის მაძიებელსაც ისევ ვიხილავთ.

მენარმის მიერ ეკონომიკის განცალკევებული ნაწილების ერთად თავმოყრის მცდელობების უკან, რალა თქმა უნდა, სარგებლის მიღების იმედი დგას. ეს შესანიშნავი მაგალითია, მოგებისა და ზარალის სისტემის სასარგებლო ეფექტების საჩვენებლად. ვინაიდან წარმატებული მენარმე, რომელიც მოგებას ნახულობს, ეკონომიკის „მოთვინიერებას“ ფასთა სხვადასხვაობის შემცირებით ახერხებს. მაგრამ, მენარმე, რომელიც მაშინ ყიდულობს, როცა უნდა ყიდდეს და მაშინ ყიდის, როცა უნდა ყიდულობდეს (ის ვინც, ეკონომიკის შედუღებასა და ფასთა სხვადასხვაობის აღმოფხვრის ნაცვლად, ეკონომიკას ანგრევს და ფასთა სხვადასხვაობას ზრდის), ზარალდება. რაც უფრო მეტ შეცდომას დაუშვებს, უფრო ნაკლები საშუალება ექნება, რომ შეცდომების დაშვება გააგრძელოს. ჩვენ ვერ ვიმედოვნებთ, რომ ოდესმე ეკონომიკაში შეცდომების დაშვება აღმოფხვრათ,

მაგრამ მექანიზმი, რომელიც სამენარმო კლასის მარგი ქმედების კოეფიციენტს ნებისმიერ მოცემულ მომენტში ავტომატურად აუმჯობესებს, ხელნამოსაკრავი ნამდვილად არაა.

იმის მიუხედავად, რომ სარგებლის ძიების დადებითი შედეგები გასაგებად ავხსენით, მოგებაზე ორიენტირებული „ვაჭარი“ ჯერ არ გვიხსენებია. არადა, მნიშვნელოვანია, უნდა ვახსენოთ, რადგან არისტოტელეს „ოქროს შუალედის“ ბევრი მიმდევარი „გამოყოფს ფეხს“, რომ „ზომიერი სარგებელი მისაღები და, შესაძლოა, სასარგებლოც კი იყოს, მაგრამ ზე-მოგება მხოლოდ საზიანოა“.

„მოგების მაძებარი“ ყოველთვის ცუდ კონტექსტში მოიხსენიებოდა. სიტყვას, „მოგება“ დამატებული სიტყვა, „ზიზილი“ ადამიანების თავებში უდრის სიტყვას, „ვაჭარი“. მსგავსი შეურაცხმყოფელი ტერმინი რატომღაც არ გაგვანია ხელფასზე მომუშავეთა (მეხელფასე დაუფალებდით?), რომელიც მიისწრაფვის „მეტისმეტი“ ან „ზე-“ ხელფასისკენ. იქნებ იმიტომ, რომ „საზოგადოებრივი აზრი“ (მასმედიის ეს პირმშო) სწყალობს მაღალ ხელფასებს, მაგრამ არა მაღალ მოგებას.

სემანტიკა რომ გვერდზე გადავდოთ, თუ მივიჩნევთ, რომ მოგება საზოგადოებისათვისაც სასარგებლოა, ლოგიკურად, გადამყიდველობა და მოგების მაქსიმიზაცია ყველაზე სასარგებლო საქმიანობათა სიაში უნდა იყოს. მოგების მიღების შანსი, როგორც უკვე ვაჩვენეთ, იმის მანიშნებელია, რომ ეკონომიკაში რაღაც მთლად რიგზე არაა და რომ ადამიანები არ იყენებენ ურთიერთსასარგებლო ვაჭრობას. სარგებლის მიღება ნიშნავს, რომ „გაფლანგულ“ შესაძლებლობებს ვიღაცამ მიხედა (მენარმეები ზრუნავენ, რომ „მარწყვი სწორად იყოს გადანაწილებული“.). მაგრამ, თუ მოგების შესაძლებლობები უჩვენებს, რომ ბაზარზე რაღაც გამოსასწორებელია, მაშინ ზემოგების მიღების შესაძლებლობა ეკონომიკის სტრუქტურაში უფრო დიდი ნაპრალების არსებობაზე მიუთითებს. და თუ ზომიერი სარგებელი ეკონომიკურ გამოსწორებას ნიშნავს, მაშინ ზემოგება სიტუაციის გამოსასწორებლად მოქმედი რაღაცის მასშტაბური ცვლილების ნიშანია. ზომიერი მოგების ნორმალიზებასა და მოგებაზე დაგეშილი ვაჭრების „ექსპლუატატორობის“ ნაცვლად, შეგვიძლია დავინახოთ, რომ რაც უფრო დიდია მოგება, მით უფრო უკეთაა ეკონომიკაც, მისი ყველა აქტიორიანად. სამედიცინო ანალოგია რომ მოვიშველიოთ: თუ პლასტიკი (მოგება) კარგია, რადგან მისით მცირე ნაკანრებს

შეგვიძლია ვუმკურნალოთ, მაშინ ქირურგია (ზემოგება) უკეთესი ყოფილა, იმიტომ, რომ ის გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტის სიცოცხლის შენარჩუნების შანსს გვაძლევს.

მოგების ძიების დამცველთა ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი პოლიტიკურ თავისუფლებას ემყარება:

ძირითადად, ეკონომიკის მართვის ორი გზა არსებობს. პირველი: მოხალისეობრივი, დეცენტრალიზაციით, ფასებისა და მოგება-ზარალის სისტემისადმი ნდობით, სადაც ბაზარი ინფორმაციას და სტიმულებს თავად აწარმოებს; და მეორე: ძალადობრივი, ცენტრალური დაგეგმარებით, ეკონომიკური ბრძანებებითა და დირექტივებით, რომელიც ეკონომიკური დიქტატორის ხუშტურს ენდობა და ყველა დანარჩენისგან მორჩილებას მოითხოვს. ეს ორი სისტემა ორი პოლარული უკიდურესობაა. ყველა სხვა ეკონომიკური სისტემა ამ ორი „წმინდა“ ტიპის მუტაციები და ნარევებია.

იძულებითი ანუ გეგმური ეკონომიკა თავისთავად მარტივია. ეკონომიკური ლიდერები წყვეტენ, რა უნდა იწარმოოს, ვინ და როგორ უნდა აწარმოოს და ვინ უნდა იხიეროს ამ წარმოებით.

ამის საწინააღმდეგოდ, მოხალისეობრივი ანუ თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა საკმაოდ რთულია. ინდივიდებმა თავად უნდა გად-ანწყვიტონ, რა და როგორ აწარმოონ. მათი სტიმული პროდუქტისგან მიღებული მათივე სიამოვნება და ამ პროდუქტით სხვა ადამიანებთან ვაჭრობით მიღებული სარგებელია. ეკონომიკური დირექტივებით მართვის ნაცვლად, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა, როგორც უკვე ვაჩვენეთ, მოგება-ზარალის მექანიზმით იმართება.

ახლა ამ პარადოქსზე დაფიქრდით: ისინი, ვინც „მოგების მოსურნეების“ და, შესაბამისად, მთლიანი თავისუფალი საბაზრო სისტემის ყველაზე მრისხანე კრიტიკოსები არიან, ხშირად ასევე დეცენტრალიზაციისა და უფლებრივ საკითხებში პიროვნების თავისუფლების ყველაზე ხმალამოღებულ დამცველებადაც გვევლინებიან. თუმცა სანამ „მოგებასა“ და „მოგების მაძიებლებს“ ებრძვიან, ისინი არა მხოლოდ ეკონომიკურ სივრცეში ინდივიდების თავისუფლად ფუნქციონირებას ერჩიან, არამედ ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში თავისუფლების საფუძველსაც.

მოგებასა და მოგების მაძიებლებზე საკუთარი იერიშებით ისინი დიქტატორებსა და დესპოტებს უმშვენებენ გვერდს.

რა დონეზეც მიაღწევნენ ეს აქტივისტები მოგების მკაცრად შეზღუდვას ან აკრძალვას, იმავე დონეზე ჩავეფლობით კოლექტივიზმში. პიროვნული თავისუფლებები ზევიდან წამოსული ბრძანებების ტალღებით მთლად ჩამოგვერეცხება. პიროვნება ვერ იქნება თავისუფალი, თუ მისი ეკონომიკური არსებობა დამყარებულია ეკონომიკური დიქტატორის განკარგულებებზე, რომლებსაც ვერსადაც ვერ გაექცევი. თუ ან სამსახურიდან წამოხვალ, ან თანამშრომელი წაგივა სამსახურიდან, ან მომხმარებელი შენგან რამის ყიდვაზე უარს იტყვის, ან მომწოდებელი მოყიდვაზე გეტყვის უარს, თავისუფალ ბაზარზე არსებობენ სხვა რეალური ან პოტენციური უფროსები, თანამშრომლები, მომხმარებლები ან მომწოდებლები. თუმცა კონტროლირებად ეკონომიკაში, სხვა ალტერნატივები არ არსებობს. გადახრებს, ექსცენტრულობასა და დაუმორჩილებლობას არავინ მოგიტმენს.

სამოქალაქო უფლებების თავგამოდებულ აქტივისტებს უნიკალურად შესანიშნავი და ნამდვილად ჰუმანური გამონათქვამი აქვთ, რომელსაც ბეჯითად იყენებენ ხოლმე სექსუალური მორალის სფეროში – „თანხმობით ზრდასრულებს შორის ყველაფერი მოსულა და მაგის გარდა არაფერიც არ მოსულა“. მაგრამ, ისინი ჯიუტად უარობენ ეს პრინციპი სექსუალური მორალის გარდა ნებისმიერ სხვა თემაში გამოიყენონ! კონკრეტულად კი, უარობენ იგივე წესი გაავრცელონ ეკონომიკურ აქტივობაზე. არადა ეს ჰუმანური გამონათქვამი ადამიანური ცხოვრების ყველა ნაწილზე უნდა ვრცელდებოდეს, როგორც მოგების მაძიებელზე, ისე სექსუალური თავგადასავლის მაძიებელზე; როგორც მენარმეზე, ისე ფეტიშისტზე; როგორც სპეკულანტზე, ისე სადომაზოხისტზე.

იმის მტკიცება, რომ განსხვავებული სექსუალური გემოვნების არამოძალადე ხალხი უსამართლოდ იკიცხებიან, ამ წიგნის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. შესაბამისად, ჩვენ არ შეიძლება გვბრალდებოდეს განსხვავებულ საზოგადოებასთან არასწორად და უსამართლოდ თამაში. მაგრამ იმავე მასშტაბის უსამართლობაა მოგების მოსურნე საზოგადოების წევრების განკვეთა და გაკიცხვა.

მოგების მაძიებლებისა და თავისუფალი ბაზრის კრიტიკის ბოლო მცდელობა იმ ხედვაზე დგას, რომ „შორეულ წარსულში, როდესაც აგრარული ეკონომიკა და მარტივი ცხოვრება იყო, თავისუფალი სამე-

წარმოადგენს სისტემა შეიძლება გამართლებულიც ყოფილიყო. რაც თავის დროზე ფერმერებისთვის და მცირე ვაჭრებისთვის მისაღები იყო, დღეს მისაღები აღარაა. ჩვენს რთულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ინდივიდების ანაქრონისტულ ხუმტურებზე სიარულის ფუფუნება არ გვაქვს. ჩვენ გვჭირდება ეკონომიკური მართვის კომიტეტის ძლიერი ცენტრალური კონტროლი და მოგებისა თუ სპეკულაციის აღმოფხვრა ჩვენი ტრანზაქციებიდან.“

ეს დამოკიდებულება ფართოდაა გავრცელებული. ზოგ წრეებში მიიჩნევა, რომ მას ახსნაც კი არ სჭირდება, რადგან „განა თავისთავად ნათელი არაა, რომ სიმაართლეა?!“ თუმცა მოგების ანალიზმა, რომელიც ბაზარზე უცოდინარობის აღმოფხვრისკენაა მიმართული, საპირისპირო შეხედულებამდე უნდა მიგვიყვანოს. მოგების ინსტიტუტი ცოდნისა და ცოდნის შედეგების შემგროვებელი და გამავრცელებელი ფასდაუდებელი ინსტრუმენტია. მოგების სისტემა ეკონომიკის გაართულებასთან ერთად უფრო და უფრო ღირებული ხდება! ვინაიდან ასეთ ეკონომიკაში, საბაზრო ფასწარმოქმნისა და მოგება-ზარალის სისტემის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეკონომიკური დიქტატურა, სადმე გამოსადეგი რომც იყოს (არადა, არაა), მხოლოდ მარტივ ეკონომიკაში იქნებოდა – ისეთში, რომელსაც ბიუროკრატების ერთი ჯგუფი მარტივად მართავდა.

დასკვნად, ვცადოთ ვაჩვენოთ მყარი განსხვავება ბაზარში გამო-მუშავებულ სარგებელსა და სახელმწიფო სუბსიდიებისა და გავლენის ანუ კორპორაციულ-სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში „გამო-მუშავებულ“ სარგებელს შორის. ბაზარში სახსრების ნებისმიერი ტრანზაქცია ნებაყოფლობითია. შესაბამისად, ნებისმიერი მოგება ეკონომიკური აქტორების ნებაყოფლობით არჩევანზეა დაფუძნებული და ამით ეკონომიკური სურვილების ამონახსნებს გვიჩვენებს და განასახიერებს. შესაბამისად, მხოლოდ თავისუფალი ბაზრის ეკონომიკას ეხება მტკიცება, რომ მოგების მიღების შესაძლებლობა – არშემდგარი ვაჭრობის მასშტაბს, ხოლო რეალურად მიღებული მოგება კი ეკონომიკის ამოვსებულ ნაპრალებს განასახიერებს.

ეს მტკიცებები თავისუფალი ბაზრის არარსებობის პირობებში არ უნდა გაკეთდეს. მოგება „შერეულ“ ეკონომიკაში (ეკონომიკა, რომელსაც თავისუფალი ბაზრის ელემენტებიც ახასიათებს და

ძალადობრივი ეკონომიკისა(ც) მხოლოდ კონკურენციის აკრძალვით შეიძლება იყოს გამონაკლისი. მაგალითად, იმპორტზე დაწესებული ტარიფი შინაურ პროდუქციაზე გაზრდის მოთხოვნას და შინაური ინდუსტრია(ც) გაიზრდება. თუმცა გაჭირდება იმის მტკიცება, რომ რაიმე ახალი აღმოაჩინეს ან რომ მომხმარებლების კმაყოფილება რაიმე სახით გაიზარდა. სიმართლე სწორედ(ა)ც რომ საპირისპიროს მტკიცებაში იქნება. ამით დაიმსხვრევა კავშირი მოგებასა და კეთილდღეობას შორის და პირველს მეორესთან ვეღარ დავაკავშირებთ.

ნაწილი მეშვიდე

ეკოლოგია



26.

წილისეულის ღია წესით მომკოვებელი

ქვანახშირის მოპოვების ორი ძირითადი ხერხი არსებობს: დახურული და ღია კარიერული წესით. დახურული მოპოვების დროს გვირაბების, აჭიმებისა და მაღაროების ჩახლართული კონსტრუქციები მიწის სიღრმეშია განთავსებული. მიწისქვეშ ხანგრძლივად მომუშავე მაღაროელებს ხშირად ემართებათ ე. წ. „შავი ფილტვის“ დაავადება, რომელიც ქვანახშირის ნაწილაკების სუნთქვითაა გამოწვეული. დახურული მოპოვება მუშებისთვის მრავალმხრივ სახიფათოა. მაგალითად, მაღაროს ჩამოშლა, რომლის დროსაც ასობით მუშა დედამიწის ზედაპირიდან დიდ სიღრმეზეა ხოლმე გამომწყვდეული, მეტისმეტად ხშირად ხდება. მუშების მაღაროში ცოცხლად დამარხვის უშუალო მიზეზი შეიძლება ქანების მოძრაობა, აირების დაგროვება, აფეთქება ან წყლის გაჟონვა იყოს, თუმცა მთავარი მიზეზი თავად მადნის მოპოვების დახურული მეთოდია.

ღია კარიერული მოპოვების დროს, როგორც სახელიდან მიხვდებოდით, დედამიწის ზედაპირი ფენა-ფენა „ტყავდება“ იქამდე, სანამ მომპოვებელი ქვანახშირის საბადოს არ მიაღდება. დედამიწის ზედაპირთან ახლოს მყოფ საბადოებზე მუშაობა ამ ხერხით გამართლებულია, თუმცა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კარიერული მოპოვება დიდ სიღრმეებზეც განხორციელებადია. მოპოვების კარიერულ წესს ჩამონგრევებისა და ჩარჩენის სხვა ფორმების საფრთხეები არ ახლავს თან და არც „შავი ფილტვის“ დაავადებას იწვევს. ამ უპირატესობების მიუხედავად, კარიერული წესით მოპოვება პრაქტიკულად ყველა „გათვითცნობიერებულის“, „მემარცხენისა“ და „პროგრესულის“ მიერ გაკიცხვის ობიექტია.

ამ სხვაგვარად აუხსნელი კრიტიკის სავარაუდო ახსნა ზედაპირული მოპოვების ორი ასპექტის გარშემო ტრიალებს: მიიჩნევა, რომ ღია წესით მოპოვება გარემოს აბინძურებს და ლანდშაფტის ბუნებრივ სილამაზეს ლახავს. თუმცა ერთი შეხედვითაც ნათელია, ეს კრიტიკა მთლად საკმარისი ვერაა. მართლა ასე რომც იყოს, ვის მოუბრუნდება პირში ენა და იტყვის, რომ მიწისქვეშ, მაღაროში ძრომიალი უფრო ჰუმანურიო? ხომ ფაქტია, რომ ღია კარიერში მომუშავე მუშებს არც ფილტვები უშავდებათ მტვრისგან, არც ნელა იგუდებიან და არც ჩამონგრევებისა თუ ცოცხლად დამარხვის საფრთხის წინაშე დგანან ყოველწამიერად. ცხადია, რომ სიცოცხლე კარიერული წესით მოპოვების მხარესაა.

თუ უფრო ჩაუფლრმავდებით, იმასაც ნათლად დავინახავთ, რომ კარიერული წესით მოპოვების საწინააღმდეგო ორივე არგუმენტი სუსტია. დავიწყით გარემოს დაბინძურების განხილვით: იმის მიუხედავად, რომ ზედაპირული მოპოვების შედეგი ხშირად მართლაც გარემოს დაბინძურებაა, ეს უკანასკნელი მის აუცილებელ თვისებას ნამდვილად არ წარმოადგენს. გარემოს დაბინძურება აღმოფხვრადია და აღმოფხვრებოდა კიდეც, საკუთრების უფლების დაცვის კანონები რომ სრულდებოდა.

ქვანახშირი ღია წესით ამჟამად ასე მოიპოვება: ნედლეულის გასაშემვლელად მოხსნილი მიწის ფენით უზარმაზარ გორებს აკეთებენ. ეს გორები, როგორც წესი, წყლის წყაროების სიახლოვეს იყრება. მიწის დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში წყაროებს მიაქვს და ამგვარად დაბინძურებული წყალი ტბებსა და წყალსაცავებში ჩაე-

დინება. ასევე, ნიადაგისგან მოშიშვლებული მიწის ზედაპირი მენყრის გამომწვევია. ყოველივე რომ შევაჯამოთ, გამოდის, ღია კარიერული წესით მომპოვებელი თავისი ქმედებებით გარემოს აზიანებს.

მაგრამ, ეს ცუდი შედეგები კარიერული წესით მოპოვების აუცილებელი ნაწილი არ არის. იმის მიუხედავად, რომ ადამიანს საკუთარ მფლობელობაში არსებულ მიწას ისე შეუძლია მოექცეს, როგორც მოეპრიანება, თუ ის ამით სხვათა საკუთრებაში არსებულ ქონებასაც აზიანებს, ზიანის ანაზღაურებაც უნდა უწევდეს. მაგალითად, თუ ნიალისეულის ღიად მომპოვებლის ქმედებები მენყერსა და სხვა ადამიანთა მამულების ან საქონლის განადგურებას იწვევს, ზარალზე თავადვეა პასუხისმგებელი. მისი პასუხისმგებლობის ნაწილი მის მიერ დაზიანებული მიწის ისეთი განაშენიანება ან რეაბილიტირების ისეთი სხვა სახე შეიძლება იყოს, რომელიც შესაძლო მენყრის საშიშროებას აღმოფხვრის. თუ ნიალისეულის მომპოვებელს საკუთარი ქმედებებით გამოწვეული შედეგების სრულად ანაზღაურება მოუწევს და თუ ჩამდინარე წყაროს კალაპოტზე არსებულ მიწის მფლობელებს მიეცემათ პრევენციული აკრძალვების გარანტიები ზარალის კომპენსაციაზე უარის შემთხვევაში, შედეგად დაბინძურების საშიშროება გაქრება.

ყველაზე მნიშვნელოვანი იმის დანახვაა, რომ ახლანდელ დაბინძურებასა და კარიერული წესით მოპოვებას შორის კავშირი მემკვიდრეობითი არაა. ეს დღევანდელი კავშირი მთლიანად გამოწვეულია ნიალისეულის მომპოვებლის მიერ საკუთრების უფლების კანონში არსებული ნაკლოვანებების ეფექტიანი გამოყენებით. წარმოიდგინეთ, ნებისმიერ სხვა ინდუსტრიას, მაგალითად ჰულა-ჰუპების ინდუსტრიას, კანონის ამგვარად დარღვევის უფლება რომ ჰქონდეს – ჰულა-ჰუპების წარმოებასა და დაბინძურებას შორის აუცილებელი კავშირი არ არსებობს, მაგრამ ნარჩენი პლასტიკის სხვის საკუთრებაში დაყრა რომ ნებადართული იყოს, ამ ინდუსტრიასა და გარემოს დაბინძურებას შორის მალევე გაჩნდებოდა კავშირი, საზოგადოების თვალში მაინც. ასევეა ქვანახშირის მოპოვების ინდუსტრიაშიც, კონკრეტულად კი ღია კარიერული წესით მოპოვების შემთხვევაში. ქვანახშირის მოპოვების კარიერულ მეთოდში არაფერია თავისთავად გარემოს დამაბინძურებელი. ღია მოპოვებასა და გარემოს დაბინძურებას შორის კავშირი მხოლოდ და მხოლოდ

იმის შედეგია, რომ ნიალისეულის მომპოვებლის მიმართ საკუთრების უფლების დამრღვევი კანონები არასათანადოაა გამართული. აღმოვფხვრათ საკუთრების კანონში არსებული ნაკლოვანებები და ამ არგუმენტს თავისით „მოეწვება“.

ზედაპირული მოპოვების საწინააღმდეგო მეორე არგუმენტს – ლანდშაფტის ბუნებრივი სილამაზის დამახინჯებას მივუბრუნდეთ. ეს არგუმენტი, მსუბუქად რომ ითქვას, ვერ არგუმენტობს, რადგან როდესაც საქმე სილამაზეს ან ესთეტიკას ეხება, ობიექტური სტანდარტები არ არსებობს. რაც ერთს ელამაზება, მეორეს შეიძლება ემახინჯებოდეს და პირიქით. მართალია, რომ ზედაპირული მოპოვება ლანდშაფტიდან ბალახს, ხეებს და სხვა სახის მცენარეულ საფარს აქრობს და ნაყოფიერი ნალკოტის უდაბნოდ გადაქცევა შეუძლია, მაგრამ არ გინახავთ ხალხი, ვისაც მწვანე ნალკოტებს ხრიოკი უდაბნო ურჩევნია?! არიზონას ფერადი უდაბნო, იუტას მარილიანი სიბრტყეები და კოლორადოს დიდი კანიონი ბევრისთვის თვალწარმტაც სილამაზეს წარმოადგენს.

თუ კონტრასტი ბუნებრივი სილამაზის თანმდევი ნაწილია, მაშინ აპალაჩების მთების სიმწვანის შუაგულში კარიერული მოპოვების შედეგად შექმნილი მიწის მცირე უნაყოფო ნაგლეჯები, შესაძლოა, ბევრისთვის ხედს დიდ სილამაზესაც სძენდეს. ცხადია, რომ ნიალისეულის მომპოვებლებს ბუნების სილამაზის განადგურებას უაპელიაციოდ და ობიექტურად ვერ დავაბრალებთ.

თუმცა ესთეტიკურ კრიტერიუმებზე რომც შევთანხმდეთ, კრიტიკოსების მიერ წამოჭრილ პრობლემას მაინც ვერ ამოვხსნით, ვინაიდან, რეალურად, პრობლემა სილამაზეს არ ეხება, რაც არ უნდა დავიჟინოთ, ასეაო. რეალური წუხილი, როგორც ჩანს, ისაა, რომ ზედაპირული მოპოვება აგრესიული ინდუსტრიული საზოგადოების მიერ ბუნების შელახვად მიიჩნევა. მტკიცება, რომ მიწა არსებულ „ბუნებრივ მდგომარეობაშივე“ უნდა შენარჩუნდეს, საკმაოდ პოპულარული ჩანს. მაგრამ თუ „ბუნების ხელშეუხებლობის“ მოყვარულებსა და დამცველებს ნიალისეულის მომპოვებლებისთვის მუშაობის აკრძალვის უფლება ექნებათ, ასევე ექნებათ უფლება, რომ ფერმერებს „უმიანო“ მიწის მოხვნა და მასზე დათესვა აუკრძალონ ან შენობების, ხიდების, ქარხნების, აეროპორტებისა და საავადმყოფოების აშენება აუკრძალონ მშენებლებს. „ბუნების არგუმენტი“,

რეალურად, ცივილიზაციისა და ადამიანური გონების გამოყენების სანინალმდეგო არგუმენტია.

კარიერული მოპოვების ხერხისთვის „არაბუნებრიობის“ დამბრალებელთა უმეტესობა, თავადვე განრისხდება, თუ სხვა შემთხვევები, მაგალითად, ჰომოსექსუალიზმი ან შერეული ქორწინება, შეიზღუდება იმავე, არაბუნებრიობის არგუმენტით. ისინი სწუხან, რომ ადამიანს „ბუნებრივი“ ძალიან ცოტა რამ თუ შემორჩა, თუმცა ხშირად ის, რაც ბუნებრივი დაგვრჩა, მაგალითად, უკონტროლო მრისხანება, სულაც არაა კარგი რამ. ცივილიზაცია, დიდწილად დგას ჩვენს უნარზე, ავმაღლდეთ ჩვენში თუ ჩვენს გარშემო არსებულ ბუნებაზე.

რაიმეს შემკობა „ბუნებრივი“-ს ან „არაბუნებრივი“-ს ეპითეტით, არაფერს გვეუბნება ამ რაიმეს თავისთავად ღირებულებაზე. საგნის ღირებულება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს და რამხელა წვლილი შეაქვს ჩვენს კეთილდღეობაში. ვფიქრობთ, წიაღისეულის ღია წესით მოპოვება ამ გონივრულ კრიტერიუმს სრულად აკმაყოფილებს.



27.

დამნაგვიანებელი

იშვიათად თუ ვინმე გამოეყომაგება დამნაგვიანებელს, რომელიც ყველა მხრიდან ალყაშია მოქცეული საზოგადოების კეთილშობილებაზე მზრუნველი ჯგუფების მიერ. რადიო და ტელეარხები „არ დააბინძუროთ გარემო“ განწყობას ასხივებს, „საზოგადოებისთვის განეული სამსახურიაო“, ჩაგვჩიჩინებს. სამეზობლოები და მასწავლებლური გაერთიანებები, საეკლესიო ჯგუფები და სამოქალაქო ორგანიზაციები – თანხმდება, რომ ქუჩაში ნაგვის დაყრა სერიოზული პრობლემაა. კინოინდუსტრია, რომელიც ბევრ საკითხს სენსიტიურობის გამო ერიდება, დანაგვიანების მიმართ სიძულვილში ერთ მუშტადაა შეკრული. დამნაგვიანებელი დიადი გამაერთიანებელია.

თუმცა არსებობს პატარა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი, რომელიც ამსხვრევს საქმეს – „ხალხი დამნაგვიანებელთა წინააღმდეგ“: დანაგვიანება მხოლოდ საზოგადოებრივი საკუთრების ფარ-

გლებში ხდება და არასოდეს – კერძო საკუთრებაში. დანაგვიანების ბოროტებების მაჩვენებელი რეკლამები გზატკეცილებზე, პლაჟებზე, ქუჩებში, სკვერებში, მეტროში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტებში ანუ მხოლოდ საზოგადოებრივ სივრცეებში გვხვდება. ყოველივე ამას თავისი ახსნა აქვს. ეს იმიტომ ხდება, რომ დანაგვიანების დეფინიცია მიბმულია საზოგადოებრივ სივრცეებზე. დანაგვიანების მსგავსი ქმედება კერძო საკუთრების ფარგლებში რომ მოხდეს, დანაგვიანებად არ ჩაითვლება. როდესაც დიდი რაოდენობის ხალხი სტადიონებს, კინოს, თეატრს, კონცერტს ან ცირკს ტოვებს, რიგებსა და ადგილებს შორის დარჩენილი რაღაცები ნაგავი არც არის და ვერც იქნება. ეს ნარჩენია და არა ნაგავი. ჩვენი ქალაქის ცენტრში, ჩვეულებრივი სამუშაო საათების შემდეგ, კერძო მფლობელობაში არსებულ ბანკებს, მაღაზიებს, რესტორნებს, საოფისე შენობებს, ქარხნებს და ა. შ. დამლაგებელთა მთელი ურდო შეესევა ხოლმე. ისინი ნაგავს კი არ კრეფენ, არამედ იქაურობას ალაგებენ. მათგან განსხვავებით, საჯარო საკუთრებაში არსებულ ქუჩებსა და ტროტუარებზე დასუფთავების სამსახური სწორედ რომ ნაგავს აგროვებს.

არ არსებობს რეალური განსხვავება ნაგვის კერძო სივრცეში დატოვებასა და ნაგვის საზოგადოებრივ ადგილებში დატოვებას შორის. არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც ერთს უნდა ერქვას „დანაგვიანება“ და მეორეს – არა, ვინაიდან, ორივე შემთხვევაში, ერთი და იგივე რამ ხდება. ორივე შემთხვევაში, ნაგვის შექმნა მოხმარების ან წარმოების პროცესის თანმდევი შედეგია.

ზოგიერთ შემთხვევაში, შემდგომი წმენდისათვის ნაგვის დატოვება ოპტიმალური გამოსავალია. მაგალითად, დურგლისთვის ნახერხის წმენდა მუშაობის პარალელურად ძალიან შრომატევადი იქნებოდა. მისთვის უფრო მარტივი და იაფია რომ „ნაგავს“ (ნახერხს) აცადოს დაგროვება და დღის ბოლოს, ან პერიოდული სიხშირით, მოგავოს ხოლმე საკუთარი სამუშაო სივრცე. ქარხნის მენეჯერს შეუძლია „ნაგავსაწინააღმდეგო“ კამპანია წამოიწყოს და მის დაქვემდებარებაში მომუშავე დურგლებს ნებისმიერი რაოდენობის ნახერხის დაგროვების შემთხვევაში სამუშაო სივრცის გასუფთავება აიძულოს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში 50\$-იანი ჯარიმის შემოღებაც კი შეუძლია. თუმცა საკუთარ სამუშაო სივრცეში ასეთი წესის შემოტანის გამო დურგლებმა შეიძლება სამსახური დატოვონ ან თუ არ დატოვებენ,

წარმოების ხარჯები მაინც უზომოდ გაიზრდება და მათი ქარხანა სხვა ქარხნებს კონკურენციას ვეღარ გაუწევს.

მეორე მხრივ, სამედიცინო სფეროში ანტისანიტარია სრულიად მიუღებელია. საოპერაციო, საკონსულტაციო და სამკურნალო ოთახები აუცილებლად სუფთა და მოკრიალებული უნდა იყოს. ასეთ გარემოში „დაბინძურების სანინაალმდეგო“ პოლიტიკის მკაცრად დაცვის გარეშე ელვის სისწრაფით გავარდება ხმა, რომ ამ დაწესებულებაში ანტისანიტარია სუფევს და საავადმყოფოს ადმინისტრაცია უბრალოდ გაკოტრდება.

სამომხმარებლო სექტორის შემთხვევაში, მაგალითად, რესტორნების უმეტესობა „ნაგავსანინაალმდეგო“ კამპანიებს არ აწარმოებს. რესტორნის კედლებზე ჩანგლების, ხელსაწმენდების ან პურის ნამცეცების დაყრის ამკრძალავი ნიშნები არ კიდია. რესტორანს შეუძლია, რომ აკრძალოს ასეთი დანაგვიანება, თუმცა ამით უბრალოდ მომხმარებლებს დაკარგავს, რომლებიც სხვაგან დაიწყებენ სიარულს.

ეს ერთი შეხედვით განსხვავებული მაგალითები ერთიანობაში გვიჩვენებს, რომ ბაზარზე ნაგვის რაოდენობისა და დასაშვებობის შესახებ გადანყვეტილებები, საბოლოო ჯამში, მომხმარებელთა სურვილების შესაბამისად მიიღება! ამ საკითხს ზერელედ არავინ ეკიდება და ნაჯახივით არ ჭრის, რომ „ნაგვის დამყრელები არ შემოუშვათ“.

ნარჩენების დაგროვების დასაშვებობა ხარჯ-სარგებლის საკმაოდ ფრთხილი ანალიზის შემდეგ წყდება. თუ დასუფთავების საფასური დაბალია და ნაგვის დაგროვებით გამოწვეული ზარალი – მაღალი, სივრცეებს ხშირად ასუფთავებენ და ნაგვის დატოვებისათვის სასტიკი ჯარიმებია დაწესებული, როგორც სამედიცინო დაწესებულების მაგალითში იყო. თუ დასუფთავების ხარჯები მაღალია, ხოლო ნაგვის დაგროვებით გამოწვეული ზარალი – მცირე, ნაგავს უფრო იშვიათად შეაგროვებენ და დანაგვიანებაზე ჯარიმა არ დაწესდება, როგორც სამხერხაოს მაგალითში იყო. მიდგომათა ეს სხვაობები არა რომელიმე სახელმწიფო კანონის, არამედ საბაზრო პროცესის შედეგია. მეწარმეები, რომლებიც ზუსტი ხარჯ-სარგებლის ანალიზის თანახმად არ იქცევიან, მომხმარებლებს ან პირდაპირ კარგავენ, როდესაც განრისხებული მომხმარებლები კარიდან გარბიან, ან ირიბად, როდესაც მათი ოპერაციული ხარჯების სიდიდე კონკურენტებს საფასო უპირატესობებს აძლევს.

სისტემა, რომელიც დამოკიდებულია ხალხის სურვილებსა და საჭიროებებზე, ძალიან მოქნილია. თითოეულ მაგალითში, დანაგვიანების მიმართ დამოკიდებულება კონკრეტული სიტუაციის მოთხოვნილებებზეა მორგებული. მეტიც, ასეთ სისტემას სწრაფად შეუძლია მოერგოს ცვლილებებს, გინდ დასუფთავების ხარჯებთან იყოს დაკავშირებული და გინდ დაგროვილი ნაგვით გამონეველ ზიანთან. მაგალითად, საავადმყოფოებში რომ დაინერგოს ნაგვის ძალიან იაფად გატანის სისტემა ან თუ მომხმარებელთა დამოკიდებულება ნაგვის მიმართ მკვეთრად შეიცვლება, საავადმყოფოს ადმინისტრატორებს საკუთარი ჰიგიენური პოლიტიკის შერბილება მოუწევდათ. საავადმყოფოები, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებსა და გემოვნებას ვერ მოერგებოდნენ, პაციენტებს კონკურენტ დაწესებულებებს გადაულოცავდნენ (საუბარია კერძო, მოგებაზე ორიენტირებულ საავადმყოფოებზე. საზოგადოებრივ საავადმყოფოებს, რომლებიც ფულს იძულებითი გადასახადებიდან იღებენ, მომხმარებელთა დაკმაყოფილების მოტივით ხელმძღვანელობის აუცილებლობა არც აქვთ).

მეორე მხრივ, სტადიონებზე დატოვებული გამაგრილებელი სასმლის ქილები და პოპკორნის ყუთები დაავადებების გამავრცელებელი რომ აღმოჩნდეს ან თამაშის მიმდინარეობას სხვაგვარად უშლიდეს ხელს, სტადიონის მფლობელები სახელმწიფოსგან ყოველგვარი ჩარევის გარეშე ავტომატურად შეცვლიდნენ ნაგავთან დაკავშირებულ პოლიტიკას.

საზოგადოებრივ სივრცეში დანაგვიანებას რაც შეეხება, აქ არ გვაქვს ადამიანების საჭიროებებსა და სურვილებზე რეაგირების გამართული სისტემა. ამის ნაცვლად, საზოგადოებრივი სივრცე მთავრობის სამბრძანებლოა. მთავრობა კი მომხმარებელთა სურვილებს საკმაოდ ქედმაღლურად ექცევა, შეიძლება ითქვას, სრულიადაც უგულებელყოფს მათ. სამთავრობო სისტემა ერთადერთი სისტემაა, რომელიც დანაგვიანების გაზრდილ სურვილს მისი აღმოფხვრის დაჟინებით გაუმკლავდება, შესაბამისად, უარს იტყვის მომხმარებელთა სურვილების დაკმაყოფილებასა თუ ცვალებად ტექნოლოგიებთან მორგებაზე. კანონი კანონია. სახელმწიფოს ამგვარად ფუნქციონირება იმიტომ შეუძლია, რომ ის ბაზარს მიღმაა. ის საკუთარ შემოსავალს ნებაყოფლობითი ვაჭრობის საბაზრო პროცესიდან

არ იღებს. ის იძულებით აკრეფილი გადასახადებით ფინანსდება – პროცესით, რომელიც არაა დამოკიდებული მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხთან.

სამთავრობო „ნაგავსანიანალმდეგო“ პოზიცია დგას არგუმენტზე, რომ დანაგვიანება სხვათა უფლებების უპატივცემულობაა. თუმცა ეს არგუმენტი უმინაარსოა. კონტრარგუმენტად კერძო ნაგვის კონცეფცია გამოგვადგება. დანაგვიანება სხვათა უფლებების შეზღუდვა და სხვათა მყუდროების გაუთვალისწინებლობა რომ იყოს, რესტორნებში, სტადიონებზე და ქარხნებში „ნაგავი“ რისი მაჩვენებელი გამოდის? კერძო ბაზარზე ნაგავი ზუსტადაც რომ კომფორტის მოსურნე მომხმარებლების სურვილების დაკმაყოფილების მაჩვენებელია. დანაგვიანებით რესტორნის მფლობელის უფლებებს იმდენადვე დაარღვევთ, რამდენადაც ჭამით, ვინაიდან ორივესთვის იხდით.

რით აიხსნება საზოგადოებრივ სექტორში დანაგვიანების მიმართ სახელმწიფოს ასეთი მოუქნელი პოზიციონირება? მთლად გულგრილობის ბრალიც არ იქნება, იმის მიუხედავად, რომ გაცილებით მარტივია სრულიად აკრძალო რაიმე, ვიდრე გონივრულად გაუმკლავდე მას. ახსნა ისაა, რომ არც ერთ მთავრობას, მიუხედავად მისი დაინტერესებულობისა თუ კეთილი სურვილებისა, დანაგვიანების მიმართ მოქნილი პოლიტიკის წარმოება არ შეუძლია. ასეთი პოლიტიკა საფასო სისტემით – ხარჯისა და სარგებლის სისტემით – უნდა იყოს მხარდაჭერილი, რათა გაიზომოს დანაგვიანების ხარჯი თუ სარგებელი და ავტომატურად დაჯარიმდნენ ისეთი მენეჯერები, რომლებიც სიტუაციას სწორად ვერ ერგებიან. თუ მთავრობა ასეთი ტიპის სისტემას შემოიღებდა, ეს სამთავრობო სისტემა აღარც იქნებოდა, ვინაიდან ვერ დაეყრდნობოდა მთავრობის ყველაზე საძაგელ ნაწილს – საგადასახადო სისტემას, რომელსაც მომხმარებლების სურვილების ეფექტიან დაკმაყოფილებასთან არაფერი აქვს საერთო.

სახელმწიფოს მოუქნელობა ზოგჯერ უცნაურ ფორმებსაც იღებს. ნიუ-იორკში ძაღლების იმ პატრონების წინააღმდეგ, რომლებიც საკუთარ ძაღლებს ქუჩებსა და ტროტუარებზე მოსაქმების უფლებას აძლევდნენ, წლების განმავლობაში არ არსებობდა ეფექტიანი შეზღუდვა. დღესდღეობით კი გვაქვს მოქალაქეთა მიერ დაწყებული მოძრაობა, რომელიც ძაღლების დეფეკაციას ნებისმიერ ქუჩასა თუ ტროტუარზე კრძალავს. „ჯერ ბავშვები, მერე ძაღლები“, იუნყება

ამ მოძრაობის სლოგანი. ეს ორივე ფრაქცია, მთავრობა და სამოქალაქო მოძრაობა, სრულად უგულებელყოფს ბაზრის მოქნილობას. არც ერთს მოსვლია თავში, რომ ძალის „ნარჩენი“ კონკრეტულ ადგილებში შეიძლება დაშვებული იყოს, ზოგან კი აიკრძალოს. პრობლემას უყურებენ, როგორც არჩევანს ორ უკიდურესობას – სრულიად აკრძალვასა და ყველგან დაშვებას – შორის. წარმოიდგინეთ, ქუჩებისა და ტროტუარების კერძო მფლობელობაში ყოფნით გამოწვეული შესაძლო სასარგებლო შედეგები. მივიღებთ უფრო მეტ მოქნილობას, იმიტომ, რომ მენარჩენები იმის მიხედვით დაჯილდოვდებიან, თუ რამდენად მოახერხებენ ორივე ჯგუფის დამაკმაყოფილებელი მეთოდების შემუშავებას.

ზოგიერთმა შეიძლება ტროტუარების კერძო მფლობელობაში გადაცემა იმ მიზეზით გააპროტესტოს, რომ ძალის მეპატრონეებს „ძალების სკვერის“ გამოსაყენებლად ფასის გადახდა მოუწევდათ, როდესაც ახლა უფასოა (იმ დაშვებით, რომ ძალთა დეფეკაცია აკრძალული არაა). თუმცა ეს არასწორია, ვინაიდან არც ერთ ინდივიდს, ძალის პატრონის ჩათვლით, ტროტუარის გამოყენება უფასოდ არ შეუძლია. ტროტუარები, ისევე როგორც სახელმწიფოს მიერ მონოდებული ყველა დანარჩენი პროდუქტი და სერვისი, შექმნილია მოქალაქეთა გადასახადებით! მოქალაქეები იხდიან არა მხოლოდ ტროტუარების სანყის ფასს, არამედ მისი რემონტის, შენარჩუნების, მოწესრიგებისა და დასუფთავების საფასურსაც.

რთულია წინასწარ იმის თქმა, თუ ზუსტად როგორ იმუშავებს თავისუფალი ბაზარი ამ სფეროში, თუმცა შეგვიძლია რაღაცები ვივარაუდოთ. მაგალითად, შეიძლება რამდენიმე მენარჩემი გამოყოს შემოღობილი ქვიშიანი ადგილები ძალებისთვის. ამ მენარჩემებს ორი დამოუკიდებელი კონტრაქტი ექნებათ, ერთი ძალის მფლობელებისთვის, რომლითაც დაწესდება ამ ადგილის გამოყენების საფასური, მეორე კი – ნავის მანქანების მფლობელებისთვის, რომლითაც ამ შემოღობილი სივრცეების მოწესრიგების ფასი დაწესდება. ამ ლოკაციების ზუსტი რაოდენობა და ადგილმდებარეობა კი, ისევე როგორც სხვა საბაზრო სერვისების შემთხვევაში, მონაწილეთა საჭიროებების მიხედვით განისაზღვრებოდა.

მთავრობის მოუქნელობისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისადმი მისი თვალსაჩინო უინტერესობის

გათვალისწინებით, რად უნდა მივიჩნიოთ დამნაგვიანებელი? იგი საზოგადოებრივ საკუთრებას ისე ექცევა, როგორც კერძო საკუთრებას მოექცეოდა, რომ შეეძლოს. კერძოდ, ნაგავს დატოვებდა აქა-იქ. როგორც უკვე ვაჩვენეთ, ამ ქმედებაში თვისობრივად ავი არაფერია და სამთავრობო უდრეკობა რომ არა, საზოგადოებრივ სივრცეში ნაგავი ისევე მიღებული იქნებოდა, როგორც კერძოშია. ეს აქტივობა ადამიანების საჭიროებებით უნდა რეგულირდებოდეს და არა მთავრობის ხუშტურებით.

შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ დამნაგვიანებელი საზოგადოების მტრად კი არა, რეალურად გმირად უნდა მოვნათლოთ. დამნაგვიანებლის სანინალმდეგოდ აგორებული მტრული კამპანიის პირობებში მის მიერ გამოჩენილი გამბედაობა პატივსაცემიც კია. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ დამნაგვიანებლის ქცევა, რომელიც „ინიციატივას საკუთარ ხელში“ შეგნებულად იღებს, შეიძლება უსამართლო სისტემის წინააღმდეგ საპროტესტო ინსტრუმენტადაც იქცეს.



28.

„ნაგავი პროდუქციის“ მწარმოებლები

ხალხს დიდი ხანია გააჩნია ეჭვი, რომ დაბალი ხარისხის პროდუქციის განზრახ წარმოება ბიზნესის კეთების ჩვეული, მიღებული წესია. მიჩნეულია, რომ მწარმოებებს არ სურთ მაღალხარისხიანი და გამძლე პროდუქტების წარმოება. სანაცვლოდ, ისინი დაბალი ხარისხის პროდუქტს აწარმოებენ „ჩაშენებული“ ან „დაგეგმილი“ ცვეთით. როდესაც პროდუქცია ცვდება, უნდა ჩანაცვლდეს, რაც მწარმოებებს მომხმარებლების უწყვეტ ნაკადს მოუტანს და ბიზნესიც აყვავდება. ამ იდეამ, რომელიც მუდმივი არტიკულაციის გარეშეც ახერხებს ჩვენს გონებაში ტივტივს, რამდენიმე წლის წინ ვანს პაკ-არდის წიგნის „ნაგვის მწარმოებლები“¹ გამოცემით არასაჭირო ყურადღების კიდეც ერთი „ბუსტერ დოზა“ მიიღო.

„ჩაშენებული ცვეთის“ თეორია მცდარია და ეკოლოგიური მოძ-

¹ Vance Packard, Waste Makers (New York: David McKay, 1960)

რაობებისა და მოსახლეობის ნულოვანი ზრდის ნეომალთუსიანისტი მიმდევრების გამოჩენასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ამ მცდარ შეხედულებას აქ და ახლა დავუსვით წერტილი. ჭარბმოსახლეობის თეორიის მიმდევრების თანახმად, უკვე თუ არა, ძალიან მალე დედამიწის პოპულაცია მნიშვნელოვნად გადაასწრებს ჩვენი პლანეტის რესურსებს და ამ მოსახლეობის გამოკვების პოტენციალს. გარემოს დამცველთა ამ ხედვაში, ჩვენ (ანუ, თავისუფალი საბაზრო სისტემა) ჩვენს რესურსებს ანმყოში ვფლანგავთ. კიდევ სხვათა თვალსაზრისით, „ჩაშენებული ცვეთა“, ზოგადად, რესურსების ტრაგიკულად უაზრო ფლანგვაა.

ერთად აღებული, ეს ჯგუფები ინტელექტუალურ, მორალურ და ფიზიკურ საფრთხესაც კი წარმოადგენენ ჯანსაღი ეკონომიკისათვის.

მნიშვნელოვანია, ჩვენი კრიტიკა ტრუიზმის აღნიშვნით დავიწყოთ. პროდუქტის „სწორად“ შექმნა ანუ ისე, რომ „დროზე ადრე“ არ გაფუჭდეს, ღირს ან უფრო ძვირი, ან არ ღირს. პროდუქტი იმიტომაც მდარე ხარისხის, რომ ან მეწარმე ეუბნება მუშებს უხარისხო საქონელი გააკეთეთო, ან იმიტომ, რომ ასე წარმოება უფრო იაფია.

„ჩაშენებული ცვეთის“ სწორი მაგალითი ის შემთხვევა იქნებოდა, რომელშიც განზრახ უხარისხო პროდუქციის წარმოება საწარმოო ხარჯებს არ ამცირებს. თითქოს სხვა მხრივ სრულიად გამართულ პროდუქტში შენელებული მოქმედების ბომბი იყოს ჩაშენებული. მომხმარებელმა კი არ იცის, რომ ობიექტს „თვითგანადგურება“ აქვს დაგეგმილი. ეს პრაქტიკა აშკარად მფლანგველობითია. ეკონომისტები ამბობენ, საზოგადოება ისეთი მაღალხარისხიანი პროდუქციისკენ მიისწრაფვის, რომელსაც ჩამნაცვლებელი არ გააჩნიაო.

თუმცა კერძო სამეწარმეო საბაზრო ეკონომიკაში ასეთი რამ ვერ მოხდება, ვინაიდან ასეთი ქცევა ბიზნესის გადარჩენაზე ორიენტირებული არაა. მეწარმე, რომელიც პროდუქციის ასეთი სახის დაგეგმილი დაძველებით დაკავდება, დაკარგავს შემოსავალს, გაეზრდება ზარალი და, საბოლოოდ, გაკოტრდება. ზოგიერთი მომხმარებელი ცუდი ხარისხის საქონლის სტანდარტულ ფასად გამყიდველი კომპანიისგან ყიდვას შეწყვეტს და ისეთი ფირმების პროდუქციის ყიდვაზე გადავა, რომლებიც სტანდარტულ ფასად, სტანდარტული ხარისხის პროდუქციას ყიდიან. ეს ჩვენი კომპანია მომხმარებლებს დაკარგავს, ხოლო მის მიერ დაკარგულ მომხმარებლებს სხვა ფირმები შეიძენენ.

მაგრამ ბევრ მომხმარებელს იმის კი არ ეშინია, რომ განზრახ უხარისხო პროდუქციას ერთი ბიზნესმენი გამოუშვებს, არამედ იმის, რომ ყველა მენარმე ასე იქცევა. ამ შემთხვევაში, გამოვა, რომ მომხმარებელი ხაფანგშია გამოჭერილი.

რა შედეგი მოჰყვება, თუ ინდუსტრიის ყველა მენარმე შეთანხმდება კარტელური გარიგებით, რომ უხარისხო პროდუქცია განზრახ გამოუშვან და ამით ჩასანაცვლებელი გაყიდვების რაოდენობა გაზარდონ? თითქოს ცხადია, რომ ამ გარიგებაში მონაწილე თითოეული მენარმე საკუთარი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით ძლიერ ცდუნდება – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცდუნდებიან, რომ გარიგებაში მოიტყუონ. იმიტომ რომ, თუ ყველა ერთი და იმავე დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას გეგმავს (როგორც შეთანხმდნენ) და თუ ის ოდნავ უკეთეს პროდუქტს შექმნის, მაშინ ახალ მომხმარებლებსაც შეიძენს და საკუთარ მოგებასაც გაზრდის. სარგებლის სტიმულის გათვალისწინებით (რაც ასევე კარტელის სტიმულიც იყო), შეთანხმების წევრები, დიდი ალბათობით, სიტყვას გატყვენ.

მეორე მხრივ, კარტელური შეთანხმების გარეთ მყოფ მენარმეებს კარტელურ ინდუსტრიაში შესვლის სახით დიდი საცდური ელით. კარტელის მენარმეების მიერ გამოშვებულ პროდუქტზე ოდნავ უკეთესი პროდუქციის წარმოებით მომხმარებლებსაც მიიზიდავენ და სარგებელსაც დიდს ნახავენ.

რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, კარტელის დანგრევისკენ ორიენტირებული ძალები, კარტელის წარმატებასთან ერთად გაძლიერდებიან. ვინაიდან, რაც უფრო ძლიერი იქნება კარტელი, უფრო დაბალი ხარისხის იქნება პროდუქტი. რაც უფრო დაბალი ხარისხის იქნება პროდუქტი, კონკურენტებისთვის მით უფრო მარტივი იქნება მომხმარებელთა მოზიდვა, პროდუქციის ხარისხის ოდნავ გაუმჯობესების ხარჯზე.

ხარისხის შემზღუდველი კარტელის დაშლის პროცესს რეკლამირებაც შეუწყობს ხელს. რეალურად, რეკლამა კარტელის თავდაპირველ ფორმირებასაც უშლის ხელს. რეკლამა ბრენდის სახელებსა და მათ კარგ რეპუტაციას ერთდროულად აშენებს. ბრენდის სახელი პროდუქტის ხარისხის გარკვეულ დონეს უტოლდება. თუ კომპანია საკუთარი პროდუქტის ხარისხს დააკნინებს, იმ რეპუტაციასაც დაკარგავს, რომლის მოპოვებაშიც მილიონები დახარჯა.

მომხმარებელთა გაერთიანების მსგავსი, ხარისხის კონტროლის დამოუკიდებელი სააგენტოები ასევე უშლიან ხელს კარტელების ფორმირებას და უკვე ფორმირებულების ნგრევას უწყობენ ხელს. ასეთი სააგენტოები და მათი რეიტინგები პროდუქციის ხარისხის უმნიშვნელო ცვლილებასაც არ გამოაპარებენ მომხმარებელს.

საბოლოოდ, კარტელის ყველა წევრი შეთანხმების ერთგულიც რომ დარჩეს და არც ინდუსტრიაში შემოვიდეს ვინმე ახალი მოთამაშე, პროდუქციის ხარისხის შემცირება მაინც უფრო კრახით დასრულდება, ვიდრე წარმატებით, ვინაიდან ყველა მწარმოებლის მიერ ხარისხის ზუსტად ერთსა და იმავე დონეზე შემცირება შეუძლებელია. ისინი, ვინც ხარისხს ყველაზე ნაკლებად შეამცირებენ, გარდაუვალად მიიღებენ უკეთეს რეპუტაციას, მეტ მომხმარებელსა და გაზრდილ მოგებას. ბაზარი საგამოცდო სივრცედ ყოფნას განაგრძობს და დაბალი ხარისხის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებს გამოხშირავს. ამ გამოცდაში ჩაჭრა გაკოტრებას ნიშნავს, ხოლო ჩაბარება – გადარჩენას.

შესაბამისად, ცხადია, რომ თავისუფალ ბაზარში კარტელები დიდხანს ვერ იჭაჭანებენ. თუმცა მათი და, შესაბამისად, ჩამენებული ცვეთის შენარჩუნებაც შესაძლებელი გახდება, თუ თამაშში სახელმწიფო შემოვა. მაგალითად, როდესაც მთავრობა რაიმე ინდუსტრიაში შესასვლელად გილდიისმაგვარ შეზღუდვებს დაანესებს, კარტელების წარმოშობა უფრო სავარაუდო ხდება, რადგან კონკურენცია დაიკლებს. შესაბამისად, ამ სფეროში უკვე არსებული მოთამაშეების ინტერესები უფრო დაცულია. ერთმანეთში რაზეც არ უნდა შეთანხმებულიყვნენ, ეს შეთანხმებებიც შენარჩუნდება. თუ შეთანხმდნენ, რომ პროდუქტის ხარისხი შეამცირონ, ამ ვექტორს წარმატების შანსიც ექნება. მთავრობის ჩართულობის შედეგების დანახვა ბევრ სფეროში შეიძლება. მაგალითად სამედიცინო სფეროში. მთავრობა, ამერიკული სამედიცინო ასოციაციის (AMA) სახით, წარმატებით კრძალავს აკუპუნქტურის გამოყენებას. აკუპუნქტურის პრაქტიკოსებს ლიცენზიების შეწყვეტით ემუქრებიან და კარტელის ფუნქციის შემსრულებელი AMA მათ დიდი წნეხის ქვეშ ამყოფებს. ეს, რაღა თქმა უნდა, იმავე ზოგადი პოლიტიკის თანმიმდევრულია, რომელიც ექიმებს მომსახურების ხარისხის მიუხედავად მაღალ ხელფასებს უნარჩუნებს. ექიმების მსგავსად, ფსიქოლოგები და ფსიქიატრებიც,

მთავრობის დახმარებით, ავინრობენ კონკურენტებს. ისინი ყველა იმ კოლეგის მუშაობის უფლების აკრძალვას ითხოვენ, ვისაც მათი გაერთიანების მიერ ხელმოწერილი ლიცენზია არ უკიდია კაბინეტში.

ზოგჯერ მთავრობას ხელიც კი შეუშლია ისეთი ძალებისთვის, რომლებსაც კარტელი შიგნიდან უნდა დაენერია. აშშ-ის სარკინიგზო კარტელი ამის კარგი მაგალითია. სარკინიგზო კარტელის წევრი კომპანიები შეთანხმდნენ, რომ ფასების გაზრდის მიზნით სერვისის რაოდენობა შეემცირებინათ. მაგრამ, როგორც შეიძლებოდა რომ გვევარაუდა, ფასების ზრდამ მგზავრების რაოდენობა შეამცირა. თითოეულმა სარკინიგზო კომპანიამ შეთანხმებულ ფასზე ნაკლების დანესებით მომხმარებლების მოზიდვა დაიწყო. ეს, რაღა თქმა უნდა, კარტელის დასასრულის დასაწყისი იყო. ამ პერიოდში რკინიგზები ფასებით კონკურენციას მომხმარებლისთვის ფასდაკლებების შეთავაზებით ცდილობდნენ. თუმცა ნაცვლად იმისა, რომ ამ პრაქტიკას არ შეხებოდა და რკინიგზის „ნაგვის მწარმოებელი“ კარტელი ეკონომიკის ძალებს დაეშალა, მთავრობამ სარკინიგზო ფასდაკლებები აკრძალა. შედეგად, სარკინიგზო ინდუსტრია დღემდე ვერ აღორძინებულა.

მესამე გზა, რომლითაც სახელმწიფო „ჩაშენებულ დაძველებას“ უწყობს ხელს, ისეთი კომპანიების მხარდაჭერაა, რომლებიც მათ მიერ წანარმოები პროდუქტის დაბალი ხარისხის გამო ბაზარზე კონკურენციას ვერ უძლებენ. ბიზნესმენებისთვის ხელმისაწვდომი სამთავრობო სუბსიდიების დიდი ნაწილი მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ მომხმარებლების დაკმაყოფილების უუნარო ბიზნესებს დაეხმაროს.

მოდით, განვიხილოთ მეორე ალტერნატივა – შემთხვევა, რომელშიც პროდუქტის ხარისხის გაზრდა წარმოების დანახარჯს ზრდის. აქ საპირისპირო ანალიზი გამოგვადგება. ამ სახის „დაგეგმილი ცვეთა“ თავისუფალ ბაზარზე ყოველდღე ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ქცევა არაგონივრულია ან რესურსების ფლანგვაა! ეს მომხმარებლებისთვის შეთავაზებული არჩევანის განუყოფელი ნაწილია.

შეხედეთ ამ წარმოსახვით ცხრილს, რომელზეც მანქანის საბურავები, მათი ფასები და ექსპლუატაციის სავარაუდო ხანგრძლივობებია მოცემული.

ბრენდი	ღირებულება	საშუალო ხანგრძლივობა
საბურავი A	10\$	1 წელი
საბურავი B	50\$	2 წელი
საბურავი C	150\$	5 წელი

საბურავების შეძენისას, მომხმარებელს აქვს არჩევანი უფრო მაღალი ხარისხისა და ფასის საბურავებსა და უფრო დაბალი ხარისხისა და ფასის საბურავებს შორის. რა თქმა უნდა, არავინ მოელის, რომ 10\$-იანი საბურავები იმდენსავე ხანს გასტანს, რამდენსაც 150\$-იანი საბურავები! ის ისეა შექმნილი, რომ უფრო მალე გაცვდება. ამას „ჩაშენებული ცვეთაც“ შეგვიძლია დავარქვათ. აბა, რესურსების ფლანგვა სადღაა? არსად. იაფი საბურავების მწარმოებლები უმწეო სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობით არ სარგებლობენ. ისინი დაბალი ხარისხის პროდუქტის საყიდლად ხალხს არ იტყუებენ. ისინი იმას აწარმოებენ, რაც ხალხს სურს. თუ დაბალხარისხიანი საბურავების ზოგიერთ მწარმოებელს ეკოლოგები დაარწმუნებენ, რომ მათი პროდუქტები „ნაგავია“ და ეს კომპანიები წარმოებას შეწყვეტენ, დარჩენილი დაბალხარისხიანი საბურავების ფასი უბრალოდ გაიზრდება, ვინაიდან მოთხოვნა იარსებებს მიწოდების შემცირების მიუხედავად. ეს, თავის მხრივ, მწარმოებლებს აუცილებლად აიძულებს, რომ დაბალი ხარისხის საბურავების წარმოებას ისევ დაუბრუნდნენ (ან შეუერთდნენ), რადგან შემოსავლებმა ზრდა დაიწყო. ამ გზით ბაზარი მომხმარებლების დაკმაყოფილებას ცდილობს.

დაბალხარისხიანი და იაფი პროდუქციის წარმოებისას „ჩაშენებული დაძველების“ სარგებლიანობის უფრო თვალსაჩინო მაგალითი ქაღალდის ერთჯერადი თეფშებია. ვის მოუვა თავში აზრად, რომ ქაღალდის თეფშების მწარმოებლები „ჩაშენებული დაძველების“ გამო გაკიცხოს? თუმცა ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით, არჩევანი თეფშებშიც ისეთივეა, როგორიც საბურავებში. ფასის ზრდადობის მიხედვით შეგიძლიათ შეიძინოთ ქაღალდის, პლასტმასის სხვადასხვა ხარისხის, კერამიკისა და გამომწვარი თიხის და, ბოლოს, ჩინებული ჩინური ფაიფურის თეფშები.

მართლაც უცნაურია, როდესაც ხალხი მანქანის გაფუჭებას

„ჩაშენებულ დაძველებას“ აბრალეbs, მაგრამ ქალაღდის ხელსახოცებთან მიმართებაში ამას არასოდეს აკეთებს. ნათელი არაა, რომ ორივე შემთხვევაში უფრო მაღალი ხარისხის პროდუქცია ხელმისაწვდომია, ოღონდ უფრო მაღალ ფასად? არჩევანი მომხმარებელზეა. დაბალხარისხიანი მანქანის გაფუჭებისას წუნწინი ისეთივე უაზროა, როგორც წუნწინი იმის შესახებ, რომ ქალაღდის ჭიქამ დიდი ხანი ვერ გაძლო. იაფიანი პროდუქტები იმ მიზნით არ იქმნება, რომ ძვირიან პროდუქტებზე დიდხანს გაძლოს! სწორედ ამიტომაც ღირს იაფი. ცხადია, რომ „ჩაშენებული ცვეთა“, რომელიც მომხმარებელთა პრეფერენციებს ასახავს, სულაც არაა რესურსების ფლანგვა.

მაგრამ განა დაბალი ხარისხის პროდუქციის წარმოება ჩვენი რესურსების გამოყენების გამო თავისთავად ფლანგვა არაა? „ჩაშენებული ცვეთა“ ქალაღდის თეფშების შემთხვევაში პრობლემა რომც არ იყოს, თავად ამ თეფშების წარმოება არ ფლანგავს ჩვენს რესურსს – ხეებს?

საკითხის ასეთი მხრიდან შეხედვას ერთი ფუნდამენტური პრობლემა გააჩნია – ის უშვებს, რომ დაბალი ხარისხის პროდუქტების წარმოებას მაღალი ხარისხის პროდუქტების წარმოებაზე მეტი რესურსები სჭირდება. ცხადია, რაც უფრო დაბალხარისხიანია პროდუქტი, მით უფრო სავარაუდოა, რომ მისი შეცვლა ან შეკეთება გახდება აუცილებელი, მაგრამ, მეორე მხრივ, მაღალი ხარისხის პროდუქტების წარმოებას თავისთავად უფრო მეტი რესურსი სჭირდება! რეალური პრობლემა ისაა, რომ მაღალი ხარისხის პროდუქტებში თავდაპირველი ხარჯი მაღალია და შემდგომი ხარჯი მცირე, ხოლო დაბალი ხარისხის პროდუქტებში თავდაპირველი ხარჯია დაბალი, ხოლო მაღალი ხარჯი სამომავლოდაა გადადებული (შეკეთება, გამოცვლა).

თავისუფალ ბაზარზე მომხმარებლები არჩევიანს ამ ალტერნატივებს შორის აკეთებენ. მხოლოდ ის პროდუქცია იხილავს დღის სინათლეს, რომელიც მომხმარებლისთვის „ნაკლებად ფუჭია“. თუ მომხმარებლები გადაწყვეტენ, რომ მოდის სწრაფი ცვალეზადობის გამო, უაზრობაა ისეთი ტანსაცმლის ყიდვა, რომელიც ხუთ ან მეტ წელიწადს ძლებს, მენარმეებისთვის ნაკლებად გამძლე და იაფი ტანსაცმლის წარმოება უფრო მომგებიანი გახდება. ბაზარმა რომ გადაწყვიტოს, მწარმოებლები ქალაღდის ტანსაცმელსაც შემოგვთავაზებდნენ. მსგავსად, მომხმარებლებს უფრო გამძლე მანქანები

რომ უნდოდეთ, მენარმეები ასეთ მანქანებს შემოგვთავაზებდნენ კიდეც. თუ მომხმარებლებს თანამედროვე ფუნქციონალითა და კომფორტით სრულად აღჭურვილი მანქანა სურთ, მაშინ უფრო ძვირიც დაუჯდებათ. მომხმარებლებს რომ ერჩივნოთ, მენარმეები გამძლე მანქანებს დაბალხარისხიანი მანქანების ფასშიც შესთავაზებენ, თუმცა დამატებითი ფუნქციონალის გარეშე.

მეტიც, თავისუფალ ბაზარზე, რესურსების „ხარჯვა“ სერიოზული საფრთხე არცაა. როდესაც დეფიციტური მდგომარეობები იქმნება, მათ გამოსასწორებლად თამაშში ავტომატურად ერთვებიან ძლევამოსილი ფაქტორები. მაგალითად, თუ ხის დეფიციტი დაიწყება, მისი ფასი გაიზრდება. შედეგად, მომხმარებლებს ხისგან შექმნილი ნაკლები პროდუქტის ყიდვა მოუწევდათ. მწარმოებლებს ხის სხვა, ნებისმიერი შესაძლო მასალით ჩანაცვლება მოუწევთ. კარადები, ავეჯი, გემები და ა. შ. სხვა, უფრო იაფი მასალებისგან გაკეთდება. ახალ, შესაძლოა, სინთეტიკურ მასალებსაც გამოიგონებენ. უცაბედად გაძვირებული, „გამოყენებული“ ხის გადამუშავებაზე უფრო მეტს ვიზრუნებთ. მაგალითად, ძველი გაზეთები ქიმიურად გადამუშავდება და შემდგომში უფრო დიდი ზრუნვით გამოვიყენებთ. ხის გაზრდილი ფასი მენარმეთათვის სტიმულს შექმნის, რომ უფრო მეტი ხე დათესონ და ტყეებს უფრო ყურადღებით მოუარონ. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი ან თუნდაც რამდენიმე რესურსის სიმწირის დროს, თავისუფალი ეკონომიკა ავტომატურად ერგება სიტუაციას. ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ ბაზრის მორგების მექანიზმი – ფასების სისტემა – ხელშეუხებელია, ჩანაცვლება უფრო იაფი და უხვი რესურსებით მოხდება, ხოლო მწირი რესურსები უკეთ შეინახება.

მაგრამ, ვთქვათ, რა მოხდება, ერთი ან რამდენიმე კი არა, არამედ ყველა რესურსი რომ დეფიციტში იყოს? რა მოხდება, თუ ყველა რესურსს ერთდროულად ამოვწურავთ? აქედან იწყება ხოლმე სამეცნიერო ფანტასტიკა, შესაბამისად, პრობლემასთან გასამკლავებლად ჩვენც ცოტა ფანტაზია უნდა მოვიშველიოთ. აქვე, თუ იმას დავუშვებთ, რომ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით აღიგავა პირისაგან მიწისა, ჩვენი რჩევების იმედი ნულარ გექნებათ.

მოდით, ეს ჰიპოთეტური სცენარი რეალობას ცოტათი დავუახლოოთ და პირობები შევცვალოთ. ანუ ის კი არ წარმოვიდგინოთ, რომ ყველა რესურსი მყისიერად გაქრა ან დედამიწა შეიკუმშა და

გაუჩინარდა, არამედ ვთქვათ, რომ ჩვენი რესურსები გამოყენების შემდეგად ნაცრად, მტვრად და ნარჩენებად გადაიქცა. მაგალითად, ის კი არ დავუშვათ, რომ ქვანახშირი მთლიანად გაქრა, არამედ ის, რომ ქვანახშირი სულ გამოვიყენეთ და ამ რესურსის მაგივრად მტვერი, ნაცარი, მინარევები და წვის შედეგად მიღებული ქიმიური ნაერთები დაგვრჩა. ეს დაშვება სხვა რესურსებზეც გავავრცელოთ, თითქოს ყველაფერი ისე „დავხარჯეთ“, რომ ჩვენთვის უსარგებლო გახდა.

ამ საშინელ სცენართან გასამკლავებლად ორი რამ უნდა დავიმახსოვროთ: პირველი – საკმარისი გამოცდილება არსებობს იმის სარწმუნოდ, რომ ენერგიის არსებული წყაროების ამონურვის პარალელურად ენერგიის ახალ წყაროებს მიაგნებენ. არ არსებობს მიზეზი, რომელიც საპირისპირო დაშვების გაკეთების საფუძველს მოგვცემდა. კაცობრიობამ ქვის ხანიდან ბრინჯაოს, ხოლო შემდეგ რკინის ხანას მიაღწია. ენერგიის წყარო ჯერ შეშა იყო, მერე ქვანახშირი, ამ უკანასკნელის ამონურვის შემდეგ ნავთობს მივაგენით. ნავთობის შემდეგ, ენერგიის ახალი წყაროებიც გვექნება, სავარაუდოდ ბირთვული. ამ ტექნოლოგიური ფენომენის უგულებელყოფა ჩვენს სცენარს უსაშველოდ დაამახინჯებს.

მეორე, რაც უნდა გავაცნობიეროთ, არის ის, რომ ენერგიის ყველა წყაროს უკან, პირდაპირ თუ ირიბად, მზე დგას. დღესდღეობით გამოყენებული ნებისმიერი სახის ენერგიაც და მომავალში გამოგონებული ტექნოლოგიების მიერ ნაწარმოები ენერგიაც მზიდან მომდინარეობს. თუმცა თავად მზე მუდამ ვერ იარსებებს. მზის გაქრობისას თუ ტექნოლოგიურად საკმარისად განვითარებულნი არ ვიქნებით, რომ უფრო ახალგაზრდა ვარსკვლავის გარშემო მბრუნავ სხვა პლანეტაზე გადავსახლდეთ ან ჩვენი მზე როგორღაც „დავტენოთ“, კაცობრიობა გაქრება. ამ სცენარების მისაღწევად საჭირო ტექნოლოგიები გვექნება თუ არა, ეს ჩვენ მიერ დღეს მიღებულ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. თუ დედამიწის რესურსებს გამოვიყენებთ, ამოვწურავთ და მათთვის ჩამნაცვლებლებს ვიპოვით, მთელი ამ პროცესით მეტ ცოდნას დავაგროვებთ და ჩვენი ტექნოლოგიური პროგრესი გაგრძელდება. თუ ასე არ ვიზამთ, შიშით ვიხელმძღვანელებთ და არ გვექნება საკუთარი თავის იმედი, რომ გამოვწვევებს გავეუმკლავდებით და არსებულ რესურსებს გამოვიზოგავთ, მაშინ მეტს აღარც განვითარდებით. სირაქლემასავით მინაში თავჩარგულები

დაველოდებით მზის ჩაქრობას, ჩვენი სამყაროს აღსასრულს, უარს ვიტყვით რა მაღალ ტექნოლოგიებზე, რომელიც მხოლოდ მოსახლეობის ზრდით და დედამიწის მიერ მონოდებული რესურსების ექსპლუატაციით მიიღწევა.

ნაწილი მეორე

პრომის გაზარი



29.

გაქსუებული კავიტალისტი დამსაქმებელი

„რომ არა მინიმალური ხელფასის შესახებ კანონი და სხვა პროგრესული ზომები, დამსაქმებლები, გაქსუებული კავიტალისტი ექსპლუატატორი ღორი დამსაქმებლები, იქამდე დაწევდნენ ხელფასებს, სადამდეც გაუხარდებოდათ. საუკეთესო შემთხვევაში დაბალანაზღაურებადი სანარმოების ეპოქაში დავბრუნდებოდით, უარეს შემთხვევაში კი – ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში, როცა კაცობრიობა შიმშილს ებრძოდა და ხშირად მარცხდებოდა ამ ბრძოლაში“.

სწორედ ასეთია სტანდარტული მოსაზრება მინიმალური ხელფასის შესახებ. თუმცა ცოტა ხანში დარწმუნდებით, რომ ეს სტანდარტული მოსაზრება მცდარია, ტრაგიკულად მცდარი. ის ქმნის ბოროტმოქმედს იქ, სადაც ბოროტმოქმედი არ არსებობს. რის მიღწევას ცდილობს ეს კანონი და რა შედეგები მოჰყვება მას?

მინიმალური ხელფასის კანონი, თავისი შინაარსით, დასაქმების კი არა, დაუსაქმებლობის კანონია. ის დამსაქმებელს არ აიძულებს, რომ თანამშრომელი მინიმალური ანაზღაურებით ან რამე სხვა ანაზღაურებით დაიქირაოს. ის დამსაქმებელს უკრძალავს აიყვანოს თანამშრომელი ანაზღაურების რამდენიმე ქვედა საფეხურზე – საფეხურებზე, რომლებიც მინიმალური ანაზღაურების მიღმა ხვდება. ის მუშასაც უკრძალავს დათანხმდეს იმ სამსახურს, სადაც მინიმალურ ხელფასზე ნაკლებს სთავაზობენ – მიუხედავად იმისა, თუ რამდენად თანახმაა ასეთ პირობებში მუშაობაზე. ეს კანონი მუშას, რომელიც უმუშევრობასა და დაბალანაზღაურებადი სამსახურის არჩევანის ზღვარზე დგას, აიძულებს არჩევანი უმუშევრობაზე გააკეთოს. ამ კანონით არც ხელფასები იზრდება. იგი უბრალოდ გამორიცხავს იმ საქმიანობებს, რომლებიც სტანდარტში ვერ ჯდება.

როგორ განისაზღვრება ხელფასები მინიმალური ხელფასის კანონის არარსებობის შემთხვევაში? თუ შრომის ბაზარი შრომის ბევრი მომწოდებლისგან (მუშახელი) და შრომის ბევრი მომთხოვნისგან (დამქირავებელი) შედგება, მაშინ სახელფასო განაკვეთი განისაზღვრება, როგორც ეკონომისტები ეძახიან, „შრომის ზღვრული პროდუქტიულობის“ მიხედვით. შრომის ზღვრული პროდუქტიულობა შემოსავლის ის ზედმეტი ოდენობაა, რომელსაც დამქირავებელი მიიღებს, თუ მუშას დაიქირავებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ახალი თანამშრომლის დაქირავებით დამქირავებლის ჯამური შემოსავლები კვირაში 60\$-ით გაიზრდება, მაშინ ამ თანამშრომლის ზღვრული პროდუქტიულობა კვირაში 60\$-ია. მუშებისთვის გადახდილი სახელფასო განაკვეთი ამავე მუშის ზღვრულ პროდუქტიულობას უახლოვდება ხოლმე. ასე რატომ ხდება? სინამდვილეში, დამქირავებელს ხომ ურჩევნია, რომ მუშებს თითქმის არაფერი გადაუხადოს, მიუხედავად ამ მუშების პროდუქტიულობისა? პასუხი: დამსაქმებლებს შორის კონკურენცია.

მაგალითად, დაუშვით, რომ მუშის ზღვრული პროდუქტიულობა საათში 1.00\$-ია. თუ მას საათში 5 ცენტად ქირაობენ, დამქირავებელი საათში 95 ცენტს შოულობს. სხვა დამქირავებლები ამ მუშის თავისთან გადასაყვანად მას შეევაჭრებოდნენ და საათში 6, 7 ან სულაც 10 ცენტს შესთავაზებდნენ, მათი შემოსავლები მუშის ხელფასის გასაზრდელად საკმარისი იქნება. ვაჭრობა 1\$-თან მიახლოებულ

ნიშნულზე დასრულებდა, ვინაიდან, მუშის გადაბირების განზრახვას მუშისთვის მხოლოდ მისი პროდუქტიულობის ტოლი ხელფასის გადახდა შეაჩერებს.

მაგრამ, ვთქვათ, დამქირავებლები შეთანხმდნენ, რომ მუშები საათში 5 ცენტზე ძვირად არ დაიქირაონ. შუა საუკუნეებში სწორედ ეს მოხდა, როდესაც სახელმწიფოს დახმარებით დამქირავებლების კარტელი შეიკრა. მიიღეს კანონები, რომლებიც რალაც ზღვარზე მაღალი ხელფასების გადახდას კრძალავდა. ასეთი შეთანხმებები მხოლოდ იმ შემთხვევაში მუშაობს, თუ სახელმწიფო კარტელს ეხმარება და საამისოდ კარგი მიზეზებიც არსებობს.

უკარტელო სიტუაციაში, დამქირავებელი მუშების გარკვეულ რაოდენობას ქირაობს – იმდენს, რამდენიც, მისი რწმენით, მაქსიმალურად წაადგება მის ბიზნესს. თუ დამქირავებელი მხოლოდ ათ მუშას ქირაობს, ეს იმიტომ ხდება, რომ მისი აზრით, მეათე მუშის პროდუქტიულობა მისთვის გადასახდელ ხელფასზე მაღალი იქნება, ხოლო მეთერთმეტე მუშის პროდუქტიულობა – მისთვის გადასახდელ ხელფასზე ნაკლები.

თუ ასეთ სიტუაციაში დამქირავებლების კარტელი საათში 1\$ ზღვრული პროდუქტიულობის მქონე მუშების ხელფასს 5 ცენტზე გაყინავს, მაშინ თითოეულ დამქირავებელს უფრო მეტი მუშის აყვანა ენდომება. ეს „მოთხოვნის კანონის“ სახელითაა ცნობილი (რაც უფრო დაბალია რაიმეს ფასი, მით უფრო მეტ მყიდველს მეტი რაოდენობით ენდომება მისი შეძენა). მუშას, რომლის პროდუქტიულობაც, დამქირავებლის გადმოსახედიდან, 1\$-ზე ნაკლებია და, შესაბამისად, ბიზნესს მისი 1\$-ად დაქირავება აქამდე არ უღირდა, სიხარულით დაიქირავებენ საათში 5 ცენტად.

აქ ჩანს კარტელის პირველი ხარვეზი: კარტელის თითოეულ წევრს დანარჩენების მოტყუების დიდი ფინანსური სტიმული აქვს. თითოეული დამქირავებელი მუშების სხვებისგან გადმობირებას ეცდება. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის ერთადერთი გზა კი უფრო მაღალი ხელფასების შეთავაზებაა. რამდენად მაღალი ხელფასების? როგორც უკვე ვნახეთ, თითქმის 1\$-მდე, უკვე გასაგები მიზეზების გამო.

კარტელის მეორე ნაკლი ისაა, შეთანხმების წევრების მხრიდან წესების დაცვის შემთხვევაშიც კი, უამრავი დამქირავებელი გამოჩ-

ნდება, ვინც კარტელის ნაწილი არაა და ამ მუშების საათში 5 ცენტად დაქირავება მოუწდება: კარტელის გეოგრაფიული არეალის მიღმა მყოფი პოტენციური დამქირავებლები; თვითდასაქმებული ხელოსნები, რომლებსაც მუშების აყვანა აქამდე არ შეეძლოთ; ის დამქირავებლები, რომლებსაც მუშები მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე ჰყავდათ დაქირავებული – მუშების ხელფასების ზრდაში თითოეული მათგანი შეიტანს წვლილს.

თავად მუშებს წარმოდგენა რომ არ ჰქონდეთ სხვა სექტორებში ხელფასების შესახებ ან ისეთ მიყრუებულ ადგილებში ცხოვრობდნენ, სადაც დასაქმების სხვა ალტერნატივა არც არსებობს, ეს ძალები მაინც იმუშავებს. აუცილებელი არაა, რომ ვაჭრობის ორივე მხარეს ყველაფრის შესახებ ჰქონდეს ინფორმაცია. ამბობენ, თითქოს, თუ ორივე მხარე თანაბრად ინფორმირებული არ იქნება, შედეგად „არასრულყოფილ კონკურენციას“ მივიღებთ და რომ ასეთ ინფორმაციულ ასიმეტრიაში ეკონომიკური კანონები რატომღაც აღარ მუშაობს. ეს მცდარი შეხედულებაა. ჩვეულებრივ, მუშებს შრომის ბაზრის შესახებ მცირე წარმოდგენა აქვთ ხოლმე, სამაგიეროდ მიჩნეულია, რომ დამქირავებლები გაცილებით უკეთ არიან ინფორმირებულნი. ეს კი უკვე საკმარისია. შეიძლება მუშას წარმოდგენა არ ჰქონდეს დასაქმების ალტერნატიული შესაძლებლობების შესახებ, მაგრამ ის ზუსტად იცის, რომ შემოთავაზებულიდან ყველაზე მაღალანაზღაურებადი სამსახური უნდა აირჩიოს. გამოდის, მუშის უცოდინარობის საკომპენსაციოდ ისიც კმარა, რომ თავად დამსაქმებელმა წარუდგინოს საკუთარი თავი მის ზღვრულ პროდუქტიულობაზე ნაკლებ ხელფასად მომუშავე დასაქმებულს და უკეთესი ხელფასი შესთავაზოს.

და ეს ბუნებრივად ასე ხდება. დამქირავებელთა პირადი ინტერესი, მათ „თითქოსდა უჩინარი ხელით“ აიძულებს, რომ დაბალანაზღაურებადი მუშები მოიძიონ, უფრო მაღალი ხელფასები შესთავაზონ და წინ გაუძღვნენ. მთელი ეს პროცესი ხელფასების ზღვრულ პროდუქტიულობის დონემდე ზრდას უწყობს ხელს. ეს არამხოლოდ ქალაქის მუშებს, არამედ იზოლირებული ადგილების მუშებსაც ეხება, რომლებსაც არაფერი გაუგიათ ალტერნატიული სამუშაო შესაძლებლობების შესახებ და რომც იცოდნენ, იქამდე მისაღწევი სახსრები არ ექნებოდათ. მართალია, უცოდინარი მუშის ზღვრულ

პროდუქტიულობასა და მის ხელფასს შორის საკმარისად დიდი სხვაობა უნდა იყოს იმისათვის, რომ დამქირავებელი მუშამდე მივიდეს, სამუშაო ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია მისცეს და სამუშაო ადგილზე გადაყვანის ხარჯები დაუფაროს, მაგრამ რეალობაში თითქმის სულ ასე ხდება და დამქირავებლებმა ამის შესახებ უკვე დიდი ხანია იციან.

მექსიკელი არალეგალები ამის კარგი მაგალითია. ძალიან ცოტა ვინმე თუ მოიძებნება, ვისაც მათზე ნაკლები ინფორმაცია აქვს შეერთებული შტატების შრომის ბაზრის შესახებ ან მათზე ნაკლები ფული უკეთეს სამსახურამდე მისაღწევად. სამხრეთ კალიფორნიელი დამქირავებლები კი მათ მოსაძებნად არა მხოლოდ ასობით მილს გადიან, არამედ მუშების ჩრდილოეთით გადასაყვანად სატვირთო ავტომობილებს ან სამგზავრო ფულსაც არ იშურებენ. რეალურად, დამქირავებლები „იაფი მუშახელის“ (მუშები, რომლებიც საკუთარ ზღვრულ პროდუქტიულობაზე ნაკლებ ხელფასს იღებენ) საპოვნელად მექსიკის საზღვართან ვისკონსინიდანაც კი ჩამოდიან. ეს ფაქტი საკმაოდ მრავლისმეტყველია იმ ბუნდოვანი ეკონომიკური კანონების მუშაობის შესახებ, რომელზეც მექსიკელ არალეგალს არაფერი გაუგია (ზოგიერთი ამ ემიგრანტი მუშების ცუდ სამუშაო პირობებზე წუწუნებს, მაგრამ ამ „წუწუნის“ ავტორები ძირითადად ან ეკონომიკის ინჩი-ბინჩის არმცოდნე, გულკეთილი ხალხია, ან პირები, რომლებსაც არ მოსწონთ ამ სხვა მხრივ უიღბლო მუშაკების მიერ საკუთარი შრომის შესაბამისი ანაზღაურების მიღება. თავად მექსიკელი მუშები კი ახალი ხელფასისა და სამუშაო პირობების ერთიან პაკეტს ბევრად მეტი სიხარულით შესცქერიან, ვიდრე ყველა იმ ალტერნატივას, რაც შინ დატოვებს. ეს დამოკიდებულება გამოსჭვივის მათ მზაობაში, რომ წლიდან წლამდე, შეერთებულ შტატებში მოსავლის აღების სეზონზე ჩამოვიდნენ).

შესაბამისად, მინიმალური ხელფასების კანონი დასავლურ ცივილიზაციასა და ქვის ხანაში დაბრუნებას შორის მთავარი წყალგამყოფი ნამდვილად არაა. არსებობს კონკრეტული საბაზრო ძალები და მენარმეთა მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული ქცევა, რომლებიც ხელფასების ზღვრული პროდუქტიულობის დონეზე ქვევით ვარდნას აზღვევს. ხოლო თავად პროდუქტიულობის დონე ტექნოლოგიით, განათლებითა და საზოგადოებაში დაგროვებული

კაპიტალის დონით განისაზღვრება და არა შემოღებული „სოციალურად პროგრესული“ კანონების რაოდენობით. მინიმალური ხელფასის დაწესება იმას არ აკეთებს, რასაც იკვეხნის. მაშ, რას აკეთებს? კონკრეტულად რა შედეგები მოაქვს?

რა რეაქცია ექნება რიგით მუშას, თუ ხელფასები კანონის ძალით საათში 1\$-დან 2\$-მდე გაიზრდება? თუ უკვე სრულ განაკვეთზე მუშაობს, შეიძლება უფრო მეტი საათის მუშაობა მოუწოდეს. თუ ნახევარ განაკვეთზე მუშაობს ან უმუშევარია, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო მონადინებული იქნება იმუშაოს.

მეორე მხრივ, რიგითი დამსაქმებლის რეაქცია სანინალმდეგო იქნება. მას ყველა იმ თანამშრომლის გაშვება ენდომება, ვისთვისაც ხელფასის გაზრდა მოუწევს (ასე რომ არ იყოს, ხელფასს იქამდე გაუზრდიდა, ვიდრე აიძულებდნენ). ახლა კი იძულებულია, რომ წარმოება განაგრძოს, შესაბამისად, შეიძლება სიტუაციას მყისიერად ვერც მოერგოს. თუმცა დროთა განმავლობაში, მოულოდნელად გაძვირებულ გამოუცდელ მუშახელს უფრო ცოტა, მაგრამ გამოცდილი მუშებითა და უფრო რთული დანადგარებით ჩანაცვლებს, იმისათვის, რომ მისი ჯამური სანარმოო ხარჯები უცვლელი დარჩეს.

ეკონომიკის შესავალში სტუდენტები სწავლობენ, რომ როდესაც რაიმეს ფასს მის წონასწორულ ფასზე მაღლა დავაფიქსირებთ, მისი შეძენის მსურველების რაოდენობა შემცირდება და „საქონელი ჩანვება“, ე. წ. სიჭარბეს მივიღებთ. თუ, მაგალითად, შრომის წონასწორული ფასი საათში 1\$-ია და ჩვენ უფრო მაღალ მინიმალურ ხელფასს დავაწესებთ, შედეგად მივიღებთ შრომის სიჭარბეს, რასაც სხვანაირად უმუშევრობას ვეძახით ხოლმე. რაც არ უნდა სათუთ რამეს ვაკრიტიკებდეთ, სიმართლე სიმართლედ დარჩება – მინიმალური ხელფასის კანონები უმუშევრობას იწვევს. ეს კანონები თან მაღალ ხელფასზე მუშაობის უფრო მეტ მსურველს აჩენს და თან ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილების რაოდენობას ამცირებს.

კამათი მხოლოდ იმის გარშემო უნდა მიდიოდეს, თუ რამდენად ზრდის მინიმალური ხელფასის დაწესება უმუშევრობას. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად ჩანაცვლებიან უუნარო მუშები თანაბრად პროდუქტიული გამოცდილი მუშებითა და დანადგარებით. ჩვენს უახლოეს ისტორიაში, როდესაც მინიმალური ხელფასი კანონით საათში 40 ცენტიდან 75 ცენტამდე გაიზარდა,

ლიფტის გამცილებლების ჩანაცვლება დაიწყო. გარკვეული დრო დასჭირდა, მაგრამ დღესდღეობით ლიფტების უმეტესობა ავტომატურია. იგივე დაემართათ ჭურჭლის გამოუცდელ მრეცხავებს. მათ აქამდეც ანაცვლებდნენ და დღემდე ანაცვლებენ ავტომატური სარეცხი მანქანებით, რომლებსაც უფრო გამოცდილი მუშები მართავენ და არემონტებენ. პროცესი ისევ გრძელდება. მინიმალური ხელფასის კანონი რაც უფრო მეტად ეხება სამუშაო უნარების არმქონე მოსახლეობის უფრო და უფრო დიდ სეგმენტს, მით უფრო მეტი ასეთი ადამიანი რჩება უმუშევარი.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მინიმალური ხელფასის კანონი პირდაპირ მხოლოდ მათ ეხება, ვინც კანონით განსაზღვრულ ხელფასზე ნაკლებს იღებს. საათში 10\$-იანი ხელფასის მქონე მუშახელზე, საათში მინიმუმ 2\$-იანი ხელფასის დამწესებელი კანონი გავლენას ვერ მოახდენს. მაგრამ სანამ იმას დაუშვებდეთ, რომ მინიმალური ხელფასი უბრალოდ დაბალშემოსავლიანი მუშების ხელფასებს ზრდის, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ მინიმალურ სახელფასო განაკვეთად საათში 100\$-ს დაწესებენ. რამდენ ჩვენგანს აქვს იმხელა ზღვრული პროდუქტიულობა, რომ დამსაქმებელს ჩვენთვის საათში 100\$-ის გადახდა უღირდეს? სამსახურის შენარჩუნებას მხოლოდ ისინი შეძლებენ, ვინც ამ ფასის ღირსად მიიჩნევა. დანარჩენები კი უმუშევრები დავრჩებით. რა თქმა უნდა, ეს უტყრიებელი მაგალითია, მაგრამ ზემოთ აღწერილი პრინციპი ასეც მუშაობს. როდესაც ხელფასები კანონის ძალით იზრდება, დაბალპროდუქტიული მუშები სამსახურებს კარგავენ.

ვინ ზიანდება მინიმალური ხელფასის დაკანონებით? ის, ვინც გამოუცდელია და ვისი ზღვრული პროდუქტიულობის დონეც კანონით დაწესებულ სახელფასო დონეზე დაბალია. დღეის მონაცემებით, უმუშევრობის დონე შავკანიან თინეიჯერ ბიჭებში, დაახლოებით, 50%-ია – 3-ჯერ მაღალი, ვიდრე 1933 წლის დეპრესიის დროს იყოს. თან, ეს მონაცემი პოპულაციის იმ დიდ ნაწილს არც ითვალისწინებს, რომლებმაც ასეთი უმუშევრობის პირობებში სამსახურის ძებნა უკვე შეწყვიტეს.

ასე დაკარგული მათი შემოსავალი მხოლოდ აისბერგის წვერია. უფრო მნიშვნელოვანია ის გამოცდილება, რომელსაც ეს ახალგაზრდა ბიჭები სამუშაო ადგილზევე შეიძენდნენ. საათში 2\$-ად უმუშევრობის

ნაცვლად, საათში 1\$-ად (ან უფრო ნაკლებადაც) რომ მუშაობდნენ, ისინი შეიძენდნენ უნარებს, რომლებიც მათ ზღვრული პროდუქტიულობის ზრდასა და სამომავლოდ საათში 2\$-ზე მაღალანაზღაურებადი სამსახურების პოვნაში დაეხმარებოდა. სანაცვლოდ კი, ბირჟაზე დგომის, უსაქმურობისათვის და მხოლოდ იმ უნარების სწავლისთვის არიან განწირულნი, რომლებიც ახლო მომავალში თავისუფლების აღკვეთის განაჩენით დასრულდება.

შავკანიანი თინეიჯერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა პირველი სამსახურის შოვნაა. ყოველი დამსაქმებელი მოითხოვს სამუშაო გამოცდილებას, მაგრამ როგორ შეიძენს ახალგაზრდა შავკანიანი სამუშაო გამოცდილებას, თუ არავინაც არ აიყვანს სამსახურში? ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ უმცირესობის ჯგუფების თინეიჯერების დასაჩაგრად რაღაც „დამქირავებელთა შეთქმულებასთან“ გვაქვს საქმე, ეს სახელფასო მინიმუმის კანონის გამო ხდება. თუ დამსაქმებელი იძულებულია, რომ ახალბედასაც კი გამოცდილი მუშის შესაბამისი ხელფასი გადაუხადოს, რა გასაკვირია, რომ შესაბამისი ხარისხის შრომას ითხოვდეს?

პარადოქსი ისაა, რომ შავკანიანი თინეიჯერების დიდი ნაწილის პროდუქტიულობა დაწესებულ ხელფასზე ძვირი ღირს, მაგრამ სწორედ დაწესებული ხელფასის გამო რჩებიან უმუშევრად. იმისათვის, რომ საათში მინიმუმ 2\$-იანი ანაზღაურებით იყო დასაქმებული, მხოლოდ ის არაა საკმარისი, რომ საათში 2\$ ღირდე, დამსაქმებელი საათში 2\$-ის ღირებულების მქონედ უნდა აღგიქვამდეს. თუ მას ინტუიცია უმტყუნებს, ფულს დაკარგავს და თუ ინტუიცია ხშირად უმტყუნებს, სულაც გაკოტრდება. მინიმალური ხელფასის კანონით, დამსაქმებელს რისკის ფუფუნება აღარ გააჩნია. სამწუხაროდ, შავკანიანი თინეიჯერები ხშირად „სარისკო“ კლასის წარმომადგენლებად მიიჩნევიან. ურწმუნო დამსაქმებლისთვის აზრის შესაცვლელად, ჰორაციო ალგერის გმირი დამსაქმებელს კაცურად შესთავაზებდა, რომ ორი კვირის განმავლობაში სიმბოლური ხელფასის სანაცვლოდ ან სულაც უფასოდ ემუშავა. ამ დროის განმავლობაში ჩვენი გმირი დაამტკიცებდა, რომ მისი პროდუქტიულობა უფრო მაღალ ანაზღაურებას იმსახურებდა. მეტიც, ჩვენი პატარა გმირი გამოუცდელი მუშის აყვანისთვის დამქირავებლის რისკსაც კი საკუთარ თავზე აიღებდა და დამსაქმებელიც ამ პირობებზე გულდამშვიდებული დასთანხმდებოდა.

თუმცა ჰორაციო ალგერის გმირს მინიმალური ხელფასის კანონებთან ბრძოლა არ უწევდა. კანონებთან, რომლებიც მსგავს გარიგებას კანონდარღვევად გადააქცევდა. შავკანიან თინეიჯერებს კი ეს კანონი ხელს უშლის საკუთარი ღირებულების პატიოსანი გზით დამტკიცებაში.

მინიმალური ხელფასის კანონები მხოლოდ შავკანიან თინეიჯერებს კი არა, გეტოელ შავკანიან ვაჭრებსა და შავკანიან მენარმეებსაც აზიანებს. ეს კანონი რომ არა, მათ, საკუთარი თეთრკანიანი კოლეგებისგან განსხვავებით, საშუალება ექნებოდათ იაფი შავკანიანი თინეიჯერი მუშახელი დაექირავებინათ. ახალგაზრდა შავკანიანი მუშა მათთვის უფრო ხელმისაწვდომი იქნებოდა, ვინაიდან თავადაც გეტოებში ცხოვრობენ და სამუშაო ადგილთან წვდომას გაუმარტივებდნენ. თავის მხრივ, უეჭველია, ახალგაზრდა შავკანიან მუშას შავკანიანი მენარმის მიმართ უფრო ნაკლები ზიზღი და უკეთესი სამსახურებრივი ურთიერთობა ექნებოდა. ვინაიდან ჯანსაღი ურთიერთობები სამსახურებში პროდუქტიულობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია, შავკანიან დამსაქმებელს საკუთარი მუშებისთვის თეთრკანიან დამსაქმებლებზე მეტის გადახდაც შეეძლებოდა და მოგების ნახვაც.

სახელფასო მინიმუმის კანონებს შავკანიან ახალგაზრდა მუშებზე რაც არ უნდა სამწუხარო გავლენა ჰქონდეს, ეს „გულკეთილობით“ შეფუთული კანონები ნამდვილი ტრაგედიის წყაროა შშმ მუშებისთვის. მინიმალური სახელფასო განაკვეთის კანონი მოგებაზე ორიენტირებულ დამსაქმებელს შშმ თანამშრომლის დაქირავებას ეფექტიანად უკრძალავს. საკუთარი თავის საკუთარივე შრომით უზრუნველყოფის ყოველგვარი იმედი ქრება. შშმ პიროვნების არჩევანი ასეთია: უმუშევრობა ან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ვითომსამუშაო, რომელიც ბანალური აქტივობებისგან შედგება და უმუშევრობის მსგავსად დამთრგუნველია. ის, რომ სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ასეთი სქემები პირველ რიგში შშმ პირთა პატიოსან დასაქმებას უშლის ხელს, რბილად რომ ვთქვათ, ირონიაა, რომელსაც სპეციალური საჭიროების მქონე პირები ნამდვილად არ ჩათვლიან სასაცილოდ.

ბოლო დროს, მინიმალური ხელფასის კანონში გამონაკლისი დაუშვეს და ის უნარშეზღუდულთა ზოგიერთ კლასს (მსუბუქად

უნარშეზღუდულები) აღარ ეხება. შესაბამისად, „მსუბუქად უნარ-შეზღუდულთა“ დაქირავება დამსაქმებელთა ინტერესებშია და მათ სამსახურები გაუჩნდათ. მაგრამ, თუ უკვე გავაცნობიერეთ, რომ მინიმალური ხელფასის დაწესება „მსუბუქად უნარშეზღუდული“ პირების დასაქმების შანსებს ამცირებდა, ისიც ხომ უნდა გავაცნობიეროთ, ეს კანონი მუშაობის ყველა სხვა მსურველსაც ანალოგიურად აზიანებს? ან „სრულად უნარშეზღუდული“ პირები ამ შეღავათით რატომ არ სარგებლობენ?

თუ მინიმალური ხელფასის დამდგენი კანონი ვერ იცავს იმ ინდივიდს, რომლის დაცვისთვისაცაა შექმნილი, მაშინ ვის ინტერესებს ემსახურება? რატომ უნდა მივიღოთ ასეთი კანონი?

მინიმალური ხელფასის კანონის ყველაზე თავგადაკლული მცველები პროფკავშირები არიან – და წესით ამან წამით მაინც უნდა დაგვაფიქროს. პროფკავშირის რიგითი წევრი საათში მინიმუმად დაწესებულ 2\$-ზე მეტს ისედაც იღებს. თუ უკვე საათში 10\$-ს შოულობს, გამოდის, მისი შემოსავალი დადგენილ ნორმაზე მაღალია და შესაბამისად, კანონი მას არაფერს მატებს. მაშ, რას დავაბრალოთ მათი ასეთი ვნებიანი სიყვარული ამ კანონის მიმართ?

მათი საზრუნავი დაჩაგრულ მუშათა – მის შავკანიან, პუერტო-რიკოელ, მექსიკელ-ამერიკელ, ინდიელ ძმათა – ბედი როდია. პროფკავშირები 99.44%-ით თეთრკანიანებითაა დაკომპლექტებული და მათ შორის უმცირესობათა წარმომადგენლები არათუ არ არიან, არსებული წევრები უმცირესობათა წარმომადგენლების პროფკავშირში შესვლას სასტიკად ეწინააღმდეგებიან კიდევ. მაშ, რა დგას მათი ინტერესის უკან?

როდესაც მინიმალური სახელფასო განაკვეთის კანონმა გამოუცდელი მუშების ხელფასები აწია, მოთხოვნის ეკონომიკურმა კანონზომიერებამ დამქირავებლების მიერ გამოუცდელი მუშების გამოცდილი მუშებით ჩანაცვლება გამოიწვია. პროფკავშირები კი, ძირითადად, გამოცდილი მუშახელისგან შედგება. ზუსტად ასე, როდესაც მუშების პროფკავშირი, რომელიც, ძირითადად, გამოცდილი მუშახელისგან შედგება, სახელფასო განაკვეთის გაზრდას მიაღწევს, მოთხოვნის კანონი დამქირავებლების მიერ გამოუცდელი მუშების გამოცდილი მუშებით ჩანაცვლებას იწვევს! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის გამო, რომ გამოცდილი და გამოუცდელი მუშები,

გარკვეულ ფარგლებში, ერთმანეთის ჩამნაცვლებლებად მოიაზრებიან, ისინი ერთმანეთის კონკურენტებად გადაიქცნენ. სრულიად შესაძლებელია, არსებობდეს 10 ან 20 გამოუცდელი მუშა, რომლებიც კონკურენციაში არიან და, შესაბამისად, ჩანაცვლებადებიც არიან ორი ან სამი გამოცდილი მუშითა და რაიმე რთული დანადგარით. მაგრამ, თავად ჩანაცვლებადობაზე, განსაკუთრებით გრძელვადიანად ჩანაცვლებადობაზე, ეჭვი ვერც იქნება.

ჰოდა, კონკურენტების თავიდან მოსაშორებლად, ბაზრიდან ფასის მეშვეობით მათ გაგდებაზე უკეთესი გამოსავალი რა უნდა იყოს? უკეთ როგორ უნდა დაიზღვიოს პროფკავშირმა თავი იმისგან, რომ როდესაც მომავალში საკუთარი წევრებისთვის ხელფასების ზრდის მოთხოვნით გამოვა, მისი მოთხოვნა დამქირავებლებს გამოუცდელი, არაპროფკავშირელი მუშახელის დაქირავებისკენ არ უბიძგებს? პროფკავშირების ტაქტიკა ისეთი კანონის შემოღებას მოიაზრებს, რომელიც გამოუცდელი მუშების ხელფასს კანონის ძალით იმდენად გაზრდის, რომ მათი დაქირავება შეუძლებელი იქნება, იმის მიუხედავად, თუ რამდენად ჭარბი იქნება თავად პროფკავშირების სახელფასო მოთხოვნები (უმცირესობის ჯგუფებს ისეთი კანონის შემოღება რომ შეეძლოთ, რომელიც პროფკავშირელთა ხელფასებს 10-ჯერ გაზრდიდა, ამით, რეალურად, პროფკავშირებს დაანგრევინ. პროფკავშირის წევრთა რაოდენობა თვალის დახამხამებაში შემცირდებოდა. დამქირავებლები ყველა პროფკავშირელს გაუშვებდნენ სამსახურიდან, რადგან თუ ასე არ ან ვერ მოიქცეოდნენ, უბრალოდ გაკოტრდებოდნენ).

აბა, პროფკავშირები შეგნებულად და განზრახ იცავენ ასეთ საზიანო კანონს? აქ განზრახვები არაფერ შუაშია. მხოლოდ ქმედებები და მათი შედეგებია მნიშვნელოვანი. მინიმალური ხელფასის კანონის შედეგები დამანგრეველია. ის დალუპვისთვის სწირავს ღარიბებს, გამოუცდელებსა და უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლებს – სწორედ იმათ, ვის დასაცავადაც, ერთი შეხედვით, შეიქმნა.

რა ვერ გაიგე, რომ ეს სამსახური ჩემია!



30.

შტრაიკბრეხერი

ცოტა რამე თუ კრავს საზოგადოებას ერთ მუშტად ისე, როგორც შტრაიკბრეხერის მიმართ დამოკიდებულება. ყველას მიაჩნია, რომ ის უნამუსო, ბოსთან შეკრული მავნებელია და რომ ბოსი და შტრაიკბრეხერი ერთად ალაგებენ გეგმებს, თუ როგორ გამოლლიტონ დანარჩენ მუშებს მათი კანონიერი უფლებები და სამუშაო ადგილები. შტრაიკბრეხერები სპეციალურად აჰყავთ ხოლმე სამსახურში, რათა მერე პროფკავშირის წევრი მუშები დაბალ ხელფასებზე დაითანხმონ. ხოლო როდესაც ისიც ირკვევა, რომ გაფიცულ მუშებს პიკეტებზე სწორედ ეს ჩვენი შტრაიკბრეხერები სცემენ, განაჩენი გამოტანილია – შტრაიკბრეხერი პატიოსანი მუშის ყველაზე დიდი მტერია.

ეს ის ფაქტებია, რომლებიც ჩვენი ცოდნის ტაძრების დიდ ნაწილში ისწავლება და რომელთა წინააღმდეგ ხმის ამოღება მხოლოდ

საკუთარი სამეცნიერო რეპუტაციის ხარჯზეა შესაძლებელი. ამის მიუხედავად, ვაპირებთ, ეს მონაჩმახი გავაბათილოთ!

პირველ რიგში, შევთანხმდეთ, რომ სამსახური არაა ისეთი რაღაც, რასაც შეიძლება მუშა – ან ნებისმიერი სხვა – საკუთრებასავით ფლობდეს. სამსახური დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ვაჭრობის მანიფესტაციაა. მუშა საკუთარი შრომით ვაჭრობს, დამსაქმებლის ფულის სანაცვლოდ, ურთიერთშეთანხმებული გაცვლითი კურსით. შესაბამისად, როდესაც „ჩემს სამსახურზე“ ვლაპარაკობთ, ამას მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით ვგულისხმობთ.

იმის მიუხედავად, რომ დავეჩვიეთ ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორებიცაა „ჩემი სამსახური“, „ჩემი მომხმარებელი“ და „ჩემი მკერავი“, არცერთ ასეთ შემთხვევაში ჩვენს საკუთრებას არ მოვიაზრებთ. პირველ რიგში განვიხილოთ „ჩემი მომხმარებლის“ შემთხვევა. თუ ეს ფრაზა პირდაპირი მნიშვნელობით აღვიქვით, გამოვა, რომ ვაჭარს იმ ადამიანთა „მომსახურებაზე“ აქვს საკუთრების უფლება, რომლებიც მისგან ხშირად ყიდულობენ პროდუქტს. ვაჭარი მომხმარებლის „მომსახურების უფლებას“ უნდა ფლობდეს და, შესაბამისად, იმის უფლებაც ექნება, რომ „თავის“ მომხმარებელს სხვასთან ვაჭრობა აუკრძალოს.

ჯოხს ორი ბოლო აქვსო. მოდი, „ჩემი მკერავის“ საქმეც განვიხილოთ. ამ ფრაზას პირდაპირ თუ გავიგებთ, გამოვა, რომ მკერავი მისი კლიენტების ნებართვის გარეშე სახელოსნოს ვერ დახურავს, სხვაგან ვერ გადაინაცვლებს ან გაკოტრებას ვერ გამოაცხადებს. ის ხომ „მათი“ მკერავია, მათი საკუთრება.

რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ცხადია, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელი მართლა კუთვნილებას არ მოიაზრებს. ისიც ცხადია, რომ არც მყიდველს და არც გამყიდველს აქვს საქმიანი ურთიერთობის მუდმივობის დაჟინების უფლება, თუ, რა თქმა უნდა, ორივე მხარე გრძელვადიან კონტრაქტზე არაა შეთანხმებული. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, ექნებათ ვაჭარსა და მომხმარებელს იმის უფლება, რომ პრეტენზია წამოაყენონ, თუ რომელიმე ერთი მხარე მეორის ნებართვის გარეშე დაასრულებს ურთიერთობას.

ახლა „ჩემი სამსახურის“ შემთხვევა განვიხილოთ. რას გულისხმობს მუშა, როდესაც აპროტესტებს, რომ შტრაიკბრეხერს ან უფრო იაფად მუშაობის მსურველს „მისი“ სამსახური მიაქვს? მუშა ისე საუბ-

რობს, გეგონება სამსახურს მართლა ფლობდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მიიჩნევს, რომ განუთლი მომსახურება, გარკვეული დროის შემდეგ, დამსაქმებელს დასაქმებულის მიმართ ისეთ მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებს, თითქოს კონტრაქტი ჰქონდეთ დადებული. მაგრამ დამსაქმებელს საკუთარი თავი ასეთი კონტრაქტული პასუხისმგებლობისთვის არც არასდროს დაუქვემდებარებია.

საინტერესოა, რა რეაქცია ექნება მუშას, თუ დამქირავებელიც გამოიყენებს იმავე ლოგიკას, რის საფუძველზეც ამ მუშას სამსახური თავის საკუთრებად მიაჩნია? როგორ იგრძნობს თავს, თუ დამქირავებელი გადაწყვეტს, რომ სტაჟიანი მუშახელისთვის სამსახურიდან ნასვლის აკრძალვის უფლება აქვს? არადა, ლოგიკა იგივეა.

ცხადია, რომ მტკიცებას, რომელიც ხალხის მიერ ნებაყოფლობით ვაჭრობაზე შეთანხმების შემდეგ, ვაჭრობის გაგრძელების იძულებას მოიაზრებს, რალაც ნაკლი აქვს. როგორ უნდა „გავლუნოთ“ ლოგიკა ისე, რომ ნებაყოფლობითი ურთიერთობა მკაცრად არანებაყოფლობით ურთიერთობად გადაიქცეს? ადამიანის დამქირავება ამ ადამიანზე მონათმფლობელური უფლებების ქონას არ გულისხმობს, ისევე, როგორც დამქირავებლის შრომა არ აძლევს მას სამსახურზე საკუთრების უფლებას. ცხადი უნდა იყოს, რომ მუშა არასოდეს „ფლობს“ სამსახურს, რომ ეს „მისი“ სამსახური არაა. შესაბამისად, შტრაიკ-ბრეხერი ან უფრო იაფად მუშაობის მსურველი არაფერს აშავებს, როდესაც, პროფკავშირელი მუშისაგან განსხვავებით, მუშაობას ნაკლები ანაზღაურების სანაცვლოდ თანხმდება.

შტრაიკბრეხერებსა და მუშებს შორის ძალადობის პრობლემა ცალკე ამბავია. ძალადობა ყველა სიტუაციაში დასაგმობია და როდესაც შტრაიკბრეხერები ძალადობენ, გაკიცხვის ღირსებიც არიან. თუმცა ძალადობა შტრაიკბრეხერობის განუყოფელი მახასიათებელი არაა. როდესაც ძალადობენ, ისინი ამას როგორც ინდივიდები ისე სჩადიან და არა როგორც შტრაიკბრეხერები. ბოლოს და ბოლოს, ზოგჯერ შეიძლება მერძევემაც „გარეკოს“ და არააგრესორთა მიმართ იძალადოს. მის ასეთ საქციელს არავინ განაზოგადებდა და დაასკვნიდა, რომ მერძეეობა თავისი შინაარსით ავი საქმიანობაა. ისევე, როგორც ერთი კონკრეტული შტრაიკბრეხერის მიერ ძალის არასწორი გამოყენება, შტრაიკბრეხერობას ჩრდილს ვერ მიაყენებს.


ბოლო დროს, შტრაიკბრეხერების მიმართ არათანმიმდევრული

და დაუსაბუთებელი კრიტიკა უფრო და უფრო ხშირად გვეხვება. ამერიკელი მემარცხენეები ანუ შტრაიკბრეხერების გაკიცხვის ისტორიული ოსტატები, ბოლო დროს ამ პრობლემაზე ჩამოუყალიბებელი განცხადებებით გამოირჩევიან. როგორც იქნა, გააცნობიერეს, რომ სამუშაო ადგილებში შტრაიკბრეხერების მიერ მუშათა ჩანაცვლების აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში, შტრაიკბრეხერი მუშაზე ღარიბია ხოლმე. ხოლო მემარცხენეები თითქმის ყოველთვის ღარიბებს გულშემატკივრობენ. ამასთან, რასობრივი სპექტრიც გაფართოვდა. ხშირად ნახავთ, როგორ უპირისპირდებიან შავკანიანი შტრაიკბრეხერები თეთრკანიან (პროფკავშირელ) მუშებს, მექსიკელები – მექსიკელ-ამერიკელ მუშებს, ხოლო იაპონელები – უფრო მაღალანაზღაურებად ამერიკელ მუშებს.

ნიუ-იორკში, ბრუკლინში მომხდარი ოუშენ ჰილ-ბრაუნსვილის სკოლის მმართველი საბჭოს დეცენტრალიზაცია ზემოთ აღწერილი გაუგებრობის კარგი მაგალითია. სკოლების თვითმმართველობის სისტემის ფარგლებში, როუდი მაკკოიმ, სკოლის მმართველი საბჭოს შავკანიანმა ადმინისტრატორმა, რამდენიმე თეთრკანიანი მასწავლებელი ახალგაზრდა შავკანიანი მოსწავლეების მიმართ რასისტული ქცევის ბრალდებით სამსახურიდან გაუშვა. პასუხად, უმეტესწილად თეთრკანიანებით დაკომპლექტებულმა მასწავლებლების პროფკავშირის გაერთიანებულმა ფედერაციამ მთლიანად ნიუ-იორკის საგანმანათლებლო სისტემაზე მიიტანა იერიში, ოუშენ ჰილ-ბრაუნსვილის სკოლის ჩათვლით. თუ ოუშენ ჰილ-ბრაუნსვილის სკოლას ფუნქციონირების გაგრძელება უნდოდა, ადმინისტრატორ მაკკოის ყველა გაფიცული თეთრკანიანი მასწავლებლისათვის უნდა ეპოვა ჩამნაცვლებელი. ის ასეც მოიქცა და ჩამნაცვლებლები, თავისთავად, შტრაიკბრეხერები იყვნენ. შედეგად მივიღეთ მემარცხენეებს თავს დატეხილი გაუგებრობა: ერთ მხარეს მედგრად უნდა დაჰპირისპირებოდნენ შტრაიკბრეხერებს, ხოლო მეორე მხარეს – მასწავლებელთა პროფკავშირის რასიზმს.

შტრაიკბრეხერები, ცხადია, უსამართლოდ იკიცხებიან. დასაქმების ფაქტი მუშას არავითარ მესაკუთრეობრივ პრივილეგიებს არ აძლევს იმ მუშებთან მიმართებაში, რომლებიც მისი ადგილის დაკავებას ცდილობენ. შტრაიკბრეხელობა და თავისუფალი კონკურენცია ერთი და იმავე მონეტის ორი მხარეა.

ეჰ, არადა, ჩვენი ინსტიტუტი ამ
ალმოჩენას ერთი 200 წლის
განმავლობაში გამოიზოგავდა...



31.

ბეჯითი მუშა

ალბათ, შრომის თემებზე გადაღებულ ასობით ფილმში შეგხვედრიათ მსგავსი სცენა: ახალგაზრდა, მონადინებული მუშა პირველად მიდის ქარხანაში და გადანყვეტილი აქვს, საუკეთესო თანამშრომელი გახდეს. ენთუზიაზმით გადავსებული, ხალისით აწარმოებს ქარხანაში წლების განმავლობაში დასაქმებულ მუშებზე მეტს, რომლებიც დაღლილები, წელში მოხრილები და ართრიტიანები ეწევიან ჯაფას. ჩვენი მუშა ნამდვილი „ხუთოსანაა“!

როგორც მოსალოდნელია, ჩვენს მონადინებულ, ჯეელ მუშასა და მის ასაკოვან კოლეგებს შორის შუილი იჩენს თავს. ბოლოს და ბოლოს, მის გამო და მასთან შედარებით ამ უკანასკნელების შრომისუნარიანობის ნაკლებობა ხომ აშკარად შესამჩნევი ხდება. ახალგაზრდულ შემართებასთან კონტრასტში, მათი მუშაობის ტემპი მართლაც სიბრაღულის მომგვრელია.

ახალგაზრდა მუშა თავგადაკლულ მუშაობას აგრძელებს და დრო-თა განმავლობაში თანამშრომლებისგან უფრო და უფრო გარიყული ხდება. ასაკოვანი მუშები, თავის მხრივ, ცდილობენ ამ უსიამოვნო სიტუაციაში ლმობიერების მარცვალ შემოიტანონ. თუმცა როდესაც მის სიჯიუტეს არც ეს შველის, დანარჩენები მდუმარების ალყაში აქცევენ და თანამშრომლურ ჯოჯოხეთში უჩენენ ადგილს.

ფილმის კულმინაციური მომენტი მაშინ დგება, როდესაც ახალგაზრდა ბეჯითი მუშა გონს მოეგება. გამოფხიზლების ეტაპი სხვადასხვაგვარად დგება, სცენები ერთი მეორეზე დრამატულია ხოლმე. შესაძლოა ბებერი, ავადმყოფი ქალი დაინახოს, ქარხნის ყოფილი თანამშრომელი ან ამავე ქარხანაში დაშავებული მუშა. თუ ფილმი ავანგარდულია, შეიძლება გადმოყირავებულ ნაგვის ურნასთან ატუხულმა კატამ გამოინვიოს სულიერი კათარზისი. კინემატოგრაფიული ხრიკის ვარიაციების მიუხედავად, ვხედავთ, რომ ახალგაზრდა კაცმა საკუთარი შეცდომები გაისიგრძეგანა.

ბოლო დრამატული სცენა, როგორც წესი, მთავრდება კადრით, რომელშიც ყველა მუშა – ყოფილი ბეჯითის ჩათვლით – დაძმობილდება და ხელიხელგადახვეულები მიუყვებიან რომელიმე ბილიკს. შემდეგ კადრში კეთილი მოხუცი მუშა-ფილოსოფოსი შემოდის. ის ახალგაზრდა მუშას შრომის ისტორიის ხუთწუთიან კურსს უტარებს, ანტიკური რომიდან დაწყებული, იმდღევანდელი ცვლით დამთავრებული და „ბოსების“ მუდმივ ვერაგობას ამზეურებს. შედეგად, ყველა თანხმდება, რომ მუშების ერთადერთი იმედი „სოლიდარობა და თანადგომაა“.

ის ყვება, რომ მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ყოველთვის იყო კლასობრივი ბრძოლა, რომელშიც მუშები ღირსეული ანაზღაურებისა და სამუშაო პირობებისათვის მუდმივად იბრძოდნენ. ბოსების ხატი ასეთია: ისინი მუდმივად ცდილობენ მუშებს დამსახურებულზე ნაკლები გასამრჯელო გადაუხადონ და იქამდე ამუშაონ, სანამ დაღლილობისგან ადგილზევე არ ჩაიკეცებიან. ნებისმიერი მუშა, რომელიც ბოსს ამ შეუჩერებელ, უმოწყალო და სასტიკ მცდელობებში ეხმარება, მუშებს „აჩქარებს“ და საკუთარი პროდუქტიულობის დონეების ზრდას აიძულებს, მუშათა კლასის მტერია. მუშა-ფილოსოფოსის ამ შეჯამებით ფილმიც მთავრდება.

შრომის ეკონომიკის ასეთი ხედვა სიმცდარეთა ურთიერთგადა-

ჯაჭვული ქსელითაა სავსე, რომელშიც თითოეული ნაწილი სხვა ნაწილებზე უცნაური ლოგიკით დგას. „შრომის გროვის“ სახელით ცნობილი, მცდარი ეკონომიკური ხედვა მიიჩნევს, რომ მსოფლიოს ადამიანებს მხოლოდ გარკვეული რაოდენობის შრომა სჭირდება. როდესაც ამ რაოდენობას მივალწევთ, მეტი საქმე აღარ იქნება საკეთებელი და, შესაბამისად, მუშებისთვის სამსახურიც აღარ დარჩება. მათთვის, ვინც ამ ხედვას იზიარებს, ახალგაზრდა, ბეჯით მუშათა პროდუქტიულობის ჩარჩოებში მოქცევა უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან, თუ ეს მუშები ასე თავგამოდებით იმუშავენ, ყველას გაუფუჭებენ საქმეს. შესასრულებელი საქმის მთლიანად საკუთარ თავზე აღებით ისინი დანარჩენ მუშებს ძალიან ცოტა სამუშაოს უტოვებენ. თითქოსდა შესასრულებელი სამუშაოს რაოდენობა ფიქსირებული ზომის ნამცხვარი იყოს. თუ ზოგი ადამიანი ნამცხვრის იმაზე დიდ ნაჭერს აიღებს, ვიდრე ეკუთვნის, ამით ყველა დანარჩენს დააზარალებს.

სამყაროს შესახებ ასეთი ეკონომიკური ხედვა მართალი რომ იყოს, ფილმის მუშა-ფილოსოფოსის მონაჩმახს გარკვეული გამართლება ექნებოდა. როგორღაც გაამართლებდი იმ დაჟინებას, რომ ახალგაზრდა და აქტიურმა მუშამ, „ნამცხვრის იმაზე დიდი ნაჭერი არ უნდა აიღოს“, ვიდრე ეკუთვნის. თუმცა ამ თეორიის ერთგულების ტრაგიკულმა შედეგებმა უკვე დაამტკიცა, რომ იგი არაეფექტიანი და არაეკონომიკურია.

ეს მცდარი ხედვა დაფუძნებულია დაშვებაზე, რომ ხალხის სურვილების – კომფორტის, მოცალების, ინტელექტუალური და ესთეტიკური მიღწევების – ციცაბო აღმავალ გრაფიკს სასრული წერტილი გააჩნია, რომლის მიღწევაც რაღაც დროში შესაძლებელია; და რომ მისი მიღწევისას, წარმოება შეწყდება. თუმცა სიმართლისგან ასე შორს ჯერ არაფერი ყოფილა.

დაშვება, რომ ადამიანური სურვილების სრულად და საბოლოოდ დაკმაყოფილება შესაძლებელია, იგივეა, რაც იმის დაშვება, რომ ადამიანური სრულყოფილების – მატერიალურის, ინტელექტუალურისა და ესთეტიკურის – წერტილს შეგვიძლია მივალწევთ. სამოთხე? შესაძლოა. სამოთხემდე რაიმენაირად თუ მივალწევთ, „უმუშევრობის“ პრობლემა ნამდვილად აღარ გვექნება – ვის დასჭირდება სამსახური?

სამუშაო იმდენია, რამდენიც დაუკმაყოფილებელი სურვილი. და ვინაიდან ადამიანური სურვილები პრაქტიკულად უსაზღვროა, შესაბამისი სამუშაოს რაოდენობაც უსასრულოა. გამოდის, მნიშვნელობა არ აქვს ახალგაზრდა მონადინებული კაცი რამდენ სამუშაოს შეასრულებს, შეუძლებელია, რომ გასაკეთებელი სამუშაოს ჯამური როდენობა შეამციროს ან რამე დანაკლისი დაატყოს.

თუ ბეჯითი მუშა „სხვებს საქმეს არ ართმევს“ (ვინაიდან უსასრულო რაოდენობის საქმეა საკეთებელი), მაშ, რა გავლენა აქვს მის სიბეჯითეს? უფრო გულმოდგინედ და ეფექტიანად მუშაობით წარმოება გაიზრდება. საქმეში ჩადებული ენერგიით ის ნამცხვრის ზომას ზრდის – ნამცხვრის, რომელიც შემდეგ გადაუნაწილდება ყველას, ვინც ცხოებაში მონაწილეობა მიიღო.

„ხუთოსანა“ მუშის შრომის შედეგებს სხვა მხრიდანაც უნდა შევხედოთ. წარმოდგინეთ იმ ოჯახის მდგომარეობა, რომლის გემიც ჩაიძირა და ტროპიკულ კუნძულზე გამოირიყნენ.

როდესაც რობინზონების შვეიცარიულმა ოჯახმა უკაცრიელ კუნძულზე ჰპოვა თავშესაფარი, მათი საკუთრება მხოლოდ გემის ნაფოტებში ნაპოვნი ნივთებისგან შედგებოდა. მათი გადარჩენის საკითხი წარმოების ამ მწირ საშუალებებსა და მათ შრომისუნარიანობაზე იყო დამოკიდებული.

ბელეტრისტიკულ ზედაპირულობას თუ გვერდზე გადავდებთ, რობინზონების ოჯახის ეკონომიკური სიტუაცია სურვილთა უსასრულო სიასთან დაპირისპირებაა – მაშინ, როდესაც ამ სურვილების დასაკმაყოფილებელი, მათთვის ხელმისაწვდომი ხერხების რაოდენობა უკიდურესად შეზღუდულია.

თუ დავუშვებთ, რომ ოჯახის თითოეული წევრი მათ განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსებით შეუდგება მუშაობას, აღმოვაჩენთ, რომ რობინზონებს საკუთარი სურვილების მხოლოდ ნაწილის დაკმაყოფილება შეუძლიათ.

რა გავლენა ექნებოდა მათ სიტუაციაში „ხუთოსანას“ თავგადაკლულ შრომას? წარმოდგინეთ, რომ ერთ-ერთი ბავშვი უცებ გადაირია, „ბეჯით მუშად“ გადაიქცა და ოჯახის დანარჩენ წევრებზე ორჯერ მეტ საქმეს აკეთებს. ნუთუ ეს პატარა ლანირაკი ოჯახს დააქცევს, დანარჩენ რობინზონებს „საქმეს წაართმევს“ და მათ მიერ შექმნილ მინი-საზოგადოებას აანოკებს?

რობინზონების ოჯახს მის წევრებს შორის „ხუთოსანა მუშის“ გამოჩენა არ დააქცევს. არც მის მიერ გაზრდილი წარმოება დატოვებს ოჯახის დანარჩენ წევრებს უსაქმოდ. ჩვენ დავინახეთ, რომ პრაქტიკული და ფილოსოფიური მიზეზებითაც, ოჯახის სურვილების რაოდენობა უსასრულოა. ერთი კი არა, ოჯახის რამდენიმე წევრიც რომ დაჯდეს სიბეჯითის ტალღაზე, ამით რობინსონებს არაფერი დაემუქრებათ. პირიქით, მათ ჭეშმარიტ გამირებადაც კი შერაცხავენ.

თუ „ხუთოსანა“ შვილს ტანსაცმლის ათით მეტი ერთეულის წარმოება შეუძლია, ეს ოჯახის დანარჩენ წევრებს ტანსაცმლის წარმოების აუცილებლობისგან გაათავისუფლებს. მათ სხვა, ახალი საქმე გამოუჩნდებათ. ბუნებრივია, პერიოდულად იქნება შრომის დანაწილების მცირე ეპიზოდებიც, რომელთა დროსაც გადაწყდება, ვინ რა საქმე აკეთოს, მაგრამ ცხადია, რომ საბოლოო ჯამში, ოჯახის უფრო მეტი სურვილი დაკმაყოფილდება. თანამედროვე რთულ ეკონომიკაში, მიუხედავად პროცესების კომპლექსურობისა, ზუსტად იგივე ხდება, მაგალითად, სამუშაო პოზიციების გადანაწილების პერიოდებს გარკვეული დრო მიაქვს, თუმცა დედაზრი უცვლელია – ზედმეტად ბეჯითი მუშის დამსახურებით, მთლიანი საზოგადოება წინ, უფრო მეტი აყვავებისა და კმაყოფილებისკენ მიიწევს.

„ხუთოსანას“ არსებობის კიდევ ერთი გვერდითი ეფექტი ინოვაციური პროდუქტების გამოგონებაა. ტომას ედისონი, ისააკ ნიუტონი, მოცარტი, ბახი, ჰენრი ფორდი, ჯონას სოლკი, ალბერტ აინშტაინი და კიდევ მრავალი სხვა, საკუთარი დროის „ბეჯითი მუშაკები“ იყვნენ, რომლებიც რაოდენობის ნაცვლად ხარისხზე აკეთებდნენ აქცენტს. თითოეული მათგანი საკუთარი შრომით ამსხვრევდა თავისი დროის წარმოდგენებს „ნორმალურის“ შესახებ. თითოეულმა ამ „ბეჯითმა მუშამ“ ჩვენს ცივილიზაციას შეუფასებელი დამსახური გაუწია.

„ხუთოსანას“ შრომის შედეგებში წარმოების ზრდა და ინოვაცია დავინახეთ, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მისი დამსახურება დედამიწაზე ადამიანთა რაოდენობის ზრდაში. ახალი ადამიანების გამოკვება პირდაპირაა დამოკიდებული ჩვენს პროდუქტიულობის დონეზე. თუ ბეჯითი მუშები ცოტა გვეყოლება, ადამიანთა გამრავლების ტემპები შემცირდება. თუმცა თუ ბეჯითების რაოდენობა თითოეულ სფეროში მნიშვნელოვნად გაიზრდება, დედამიწას სწრაფად ზრდადი მოსახლეობის მხარდაჭერა შეეძლება.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ბეჯით, „ხუთოსანა“ მუშებს წვლილი შეაქვთ არა მხოლოდ ჩვენი ახალ-ახალი სურვილების დაკმაყოფილებაში, არამედ იმ სიცოცხლეების შენარჩუნებაშიც, რომლებიც სხვა შემთხვევაში უბრალოდ ვერ გადარჩებოდნენ. ისინი გვაძლევენ წარმოების გაზრდილ შესაძლებლობებს, რომლითაც მზარდი პოპულაციის შენარჩუნება შეგვიძლია.

მამაჩემი? ტყეშია, ხეებს ჭრის,
მე კიდევ ვეზიდები...



32.

არასრულწლოვანთა დამქირავებელი

საზოგადოებრივ მტერთა სიის სათავეში ყოველთვის ვიპოვით ბავშვთა შრომით მოსარგებლეს, რომლის ხატებაც სასტიკი, ცივისიხლიანი, ვერაგი და ბოროტი ექსპლუატატორის სახით არის წარმოდგენილი. საზოგადოების თვალში, ბავშვთა შრომა თითქმის მონობის ტოლფასია, ხოლო ბავშვთა დამქირავებელი – მონათმფლობელზე უარესი.

მნიშვნელოვანია, ეს სტერეოტიპი დავანგრიოთ, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების უმეტესობა სრულიად მცდარია. ბავშვთა არქეტიპული დამქირავებელი ისეთივე ადამიანური თვისებების მატარებელი მოკვდავია, როგორც ნებისმიერი სხვა დამქირავებელი. მეტიც, ბავშვთა შრომის ინსტიტუცია ღირსეულია, სანიმუშო სამუშაოების გრძელი და დიდებული ისტორიით. ამ საკითხში ბოროტმოქმედები არა დამქირავებელ-

ბი, არამედ ისინი არიან, ვინც თავისუფალ ბაზარზე ბავშვთა დაქირავებას კრძალავს. ეს „კეთილისმოსურნენი“ შრომის ბაზრიდან გამოგდებულთა უტყვევ სილატაკეზე არიან პასუხისმგებლები. იმის მიუხედავად, რომ მათ მიერ მიყენებული ზარალი წარსულში უფრო დიდი იყო – მაშინ, როდესაც ფართოდ გავრცელებულმა სილატაკემ ბავშვთა შრომა აუცილებლობად აქცია – გაჭირვების საშინელ მარნუხებში მოქცეული ხალხი დღესაც არსებობს. შესაბამისად, ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული აკრძალვები მათ ცხოვრებაში უგუნური ჩარევაა.

ბავშვთა დამქირავებლის დაცვის უპირველესი არგუმენტი ისაა, რომ ამ პიროვნებამ თავის სამსახურში ჩადგომა არავის აიძულა. თითოეული და ყველა შრომითი შეთანხმება სრულიად ნებაყოფლობითია, რადგან თუ ორივე მხარე შეთანხმებას მისთვის სასარგებლოდ არ მიიჩნევს, ეს შეთანხმება არც შედგება.

მაგრამ ბავშვთან დადებული შრომითი კონტრაქტი სრულიად ნებაყოფლობითი რანაირად გამოდის? სრული ნებაყოფლობითობა ხომ ადამიანის ისეთ გააზრებულ ქმედებას გულისხმობს, რომელსაც ბავშვს ვერ მოვთხოვთ? ამ შეკითხვაზე საპასუხოდ, „ბავშვის“ სწორ განმარტებაზე მოგვიწევს დავფიქრდეთ.

ეს კი უძველესი შეკითხვაა, რომელზეც ამომწურავი პასუხი ჯერ არ გაცემულა. ამის მიუხედავად, ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე ასაკობრივ ზღვარს, რომლებიც ბავშვების ზრდასრულებისგან გასამიჯნადად შემოთავაზებული, გავანალიზებთ და ალტერნატივასაც შემოგთავაზებთ.

ბავშვობისა და ზრდასრულობის გასამიჯნად ყველაზე დაბალ თამასად ზოგიერთი რელიგია 13 წელს გვთავაზობს. ამ კონფესიებში მირონცხების ასაკი, რომელიც, ჩვეულებრივ, ადრეულ თინეიჯერობაში ხდება, ის ასაკია, რომელსაც ბევრი რელიგია ზრდასრულობის მიჯნად მიიჩნევს. თუმცა მაგალითად, 13 წლის პიროვნება (ბავშვი), იშვიათი გამონაკლისების გარდა, ისევ ჩამოსაყალიბებელი, შედარებით უმწეო და საკუთარი თავის მოსავლელად აუცილებელი უნარები არ გააჩნია. შესაბამისად, ეს ასაკი გამოირიცხა.

ზრდასრულობის განსაზღვრისთვის შემდეგი ასაკი 18 წელი გახლავთ, რომელსაც იმიტომ ირჩევენ, რომ ამ ასაკში ახალგაზრდა მამაკაცი სამხედრო სამსახურში გასანგევად მონიჭულია, თუმცა

აქაც რამდენიმე პრობლემას ვაწყდებით. მსჯელობა შეგვიძლია ამ კითხვით დავიწყოთ: არის თუ არა ომი „ზრდასრულთა“ საქმე? ძალიან ხშირად, ომში წასვლა ზრდასრულობის ინდიკატორი ქცევის აბსოლუტურად საპირისპიროა. ასევე, ბრძანებების ბრმად შესრულებას (განვეულ ჯარისკაცთა *modus operandi*) ზრდასრულობის პარადიგმად ვერ მივიჩნევთ. დამატებით, ისიც პრობლემაა, რომ განვევით სამხედრო სამსახურის უკან, რომელიც ყველაზე არანებაყოფლობითი ინსტიტუტია, რაც კი ოდესმე არსებულა, სავალდებულო გამოცახება დგას და არა ნებაყოფლობითი გადანაცვეტილება. როგორც მინიმუმ, ოფიცრის ბრძანებებისადმი მორჩილების თავდაპირველი გადანაცვეტილება ნებაყოფლობითი რომ იყოს – ისევე როგორც ორკესტრში შესვლის გადანაცვეტილება და შემდეგ დირიჟორის ყველა მუსიკალური ბრძანების შესრულება – სამხედრო სამსახურს ზრდასრულობასთან რაიმე კავშირი ექნებოდა. თუმცა რადგან განვევით სამხედრო სამსახური ვალდებულებასა და იძულებაზეა დაფუძნებული, წვევამდებლობის 18 წლიან ზღვარს ზრდასრულობის ნატამალიც არ გააჩნია. 18 წელს ზრდასრულობის ინდიკატორად იმის გამოც ვერ ავიღებთ, რომ ჩვენი კვლევის თავდაპირველი მიზეზი ის შიში იყო, რომ ბავშვს ნებაყოფლობითი კონტრაქტების დამოუკიდებლად დადების უნარი არ ჰქონდა. მაშ, როგორ შეგვიძლია სრულწლოვანების ასაკი სამხედრო განვევის მსგავს, მკაცრად არანებაყოფლობითი ინსტიტუტიაზე დავაფუძნოთ?

დაბოლოს, ზრდასრულობის ბოლო ზღვარი აშშ-ში ხმის მიცემის ასაკი – 21 წელია. თუმცა ეს ასაკიც განწირულია დაუნდობელი კრიტიკისათვის. პირველი პრობლემა ისაა, რომ ბევრს თუ არა, 10 წლის რამდენიმე ბავშვს მაინც აქვს პოლიტიკური, სოციალური, ისტორიული, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების (ხმის „ბრძნულად“ მიცემისთვის საჭირო ფაქტორები) უფრო სრულყოფილი აღქმა, ვიდრე 21 წელს გადაცილებულ ადამიანთა დიდ ნაწილს. ეს თუ სიმართლეა და, ალბათ, ასეცაა, უნდა არსებობდეს ამ ფაქტის რაიმე სახის სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც 10 წლის ჭკვიანი ბავშვების ან, თუნდაც, ნებისმიერი ასაკის ჭკვიანი ბავშვის, არჩევნებში მონაწილეობის უფლებისთვის იბრძოლებდა. მაგრამ ეს ხომ არჩევნებში მხოლოდ ზრდასრულების მონაწილეობის თავდაპირველ მიზანს შეენიანაღმდეგება?! მსჯელობის ასეთ წრეზე სიარულით

შეგვიძლია დავინახოთ, რომ 21 წელი ზრდასრულობის არა ობიექტური, არამედ მხოლოდ პირობითი მიჯნაა.

როგორც ვხედავთ, ზრდასრულობის ყველა სხვა თვითნებური ინტერპრეტაცია უშინაარსოა. საჭიროა, არა შემთხვევით არჩეული ასაკობრივი ზღვარი, რომელიც უნარების, ტემპერამენტისა და ქცევის მიუხედავად ყველა ინდივიდს ერთნაირად „ჭრის და კერავს“, არამედ კონკრეტული კრიტერიუმი, რომელიც ყველა ამ შეფასების ინდიკატორს გაითვალისწინებს. მეტიც, ეს კრიტერიუმი ქონების დასაკუთრების ლიბერტარიანული პრინციპის თანმიმდევრული უნდა იყოს – „საკუთრების შრომითი თეორიის“ თანმიმდევრული. საჭიროა „საკუთრების შრომითი თეორიის“ პრინციპის გამოყენება, რომელიც საკუთარი თავისა და საკუთრების ფლობას განსაზღვრავს და რომელიც დაგვეხმარება ადამიანის ზრდასრულობის ასაკის დადგენის რთული საკითხის გადაჭრაში.

ასეთი თეორია პროფესორმა მიურეი ნ. როთბარდმა შემოგვთავაზა. როთბარდის აზრით, ბავშვი ზრდასრული მაშინ კი არ ხდება, როდესაც რაღაც არბიტრაჟულ ასაკს აღწევს, არამედ მაშინ, როდესაც საკუთარი თავის მფლობელობისა და კონტროლის სადემონსტრაციოდ რაიმეს აკეთებს: საკუთრივ, როდესაც ტოვებს აღმზრდელის სახლს და საკუთარი თავის მოვლის უნარს გამოავლენს. ეს კრიტერიუმი და მხოლოდ ეს კრიტერიუმია თავისუფალი ყველა იმ წუნისგან, რომელიც სხვა, შემთხვევით დადგენილ ასაკობრივ ზღვრებს ახლავს. მეტიც, ის არა მხოლოდ თანხვედრაშია ლიბერტარიანულ „საკუთრების შრომით თეორიასთან“, არამედ მისი ნათელი მაგალითიცაა. ვინაიდან, სახლიდან წასვლით და საკუთარი თავის რჩენით, ყოფილი ბავშვი ინიციატორი ხდება, ახალმეპატრონე და მომავალში საკუთარ გაუმჯობესებულ ყოფას საკუთარ თავსვე უმაღლის.

ამ თეორიას რამდენიმე შედეგი მოჰყვება. თუ ერთადერთი გზა, რომლითაც ბავშვი შეიძლება ზრდასრული გახდეს, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და თავისი ნებით საკუთარივე ზრდასრულობის დადგენაა, მაშინ მშობელს ბავშვის არჩევანში ჩარევის უფლება არ აქვს. გამოდის, მშობელს არ შეუძლია ბავშვს მშობლიური სახლის მიტოვება აუკრძალოს. მშობელს ბავშვზე სხვა უფლებები ან პასუხისმგებლობები აკისრია მხოლოდ იქამდე, სანამ ბავშვი მშობლების სახლში რჩება (ეს მშობლების კლიმედ ქცეული გამო-

ნათქვამის ვალიდურობასაც ადგენს: „იქამდე სანამ ჩემს სახლში ხარ, ჩემს გემოზე მოიქცევი.“). მაგრამ ერთადერთი რამ, რისი აკრძალვაც მშობელს ბავშვისთვის არ შეუძლია – სახლიდან წასვლაა. ამის გაკეთება ბავშვობის დასრულებისა და ზრდასრულად გადაქცევის ნებაყოფლობითი აქტის ხელყოფაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვობიდან ზრდასრულობაში გადასვლის ეს თეორია ერთადერთია, რომელიც გონებრივი ჩამორჩენილობის პრობლემასთან თანმიმდევრულია. ზრდასრულობის არბიტრაჟული თეორიების თანახმად, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის 50 წლის პიროვნებაც ზრდასრულად უნდა მიიჩნეოდეს, მაშინაც კი, როდესაც „ზრდასრული“ პრაქტიკულად არაა. ეს თეორიები შემდგომ ახალ სპეციალურ, *ad hoc* „გამონაკლისებს“ იგონებენ ასეთ შემთხვევებზე მოსარგებად, მაგრამ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები „საკუთრების შრომით თეორიაში“ ბუნებრივად ჯდება – თუკი ასეთი ადამიანი, შეზღუდული უნარების გამო, თვითსაკუთრებასა და ზრდასრულობას საკუთარი თავისთვის ვერ მოიპოვებს, რა ბიოლოგიური ასაკისაც არ უნდა იყოს, ზრდასრულად უბრალოდ ვერ მიიჩნევა.

ზრდასრულობის „საკუთრების შრომით თეორიაზე“ დაფუძნების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, რა თქმა უნდა, ე. წ. „ბავშვთა შრომის“ აკრძალვაზე მისი გავლენაა. ასეთ კანონებში „ბავშვი“ განმარტებულია, როგორც კონკრეტულ შემთხვევითად არჩეულ ასაკამდე მიუღწეველი პირი. „ბავშვთა შრომის“ ეს აკრძალვა, ისევე, როგორ ბავშვის მიერ სახლიდან წასვლის გადანყვეტილებაში მშობლების ჩარევის შემთხვევაში ვნახეთ, საკუთარი თავისთვის „ზრდასრულობის მოპოვების“ შესაძლებლობას უბრალოდ აქრობს. თუ მცირე ასაკის ადამიანს მუშაობის, სახლის დატოვებისა და საკუთარი თავის რჩენის არჩევანი არ გააჩნია, მაშინ საკუთარი „ზრდასრულობის მოპოვება“ არც შეუძლია და იძულებულია ელოდოს, როდის შეუძლებლება სხვათა მიერ ზრდასრულობის განმსაზღვრელი, პირობითად დადგენილი ასაკი.

თუმცა ზრდასრულობის „საკუთრების შრომითი თეორია“ დამქირავებლებისგან იმ ახალგაზრდების დაქირავებას არ მოითხოვს, რომლებიც საკუთარი ზრდასრულობის მოპოვებას ცდილობენ. რა თქმა უნდა, მართალია, რომ სანამ ზოგიერთი დამქირავებელი ასეთ

პიროვნებას არ დაიქირავენ, იქამდე ზრდასრულობის მოპოვება გაუჭირდება, ისევე, როგორც მშობლების მიერ სახლიდან არგაშვების ან სახელმწიფოს მიერ ასაკობრივი ზღვრის დადგენის შემთხვევაში; მაგრამ საკვანძო სხვაობა ისაა, რომ ბავშვობიდან ზრდასრულობაში გადასვლის ნებაყოფლობითი აქტი დამქირავებლის მიერ ახალგაზრდა ადამიანის დაქირავებაზე უარის თქმით არ შეილახება. იმიტომ, რომ ჭეშმარიტი ნებაყოფლობითობა ორივე კონტრაქტორი მხარისგან ნებაყოფლობით ქმედებებს მოიაზრებს. დამქირავებელი და დაქირავებული უნდა შეთანხმდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, იქიდან გამომდინარე, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობები არ არსებობს, თუ თავად ინდივიდი არ დადებს მსგავს კონტრაქტს, ხოლო დამქირავებელს წინასწარი ვალდებულება არ აუღია ახალგაზრდას დაქირავებაზე, დამქირავებლის მხრიდან მორალური პასუხისმგებლობებიც არ არსებობს (ცხადია, დამქირავებლები ახალგაზრდა ხალხს მაშინ დაიქირავენ, როდესაც ასეთ ქმედებაში საკუთარ სარგებელს დაინახავენ, ისევე, როგორც იქცეოდნენ იქამდე, სანამ ამას კანონი აკრძალავდა.).

„ბავშვთა შრომის“ აკრძალვის დასრულება არა მხოლოდ ბავშვთა მშვიდობიანი და ნებაყოფლობითი „ზრდასრულობის მოპოვებისთვისაა“ მნიშვნელოვანი – ამას ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „ბავშვთა გათავისუფლების“ მცირე, მაგრამ მზარდი მოძრაობისთვის. დასაქმების შესაძლებლობების აკრძალვა უნდა დასრულდეს და ბავშვები საკუთარი მშობლებისგან მართლაც უნდა გათავისუფლდნენ (მიენიჭოთ არჩევანის უფლება) იქამდე, სანამ ჯერ კიდევ მშობლიურ სავანეში ცხოვრობენ. აბა, სახლის დატოვებასა და გარეთ საცხოვრებლის ძიებას რა ღირებულება აქვს, თუ ახალგაზრდას საკუთარი თავის რჩენა აკრძალული აქვს? „ბავშვთა შრომის“ კანონები ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებას, „საკუთარ მშობელს მასზე ზრუნვის უფლება ჩამოართვას“, თუ ამ უკანასკნელმა ძალიან გაუტია.

შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი ჩვეულებრივი „ბავშვის“ მიერ დადებული კონტრაქტი ჭეშმარიტად ნებაყოფლობითი იყოს, მისი მცირე ასაკისა და გამოუცდელობის გათვალისწინებით? პასუხია – დიახ. პიროვნება, ნებისმიერი პიროვნება, რომელსაც აღმოაჩნდა უნარი დაეტოვებინა სახლი და საკუთარი თავის რჩენა ეცადა, საკ-

მარისად ზრდასრულია იმისთვის, რომ ნებაყოფლობით საფუძველზე კონტრაქტი დადოს, ვინაიდან ასეთი პიროვნება უკვე ბავშვი აღარაა. როგორც უკვე ვნახეთ, სანინალმდეგო მოსაზრება ახალგაზრდა ხალხს ხელს შეუშლის, რომ საკუთარ გზას დაადგენ და „საკუთრების შრომითი თეორიით“ ზრდასრულები გახდნენ. მათი ერთადერთი ალტერნატივა იქამდე ლოდინია, სანამ „უსაზღვროდ ბრძენი საზოგადოების“ მიერ, ზრდასრულობისთვის საკმარისი, პირობითი ასაკი არ შეუსრულდება.

თუმცა „ბავშვთა შრომის“ ლეგალიზაციის წინააღმდეგ სხვა პრეტენზიებიც არსებობს. ამბობენ, რომ ღარიბი ახალგაზრდა, იმის მიუხედავად, რომ „საკუთრების შრომითი თეორიის“ მიხედვით ზრდასრულია, დამქირავებლების მიერ ექსპლუატირებული იქნება; რომ დამქირავებელი ახალგაზრდის მდგომარეობით ბოროტად ისარგებლებს.

მაგრამ განა გაცილებით უფრო საზიანო არ იქნება, ამ ახალგაზრდის შემოსავლის ერთადერთი, თუნდაც თითქმის დამშრალი წყარო რომ კანონის ძალით გაქრეს? იმის მიუხედავად, რომ დამქირავებელი შეიძლება სასტიკი, სამსახური – მონური და ხელფასი კი დაბალი იყოს, ამ ახალგაზრდისთვის წარმატების შანსის აკრძალვა გაცილებით დამლუპველი იქნებოდა. თუ უფრო უკეთესი ალტერნატივები არსებობს, ახალგაზრდა ხომ ბუნებრივად მათ აირჩევს, იმის მიუხედავად, აძლევს თუ არა კანონი არახელსაყრელ სამსახურზე დათანხმების ან უარის თქმის უფლებას. ხოლო თუ სხვა ალტერნატივები არ არსებობს, „ბავშვთა შრომის“ ამკრძალავი კანონები მის ერთადერთ შესაძლებლობასაც აქრობს, რაც არ უნდა არახელსაყრელი იყოს ეს შესაძლებლობა.

თავისუფალი ბაზრის პირობებში, დამქირავებელს ახალგაზრდა მუშის მდგომარეობით სარგებლობის საშუალება არ ექნება, თუ ამაში მუშის ზღვრულ პროდუქტიულობაზე დაბალი ხელფასის გადახდას ვიგულისხმებთ. როგორც „გაქსუებული კაპიტალისტი დამსაქმებლის“ თავში ვნახეთ, ღია ბაზარზე არსებობს ძლიერი ძალები, რომელიც მშრომელების ხელფასებს მათი ზღვრული პროდუქტიულობის ნიშნულისკენ ექაჩება.

სამსახურის მაძიებელი ახალგაზრდა, რაც არ უნდა ღარიბი და უმწეო იყოს, ეს პოტენციური დამქირავებლის ბრალი არაა. მუშის

სიღარიბე და „შევაჭრების ძალაუფლების ნაკლებობა“ ძალიან თვალსაჩინოც რომ იყოს და დამსაქმებელი ამით რომც „სარგებლობდეს“ (რაც, როგორც უკვე ვნახეთ, ვერ მოხდება), ეს დამქირავებლის ბრალი მაინც არ იქნება. ბოლოს და ბოლოს, ეს არასახარბიელო სიტუაცია (ყოფილი) ბავშვის წარსულს უნდა დაბრალდეს.

ჩნდება შეკითხვა, თუ რა ასაკამდეა მშობელი ვალდებული, რომ საკუთარი შვილი არჩინოს. ზოგადი პრინციპი გვამცნობს, რომ მშობელს ბავშვთან მიმართებაში არავითარი პოზიტიური ვალდებულება არ გააჩნია. სანინალმდეგო არგუმენტი, რომ მშობელს შვილთან მიმართებაში პოზიტიური ვალდებულებები გააჩნია, მხოლოდ მშობლობის კონტრაქტულ ბუნებაზე ან მშობლების მხრიდან ბავშვის გაჩენის ნებაყოფლობით გადანწყვეტილებაზე დგას და მარტივად შეგვიძლია გავაცამტვეროთ. გავიაზროთ შემდეგი:

1. ყველა ბავშვი თანასწორია მშობლებისგან მიღებულ უფლებებში, იმის მიუხედავად, თუ რა გზით ჩაისახნენ;
2. კონკრეტულად, გაუპატიურების შედეგად ჩასახული ბავშვის დედას შვილზე იმდენივე ვალდებულება ეკისრება, რამდენიც ნებისმიერ სხვა დედას სხვა ბავშვზე (იმ დაშვებით, რომ მოძალადე მამა გაქრა). იმის მიუხედავად, თუ რა დამოკიდებულება გვაქვს გაუპატიურების მიმართ, ასეთი შემთხვევის შედეგად გაჩენილი ბავშვი ამ ან ნებისმიერ სხვა დანაშაულში სრულიად უდანაშაულოა;
3. ბავშვის ყოლისა და ჩასახვის ნებაყოფლობითობის არგუმენტი გაუპატიურების შემთხვევას არ ეხება;
4. შესაბამისად, არგუმენტი, რომ მშობელს ჩასახვის ნებაყოფლობითი ბუნებიდან გამომდინარე, ან „დადებული კონტრაქტის“ გამო ბავშვის მიმართ რამე ვალდებულება აქვს, არ ეხება გაუპატიურების შემთხვევას. მაგალითად, გაუპატიურების შემთხვევაში, მინიმუმ, დედას არავითარი პოზიტიური ვალდებულება არ გააჩნია ბავშვის მიმართ, ვინაიდან მის ჩასახვაზე თანახმა არ ყოფილა;
5. ყველა ბავშვი – ნებისმიერი სანინალმდეგო თეორიის, მაგალითად, „თავდაპირველი ცოდვის“ მიუხედავად – ნებისმიერ დანაშაულში თანაბრად უდანაშაულოა და საკუთარი მშობლებისგან თანაბარი უფლებები გააჩნიათ. ვინაიდან ყველა მსგავსი უფლება ჩასახვის ნებაყოფლობითი ბუნებიდან გამომდინარეობს (დაშვების

თანახმად), ხოლო გაუპატიურების შედეგად გაჩენილ ბავშვებს ეს ნებაყოფლობითი ასპექტი აშკარად აკლიათ და უფლებები მინიმუმ დედისგან არ გააჩნიათ. მაგრამ მათი უფლებები ყველა სხვა ბავშვის უფლებების თანაბარია. შესაბამისად, არცერთ ბავშვს, როგორც არ უნდა იყოს ის ჩასახული, მშობლისგან არავითარი პოზიტიური ვალდებულება არ დაჰყვება.

არც მცისიერად და არც ინტუიციურად ცხადი არაა, რომ არსებობს ბავშვების მიმართ მშობლიური პასუხისმგებლობების შემქმნელი სხვა საფუძვლები. შედეგად, იმ მოცემულობით, რომ მშობლების მხრიდან ნებაყოფლობითი შეთანხმების გარდა ბავშვთა მიმართ ვალდებულებებს არაფერი ქმნის და იმით, რომ ეს არგუმენტიც სუსტია, ცხადი ხდება, რომ მშობლებს შვილების მიმართ პოზიტიური ვალდებულებები არ გააჩნიათ.

„პოზიტიური ვალდებულებების არარსებობა“ გულისხმობს, რომ მშობელს საკუთარი შვილის გამოკვების, ჩაცმის ან შეფარების იმდენივე ვალდებულება ეკისრება, რამდენიც სხვების შვილების მიმართ ან (თუ ასე მიდგა საქმე) ვიდრე სხვა ზრდასრულების მიმართ, რომლებთანაც არაფრითაა დაკავშირებული: არც შობით, არც შეთანხმებით და ა. შ. თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ მშობელს ბავშვის მოკვლა შეუძლია. ისევე, როგორც მშობელს სხვათა ბავშვების მოკვლის უფლება არ აქვს, „საკუთარი“ ბავშვის მოკვლის უფლებაც არ გააჩნია.

მშობელი, როდესაც მშობლის როლს ირგებს, ბავშვის ერთგვარი მეურვეა. თუ მშობელს სურს, რომ ამ ნებაყოფლობით მიღებული ან სულაც არც მიღებული როლიდან გამოვიდეს, იგი სრულიად თავისუფალია ასე მოიქცეს. შეუძლია ბავშვი გააშვილოს ან ბუნებრივი კანონის უფრო ძველი ტრადიციით, ბავშვი ეკლესიის ან ბავშვთა მოვლაში სპეციალიზებული საქველმოქმედო ინსტიტუციის კიბეებზე დატოვოს.

მაგრამ მშობელს არ შეუძლია ბავშვი სახლის ბნელ კუნჭულში საჭმლის გარეშე დაამწყვდიოს ან მის გასაშვილებლად გაცემაზე უარი თქვას და უბრალოდ დაელოდოს, როდის მოკვდება. ამის ჩადენა მკვლელობის ტოლფასია – დანაშაულის, რომელიც ყოველთვის სასტიკად უნდა გაიკიცხოს. მშობელი, რომელიც შვილს თან მალავს

და თან აშიმშილებს (რაც, თითქოს, უშუალოდ ძალადობით მოკვლა არ არის), უარყოფს საკუთარ მეურვეობას ან მშობლიურ კავშირს, რომლის მიღებაც შეიძლება სხვებს სურდეთ.

შესაძლოა, რომ მეურვეულ-მშობლიური როლი უფრო თვალსაჩინო, „საკუთრების შრომითი თეორიის“ იერარქიაში გადაკონვერტირებამ გახადოს: ბავშვი სხვა ზრდასრულსა და ცხოველს შორის ერთგვარ შუალედურ მდგომარეობაში ვარდება. თუ ერთი ზრდასრული მეორეს ეხმარება, ეს მეორე მხოლოდ ამ დახმარების გამო პირველის საკუთრება არ ხდება. თუ ზრდასრული ცხოველს იშინაურობს და მისი ძალისხმევის ხარჯზე ცხოველს პროდუქტიულ გამოყენებას (კაცობრიობისთვის პროდუქტიულს) შესძენს, ის შესაბამისად მისი მფლობელი ხდება. ბავშვი ანუ ეს შუალედური შემთხვევა, შეგიძლია „დაისაკუთრო“ ამ „საკუთრების შრომითი თეორიით“, ოღონდ მხოლოდ სამეურვეო თვალსაზრისით. ანუ იქამდე, სანამ თავად არ იქნება მზად, რომ საკუთარი პიროვნების მფლობელობა გადაიბაროს, საკუთრივ, მშობლებისგან დამოუკიდებლობის გზით ზრდასრულობის შესაძენად. მშობელს ბავშვის კონტროლი და დაცვა მხოლოდ იქამდე შეუძლია, სანამ საკუთარ მეურვეულ ძალისხმევას აგრძელებს (ცხოველის ან მიწის შემთხვევაში, მისაკუთრების შემდეგ, მეპატრონეს საკუთარი ქონების შესანარჩუნებლად მისი მოვლა აღარ სჭირდება. მაგალითად, შეგიძლიათ ნაკვეთის დაუსწრებელი მეპატრონე იყოთ). თუ მშობელი ბავშვის სამეურვეო ძალისხმევას შეწყვეტს, ბავშვი ან უნდა გააშვილოს – თუ ბავშვი საკუთარ თავს ვერ მოუვლის, ძალიან პატარა ან უმწეოა – ან საკუთარი ცხოვრების სამართავად სახლიდან წასვლის საშუალება უნდა მისცეს, თუ ბავშვი უკვე ამის შემძლე და მსურველია.

თუ მშობელმა ბავშვი ზღვრულად საკმარისი დახმარებითა და მხარდაჭერით აღზარდა იმისათვის, რომ ბავშვის მეურვეობა არ დაეკარგა, მაგრამ მეტი არაფერი ან ვერაფერი მისცა და თუ ბავშვი შედარებით ლატაკ გარემოში იზრდებოდა, ამას პოტენციურ დამსაქმებელს ვერ დააბრალებ. დამქირავებლისთვის ასეთი ახალგაზრდის დაქირავების აკრძალვა, მის მდგომარეობას ვერანაირად ვერ გააუმჯობესებს, მხოლოდ გააუარესებს.

მართალია, რომ ზოგიერთი მშობელი საკუთარ შვილებთან მიმართებაში არაგონივრულ გადანყვეტილებებს იღებს, ოღონდ

არაგონივრულს გარე დამკვირვებლის გადმოსახედიდან. თუმცა ვერც იმას დაამტკიცებთ, რომ ასეთი ბავშვების ბიუროკრატების ხელში გადაცემით მათი მდგომარეობა უმჯობესდება. ბავშვებთან მიმართებაში მთავრობაც არანაკლებ არაგონივრულ და არაჯანსაღ გადაწყვეტილებებს იღებს ხოლმე, ხოლო ბავშვს საკუთარი ცუდი მშობლის მიტოვება გაცილებით მარტივად შეუძლია, ვიდრე ცუდი სახელმწიფოსი – რომელიც ყველას გვმართავს.

შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ ახალგაზრდა ხალხთან დაკავშირებული ნებისმიერი შრომითი კონტრაქტი ვალიდურია, თუ ნებაყოფლობითაა მიღებული და სავსებით შესაძლებელია, რომ ეს კონტრაქტები ნებაყოფლობითი იყოს. ახალგაზრდა ადამიანი (ასაკის მიუხედავად) ან ზრდასრულია, რომელმაც საკუთარი ზრდასრულობა მოიპოვა და, შესაბამისად, შესწევს უნარი, რომ დაეთანხმოს კონტრაქტებს, ან ისევ ბავშვია და ნებაყოფლობითობის საფუძველზე მუშაობა მაინც შეუძლია, ოღონდ მშობლის შუამავლური ნებართვის დახმარებით.